საქართვე... ლო ... ბილ... ჩასმუ...

www.tbiliselebi.ge

ფასი 1,50 ლარი

№7



გვ. 2

რისთვის აპირებს ბრძოლას ელენე ფორჩუა, ძმის რა ოცნების განხორციელებას გეგმავს ის და რაში უწყობს მას ხელს მეუღლე

გვ. 14

როგორ იპოვა მომავალი შეყვარებული ქეთი ზაზაშვილმა და რას აკეთებს მასთან ურთიერთობისას ყოველგვარი სპეცეფექტების გარეშე ზურა ყაზიშვილი

გვ. 62

რა სიახლეებს სთავაზობს მოდის მიმდევრებს ავთანდილ ცქვიტინიძე

გვ. 15

ვინ გადაარჩინა გურამ შარაძის ქალიშვილი ჟენევაში და რა ახალი გარემოებები აღმოაჩინა მან მამის მკვლელობის საქმეში



გვ. 12

რატომ ითხოვდა ემზარ კვიციანი თავის საკანში გიგი უგულავას შეყვანას და როგორ გამოაცილეს ის ციხიდან პატიმრებმა



რა მინუსი აღმოუჩინა ფეხბურთელმა იკა შალიკაშვილმა შეყვარებულს და რატომ არ ასწავლა ვერკა ჯაჯანიძემ მას ტანგო

გვ. 70



რა მინიშნებებით გრძნობს ხოლმე კატო ყიფიანი მამის არსებობას

გვ. 67



გვ. 16

რატომ იზრდება ფობიების რიცხვი ცივილიზაციის მიღწევებთან ერთად და ვის მეტი შიშები აქვთ – მდიდრებს თუ ღარიბებს

## ნომრის ფრაზები

* გენშტაბის აკადემია დავამთავრე წითელ დიპლომზე, კახა თარგამაძის ჯინაზე

* ყიდულობდა ადამიანის თანხმობას, მომკვდარიყო ამ მიზნით

# რისთვის აპირებს ბრძოლას და ძმის რა ოცნების განხორციელებას გეგმავს ელენე ფოჩხუა და რაში უწყობს მას მეუღლე ხელს

***ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ელენე ფოჩხუა საზოგადოების წინაშე უკვე პროექტ „ორ ვარსკვლავში“ წარდგა, სადაც მისი მეწყვილე ჟურნალისტი გოდერძი შარაშია იქნება. იმ დიდი ტრაგედიის შემდეგ ელენესთვის ამ პროექტში მონაწილეობა საკმაოდ რთული იყო, მაგრამ, იგი დღემდე ცდილობს, აკეთოს ის საქმე და განახორციელოს ის მიზანი, რომელიც მას და მის ძმას – გიორგის წლების წინ ჰქონდათ დასახული. წარმატებას ვუსურვებ ელენეს და მიხარია, რომ ის ნელ-ნელა უბრუნდება ჩვეულ ცხოვრების რიტმს და მსმენელს თავისი ლამაზი ხმით დღესაც ხიბლავს. ვისაც ელენესა და გოდერძის მოსმენა პროექტის ბოლომდე უნდა, შეუძლია გაუგზავნოს ესემესი, ნომერზე: 95 201.***

**ელენე ფოჩხუა:** მიხარია, რომ ამ პროექტში ვმონაწილეობ. ამის შემდეგაც გაგრძელდება ჩემი კარიერა – რაღაცეებს ვგეგმავ. მინდა, ჩემი ერთ-ერთი ძველი პროექტი გავაკეთო, მის შესახებ არაერთხელ გავაჟღერე და დღემდე ვერ განვახორციელე, ახლა კი აუცილებლად გავაკეთებ. არაერთი კონკურსის მონაწილე ვყოფილვარ, მაგრამ აქ არის საოცარი კომფორტი, თუნდაც პედაგოგებთან ურთიერთობაში, რეპერტუართან დაკავშირებით. 12 საათზე მაქვს რეპეტიცია და, არ იცით, როგორი სიხარულით მივდივარ. ძალიან კარგი გარემოა – მეგობრული და ჯანსაღი. რა თქმა უნდა, გამარჯვება ყველას უნდა, მაგრამ ამით არაფერი მთავრდება.

**– რას იტყვი შენს მეწყვილეზე, გოდერძი შარაშიაზე?**

– რომ მითხრეს, შენი მეწყვილე იქნებაო, დავთანხმდი, მოვედი და გავიცანი. 12-ზე რომ გვეწყება რეპეტიცია, ის ნახევარი საათით ადრე მოდის და მირეკავს, სად ხარო? ძალიან მონდომებული და ნიჭიერი ადამიანია. დღეს, მაგალითად, მესტიაშია წასული. ხან სად მიდის, ხან – სად, პლუს, ლექციებს კითხულობს, რეპეტიციებზე მოდის, ყველაფერს ასწრებს. რაღაც რომ შეეშლება, იმდენჯერ იმღერებს, სანამ არ გამოასწორებს. თან, ერიდება – ამდენჯერ რომ ვმღერიო, მაგრამ, მე მიხარია – ეს არის ჩემი პროფესია, საესტრადო მაქვს დამთავრებული ვოკალის განხრით. ეს არის ჩემი საყვარელი საქმე და ამაზე უარს არასდროს ვიტყვი. პირიქით, მიხარია, ეს ჩემთვისაც კარგია. სამწუხაროდ, საქართველოში არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ, ყოველდღე თუ არა, კვირაში ორჯერ მაინც გვქოდეს რეპეტიცია, შენი ბენდი გყავდეს. როცა მომღერალი საკუთარ თავზე მუშაობს, ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა.

**– შენი მეუღლე ყოველთვის ხელს გიწყობდა, ალბათ, ახლაც ასეა.**

– მეუღლეც და ბავშვიც ძალიან მიწყობენ ხელს: „დედა, დღეს ვისთან მივდივარ, ვისთან მტოვებ?..” „კარგი, დედა, შენ წადი, მე ჩავიცვამ...” მეუღლეც არ მყავს პრეტენზიული – არ მეუბნება, შენ რომ წახვალ, ჩვენ რა ვქნათ, რა ვჭამოთო. ყველაფერს ვახერხებ, ჩემი წასვლით ოჯახში არავის არაფერი აკლდება და მეც ყველანაირი ხელშეწყობა მაქვს. საბედნიეროდ, ამ მხრივ პრობლემა არასდროს მქონია. აქ ყოველ სამშაბათს ბანკეტივით გვაქვს – ყველანი ერთად მივდივართ. პირველ სამშაბათს სიცხე მქონდა, ძალიან ცუდად ვიყავი და ვიფიქრე, სახლში წავალ, რა მებანკეტება, ცუდ ხასიათზე ვარ, ცუდად ვარ-მეთქი. მაგრამ, ისეთი კარგი გარემოა ხოლმე – ერთმანეთს რჩევებს ვაძლევთ, განვიხილავთ საღამოს შედეგებს... მეუღლეს დავურეკე, რა ვქნა-მეთქი. აუცილებლად უნდა წახვიდე, არ უნდა დააკლდე იმ სიტუაციას, ბავშვს სძინავს და ამაზე არ იდარდოო. „ჯეოსტარის“ პერიოდში ჩემი ძმა მედგა სულ გვერდში. ახლა პირველ დღეს რომ დამირეკეს პროექტიდან, მითხრეს: ვინ მოგყავს გულშემატკივრად, სახელი და გვარი ჩამაწერინეთო, ძალიან ცუდად გავხდი. დაახლოებით 40 წუთი ჩემთვის დავჯექი და გამოვეთიშე ყველაფერს, ძალიან დავითრგუნე. სხვა დროში, წარსულში, ჩემი გულშემატკივარი ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არა ჩემი ძმა. არავინ არ მომიყვნია; გოდერძის ვუთხარი, შენ ვინც გინდა, ის მოიყვანე-მეთქი. ყოველი გამოსვლის დროს, რატომღაც, ბედნიერი ვარ, რადგან, ამ პროექტში მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გიორგისთვის ვარ. ჩემს კარიერას მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დავუბრუნდი, გავაგრძელებ, მისთვის ვიბრძოლებ და მის ყველა ოცნებას, რომელიც მე უნდა გამეკეთებინა, აუცილებლად გავაკეთებ. მას უნდოდა, რომ დიდი წარმატებისთვის მიმეღწია. რაც მთავარია, მინდა, შევასრულო, რასაც შევპირდი – პროექტი „12 ქვეყნის „იავნანა“, რომელიც გიორგისა და მისი მეგობრის პროექტი იყო. ის დარბოდა ამ ყველაფერზე. მერე ომი დაიწყო, შემდეგ – ფინანსური მხარეები, მერე ცუდი რაღაცეები შეგვემთხვა... სამი წელი გადის და, მე არ მაქვს იმის უფლება, გავჩერდე, არ გავაგრძელო ჩემი პროფესიით მუშაობა. მალევე გავედი სამუშაოდ, რადგან ვხედავდი, ყველაფერი ცუდად მიდიოდა – უძლური ვხდებოდი და, არ მინდოდა, ქუჩაში რომ გავივლიდი, ვიღაცას ეთქვა: ვაიმე, საცოდავი, საწყალიო – ამას არასდროს არავის ვათქმევინებ. განა იმიტომ, რომ, როგორ შეიძლება, მე ასე დამიძახონ, უბრალოდ, ამას ვერ ვაპატიებდი საკუთარ თავს და, ვიცი, რომ ეს ჩემს ძმას არ მოეწონებოდა. იმიტომ ვცოცხლობ, რომ ჩემი ყოველი ნაბიჯი მისთვის იყოს. პირველად რომ გავედი სცენაზე, ვთქვი: „ეს შენ, გიო!” ძალიან რთულია ჩემთვის. ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, თუნდაც ჩემს ქალაქში. როცა მუშობა დავიწყე, იქ ხან ქორწილი იყო, ხან კორპორაციული, ხან ტელევიზორით გამოვჩნდი... მე როცა სახლიდან გავდივარ, აბსოლუტურად სხვა ელენე ვხდები – ისეთ „სტოიკას“ ვიჭერ, თითქოს ბედნიერი ვარ. ყველა განიცდის შენს მდგომარეობას – მეგობარი, დაქალი... გვერდშიც გიდგანან, მაგრამ, დღეს შენი პრობლემები არავის უნდა, არავის სჭირდება. მე თვითონ ვქმნი საკუთარ თავში სამყაროს: ვიძინებ – წარმოვიდგენ, მღვიძავს – ვფიქრობ. როგორც რეჟისორი ქმნის თავის ნამუშევარს, მეც ასე ყოველდღე ვხატავ ჩემთვის ჩემს სამყაროს, ჩემს ცხოვრებას – ასეთი უნდა ვიყო, სხვა გზა არ მაქვს, ისე ცხოვრებას ვერ გააგრძელებ. როცა საშინელ რაღაცას გაიგებ და იმ წუთასვე არაფერი დაგემართება, ჩათვალე, რომ კედელს თავით გაარღვევ, გახვალ და სულ სხვა ადამიანი ხდები. არავინ თქვას, რომ მოკვდება. არავინ არ კვდება, პირიქით, უფრო ძლიერი ხდები. რა უნდა ვქნა – არ მემღერება, არ მეცეკვება, არ მეღიმება, მაგრამ, სხვა რა უნდა გავაკეთო? ღიმილიც კი თავიდან ვისწავლე. დღეს, შეიძლება, ტირილი მინდოდეს, წარსულს რომ ვიხსენებ. ძალიან რთულია, მღრღნის, როდესაც დილით და დაძინების წინ ვიხსენებ და ვფიქრობ იმაზე, თუ რა ხდებოდა იმ მომენტში ჩემი ძმის გონებაში – იქნებ დახმარებას ითხოვდა, მე კი იმ დროს სიცილით ვკვდებოდი?! ან, სამსახურში ვიყავი, ვერთობოდი, მას კი შველა სჭირდებოდა? – ეს დღემდე მკლავს... მაგრამ ამ ფიქრებს არ ვუშვებ ბოლომდე. ვფიქრობ, რომ ჩემი ძმა წასულია სხვაგან, მეც ოდესმე წავალ მასთან და შევხვდები. წავიდა დროებით და მეც იქ მივდივარ. ადრე რომ ამბობდნენ, სული მომეჩვენაო, რა თქმა უნდა, არ მჯეროდა, მაგრამ, ახლა მჯერა, რომ ეს უხილავი ჯაჭვი სულ არსებობს.



**მას უნდოდა, დიდი წარმატებისთვის მიმეღწია და რაც მთავარია, მინდა, შევასრულო, რასაც შევპირდი – „12 ქვეყნის „იავნანა”, რომელიც გიორგისა და მისი მეგობრის პროექტი იყო**

**– გიორგის ამბავთან დაკავშირებით არის რაიმე სიახლე, რამე გაირკვა?**

– არაფერია, თუმცა, ოჯახმა ვიცით, რომ აბსოლუტურად არაფრის გამოა გიორგი მოკლული. ხელახლა ვაპირებთ ყველაფრის გაკეთებას – ყველა უნდა დაიკითხოს, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის – გიორგის მეგობარია თუ სხვა ვინმე. ვინც ადრე იყო დაკითხული, ყველა დაიკითხება, გამოიძიება. უბრალოდ, დროა საჭირო, თორემ, ყველა დაისჯება.

**– ამ პროექტში შენი გამოსვლა მშობლებისთვისაც პატარა სტიმული იქნება.**

– ვიცი, რომ ძალიან უხარიათ. ჩემს მშობლებს ძალიან უჭირთ; ვიცი, მათი გული არასდროს გამთელდება. ერთადერთი ბედნიერებაა, რომ ჰყავთ გიოს შვილი – ლუკა, რომელიც ძალიან ჰგავს მამას და, რომ გაიზრდება, გიოს დაემსგავსება. მაგრამ, არცერთ დედას არ უნდა შვილი იყოს უბედური, დაჩაგრული; ამიტომ, იმ ერთ დღეს, როცა შოუ გავა, გადმოერთვებინ და ნაწილობრივ გაიხარებენ. ღმერთმა ქნას, ფინალამადე მივიდეთ, რადგან, მსიამოვნებს ეს ყველაფერი.

**– როგორი ბიჭია ლუკა?**

– ლუკა 6 მარტს 4 წლის ხდება. თბილისში გადმოვიდნენ, ბაღში დადის, ერთად ვართ ყველანი. ძალიან კარგი ბიჭია: თბილი, მოსიყვარულე და მამას ჰგავს ძალიან.

**ნათია უტიაშვილი**



**მედიცინის დოქტორი, რომელმაც უარი თქვა პროფესიულ პრაქტიკაზე და სტუდენტებთან ურთიერთობა ამჯობინა – ეკატერინე სუხიშვილი სწორედ ამითაა გამორჩეული. ის იყო ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის კოორდინატორი შიდა ქართლში. სწორედ ამ პროექტის, გაეროს დახმარების ფონდისა და JSI-ის ხელშეწყობით მან ბევრი კეთილი საქმე გააკეთა ქალთა ჯანმრთელობის მიმართულებით ამ რეგიონში. ექიმ ქალთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ყველაზე მეტად „სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორის მოადგილეობით ამაყობს, რომელიც მართლაც გამორჩეულია თავისი მიდგომებით სტუდენტებისადმი, კვალიფიციური ბაზითა და პროფესიონალი კადრებით.**

# რატომ ახასიათებენ პროგრესულ პრორექტორად და ვინ არის მედიცინის დოქტორი, რომელმაც სტუდენტებთან ურთიერთობა პროფესიულ კარიერას ამჯობინა

*მინი-დოსიე: სკოლა მედალზე დაამთავრა. პროფესიად ექიმობა აირჩია. ინტერნატურა მეანობაში – გორის სამშობიარო სახლში, ხოლო ორდინატურა – მოსკოვის მე-3 სამედიცინო სტომატოლოგიური უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე გაიარა. მუშაობდა ექიმ-ორდინატორად მოსკოვის მე-15 კლინიკურ საავადმყოფოში. დოქტორანტურა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, აკადემიკოსების – ბატონ გურამ ბექაიასა და ბატონ ნოდარ მითაგვარიას ხელმძღვანელობით გაიარა. დისერტაცია 2013 წელს დაიცვა და გახდა მედიცინის დოქტორი, „სუხიშვილის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი.*

**– როგორ მოხვდით უნივერსიტეტში რექტორის მოადგილედ და როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა სტუდენტებთან?**

– მიუხედავად იმისა, რომ 1995 წელს ჩემმა მშობლებმა დააფუძნეს ეს უნივერსიტეტი, პირველად გორის მცირე აკადემიის სახელით, ხოლო 2003 წლიდან – „სუხიშვილის უნივერსიტეტის" სახელით, თანამდებობა სახელდახელოდ, მაშინვე არ მიმიღია. საკმაოდ გრძელი გზა გავიარე იმისთვის, რომ დღევანდელობამდე მოვსულიყავი. ვმუშაობდი გორის სამშობიარო სახლში ექიმ მეან-გინეკოლოგად და პარალელურად მშობლებს ვედექი გვერდში. ვიყავი ჯერ ლიცეუმის, შემდეგ – კოლეჯ „ამაგის" დირექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსი და, ბოლოს, დღემდე, რექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარების დარგში. პარალელურად დავაფუძნე რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი – „სოფია მკურნალი" და საზოგადოებრივი კოლეჯი. მაგრამ, ჩემი საქმიანობა მარტო ამით არ შემოიფარგლება. მუდამ ვიყავი ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, გახლდით ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის კოორდინატორი შიდა ქართლში; ამ პროექტის და, შემდგომ, „გაეროს დახმარების ფონდისა" და JSI-ის ხელშეწყობით ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა ქალთა ჯანმრთელობის მიმართულებით შიდა ქართლში. ვარ ექიმ ქალთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, რომლის ხელმძღვანელი პროფესორი, მედიცინის დოქტორი ნინა ჟვანიაა. ასევე, ვარ ორგანიზაცია „ქალთა მოძრაობის" წევრი და ასე შემდეგ. ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. სწორედ ამ გზის გავლამ განაპირობა ჩემი ასეთი წარმატება ყველა სფეროში, რომელსაც ვემსახურები – განათლებასა და მედიცინაში.

**– გვესაუბრეთ უნივერსიტეტის მიღწევებზე. ცნობილია, რომ მას დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა. რას გვეტყვით თქვენ მიერ განვლილ გზასა და სამომავლო გეგმებზე?**

– უნივერსიტეტის დაარსების შესახებ უკვე მოგახსენეთ. ოცი წელი არც ისე პატარა დროა იმისთვის, რომ მყარად დაიმკვიდრო ადგილი საგანმანათლებლო სივრცეში. ეს ოცი წელი სულ ია-ვარდით მოფენილი გზით არ გვივლია, იყო ბევრი სირთულე, წინააღმდეგობები, თუმცა, ბევრი სასიხარულო დღეებიც. უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაშია სამი კორპუსი: ორი გორში და ერთი – თბილისში, კეთილმოწყობილი აუდიტორიებით, წიგნების მდიდარი ფონდით, კომპიუტერული ცენტრებით, სპორტული დარბაზებით, სპორტული მოედნით, 300-კაციანი სააქტო დარბაზით, კაბინეტ-ლაბორატორიებითა და ასე შემდეგ. უწყვეტი ავტორიზაციის რეჟიმში ყოფნა 2003 წლიდან არც ისე ადვილია და ეს მე ძალიან მეამაყება. წარმატებები საზღვარგარეთ, ოქსფორდში მიღებული ჯილდო – ევროპის ხარისხის ნიშანი და ლაურეატის წოდება 2009 წელს; ჩვენი რექტორის, ბატონ ვალერი სუხიშვილის ევროპის რექტორთა კლუბის წევრად არჩევა მალტაში 2009 წელს; 5 საერთაშორისო კონფერენცია; 5 საუნივერსიტეტთაშორისო სტუდენტური კონფერენცია; შიდა საუნივერსიტეტო კონფერენციები, შეხვედრები, ღონისძიებები, საჯარო ლექციები, ყოველივე ამის ორგანიზატორი კი ჩვენი უნივერსიტეტია. რა თქმა უნდა, ჩემი და ჩემი მშობლების ხელმძღვანელობითა და ფინანსური მხარდაჭერით. სამომავლო გეგმები ძალიან დიდია. ვაპირებთ ახალი პროგრამების დამატებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, ახალი ტექნოლოგიების შემოტანას. ჩვენ მუდმივ ძიებაში ვართ და ეს ყველაფერი ხელს გვიწყობს, სულ უფრო წინ წავიწიოთ და ვიყოთ წარმატებულები. საქართველოს მასშტაბით ჩვენი პარტნიორები არიან: „საქართველოს ბანკი," სადაც 10 საუკეთესო სტუდენტი გადის ყოველწლიურად სტაჟირებას; „პრივატბანკი" – სტაჟირებითა და დასაქმების პერსპექტივით; ფარმაცევტული კომპანიები; „ქართუ ჯგუფი", გორის მერია, საკრებულო, გამგეობა, სასამართლოები, საადვოკატო ფირმები, ტურისტული კომპანიები, კერძო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და, კიდევ იმდენია, რომ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ყველა ამ ორგანიზაციაში ჩვენი სტუდენტები გადიან სტაჟირებას დასაქმების პერსპექტივით. უცხოელი პარტნიორები არიან: ტეხასის უნივერსიტეტის ერევნის ფილიალი, სადაც ყოველწლიურად იგზავნება 1-5 საუკეთესო სტუდენტი გაცვლითი პროგრამით, სადაც სწავლება და ყველანაირი ხარჯი ამ უნივერსიტეტის მიერ ფინანსდება; პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტი; კიშინიოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბაქოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი; ერევნისა და კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტები; ოქსფორდის უნივერსიტეტი; ნოტინგემის ტრენტის უნივერსიტეტი.

**– ცნობილია, რომ კოლორიტული ქართული ოჯახი გაქვთ, მამათქვენი კი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორია. თქვენს ოჯახურ ტრადიციებზეც გვიამბეთ.**

– ჩემი ოჯახი ჩემი სიამაყეა. ოჯახური ტრადიციები ჩემი წინაპრებისგან მოდის. მამა – ვლადიმერ (ვალერი) სუხიშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორია, აკადემიის წევრი, მეცენატი, ცნობილი თამადა, გორის კოლორიტი. მიუხედავად თავისი ასაკისა, თანამედროვეობის დიდი ხედვა აქვს, აზროვნებს პროგრესულად; სიახლეების ათვისების დიდოსტატია და, საერთოდ, უძლიერესი პიროვნებაა. დედას, რუსუდან გოხელაშვილს, ვუწოდებდი უდიდეს დიპლომატს – ესაა ადამიანი, რომლისგანაც უნდა ისწავლო ცხოვრება. 20 წელი იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი და ძალიან დიდი გამოცდილება აქვს განათლების სფეროში. მიუხედავად ჩემი ოჯახის დიდი ტრაგედიისა (ძმისა და ჩემი მეუღლის გარდაცვალება, რაც ჩვენი ოჯახისთვის ადვილი გადასატანი არ იყო), ჩემს მშობლებს შეუძლიათ ყველას შეუმსუბუქონ ტკივილი, გვერდში დაუდგნენ ჭირსა თუ ლხინში. ისინი არა მარტო ჩემი იმედები არიან, არამედ, ჩვენ გარშემო მყოფი ადამიანებისაც. მამას ძალიან უყვარს ვაზი და საერთოდ, უძლიერესი აგრონომია. წელიწადში 3 ტონა ყურძენს კრეფს. მისი ურთიერთობა ვაზთან – მთელი აკადემიაა. ჩვენ სოფელ მეჯვრისხევიდან ვართ და მამაპაპეულ მიწაზე ედემის ბაღი გააშენა. იქ ყოფნა ერთი სიცოცხლეა. ჩვენი ოჯახური ტრადიცია სტუმრის სიყვარული და მოფერებაა. მე ამაყი ვარ ჩემი ოჯახით. მყავს ორი არაჩვეულებრივი შვილი – ქალვაჟი, რომლებსაც ძალიან ლამაზი ქართული ოჯახები აქვთ, და, ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი საჩუქარი – შვილიშვილი რუსუდანი, დიდი ბებოს სახელის გამგრძელებელი.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ გახასიათებენ სტუდენტები პროგრესულ და კვალიფიციურ პრორექტორად და მენეჯერად?**

– პრობლემის გადაწყვეტა ხდება ურთიერთშეთანხმებით და დიალოგის საფუძველზე. მაქსიმალური ხელშეწყობაა ჩემგან – სულ ვცდილობ, რომ სწორედ ამ უშუალო დამოკიდებულებითა და დედაშვილური ურთიერთობებით ვიყო მათთან. სტუდენტს ყოველგვარი ბარიერის გარეშე შეუძლია ჩემთან ურთიერთობა და პრობლემების მოგვარება და, ვფიქრობ, ესაა გადამწყვეტი ფაქტორები.

**ანა თაბაგარი**

# სხვისი სისხლით

## ანუ ღობეს ჩხირი

მაშინ, როდესაც **გერმანიისა და საფრანგეთის მოქმედი პირველი პირები**, ქ-ნი მერკელი და ბ-ნი ოლანდი, **თვით მოსკოვში ეწვივნენ პრ. პუტინს** უკრაინის საკითხზე მოსალაპარაკებლად, თუმცა **მანამდე მოჰფინეს ნათელი საკითხს, რომ ევროკავშირი უკრაინას იარაღს არ მიაწვდიდა** (იმიტომ რომ, სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი), საფრანგეთის **ყოფილმა პრ.-მა** და ჩვენი, 2008 წლის ომის მთავარმა საერთაშორისო **ფიგურანტმა ბ-ნმა სარკოზიმ** თავისი პარტიის ყრილობაზე **გაგვიმხილა, რომ ყირიმმა რუსეთი აირჩია და ამიტომაც მას ვერ დავადანაშაულებთო**. საკუთარი მოსაზრება კი შემდეგი არგუმენტით გაამყარა: **„თუკი კოსოვოს გააჩნია უფლება, სერბეთისგან დამოუკიდებელი იყოს, მაშინ, როგორ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ ყირიმს არ აქვს უფლება, დატოვოს უკრაინა და შეუერთდეს რუსეთს**.“





ლოგიკა **ბებრულად რკინისებურია**, მით უფრო, რომ, ბ-ნი სარკოზის აზრით, **რუსეთსა და ევროპას შორის უთანხმოება ამერიკელების სურვილია**, მაგრამ „ჩვენ **არ გვინდა ახალი ცივი ომი ევროპასა და რუსეთს შორის.“**



მის ამ ფრაზას ყრილობაზე თანაპარტიელთა **მქუხარე ტაში მოჰყოლია**, როგორც იმას, რომ **უკრაინის ადგილი არც „ნატოშია“ და არც ევროკავშირში** (რაც თავისთავად, ნიშნავს, რომ იმავეს ფიქრობს საქართველოზე).“

თუმცა იქვე არც ის დაუმალავს, რომ **უკრაინამ, თურმე, ხიდის ფუნქცია უნდა შეასრულოს მოსკოვსა და ევროპას შორის**, რაც იმას ნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, **უკრაინის ერთი ნაგლეჯით** (აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი უკრაინა მაქვს მხედველობაში) **რუსეთს მადას დაუოკებენ**, დარჩენილით (ანუ **დასავლეთ უკრაინით**) კი **რუსეთთანვე ბუფერს შეიქმნიან**. –

# ჭკვიანი და დაკვირვებული

## ანუ ჯამ-ჭურჭელსაც ყურები აქვსო

ვიდრე **საკუთრივ ჩვენ იმაზე ვნერვიულობდით, თუ ვის ექნებოდა ეგრეთ წოდებული მოსმენების გასაღები** და ახლა იმის გამო **ვტვირთავთ ნერვულ უჯრედებს, გამოიყენებს თუ არა შსს ამ „გასაღებს“კეთილსინდისიერად,** კომპანია **„სამსუნგმა“ მომხმარებელი გააფრთხილა**, თავი შეიკავონ **ტელევიზორის წინ პირადი საკითხების განხილვისგან.**



ერთი შეღავათი ისაა, რომ **გაფრთხილება მხოლოდ მათ ეხებათ, ვინც უპირატესობას ანიჭებს Samsung Smart TV**-ს და, ნაცვლად პულტისა, **ტელევიზორს ხმოვან ბრძანებებს აძლევს.**

აღმოჩნდა, რომ **„სმარტ ტივი“ ისმენს ყველაფერს** (ბრძანებების პარალელურად), **რაც მის სიახლოვეს ხდება და ზოგჯერ ამ მონაცემებს თავად კომპანიას ან მესამე პირს გადასცემსო** (ვითომ მხოლოდ ზოგჯერ?!).

თუ გავიხსენებთ, რომ **ადამიანმა ყველა ფანტაზია რეალობად აქცია**: ჯადოსნური სარკით (ინტერნეტი) დაწყებული და მფრინავი ხალიჩით (თვითმფრინავი) დასრულებული, როგორც ჩანს, **ჩვენს თვალწინ აწ უკვე ყოფითი** შეგონებებიც გაცოცხლდა: **ჯამ-ჭურჭელსაც ყურები აქვსო**. –

# დაცურებული

## ანუ მცურავი ლარი

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ამ ჩვენს ლარს მცურავი კურსი აქვს** (ეს სუფთა ეკონომიკური ტერმინია და იმას ნიშნავს, რომ ლარი თავისუფალ ფრენაშია, თუმცა ამჟამად ამ ფრენამ ვარდნის სახე მიიღო), **ისე ღრმად შეცურა, რომ ლამის გაღმა გავიდეს** (იმედია, **მთლად მარილზეც არა**).




ოღონდ, ამ სამწუხარო რეალობის მიუხედავადაც, **საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2014 წლის დეკემბერში** კომერციულმა ბანკებმა **ვალუტის ყიდვა-გაყიდვით**, არც მეტი, არც ნაკლები, **23 მილიონ 192 ათასი ლარის მოგება მიიღეს**. –

გაცილებით **მოკრძალებულად გამოიყურებოდა ეს ამბავი ლარის დაცურებამდე.** ასე, მაგალითად, **2014 წლის ნოემბერში** კომერციული ბანკების **მოგებამ იმავე ვალუტის ყიდვა-გაყიდვით 5 მილიონ 514 ათასი ლარი შეადგინა**, ოქტომბერში კი – **5 მილიონი**.

ეს მონაცემები მოწმობს, რომ **ეროვნული ვალუტის გაუფასურება ამ ჩვენი მშობლიური ბანკებისთვის ჟანგბადივითაა.** თუ საკითხს **რომაული პრინციპით მივუდგებით** – დამნაშავე ის არის, ვინც ხეირობსო – გამოდის, რომ **ეს ჩვენი ბანკები ხელს ითბობენ ჩვენს შეჭირვებაზე**, თუმცა, **თუ საკითხს საქართველოს კანონმდებლობით შევხედავთ**, ისინი **არაფერსაც არ არღვევენ**.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საბანკო სექტორი ის სფეროა, **რომელიც ყოველთვის მოგებულია** და, არ გამოვრიცხავ, რომ **თვით მეორედ მოსვლითაც კი იხეირონ**, მით უფრო, რომ **ფული თვით ჯოჯოხეთსაც ანათებსო** (ამ მცურავი ლარის დევნაში კი, ვატყობ, იმდენს დააგროვებენ, ბარე ათი ჯოჯოხეთი „გაანათონ“). –


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია,
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# გაახლებული ყოფილები

## „ტყუილი, ტყუილი, პაპიროზი პირში“

ერთი მხრივ, **რუსეთი იმავე სცენარს უკრაინაში იმეორებს,** რაც **საქართველოში გამოსცადა** (რითაც აშკარაა, **რა პერსპექტივა ელის უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას**); მეორე მხრივ კი, **საქართველოს ყოფილი ხელისუფლებით გაიძეძგა უკრაინის ხელისუფლების ზედა-ზედა ეშელონი** (რაც მიანიშნებს უკრაინაში მოვლენების განვითარების მიმართულებას).



ხოლო, **რაკი გაიძეძგა,** ბუნებრივია, **ჩვენი ყოფილი პრეზიდენტიც მეტად პოპულარულია** ჩვენს მეგობარ უკრაინაში და **მისი გამონათქვამებიც ჩვეული, ანუ ძველებური პათოსისაა** (ოპერიდან: რუსეთი და ჟანგიანი ტანკები).

მაგალითად, ორიოდე კვირის წინათ ბ-ნმა სააკაშვილმა უკრაინული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ **უკრაინის არმიას სრულიად რუსეთის დაპყრობის პოტენციალი აქვს** და, თუმცა არ ვიცით, **რამდენად დაიჯერეს ეს ამბავი** ადრესატებმა, მხოლოდ **ის ვიცით, რომ გაუხარდათ.**

მოგვიანებით კი უკრაინული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში ჩვენმა ყოფილმა პირველმა პირმა **საქართველოში გატარებულ რეფორმებზე ისაუბრა** და აღნიშნა ამ რეფორმის მთავარი მიღწევა: **„მთავრობასა და მოსახლეობას შორის ურთიერთდამოკიდებულების შეცვლა.“**

ნუ იტყვით და აი, როგორ: **„ახალი კულტურა შევქმენით, ადრე ადამიანები მთავრობას ემსახურებოდნენ, ადრე ხალხს მთავრობის ეშინოდა; ჩვენ დროს კი მთავრობა ხალხს ემსახურებოდა და მთავრობას ხალხის ეშინოდა** (ტყუილი, ტყუილი, პაპიროზი პირში!).“

ჩვენ კი ვიცით, **ვის ვისი ეშინოდა**, მაგრამ **ეს ჯერ არ იციან ჩვენმა მეგობარმა უკრაინელებმა**, თუმცა, თუ ასეთი ტემპით განაგრძეს ჩვენი ყოფილების გაახლება, არ არის გამორიცხული, **ისე იგრძნონ, ჩვენი გრძნობები მათთან შედარებით მონაგონიც იყოს**. –

# სამწუხარო დეჟავუ

## „ამ ქალბატონს მე გავჩხრეკ“

იმ მარტივი მიზეზით, რომ **რფ უკრაინაში საქართველოში აპრობირებული სცენარით მოქმედებს** (თვით ხელშეკრულებების პათოსსაც კი არ ცვლის და, ბუნებრივია, არც შინაარსს), იმდენად, რომ **სრული დეჟავუ გვაქვს**.

შესაბამისად, **უკრაინაშიც ისეთი „ლონიერი“ სეპარატისტები არიან** (ჩვენებურების არ იყოს), **რომ უპრობლემოდ ერევიან უკრაინის ოფიციალურ შეიარაღებულ ძალებს**. ისიც ფაქტია, რომ **საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას იღებენ რუსი სამხედრო მოსამსახურეები**, რაზეც კონფლიქტის დაწყებისთანავე **განაცხადა რფ-ის პრ.-მა, სამხედროები შვებულებაში არიან** და, ამიტომაც, **სადაც უნდათ, იქ იქნებიან, ანუ იომებენო.**



ამის მიუხედავადაც, **რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართვა გაავრცელა იმ სახელმწიფოების გასაგონად**, რომელთა მოქალაქეები უკრაინის არმიაში იბრძვიან, **„შეწყვიტონ ეს მანკიერი პრაქტიკა“,** რადგან **მანამდე ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაადასტურა,** რომ ხორვატი მოხალისეები უკრაინის არმიის რიგებში იბრძვიან.

რაკი ენას ძვალი არ აქვს, **რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე ნათქვამია**: „მოვუწოდებთ ზაგრებსა და სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებს, რომელთა მოქალაქეები გადაბირებული არიან უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ, **შეწყვიტონ ეს უმსგავსობა**, რაც **მეტად აქტუალურია სწორედ ახლა, მინსკში მიღწეული შეთანხმების რეალიზაციის პერიოდში**, რომ **უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში ვითარება დარეგულირდეს“.**

დიახ, უნდა შეწყვიტონ, **ვინაიდან, ამ ცოდვილ მზისქვეშეთში მხოლოდ რფ-ისთვის მოსაწონ სეპარატისტებს აქვთ მხარდაჭერის უფლება;** მეტიც, **საერთოდაც, არსებობის უფლება**!

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

# მარადიული სიცოცხლის შანსი

## ანუ „აგი ულვაში მომპარსე“

იმის გათვალისწინებით, რომ **სრულიად საქართველოს ინტერნეტმომხმარებელი საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სოციალურ ქსელში**, ან კი როგორ არ იქნება, უფრო ზუსტად, არ ვიქნებით, როდესაც **ვირტუალურმა სივრცემ ჩვენი მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვის საშუალება მოგვცა**, თან ისე, როგორც გაგვიხარდება?!

შესაბამისად, **შესაძლებლობა ხელიდან არ გაგვიშვია** და აწ უკვე **არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის, მსოფლიოს პრობლემებს ვაწესრიგებთ,** და მერე რა, რომ ხშირად დაახლოებით ასეთი პასოსით:



„– **თურქეთის პოლიტიკა რაღაც არ მომწონს ამ ბოლო დროს**, ჩემო ილარიონ! – **მაგი ისეთი ჟულიკია, თუ შეატყო, გაჭირდაო, ისევ გერმანიას გამოუცხადებს ომს**. – გაჩერდი, კაცო! – **აგერ ვარ მე და აგერაა გერმანია, აგი ულვაში მომპარსე, თუ ასე არ ქნას**!“ –

ამასობაში კი **„ფეისბუქმა“ ახალი ფუნქცია დააანონსა,** რაც, სხვების არ ვიცი და, **სახელდობრ, ჩვენ** (თუკი სოციალური ქსელებისადმი ჩვენს ლტოლვა-ჟინს გავითვალისწინებთ) **იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ავირჩიოთ „მემკვიდრე“** (ანუ, ფაქტობრივად, **უგვირგვინო მეფეებადაც შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ თავი**). მომხმარებელი თავად **ირჩევს მემკვიდრეს „შავი დღისთვის“, რომელიც უფლებამოსილი იქნება, მომხმარებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მოქმედებები განახორციელოს მის „თაიმლაინზე“.**

ასე განსაჯეთ, როგორც ოფიციალურ ინფორმაციაშია ნათქვამი, **შეეძლება, გამოაქვეყნოს პოსტი დაკრძალვის შესახებ** და, თუმცა ვირტუალური მემკვიდრე ვერ შეძლებს, ნახოს იმქვეყნად გადასული მომხმარებლის პირადი მიმოწერა, სამაგიეროდ, შეძლებს **ახალი მეგობრების დამატებას, პროფილისა და „ქავერის“ ფოტოების შეცვლას და** ახალ მეგობრებთან პირად საუბარს.

ერთი სიტყვით, **თუკი აქამომდე შესაძლებელი მხოლოდ პროფილის „გაყინვა“ იყო,** აწ უკვე, **როგორც კი სულს მიაბარებთ გამჩენს** (100 წლის შემდეგ) ჩვენ მიერ არჩეული **„მემკვიდრე“ შეუდგება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას**.

ჩვენ არ ვიცით, **რამდენად შეამსუბუქებს სიკვდილ-სიცოცხლის დრამას ეს ნოვაცია,** თუმცა ფაქტია, რომ ამიერიდან **ჩვენი სახელის უკვდავყოფის საშუალებაც მოგვეცემა**, სულაც, **სახლიდან გაუსვლელად** და, ასე განსაჯეთ, **თვით იმქვეყნიდანაც კი**.

P. S. ***„გერმანია რას უჩივა? – ორჯერ გადასცა რადიოთი, ავიღე სტალინგრადიო, მარა, იაპონიას მოატყუებს მაგი? ზემოთ რომაა, ერთი იმხელა მიწაშია.“***

ნდობის ტელეფონი
*ინტიმი*
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**თუმცა ამ კონკრეტულ მომენტში მსოფლიოს ყურადღება უკრაინის კონფლიქტისადმია მიპყრობილი, საერთო საფრთხე ისლამური ტერორისტული სახელმწიფოს სახით მოევლინა დედამიწას. იმდენად, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა უკვე გააკეთა განცხადება, რომ ეს ტერორისტული წარმონაქმნი იარაღის ძალით უნდა განადგურდეს, რასაც მხარი თვით მუსლიმანური სახელმწიფოების ნაწილმაც კი დაუჭირა. ის, რაც საფრთხეა ცივილიზებული სამყაროსთვის, ბუნებრივია, საფრთხეა საქართველოსთვისაც; მაგრამ, გარდა ამ ზოგადი კონტექსტისა, გამომდინარე ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, დამატებით რა საფრთხეს შეიცავს საქართველოსთვის ხსენებული ტერორისტული წარმონაქმნი? – თემას პოლიტოლოგთან, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორთან, ვახტანგ მაისაიასთან ერთად განვიხილავთ.**

# რა დამატებითი საფრთხე ემუქრება საქართველოს ისლამური ხალიფატისგან და როგორ მოხვდა საქართველოს ტერიტორიაზე მათი კუთვნილი ნარკოტიკი, სახელად „ალაჰის ცრემლები“

– რაც შეეხება საფრთხეებს: საქართველო, გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ძალიან ახლოსაა ისლამური ხალიფატის მიერ გამოცხადებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისგან. და თურქეთი არის ერთგვარი შავი სატრანზიტო ხვრელი, საიდანაც გადაადგილდებიან მებრძოლები, ფინანსები, იარაღი და, ასევე, ხდება ნავთობპროდუქტების უკანონო ექსპორტი.

**– კონტრაბანდას ეწევიან ტერორისტები?**

– დიახ, სწორედ ნავთობის კონტრაბანდით ისლამურ ხალიფატში დღეში 3 მილიონი დოლარი შედის და ეს ხორციელდება სხვადასხვა სქემით.

**– ვის ნავთობს აწვდიან და ვინ ყიდულობს მათგან ნავთობს?**

– ისინი ამ ნავთობს მოიპოვებენ ერაყის მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სადაც ბევრი სანავთობო ჭაბურღილია. ისლამურმა ხალიფატმა შექმნა საკმაოდ მწყობრი სახელმწიფო-ეკონომიკური სისტემა. ისინი ამუშავებენ ამ ჭაბურღილებს, რაშიც იყენებენ მონურ შრომასაც, თუმცა ეს არ არის მათი ერთადერთი შემოსავალი. ისინი თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში დარეგისტრირებული სხვადასხვა ფირმის მეშვეობით ახორციელებენ ამ ნავთობის ექსპორტს სხვადასხვა სახელმწიფოში. გააქვთ ცისტერნებით, კონტეინერებით, რომლებიც გარკვეული ფირმების სახელზეა რეგისტრირებული და რომლებიც ამ ნავთობის რეალიზაციას ეწევიან საერთაშორისო ბაზრებზე. შემთხვევითი არ არის, რომ გასულ კვირას გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება ისლამური ხალიფატის დაფინანსების წყაროების შესახებ. ისლამური ხალიფატი შემოსავალს, ასევე, იღებს იარაღით უკანონო ვაჭრობიდან, მძევლების აყვანიდან და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ თანხის აღებიდან.



**ჩრდილო კავკასია საკმაოდ სოლიდურადაა წარმოდგენილი ხალიფატში. გავლენიანი საველე მეთაურებიდან 5 ქართული წარმოშობისაა**

**– იარაღი საიდან აქვთ?**

– იარაღი იმდენი აქვთ, რამდენიც გაუხარდებათ. ასევე, მათი შემოსავლის წყაროა ნარკოტიკებით ვაჭრობა. იცით, რომ საქართველოც მოექცა ნარკოტრანზიტის შავ ზოლში და „თალიბანის“ ნარკოტიკი გადიოდა საქართველოს ტერიტორიის გავლით. ეს პირველად მე ვთქვი და დავასახელე კიდეც იმ ნარკოტიკის სრული სახელწოდება – ეს არის სპეციფიკური ნარკოტიკი, რომელსაც უწოდებენ „ალაჰის ცრემლებს“.

**– როგორი პოეტური სახელი დაურქმევიათ?!**

– 2013 წლის ივნისში ჩვენს საგუშაგოს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, თავს სწორედ „თალიბანის“ ნარკოკარტელის ჯგუფი დაესხა, რადგან ჩვენი პოსტი იდგა მთავარ გზაზე, რომელიც ჰელმანის პროვინციას უკავშირებს კარაჩის პორტს, რომელიც მთავარი ნარკოსატრანზიტო მაგისტრალია. მიხეილ სააკაშვილის მინუსი ისიც იყო, რომ ჩვენი სამხედროები ჰელმანდის პროვინციაში, ხდებოდნენ არა მხოლოდ „თალიბანისა“ და „ალ-ქაედას“, არამედ ნარკოკარტელების დარტყმის სამიზნეც. იმის თქმა მინდა, თუ რამდენად მძლავრად მუშაობს ისლამური ნარკოტიკების ფაქტორი. ისლამური ხალიფატი არ არის მხოლოდ ტერორისტული ორგანიზაცია, ეს არის ქსელური გაერთიანება, ერთგვარი კოალიცია, რომელიც აერთიანებს რამდენიმე მძლავრ ორგანიზაციას. ამაში, უპირველსად, იგულისხმება „თალიბანი“, რომელიც გამოეყო „ალ-ქაედას“ ქსელს და შემდეგ უკვე ამ გაერთიანებას მიუერთდა 44 ისლამისტური გაერთიანება და ისინი კოორდინირებულად მოქმედებენ სხვადასხვა მიმართულებით. ბირთვი არის ისლამური ხალიფატი, რომელიც ეპიცენტრია ყველა იმ ოპერაციის, რომლებიც ხორციელდება ამ ალიანსის ეგიდით. მათ მიერვე განხორციელდა, „შარლი ებდოს“ ოპერაციაც.

საინტერესოა, რომ ისლმურმა ხალიფატმა გაააქტიურა თავისი მოქმედება კავკასიის მიმართულებით და ჩრდილო კავკასიაში დაიწყო თავისი კლასტერების შექმნა. მაგალითად, ასეთი კლასტერი უკვე შეიქმნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე – აფხაზეთში, სადაც არის ისლამური ხალიფატის 50-კაციანი იატაკქვეშა ორგანიზაცია. იმ მებრძოლების 60 პროცენტი, რომლებიც იბრძოდნენ კავკასიის ისლამური ემირატის ეგიდით, უკვე გადავიდა უშუალოდ ისლამური ხალიფატის დაქვემდებარების ქვეშ და მათ ფიცი მისცეს ალ-ბაღდადს. სხვათა შორის, ისლამურ ხალიფატში ოფიციალურ ენად სამი ენაა გამოცხადებული: თურქული, არაბული და რუსული.

**– რუსი პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები ისლამური ხალიფატის ხელმძღვანელობაში საქართველოს მოქალაქეების ყოფნაზე ამახვილებენ ყურადღებას და ამ დროს იმას არ ითვლის, იქ რუსეთის რამდენი მოქალაქეა.**

– ისლამურ ხალიფატში რუსეთის 2 500 მოქალაქე, მათ შორის, გარდა ჩრდილოკავკასიელებისა, არიან, ბაშკირელი თათრები. ქართული კლასტერი ყველაზე მცირერიცხოვანია – 300 ადამიანს ითვლის. აზერბაიჯანული კლასტერი – 500-კაციანია.

**– სომხური არ იქნება.**

– არა, არ არის, მაგრამ მძლავრი ჩერქეზული და დაღესტნური შემადგენლობაა. ჩრდილო კავკასია საკმაოდ სოლიდურადაა წარმოდგენილი ხალიფატში. გავლენიანი საველე მეთაურებიდან 5 ქართული წარმოშობისაა, თარხან ბათირაშვილის გარდა. იქ კიდევ არის საკმაოდ გავლენიანი საველე მეთაური, რომელიც ცოტა ჩრდილშია, მაგრამ, რეალურად, კავკასიის მიმართულებას, კავკასიიდან ახალგადმოსულ ჯგუფებს კურირებს. ფაქტობრივად, არის კავკასიური მიმართულების ამირა, ვგულისხმობ მუსლიმ მურად მარგოშვილს.

**– ქისტია?**

– რუსეთის მოქალაქეა, თუმცა დაბადებულია პანკისში, მაგრამ იზრდებოდა ჩეჩნეთში, მონაწილეობას იღებდა ჩეჩნეთის პირველ და მეორე კამპანიაში. გავლილი აქვს სპეციალური მომზადების ექვსთვიანი კურსი და 2-თვიანი კურსი პაკისტანში, „თალიბების“ ბაზაზე, მისი „ნიკნეიმია“ აბუ-ვალიდი და საკმაოდ ძლიერი ფიგურაა. სხვათა შორის, გამოჩნდა მეორე საკმაოდ ძლიერი ფიგურა – ახმედ ჩატაევი, რომელმაც ახლახან ვიდეომიმართვა გაავრცელა და ჩრდილო კავკასიის რეგიონში მოქმედ მებრძოლებს მოუწოდა, გადასულიყვნენ ხალიფატის მხარეს. როგორც ჩანს, მან ჩაიბარა კავკასიის მიმართულება და სწორედ ახმედ ჩატაევი იქნება კავკასიაში ისლამური ხალიფატის ქსელის ხელმძღვანელი. იცით, რომ ახმედ ჩატაევი იყო ლაფანყურის ოპერაციის მონაწილე და ცალკე საუბრის თემაა, რა ვითარებაში გაათავისუფლა ის სასამართლომ და როგორ მოხვდა ისლამური ხალიფატის „ლიდერშიფში“. მეტიც, როგორ მოხვდა ლაფანყურის სპეცოპერაციის შემდეგ გადარჩენილი 4 მებრძოლი ისევ ისლამური ხალიფატის შემადგენლობაში.

**– ცნობილია ის თურქული ქალაქი, საიდანაც მებრძოლები გადადიან ერაყში, რომ მოხვდნენ ისლამურ ხალიფატში, როგორ მოძრაობს, თურმე, კონტრაბანდული ნავთობი, იარაღი, ნარკოტიკი. თურქეთის ხელისუფლება ამას ვერ აკონტროლებს თუ უბრალოდ არ აკონტროლებს?**

– ეს მართლაც საყურადღებო საკითხია, თურქეთის ხელისუფლება ამას ერთგვარად ნეიტრალური მხარის პოზიციიდან უყურებს: ისლამური ხალიფატი ებრძვის ასადის რეჟიმს, რომელიც თურქეთისთვის თავიდან მოსაშორებელი, სისხლიანი რეჟიმია, რადგან ასადის რეჟიმი პირდაპირ ეხმარებოდა ქურთების მუშათა პარტიას, აძლევდა იარაღს, ბაზებს, უთმობდა კომუნიკაციებს და, ბუნებრივია, თურქეთი ხალიფატის მეშვეობით ერთგვარად ებრძვის ქურთულ სეპარატიზმს. ამასთან, ასადის ჩამოგდება ნიშნავს ირანის პოზიციის გაძლიერებასაც. თუმცა ისლამური ხალიფატი ისე რადიკალურად მოქმედებს, რაც კაცობრიობის ისტორიაში არ გაუკეთებია არც ერთ მოძალადე პოლიტიკურ ძალას: ცოცხლად დაწვეს სამხედრო პილოტი, დახვრიტეს ბავშვები სრულიად უმიზეზოდ, მასობრივად ანადგურებენ ბავშვებსა და ქალებს, რაც ისლამის ყოველგვარ ნორმას ეწინააღმდეგება. მეორე მხრივ, თურქეთი ისლამურ ხალიფატს შიშითაც უყურებს, იმიტომ რომ ისინი შეიძლება, ყველაფერზე წავიდნენ, თურქი დიპლომატებიც კი აიყვანეს მძევლად, ამიტომ მათ ერიდება თურქეთი, მით უმეტეს, რომ ხალიფატი უკვე მის საზღვართანაა მისული. არადა, ისლამური ხალიფატი საკმაოდ ძლიერ სამხედრო ძალას წარმოადგენს,

# როგორ დავსაქმდეთ სასურველ საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორებში

*დასაქმება ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილის სურვილია. თუ როგორ უნდა დასაქმდეს ნებისმიერი პროფესიის ადამიანი საბანკო თუ საფინანსო სექტორში, ამის გასარკვევად ვეწვიეთ „ეკონომიკისა და მენეჯმენტის ცენტრის“ დირექტორს, ქალბატონ* ***ინგა ფრანგიშვილს****, რომელიც თავის ქალიშვილთან, ნათია გოგოლაძესთან ერთად, თავდაუზოგავად შრომობს, რათა თითოეულ მსმენელს გაუადვილოს დასაქმება ცენტრში მიღებული ცოდნით.*

**მინი-დოსიე: ინგა ფრანგიშვილი** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. კითხულობს ლექციებს ტექნიკურ უნივერსიტეტში, არის ასოცირებული პროფესორი: ეკონომიკისა და მენეჯმენტის ცენტრში ვასწავლით საბანკო საქმეს, კომპიუტერულ პროგრამა Alta software-ს, რომელსაც იყენებენ ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები („საქართველოს ეროვნული ბანკი“, „თიბისი“, „ქართუ“, „ბანკი რესპუბლიკა“, „ვითიბი“ და სხვა).

კურსი მოიცავს ლარის, დოლარის, ევროს დამცავი ნიშნების შესწავლას; ვასრულებთ მათემატიკურ, ვერბალურ და IQ ტესტებს; ვამზადებთ CV-ს, სამოტივაციო წერილს და ვემზადებით გასაუბრებისთვის.

**– უფრო რომელი პროფესიის ადამიანს აქვს ბანკში მუშაობის შანსი?**



– ნებისმიერი პროფესიის ადამიანს, მთავარია, სურვილი ჰქონდეს. კურსი თვენახევრიანია. მეცადინეობები ტარდება კვირაში 3-ჯერ, 2-3 საათის ხანგრძლივობით, (შესაძლებელია ყოველდღიურად); გრაფიკი – შეთავსებით. ვასწავლით ყველა ოპერაციას, რასაც ასრულებს ბანკის ნებისმიერი თანამშრომელი: მოლარე, ოპერატორი, კრედიტ-ოფიცერი. მოკლედ, აქ გვაქვს მინი-ბანკი და გვყავს ძალიან ბევრი დასაქმებული.

ცენტრში, აგრეთვე, ვასწავლით: ბუღალტერიას, უცხო ენებს, საოფისე პროგრამებს.

საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ვამზადებთ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს. გასულ წელს ჩვენმა კურსდამთავრებულებმა მოიპოვეს 100%-იანი გრანტი.

**ნათია გოგოლაძე** – საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი. დაამთავრა ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ჭავჭავაძის უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტები; პარიზის სორბონას უნივერსიტეტი. ფაქტობრივად, თბილისში დაბრუნებით მან უარი თქვა იქაურ თვალისმომჭრელ კარიერაზე იმ მიზეზით, რომ ცოდნა და გამოცდილება თავის ხალხს მოახმაროს.

***იხ. ალბომი „ფეისბუქზე” – „ჩვენი დასაქმებული მსმენელები.”***

**სოფო ბანცაძე**: ამ ცენტრში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ახალგაზრდები წარმატებული გუნდის წევრები გახდნენ საბანკო სექტორში. მე ერთ-ერთი მათგანი ვარ. ერთდროულად ოთხ ბანკში („თიბისი“, „საქართველოს ბანკი“, „ლიბერთი ბანკი“ და „პრივატბანკი”) გავიარე ტესტირება და ყველა ეტაპს წარმატებით გავართვი თავი. მადლობას გიხდით ყველაფრისთვის!

**რუსა ზანგალაძე**: მე რომ დღეს ბანკში ვმუშაობ, „ეკონომიკისა და მენეჯმენტის ცენტრის“ დამსახურებაა.

**მის: ყაზბეგის №47, IV სართ, აუდიტორია 412.**
**ინფორმაციისთვის დარეკეთ:**
**599-40-71-73, 577-40-99-59.**
**www.facebook. com/traningi.**
**E-mail:emctbilisi@gmail.com**

**ხატია ჟღენტი**

---

მის რიგებში 100 000-მდე მებრძოლია. მათ აქვთ მძიმე შეიარაღებაც და ავიაციის კომპონენტიც. ეს არის კარგად ორგანიზებული, ასიმეტრიული სამხედრო ოპერაციებისთვის შექმნილი სამხედრო რაზმები და არავინ იცის, რა მიმართულებით დაარტყამენ. ასე რომ, ბუნებრივია, თურქეთი ცდილობს მოულოდნელი დარტყმების საშიშროების თავიდან აცილებას. რა თქმა უნდა, თურქეთი კოალიციის აქტიური წევრია, მაგრამ, იმავდროულად, ცდილობს, არ მოახდინოს კონფრონტაცია ისლამურ ხალიფატთან იმ მოსაზრებების გათვალისწინებით, რაც ჩამოვთვალე.

**– თქვით, რომ საქართველოს, დაახლოებით, 300 მოქალაქეა წარმოდგენილი ხალიფატის არმიაში, 5 კი მაღალ სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობაშია. ეს ჩვენთვის ერთგვარი ლობია თუ, პირიქით, უფრო ხარისხიანად დანაყვის საფუძველი?**

– გამოიყოფა ორი მიმართულება: ერთი, რომელიც საქართველოს განიხილავს, როგორც სატრანზიტო ტერიტორიას და არ აქვთ საქართველოსადმი მტრული დამოკიდებულება. მართალია, ხალიფატი ტერორისტული ორგანიზაციაა, მაგრამ იქაც არის ფაქტორი დანდობის ხარისხი. მაგრამ გამოჩნდა მეორე ჯგუფი, რომლებიც რადიკალურად არიან განწყობილები საქართველოსადმი და ყველაფერზე წავლენ, რომ საქართველოში რაღაც დესტრუქციული ქმედება განახორციელონ.

**– რა უნდათ, გავმუსლიმანდეთ, დავიხოცოთ თუ ფეხები ვუკოცნოთ?**

– გახსოვთ ალბათ, თამაზ ჭილლაძის განცხადებები, რომელიც ხალიფატის საველე მეთაურია. ის ამას არ იტყოდა, მის უკან რომ გავლენიანი ძალის მქონე არ იდგეს. მაგრამ არ მგონია, ეს მოდიოდეს თარხან ბათირაშვილისგან. ამ რადიკალური დაჯგუფებისთვის საქართველო არ წარმოადგენს დედასამშობლოს. მე ამ მიმართულებად მივიჩნევ ჩატაევ-ჭილლაძის დაჯგუფებას. მათ, ორივეს, აქვთ პირადი მოტივები საქართველოსადმი. ეს საკმაოდ საშიში მომენტია და ჭილლაძის განცხადებიდან ჩანდა ეს პირადი მოტივები.

**– მაგრამ ძალიან უღირსი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა მან ამ მუქარით.**

– ის დაიმუქრა იმ კონტექსტში, რაც მას შეეძლო. მან ორი მუქარა შემოგვითვალა და შეგვახსენა ლაფანყურის სპეცოპერაცია და საქართველოში მომხდარი რელიგიური დაპირისპირებაც გაიხსენა. ეს შემთხვევითი არ არის. ჭილლაძის მუქარის მეორე დღეს მიმართა ახმედ ჩატაევმა ჩრდილო კავკასიელებს, რომ დამორჩილებოდნენ ისლამურ ხალიფატს. ამის გათვალისწინებით, უკვე შესაძლოა საქართველო გადაიქცეს შავ სატრანზიტო ხვრელად და ხალიფატმა საქართველოს გავლით განახორციელოს მებრძოლების ტრანზიტი და კავკასიური იმარატის გადმობირება საკუთარ მხარეზე. შემდეგ კი კავკასიური იმირატის საფუძვლეზე დაიწყოს აქტიური ქმედებები კავკასიის მიმართულებით. ანუ გახსნას მესამე ფრონტი. ამას გარდა, ისლამური ხალიფატის მებრძოლები უკვე გამოჩნდნენ ავღანეთშიც: თუმცა „თალიბანი“ მათი სტრატეგიული მოკავშირეა, ავღანეთში საკუთრივ ხალიფატის კონკრეტული ჯგუფები გამოჩნდნენ. ირანშიც მოქმედებს ხალიფატის ძლიერი დაჯგუფება, რომელსაც დაღესტნელი მეთაური ხელმძღვანელობს. შესაბამისად, ცენტრალური აზიის ათვისებაც დაიწყეს და ფერღანის ველზე გააქტიურდა მათი მომხრე ჯგუფები, ანუ ცენტრალურ აზიაშიც გაშალეს ფრონის ხაზი და ახლა კავკასიის ჯერიც მოვიდა. ჯერჯერობით ჩრდილოეთ კავკასიის იმირატის ხელმძღვანელობა მთლიანად არ არის გადასული ისლამური ხალიფატის შემადგენლობაში, მათი მხოლოდ 60 პროცენტი გადავიდა, მაგრამ, თუ კავკასიის იმირატი გადავა, ხალიფატი დაიწყებს თავისი ბირთვის შექმნას ჩრდილოეთ კავკასიაში.

**– და ჩვენ, ფაქტობრივად, ალყაში ვექცევით.**

– მაშინ საქართველო იქცევა სატრანზიტო შავი ხვრელის მოდელად. ჩრდილო კავკასიიდან შეეცდებიან ხალიფატის გავლენის გავრცელებას რუსეთის დანარჩენ ტერიტორიაზე – 20 მილიონი მუსლიმანის მხარდაჭერა სოლიდური ნიშაა. შემდეგ უკვე უკრაინა და ევროპის მიმართულება; ანუ შესაძლოა, საქართველო გამოიყენონ, როგორც სატრანზიტო პუნქტი, სამხრეთიდან-ჩრდილოეთისკენ და აღმოსავლეთიდან – დასავლეთისკენ. შემთხვევითი არ ყოფილა, როდესაც თავის დროზე, 2008-2012 წლებში, ფოთის პორტით დაინტერესდა საუდის არაბეთის კომპანიები და თვით ადნან ხაშინი, ცნობილი იარაღის უკანონო მოვაჭრე და „ალ-ქაედას“ ერთ-ერთი დამფინანსებელი. ამდენად, შემთხვევითი არ არის ჭილლაძის, ანუ აჭარული კომპონენტი ხალიფატში, ესე იგი, ბათუმსაც ანიჭებენ დატვირთვას. ყველა ეს ფაქტორი, ერთად აღებული, ქმნის წინაპირობას, რომ ეს საფრთხე რეალურია.

**ნინო ხაჩიძე**


**თუ თქვენს ჯანმრთელობაში ეჭვი გეპარებათ ან სასწრაფოდ გჭირდებათ საიმედო მკურნალის ხელი, შეგიძლიათ, დაუყოვნებლივ მიმართოთ**



**თინათინ მაჩაიძეს**

**მუშაობს განუმეორებელი და შეუდარებელი კომპლექსური სამკურნალო მეთოდებით**

უპრობლემოდ კურნავს მასთან მისულ ჯანმრთელობაშერყეულ ადამიანებს. მკურნალობს ნევროზებსა და ნერვული სისტემის მოშლასთან დაკავშირებულ ყოველგვარ პრობლემას, შიშებს, დეპრესიას, აკვიატებულ აზრებს, ენერგიის ნაკლებობას, თავის ტკივილებს, უძილობას, ოსტეოქონდროზს, მარილებს, რადიკულიტს, ნერვისა და სახსრების ანთებას, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის ანთებებს, ენურეზს, ალერგიებს, ჰაიმორიტს, გინეკოლოგიურ პრობლემებს, სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებას და ასე შემდეგ.

**დამატებითი ინფორმაცია მიიღეთ ტელეფონით.**

**ტელ.: 599-58-69-47, 555-12-78-30, 235-18-68 (ოფისი)**

**პაციენტების მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით**

**– სანამ უშუალოდ მომხმარებელთა უფლებების შესახებ შემუშავებულ კანონპროექტზე გადავალთ, მინდა, დავაზუსტო, ბოლოს და ბოლოს, კანონი სჯის რეალიზატორებს ვადაგასული საკვები პროდუქციის გაყიდვის გამო?**

– ვადაგასულ პროდუქციაზე დაწესებულია საჯარიმო სანქციები: 200-ლარიანი ჯარიმა მცირე ბიუჯეტიანი მაღაზიისთვის და 500-ლარიანი დანარჩენებისთვის. მეტიც, თავად ვადაგასული პროდუქტებიც ექვემდებარება ამოღებასა და განადგურებას. რაც შეეხება კანონპროექტს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ: რამდენიმე ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს არის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შედეგი, თუმცა პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელობით შეკრებილი ჯგუფი ამ საკითხზე ერთი წელია, რაც მუშაობს. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ასევე, ყველა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებსაც აქვთ პირდაპირი თუ ირიბი შეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროსთან. ამ ჯგუფმა ერთობლივად იმუშავა უშუალოდ ბატონი ვიქტორ დოლიძის ხელმძღვანელობით და დაიწერა ახალი კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

**– რა არის ამ კანონის არსი?**

– კანონში ჩონჩხად გამოყენებული იქნა ევროდირექტივები და გაეროს რეზოლუცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. საფუძვლად ჩაიდო მომხმარებელთა უფლებების გაეროს რვა ძირითადი პრინციპი, რომლებშიც გათვალისწინებულია, რომ მომხმარებელს აქვს ჯანსაღ გარემოში არსებობის, პრეტენზიის გამოთქმის, ეკონომიკური ზარალის ანაზღაურების, ჯანმრთელობის, თავისუფალი არჩევნის გაკეთების, საარსებო მინიმუმის ქონის უფლებები, პროდუქციასა და მომსახურებაზე სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიღების უფლება. თან, ვინაიდან კანონპროექტის შემუშავების პროცესში მონაწილეობას ვიღებდით საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც, ვეცადეთ, კანონი დაფუძნებოდა რეალობას, ანუ გაგვეთვალისწინებინა ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის თხოვნითაც მოგვმართავენ მოქალაქეები.

**– კერძოდ, რა გაითვალისწინეთ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის რეალობიდან?**

– კანონპროექტში ჩადებულია, თუ რა შემთხვევაში შეიძლება, იცნოს ბათილად ქუჩაში დადებული ხელშეკრულება; არის მუხლები, რომლებიც არეგულირებს შეცდომაში შემყვანი რეკლამის შედეგებს; რომ მომხმარებელს აქვს თავისუფალი და გააზრებული არჩევნის გაკეთების უფლება და მან უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია შესაძენი პროდუქციის შესახებ. მაგალითად, თუ მომხმარებელი შეიძენს ნივთს და შემდეგ, სახლში მისული, აღმოაჩენს, რომ ნივთი არ არის ისეთი, როგორიც მოეჩვენა მას მაღაზიაში, იმიტომ რომ იქ, მაგალითად, იყო ცუდი განათება და ზუსტად ვერ დაინახა ფერი, თუ შეძენილი ნივთი არ იქნება დაზიანებული, ნახმარი, მომხმარებელს თან ექნება სალაროს აპარატის ქვითარი ან სხვა თანხმლები

**ისე მოხდა, რომ საქართველო იმ იშვიათი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც უბრალოდ არ არსებობს კანონი მომხმარებელთა უფლებების შესახებ. 2011 წლის მაისში, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოში ზემოხსენებული კანონი გაუქმდა და ის ჩაანაცვლა ორმა კოდექსმა: სურსათის უვნებლობისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ. თუმცა სურსათის უვნებლობის კოდექსი მხოლოდ ნაწილობრივ იცავს მომხმარებელთა უფლებებს. ამ მიზეზით, ერთ წელზე მეტია, მიმდინარეობს მუშაობა კანონის ახალი ვერსიის შექმნაზე, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ საფუძვლებსა და ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკას. კანონმა მომხმარებელი არა მხოლოდ უვარგისი პროდუქციისგან უნდა დაიცვას, არამედ გამყიდველის მიერ შეუსაბამო პროდუქციის მიწოდებისგანაც. კანონპროექტში გაწერილია როგორც მომხმარებლის უფლებები, ისე მისი ვალდებულებები და არაკეთილსინდისიერი გამყიდველებისგან თუ მომსახურების გამცემებისგან დაცვის მექანიზმები. კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე მადონა კოიძეც, შესაბამისად, ამ თემაზე დეტალური ინფორმაციის მიღებას სწორედ მისგან შევეცდებით.**

# როგორ დაიცავს მომხმარებლის უფლებებს მომხმარებელთა ომბუდსმენი, როგორ დარეგულირდება ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები და რატომ არის ქვითარი პროდუქტის ყიდვისა თუ მომსახურების მიღების დამადასტურებელი ერთადერთი საბუთი



**დღეს, თუ ხელს აწერ ბანკების მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულებას, ვალდებული ხარ, შეასრულო მისი კაბალური პირობები. ახალი კანონპროექტით კი, ხელშეკრულება ხელმოწერის შემდეგ შემიძლია, გავაბათილო, თუ მისი პირობები კაბალურია**

დოკუმენტაცია, რითაც დაადასტურებს ნასყიდობას, მას უკვე შეეძლება შეძენილი ნივთი გადაცვალოს სათანადო ხარისხისა და ფასის ნივთზე, ან ფასნამატით გადაცვალოს სხვა ნივთზე, ან უბრალოდ დაიბრუნოს თავისი კუთვნილი თანხა უკან. როგორც ეს ხდება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. მე მივესალმები ამ მუხლს, თუმცა კანონპროექტში დაშვებულია გამონაკლისიც. ეს არ შეეხება ისეთ პროდუქციას, რომელსაც შენახვისთვის სჭირდება შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმი და, ასევე, მალფუჭებად პროდუქტს. მაგალითად, შესაძლოა, მომხმარებელმა შეიძინოს მედიკამენტები, რომლის შენახვისთვის აუცილებელია გარკვეული პირობების დაცვა, ასეთი პროდუქციის დაბრუნებას ის ვერ შეძლებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მომხმარებელს უკვე შეეძლება იმ პროდუქციის დაბრუნება, რომელიც სანაცვლოდ შესთავაზეს.

**– ჩვენს აფთიაქებში სერიოზული პრობლემაა, როდესაც ეუბნები ერთ პრეპარატს და გთავაზობენ მეორეს, შემცვლელს.**

– თუ აფთიაქი თავზე მოახვევს მომხმარებელს შემცვლელ მედიკამენტს, კანონპროექტით მომხმარებელს უკვე შეეძლება თავისი უფლებების დაცვა. ასევე, კანონპროექტში ჩადებულია მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც ეხება ხელშეკრულებებს, რომლებშიც არ არის გათვალისწინებული ჩვენი, მომხმარებლების უფლებები. ეს, ძირითადად, ეხება ბანკებთან თუ მონოპოლისტ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, როგორიცაა წყლის, გაზისა და ელექტროენერგიის მომწოდებელი კომპანიები. ხელშეკრულებებში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მომხმარებლის უფლებები და თუკი ის ისეა შედგენილი, რომ ცალსახად მხოლოდ ბიზნესოპერატორის ინტერესია გათვალისწინებული და უგულებელყოფილია მომხმარებლის უფლება, ანუ თანაბარი უფლებებით არ სარგებლობენ მომსახურების მიმღები და გამწევი, ასეთი ხელშეკრულება შეიძლება, ბათილად გამოცხადდეს და ეს ძალიან კარგია, რადგან დღეს ჩვენ ამის უფლება არ გვაქვს. არსებული რეალობა ჯერჯერობით ასეთია: თუკი მომხმარებელმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, მიუხედავად იმისა, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს სხვადასხვა ხრიკის გამოყენებით სერვისის წარმდგენებმა, მომხმარებელი უძლურია, დაიცვას თავისი უფლება და ზარალდება. ძალიან კარგი სიახლეა ის, რომ კანონპროექტში ჩადებულია მუხლი, რის მიხედვითაც უნდა შეიქმნას მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანო ანუ მომხმარებელთა ომბუდსმენი, რომელიც დაექვემდებარება პარლამენტს ან პრემიერმინისტრს. ის შეასრულებს მედიატორის როლს მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის და, ასევე, დაიცავს მომხმარებლის უფლებებს სასამართლოში. ბუნებრივია, მომხმარებელს ახლაც აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, მაგრამ გაცილებით ეფექტიანი იქნება ეს მიმართვა, როდესაც საქმეში ჩაერთვება ასეთი მაღალი კომპეტენციის ორგანო.

**– რა იგულისხმება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაში?**

– თუ გახსოვთ ერთი პერიოდი ძალიან მოდური იყო ძვირად ღირებული პროდუქტების შეთავაზება ქუჩაში, რომელსაც თავზე ახვევდნენ მომხმარებელს. ან, როდესაც მოდიან თქვენთან სახლში და გთავაზობენ რაღაც მომსახურებას, ან მეტროში.

**– და როგორ დარეგულირდება, კანონპროექტით, ეს საკითხი, ისეთივე წესით, თითქოს მაღაზიაში შემეძინოს?**

– დიახ.

**– ქუჩაში პროდუქციის შეძენაზე ვრცელდება ეს ნორმა?**

– ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ, რომ, საქართველოს კანონმდებლობით, გარე ვაჭრობა აკრძალულია და ქუჩაში ვაჭრობა უნდა აღკვეთოს საპატრულო პოლიციამ. არსებობს საჯარიმო სანქციებიც დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, პირველ შემთხვევაში – 50-ლარიანი, მეორე შემთხვევაში – 100-ლარიანი და თუ სისტემატურ ხასიათს იღებს ერთი და იმავე პირის მიერ ანალოგიური დარღვევა, სასჯელი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთასაც კი. ანუ ასეთ პირობებში არანაირი ხელშეკრულების დადებას აზრი არ აქვს, რადგან გამოდის, რომ კანონის დამრღვევთან დებ ხელშეკრულებას. სახელმწიფო ერთადერთ არეგულირებს სურსათის სფეროს: აგებს პასუხს სურსათის უვნებლობაზე და დგამს რეალურ ნაბიჯებს, მაგრამ გარე ვაჭრობის სურსათის უვნებლობის სააგენტო არ აკონტროლებს, რადგან ეს მის იურისდიქციაში არ შედის. ეს არ-

# რამდენი მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კონსტანტინე კუბლაშვილის მეუღლეს, მარინე მესხს

2005 წლის 23 თებერვლიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, კონსტანტინე კუბლაშვილი, 1973 წლის 30 მარტსაა დაბადებული ტყიბულში. 1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია). მისი შრომითი კარიერა 1995 წელს იწყება ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურისტად, თუმცა, 1996 წელს სამუშაოდ საქართველოს პარლამენტში გადავიდა იურიდიული დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის კოორდინაციის ჯგუფის მთავარ სპეციალისტად. 1997 წელს იმავე დეპარტამენტის კანონპროექტთა სამართლებრივი ექსპერტიზისა და ვიზირების განყოფილების გამგე გახდა; 1998 წელს, შრომითი საქმიანობა სწავლის გამო, შეწყვიტა და 2000 წლამდე ჰანოვერის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში სწავლობდა, ხოლო 2000 წელს საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრიც გახდა. იმავე წელსვე გადაიყვანეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ და, იმავდროულად, სამინისტროს საპარლამენტო მდივანიც იყო. 2002-2004 წლებში „ქართველი ადვოკატები სამართლიანობისათვის" იურიდიული ფირმის იურისტად მუშაობდა. 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „განვითარებისა და რეფორმების ფონდის" მეურვეთა საბჭოს წევრად, მოგვიანებით კი ფონდის დირექტორადაც დაინიშნა; 2005 წლის მარტიდან დღემდე კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა.

კონსტანტინე კუბლაშვილის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2000 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო როგორც იუსტიციის საბჭოს წევრმა. იმხანად კონსტანტინე კუბლაშვილისა და მისი მეუღლის, 1969 წელს ვანში დაბადებული მარინე მესხის ქონება შემდეგნაირი იყო: კონსტანტინე კუბლაშვილს ეკუთვნოდა საცხოვრებელი ბინა თბილისში, ვაჟა-ფშაველას მესამე კვარტალში, მარინე მესხს კი – პერსონალური კომპიუტერი „ტოშიბა". 1999 წლის განმავლობაში კონსტანტინე კუბლაშვილი ენისა და კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრში მუშაობდა ლექტორად (დეკლარაციაში ბ-ნი კუბლაშვილის სახელფასო შემოსავლები მითითებული არ არის). მარინე მესხი კი – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, სადაც მისმა წლიურმა ანაზღაურებამ 1 640 აშშ დოლარის ეკვივალენტი შეადგინა ლარში. მარინე მესხმა, ასევე, აიღო 3 000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოდან."



იმის გათვალისწინებით, რომ ბ-ნმა კუბლაშვილმა ხანგრძლივი ჩინოვნიკური გზა განვლო, მან ამ ხნის განმავლობაში უამრავი დეკლარაცია შეავსო (სხვა რომ არაფერი, უკვე 10 წელია, თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაეს სასამართლოს), თუმცა ჩვენ მის მიერ შევსებულ მხოლოდ პირველსა და ბოლო დეკლარაციას შემოგთავაზებთ, რათა დავინახოთ, თუ როგორ აისახა სახელმწიფო სამსახური მის მატერიალურ და ქონებრივ მდგომარეობაზე.

ბ-ნი კუბლაშვილის მიერ ბოლოს შევსებული დეკლარაცია 2014 წლის თარიღდება, რომელიც მან, ბუნებრივია, შეავსო როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ. ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე და 2002 წელს დაბადებული ქალიშვილი – ანა-მარიამი. კონსტანტინე კუბლაშვილის საკუთრება კვლავ ზემოხსენებული საცხოვრებელი ბინა ვაჟა-ფშაველას გამზირზე, სამაგიეროდ, გაზრდილა მისი მეუღლის უძრავი ქონება. კერძოდ, ქ-ნი მესხის საკუთრებაა: ბინა თბილისში, პეკინის ქუჩაზე (ფართობი – 190.00 კვ.მ), მიწის ნაკვეთი თბილისის ზღვის მიმდებარედ (ფართობი –1 500 კვ.მ), მიწის ნაკვეთი ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში (ფართობი – 160 კვ.მ), მიწის ნაკვეთი მცხეთის რაიონის სოფელ წოდორეთში (ფართობი – 1 400 კვ.მ) და იქვე მდებარე საცხოვრებელი სახლი (ფართობი – 110.00 კვ.მ).

ბანკში დეპოზიტი მხოლოდ ანა-მარიამ კუბლაშვილს აქვს გახსნილი, რომელზეც 15 350 აშშ დოლარი ერიცხება, ხოლო დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული მხოლოდ კონსტანტინე კუბლაშვილს ჰქონდა – 10 000 ლარი.

რაც შეეხება შემოსავლებს: 2013 წლის განმავლობაში კონსტანტინე კუბლაშვილმა, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო თავმჯდომარემ, 127 300 ლარი აიღო; მარინე მესხმა, როგორც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორმა – 49 400 ლარი, ხოლო, როგორც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პედაგოგმა – 3 000 ლარი.

რაც შეეხება გასავალს, იქიდან გამომდინარე, რომ ბ-ნი კუბლაშვილის მეუღლე პარალელურად სწავლობს, მას 2013 წლის განმავლობაში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა 2 250 ლარი დაუჯდა, ბინის სარემონტო სამუშაოები კი – 7 200 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

ის სამართალდარღვევის ფაქტი და თავისთავად ვერ დაევალება, კონტროლი განახორციელოს.

**– როდესაც პროფილაქტიკაში მიმყავს ავტომანქანა შესაკეთებლად...**

– ის არის სერვისის შემომთავაზებელი, რადგან ნებისმიერი პროფილაქტიკა დარეგისტრირებულია საგადასახადოში და მასთან ურთიერთობა რეგულირდება კანონით. ის შესრულებულ სამუშაოზე უნდა იძლეოდეს სალაროს ქვითარს და ეს სალაროს ქვითარი არის ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი დოკუმენტი.

**– უნდა გამოვტყდე, რომ არასდროს მოუციათ სალაროს ქვითარი პროფილიქტიკაში, თუმცა არც მე მომითხოვია, თუ გულახდილად ვიტყვი.**

– სწორად თქვით, არც მე მომითხოვია არასდროს სალაროს ქვითარი და ჩვენი დანაშაული არის ის, რომ ამით ვძლევთ უფლებას ბიზნესოპერატორს, ჩვენი უფლებები უგულებელყონ და დაარღვიონ, იმიტომ რომ საჭიროების შემთხვევაში ვერაფრით დავადასტურებთ სერვისის მიღებას, თუ არ გვექნება ქვითარი. ამიტომ, თუ, მაგალითად, მე ვარ სერვისის არაკეთილსინდისიერი მიმწოდებელი და თქვენ გადამიხდით თანხას ისე, რომ არ მომთხოვთ ქვითარს, შემიძლია, ვთქვა, რომ თქვენთვის არანაირი მომსახურება არ გამიწევია, თუ გამოთქვამთ პრეტენზიას ჩემ მიერ შესრულებულ სამუშაოზე და ვერაფრით დამიმტკიცებთ, რომ ჩემგან მართლაც მიიღეთ მომსახურება, თუ არ გაქვთ ქვითარი.

**– ანუ ქვითარი არის ერთადერთი საშუალება, რაც გვაძლევს უხარისხოდ გაწეული სერვისის ან უხარისხო საქონლის მოყიდვის შემთხვევაში გასაჩივრების უფლებას? თუ ქვითარი არ გვაქვს, ვერაფერსაც ვერ დავადასტურებთ?**

– რა თქმა უნდა. თუ ქვითარი არ გვაქვს, ჩვენ ვერ ვადასტურებთ იმას, რომ რამე შევიძინეთ ან მომსახურება მივიღეთ. გეტყვით მარტივ მაგალითს: ალბათ, წაწყდომიხართ შემთხვევებს, როდესაც გზის პირას გამოტანილი აქვთ ხორცი გასაყიდად. ვთქვათ, მე ვიყიდე ეს ხორცი და მან დამიზიანა ჯანმრთელობა. მაქვს უფლება, დასახმარებლად მივმართო სურსათის უვნებლობის სააგენტოს? რა თქმა უნდა, არა და რატომ: რადგან მე გამყიდველს არ მოვთხოვე ფორმა ნომერი ორი, მე არ დავრწმუნდი, რომ ის იყო კეთილსაიმედო ხორცი, დავინახე, რომ ყველანაირი წესის დარღვევით იყიდებოდა, მაგრამ მივეცი საშუალება, ჩაედინა უკანონობა და მივაყოლე მეორე უკანონობა – მე თვითონაც შევიძინე ეს ხორცი. ამდენად, არანაირი მორალური უფლება არ მაქვს, საჩივარი შევიტანო სურსათის უვნებლობის სააგენტოში, ვინაიდან მე იმთავითვე შევუწყვე ხელი კანონის დარღვევას.

**– თითქმის ყველა დიდ თუ საშუალო სუპერმარკეტში მინახავს, როდესაც ფქვილი, შაქარი, პეჩენიები, თუ მსგავსი პროდუქტები შეფუთვის გარეშე დევს, რაც ნიშნავს, რომ მათ ეყრება მტვერი. სავაჭრო ობიექტს არ ევალება, რომ დაიცვას შეუფუთავი პროდუქტი დაბინძურებისგან?**

– ეს მეორე უკიდურესობაა: როდესაც სურსათის უვნებლობის სამსახურის მონიტორინგის ჯგუფი თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მონიტორინგის ჯგუფი წაიღებს ამ პროდუქციას, ლაბორატორიაში შეამოწმებს და აღმოაჩენს, რომ დაბინძურებულია, ეს იწვევს ბიზნესოპერატორის გაკვირვებას. არადა, პროდუქტის არასათანადოდ შენახვა აზიანებს არა მხოლოდ მომხმარებელს, რადგან მან უვარგისი პროდუქტი იყიდა, არამედ ბიზნესოპერატორსაც, რომელმაც დაამზადა თუ შემოიტანა ეს პროდუქცია წესების დაცვით, მაგრამ იმის გამო, რომ რეალიზატორმა არ დაიცვა პროდუქციის შენახვის პირობები, ის გაფუჭდა. ანუ ამ შემთხვევაში რეალიზატორი აზარალებს მომხმარებლის ჯანმრთელობასაც და ბიზნესოპერატორის იმიჯსაც.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902 200 200
SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან
ზარი ფასიანია

**მაშინ, როდესაც საქართველო კვლავ ევროინტეგრაციის გზაზეა და გული ისევ მიუწევს „ნატოსკენ“, ჩვენი მეზობელი სომხეთი, რომელმაც ევროკავშირთან ასოცირება უყოყმანოდ გაცვალა საბაჟო კავშირზე, უკვე ევრაზიული კავშირის წევრიცაა 2015 წლის იანვრიდან. თუმცა ამ ღირსშესანიშნავი თარიღიდან მალევე გიუმრიში საზარელი ტრაგედია მოხდა – რუსმა სამხედრო მოსამსახურემ მთლიანად ამოწყვიტა ადგილობრივი ოჯახი. რასაც სომხეთში უკმაყოფილება მოჰყვა, ვინაიდან რუსეთმა დამნაშავის სომხური მართლმსაჯულებისთვის გადაცემაზე უარი თქვა. ასე თუ ისე, სომხეთში ანტირუსული განწყობები მატულობს, თუმცა არა იმდენად, რომ სომხურ პოლიტიკაში გარდამტეხი ცვლილებები შეიტანოს. როგორ მოჩანს ქართული პოლიტიკა სომხეთიდან არსებული გეოპოლიტიკური სარფთხეების გათვალისწინებით? – ამ საკითხზე სომეხ პოლიტოლოგ მანველ სარგისიანს გავესაუბრეთ, რომელიც იმავდროულად, სომხეთის სტრატეგიული და ნაციონალური კვლევების ცენტრის დირექტორია.**

# რატომ უწუნებს სომხეთი საქართველოს პროევროპულ პოლიტიკას და რატომ ვერ ხედავენ საქართველოს ფუნქციას რეგიონში

**– როგორ შეაფასებთ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას?**

– მე საკუთრივ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს არ ვადევნებ, მაგრამ რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილს: აქ ყველა ფიქრობს, რომ სომხეთსა და საქართველოს სერიოზული პრობლემები არ აქვთ და საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის კურსი, ასევე, „ნატოსთან“ თანამშრომლობა, განსაკუთრებულ პრობლემებს არ ქმნის სომხეთისთვის. სომხეთი თვითონაც თანამშრომლობს „ნატოსთან“. სომხეთს არც კომუნიკაციების მხრივ აქვს პრობლემა საქართველოსთან, თუმცა სტრატეგიული თანამშრომლობის სხვა მნიშვნელოვანი სფერო არ ჩანს.

**– ამას აქვს ობიექტური მიზეზები: თქვენ ჩვენი ოკუპანტი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორი ხართ და ჩვენ სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში ვართ გაერთიანებულები.**

– რა თქმა უნდა და საერთოდაც, საქართველოს არ აქვს გამოკვეთილი პოლიტიკა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან უსაფრთხოების საკითხებში. მაგრამ საქართველოს პრობლემები რუსეთთან არ პროეცირდება სომხეთზე, მით უმეტეს, რომ სომხეთს ბოლო წლებია, პრობლემები უჩნდება რუსეთთან. მათ შორის, სამხედრო ბაზის და იმის გამო, რომ რუსეთი ბოლო 2 წელია, ინტენსიურად ამარაგებს აზერბაიჯანს იარაღით. ეს სერიოზული პრობლემაა.



**– პრეტენზიას არ უყენებთ ამის გამო რუსეთს? ევრაზიული კავშირის წევრიც კი ხართ.**

– რა თქმა უნდა. რუსეთის, „ოდეკაბეს“ მიმართ უკმაყოფილება იზრდება, მაგრამ ეს ჯერ არ გადაზრდილა პოლიტიკაში. ვითარება გაამწვავა გიუმრიში მომხდარმა ტრაგედიამ, რადგან ბევრს მიაჩნია, რომ რუსეთი არც ისე კორექტულად იქცევა. ამიტომ დიდი პოლემიკაა საზოგადოებრივ დონეზე.

**– პოლიტიკურ დონეზე?**

– პოლიტიკურ დონეზე არა, რადგან ხელისუფლება ცდილობს, ყველაფერი მიაჩუმათოს და მხარს უჭერს რუსეთს. შეიმჩნევა, რომ სომხეთის ხელისუფლებას არ უნდა, შევიდეს პოლემიკაში რუსეთთან ნეგატიური საზოგადოებრივი განწყობის მიუხედავადაც. ეს ქმნის ანტისახელისუფლო იმპულსს.

**– თქვით, რომ რუსეთი კორექტულად არ მოიქცაო, თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ რუსეთი შესაძლოა, იყოს კორექტული პოლიტიკური პარტნიორი?**

– მრავალი წლის განმავლობაში ბევრი ფიქრობდა, რომ რუსეთი მეგობრული ქვეყანაა და, ფაქტობრივად, ერთაერთი ქვეყანაა, რომელთანაც, ისტორიულად, გვაკავშირებს მეგობრობა. ამას ყველა უწევს ანგარიშს. სომხეთის ბევრი მოქალაქე მუშაობს რუსეთში და აგზავნის ფულს. ეს ფული თითქმის თითოეულ ოჯახამდე მიდის.

**– თქვენგან ხშირად ისმის მოსაზრება, რომ თურქეთი ეწევა ექსპანსიურ პოლიტიკას საქართველოსადმი და არ გჯერათ თურქეთ-საქართველოს მეგობრობის. თურქული ექსპანსია რით განსხვავდება რუსული ექსპანსიისგან?**

– თურქები თქვენთან ყველაფერს შეისყიდიან.

**– სომხეთში ხომ უკვე შეისყიდა რუსეთმა ყველაფერი, რაც შესასყიდი იყო?**

– თქვენთან მთელ ქვეყანას შეისყიდიან. მაგალითად, მთელ ზღვისპირეთს. თქვენ ხომ ვერ იტყვით, რომ თურქეთს არ აქვს დიდი პრეტენზია?!

**– რუსეთს არ აქვს პრეტენზია?**

– რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც უკან იხევს, თურქეთი კი, პირიქით, აღორძინების ეტაპზეა, რუსეთი ჩვენ თვალწინ სუსტდება და ეს ძალიან არსებითი მომენტია.

**– თქვით, რომ რუსეთი სუსტდება, ამით ხომ არ არის განპირობებული სომხეთის არჩევანი? რაკი რუსეთი მაინც სუსტდება, ჩავყვეთ ევრაზიულ კავშირში, რომ ისევე არ გავირთულოთ ვითარება, როგორც საქართველომ და უკრაინამო?**

– რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ესმის, რა ხდება. ადამიანები დღევანდელი დღით ცხოვრობენ და იმედი აქვთ, რომ როგორმე თავისით გადაივლის პრობლემები. რა, საქართველოში სხვანაირადაა?! თქვენთან უფრო პრინციპული ხალხი ცხოვრობს?!

**– არა, მე ეს არც მითქვამს და არც მიგულისხმია: სხვა რამ გკითხეთ: გამოდის, რომ სომხეთმა უფრო უსაფრთხო გზა აირჩია, თუ მაინც დასუსტდება რუსეთი, რატომ უნდა გავირთულოთ ცხოვრებაო.**

**სომხეთი წყვეტს საკითხებს – სჯის აზერბაიჯანს ყარაბაღის არმიის ხარჯზე, როცა საჭიროა, ალიევს ყურებში ურტყამენ. თქვენ კი მსოფლიოს მხოლოდ ელაპარაკებით, არადა რაღაც საქმით უნდა დაკავდეთ**

– სომხეთში ისეთი სიტუაცია არ არის, როგორიც საქართველოში. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ, თუ სომხეთი ევროასოცირებას მოაწერდა ხელს და არ შევიდოდა ევრაზიულ კავშირში, აქ მოხდებოდა ის, რაც მოხდა საქართველოში ან უკრაინაში. სომხეთი განსაკუთრებული ქვეყანაა, რადგან მხოლოდ აზერბაიჯანული ფაქტორის გამო დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის. აზერბაიჯანი რუსეთისთვის უარყოფითი ფაქტორია. რუსეთისთვის თურქეთი ყოველთვის მტერი იყო. ახლა გამოჩნდა აზერბაიჯანი, რომელიც, ასევე, რუსეთის მტერია. რუსეთში მყოფ ადამიანებს კი ესმით, ვინ არის მტერი და ვისი მანიპულირება შეუძლიათ. საქართველოში იგივე ხდება. საერთოდ, საქართველო საინტერესო ქვეყანაა.

**– კერძოდ?**

– საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც არ აქვს მკაფიოობა.

**– ანუ არ გჯერათ საქართველოს პროდასავლურობის სურვილის და ორიენტაციის?**

– რა არის პროდასავლურობა?! ეს მხოლოდ ფრაზაა. მაგრამ რას ნიშნავს პროდასავლურობა? ასეთი კითხვა მაქვს.

**– მე მეკითხებით?**

– დიახ.

**– დასავლური ღირებულებებით, დასავლური სტანდარტებით ცხოვრებას. მეტს რას უნდა ნიშნავდეს?**

– ღირებულებები გასაგებია. სხვათა შორის, სომხეთს შესაძლოა, უფრო მეტი დასავლური ღირებულება აქვს, ვიდრე საქართველოს.

**– კონკრეტულად?**

– სომხეთი ცხოვრობს ევროპული ღირებულებებით. ჩვენ ასე ვიყავით ისტორიულად, მაგრამ ეს არ ეხება პოლიტიკას. რით გამოიხატება საქართველოს ევროპული პოლიტიკა? ეს ძალიან საინტერესო საკითხია. როგორ არის ფორმულირებული საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია?! მაგალითად, ყარაბაღს აქვს თავისი ფორმულირებული პოლიტიკა – ის უნდა იყოს დამოუკიდებელი, იარსებოს აზერბაიჯანის მეზობლად. იმას ვამბობ, რომ ევროპული ღირებულებები ერთია, კონკრეტული პოლიტიკა – მეორე.

**– ესე იგი, თქვენ ვერ ხედავთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს ჰქონდეს პროდასავლური პოლიტიკა?**

– ადამიანებს აქვთ სურვილი, რწმენა, მაგრამ რა ფუნქციებს იღებენ ისინი თავიანთ თავზე ამისთვის?! რის გაკეთებისთვის არიან თანახმანი იმისთვის, რომ დაიცვან ეს დასავლური ღირებულებები? აი, ესაა ძალიან საინტერესო. მაგალითად, ისრაელმა თავის თავზე აიღო ფუნქცია, რომ დაიცავს ახლოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს. მათ შექმნეს არმია, დაზვერვა,

**(გაგრძელება მე-13 გვერდზე)**

**2015 წელი საიუბილეოა რუსთაველის პრემიის ლაურეტისა და საქართველოს სახალხო მწერლის, რევაზ მიშველაძისთვის – მას 75 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით მისი რჩეული ნოველების 25-ტომეული გამოიცა.**

# რა საოცრება აღმოაჩინეს რეზო მიშველაძის ნოველებში და რატომ ურტყამდნენ ქუთაისში ჭიშკარს თავს ის და როინ მეტრეველი

**რევაზ მიშველაძე**: ორმოცდაათის რომ გავხდი, ასი პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ სამოცდათხუთმეტის ვერ გავხდებოდი, ახლა სამოცდათხუთმეტი ზღვარი მგონია. შექსპირი რომ ამბობს: „სხვა რაღა დარჩა – საუკუნო სიმშვიდე მხოლოდ”... ჩვენ გახლავართ იმერელი აზნაურები. მეთექვსმეტე საუკუნიდან მოიხსენიება ჩვენი გვარი ისტორიულ წყაროებში. მერე გავხდით მტკიცე სამღვდელოება, იმდენად, რომ, ბაბუაჩემის ბაბუის ბაბუიდან დაწყებული, შვიდი თაობა სულ მღვდლები იყვნენ. ბაბუაჩემის მამაც მღვდელი გახლდათ. ქუთაისიდან, სასულიერო სემინარია რომ დაამთავრა, გაგზავნეს მარტვილში მღვდლად. მარტვილში დაფუძნდა მღვდელი ალექსი მიშველაძე, ბაბუაჩემის, ესტატე მიშველაძის მამა და ჩვენც, იმერლები, ნელ-ნელა გავმეგრელდით. ბაბუაც და მამაჩემიც დაიბადნენ, უმშვენიერესი სოფელია მარტვილში, თარგამეული ჰქვია, თამაკონი, იქ ვიზრდებოდი მეც 7 წლამდე. თარგამეული ხონთან არის ახლოს და გადმოსახლებული იმერლები სახლობენ. მეგრული ძალიან კარგად ვიცი ახლაც.

მე ამის შემფასებლად ვერ გამოვდგები, მაგრამ, ჩემი კრიტიკოსები წერენ, ქართული კარგად იცის და უამრავი ახალი სიტყვა აქვსო თავის ნოველებშიო, იმდენად, რომ, ერთმა დიდებულმა ენათმეცნიერმა, თენგიზ სანიკიძემ, დაწერა წიგნი – „რევაზ მიშველაძის ენის ლექსიკა” და ამ წიგნს დაურთო მის მიერვე შედგენილი ლექსიკონი ჩემი ნოველებიდან ამოკრებილი სიტყვებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, 2 000 სიტყვა იპოვა, რომლებიც არ არის ჩიქობავას ლექსიკონში შეტანილი. ესე იგი, მე რომ გამიცოცხლებია, ზოგი ძველი ქართულიდან წამომიღია, ზოგი მე თვითონ შემიქმნია კომპოზიტი, ზოგიც მეგრულში ხმარებული, მეგრული ძალიან მდიდარი ენაა ლექსიკურად – ესენი ამომიღია. დედა და მამა პედაგოგები იყვნენ: დედაჩემი, თინა გველესიანი, ქართულის მასწავლებელი იყო. 7 წლის ვიყავი, ქუთაისში რომ გადასახლდა ჩვენი ოჯახი. მამამ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაამთავრა ასპირანტურა და იქ მუშაობდა, სანამ თბილისისკენ დავქაჩავდი ჩემს მშობლებს.

**– თბილისში როგორ გაგრძელდა მიშველაძეების ოჯახის ცხოვრება?**

– მამამ დაიწყო მუშაობა პედაგოგიურ ინსტიტუტში, მე ვსწავლობდი უნივერსიტეტში; დავამთავრე, იქვე ჩავაბარე ასპირანტურაში, იქვე დავიცავი ხარისხები: საკანდიდატო, სადოქტორო და კათედრის გამგე ვიყავი უნივერსიტეტში მთელი 30 წლის განმავლობაში. სულ 45 წელი ვკითხულობდი ლექციებს ჯავახიშვილის უნივერსიტეტში. სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, გაუგონარი დანაშაული მოხდა – მან უნივერსიტეტი დაარბია.

**– წლების შემდეგ ისევ დაბრუნდით უნივერსიტეტში...**

– უნივერსიტეტის რექტორმა პაპავამ დამაბრუნა უნივერსიტეტში მეცნიერ-თანამშრომლად. ლექციებს აღარ ვკითხულობ – არ მინდა, ჩემს აღზრდილ ასპირანტებსა და დოქტორანტებს ჩავუჯდე და ლექციები წავართვა. სულ ორი წელი ვიყავი უმუშევარი, მერე დამიძახა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, დიდებულმა მეცნიერმა არჩილ ფრანგიშვილმა და მიმიწვია ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც ახლაც ვხელმძღვანელობ კულტუროლოგიის მიმართულებას და, მესამე ადგილზე ვმუშაობ კიდევ – მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ვარ.

**– ის დღე თუ გახსოვთ, როდესაც პირველად მოხვდით მწერალთა სახლში?**

– მაშინ 16 წლის ბიჭი ვიყავი. ლადო მრელაშვილმა გამიყვანა მწერალთა კავშირის ბაღში. იქ უზარმაზარი ფიჭვის ხე დგას. ალბათ ახლა 200 წლის მაინც იქნება და მის ძირში ვხედავ ორ კაცს: ერთს ახურავს ჭილოფის ქუდი, შავი პიჯაკი აცვია, პორტფელი იღლიაში აქვს ამოჩრილი, და ისე ზის; წინ უზის ბოხოხისქუდიანი, როგორ შეუსაბამობადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, პიჯაკიანი, ჰალსტუხიანი, ევროპულად გამოწყობილი მოხუცი, მკაცრი, მიმინოსებური თვალებით. გალაკტიონ ტაბიძეა ერთი, კონსტანტინე გამსახურდიაა მეორე. სადაური ხარო? – მკითხა გალაკტიონმა. ქუთაისიდან-მეთქი. ქუთაისში სად ცხოვრობ, ძამიკოო? ვუთხარი, ნინოშვილის ქუჩაზე-მეთქი. ნინოშვილი, ბაკისუბანში... ვიმალებოდი მანდ, – მითხრა პოეტმა. ვის ემალებოდი, გალაკტიონ? – კონსტანტინე გამსახურდიას გამოკვეთილი მეგრული აქცენტი ჰქონდა. ვის ვემალებოდი და, ვინც მეძებდა, ძამიკო; შენ კონსპირაცია დრეზდენსა და ბერლინში გულაობა გგონია, ასე არ იყო, ვიბრძოდით ჩვენ, ძამიკოო, – გალაკტიონმა. მერე კონსტანტინე გამსახურდიამ მკითხა, რა გვარი ხარო. მიშველაძე ვარ, – მისი კეთილგანწყობა მინდოდა და, მეგრელი ვარ-მეთქი, დავძინე. გაიცინა, – არაფერი მეგრელი შენ არა ხარ, შენ გაქუცული იმერელი აზნაური ხარო. მე ვუთხარი, როგორ, თამაკონი, თარგამეული მარტვილთან... ვიცი, მაგ ჩასახლებული არიან იმერლები. ვყოფილვარ. ისე, თვითონ სოფელი უძველესია, თარგამოსის სახელთანაა დაკავშირებული...



**ბაბუაჩემის ბაბუის ბაბუიდან დაწყებული, შვიდი თაობა სულ მღვდლები იყვნენ. ბაბუაჩემის მამაც მღვდელი გახლდათ**

მერე ისე წავიდა ჩემი ცხოვრება, რომ მომიწია მეგობრობა ბევრ ცნობილ ადამიანთან. ჩემი პირადი მეგობრები იყვნენ: ლევან სანიკიძე, რასაც ჰქვია განუყრელი მეგობარი, შოთა ნიშნიანიძე, ზაურ ბოლქვაძე, გურამ ფანჯიკიძე, მორის ფოცხიშვილი.

**– რას გაიხსენებთ მათთან ურთიერთობიდან?**

– მე და ლევანი სულ ერთად დავდიოდით. პირველ რიგში, ოჯახში რომ შევიდოდით, უპირველეს ყოვლისა, მივდიოდით წიგნის თაროსთან – ყურადღებით განებირებული მწერლები ვიყავით ორივე. ა, ბიჭო, – ლევანი მეტყოდა, – რომ გაიძახი, შენზე უფრო პოპულარული ვარო; ა, შეხედე წიგნის თაროს – „უქარქაშო ხმლები,” „უქარქაშო ხმლები”, აბა, სადაა მიშველაძის ნოველები? *(იცინის).* 70 პროცენტში ოჯახებისა, რომ მივიდოდით, მისი წიგნიც იყო და ჩემიც: აგერაა, აგერაცაა, – ვეტყოდი. ზოგან ჩემი არ არის, ლევანის არის. ვაი ამ ჭამას, ახლა როგორ გამოვძვრე... ქალბატონო, დავუძახებდი დიასახლისს. დიასახლისს ხაჭაპურის ფქვილში აქვს ხელი დასვრილი. მოვიდოდა – გისმენთ, ბატონო. მიშველაძის ნოველები აქ არ არის? რავა არ არისო, – მიპასუხებდა, – მიშველაძე, მიშველაძე... სად წევიდა?! უი, მოუპარიათ. აი, – ვეუბნებოდი ლევანს, – ჩემს წიგნებს იპარავენ, შენი ქე ყრია აგერ შტაბელებად *(იცინის).* მაინც მაჯობე, შე ჯიბგირო, მაინც გამოძვერიო, – მეტყოდა ხოლმე ლევანი სიცილით.

ერთხელ, მე და როინ მეტრეველი, 60 წელი რომ შეგვისრულდა, ქუთაისში მიგვიწვიეს და ჩვენს მშობლიურ სკოლაში იუბილე გადაგვიხადეს. დილით, რომ დამთავრდა ბანკეტი, როინს ვუთხარი, წავიდეთ და ჩვენი სახლები ვნახოთ ქუთაისში-მეთქი.

ჯერ ჩემს სახლთან მივედით. მე 17 წლის ვიყავი, ის სახლი რომ გავყიდეთ და წამოვედით, მას შემდეგ 40 წელზე მეტია გასული. როინი ეუბნება ჩემი ყოფილი სახლის მაშინდელ მეპატრონეს, ჩვენ შაშიაშვილმა გამოგვგზავნაო (შაშიაშვილი იყო მაშინ ქუთაისის მერი). ამ სახლში არის დაბადებული რევაზ მიშველაძე, ჩვენი სახელოვანი მწერალი და ეს სახლი უნდა შევიძინოთ, რათა მასში მიშველაძის სახლ-მუზეუმი გაკეთდესო. მასპინძელს წაკრული აქვს თავი, ეტყობა მთელი ღამის ნაქეიფარია. ბატონო, მე ეს სახლი მიშველაძეებიდან არ მიყიდია. მაგენმა მიჰყიდეს, სინაურიძეებს და მე სინაურიძეებმა მომყიდეს, მარგველაშვილი გახლავართო. კი, მაგრამ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, თქვენ გვითხარით, ფული გადაგიხადოთ ფულად თუ სხვაგან გიყიდოთ მაგიერი: – ეუბნება როინი. მომცემთ ახლა თქვენ ბინას სადღაცა „ზასტავაზე”, რვასართულიანში მეშვიდე სართულზე. ბატონო, მე რომ გითხრათ სიმართლე, ეს სახლი გადავაკეთე: უბორნია ზალაში გადმევიტანე, საძინებელი – სამზარეულოში... ასე რომ, ის სახლი ისეთი აღარ არის, მიშველაძეების დროს რომ იყოო. მაგას რა მნიშვნელობა აქვსო, – ვითომ თავისას არ იშლიდა როინი, – სურათები არსებობს და აღვადგენთ მაშინდელ განლაგებასო. ერთს გეტყვით ახლა მე თქვენ, გვითხრა მაგველაშვილმა, ეგერ ყიდის სახლს გიორგაძე, ჭასთან მეოთხე სახლია აქედან, იყიდეთ ის და კაცი ვერ გეიგებს მიშველაძე აქ ცხოვრობდა თუ – იქო. რა სისულელეს ამბობთო შეიცხადა როინმა, მაგაზე ხომ დაგვიჭერენო. შეწუხდა მასპინძელი. აბა, მაშინ, ბატონო, 17 წლის იყო მიშველაძე, რომ წევიდა აქედან. კაი მწერალიაო, იძახიან, მაგრამ მე მაგისი არაფერი არ მაქვს წაკითხული; აწი, იქანა, თბილისში გაუხსენით სახლ-მუზეუმი, იქ ჯობიაო. არაო, – მაინც თავის აზრზე იყო ვითომ როინი. მე სიცილს ძლივს ვიკავებ. უცებ მოგვკიდა მარგველაშვილმა ორივეს ხელი და სასტუმრო ოთახში შეგვიყვანა, იქ ბავშვი წევს აკვანში. მიგვითითა: ბატონო, შვილიშვილია ეს ჩემი, 4 თვისაა ჯერ. ახლა, სიტყვაზე ვამბობ, რა იცით ეს რომ გეიზრდება, მიშველაძეზე ნაკლები გამოვა?! თუ უფრო დიდი კაცი გამევიდა, სა ვეძებო ამის სახლ-მუზეუმი მერე მე?! უკვე აღარ შეიძლებოდა იქ გაჩერება, მე და როინი გამოვედით, ჭიშკრებს ვურტყამდით თავს სიცილით, მარტო ქუთაისელს შეეძლო, გამოსავალი ეპოვა ასეთი სიტუაციიდან.

**ეკა სალაღაია**

**ემზარ კვიციანი:** თავისუფლების განცდას ხომ არაფერი შეედრება, მაგრამ, იმაზე კარგიც არაფერია, ამდენი ხნის უნახავ ოჯახს, შვილებს, ახლობლებს რომ დაუბრუნდები. თერთმეტი თვე გავატარე პატიმრობაში, მანამდე 7 წელი და 7 თვე – დევნილობაში და ეს ცოტა არ არის. ძებნაში მყოფ კაცს არც მიჭერდნენ და არც აქ ჩამოსვლის საშუალება მქონდა. ძალიან ცუდ დღეში ვიყავი, „ვა ბანკზე” წავედი – ყველაფერი გავაკეთე, რომ რუსებს ჩემი გამოძევება გადაეწყვიტათ, თუმცა, ორი დღით მაინც დამაკავეს. საქმეში რუსეთის „დუმის” დეპუტატი ქალი ჩაერია, ჩემი მამიდაშვილის დაქალი და ბოლოს იმან გადააწყვეტინა ჩემი გამოშვება. როცა თბილისში ჩამოვედი, დამაკავეს და საკანში შემიყვანეს. ციხის თანამშრომლებს ვეუბნებოდი, ჩემზე ბედნიერი პატიმარი მსოფლიოში არ არის-მეთქი.

**– როცა ჩამოდიოდით, ყველა ფიქრობდა, რომ გარიგებული იყავით ამ ხელისუფლებასთან და გქონდათ გარანტია, რომ არ დაგაკავებდნენ.**



**მე ომის ყველა დაწერილი თუ დაუწერელი კანონი მაქვს შესრულებული**

– არანაირი გარანტიები მე არ მქონია, პროკურორმა ისიც კი თქვა, ამან არ იცოდა, ამდენი მუხლი რომ ჰქონდა წაყენებული და გაიქცევაო. სად უნდა გავქცეულიყავი? ძლივს დავბრუნდი საქართველოში და სად წავიდოდი, მაგრამ, პროკურორი ცდილობდა, რომ სააკაშვილის ქმედება გაემართლებინა. ფირებს სად წაიღებდა? ფირებზე კარგად ჩანდა მთელი ტექნიკა და ის ძალები, რაც სააკაშვილს ჰყავდა შემოყვანილი და რასაც საგულდაგულოდ მალავდა. ყველაფერი ისე გავაკეთე, რომ სისხლი არ დაღვრილიყო, სააკაშვილს კი, პირიქით, სისხლისღვრა სურდა. მე სიყვარულითა და სიკეთით მოვაბრუნე აფხაზები, რომლებიც ჩვენ გავხადეთ სეპარატისტები – სიმართლე ესაა. მწარეა ეს სიმართლე, მაგრამ, ასეა. იმიტომაა, მთელი მსოფლიო გიჟდებოდა, ვინაა ეს კვიციანი, სოფლელი ბიჭი, აფხაზები რომ თავისკენ მოაბრუნაო. ჩვენ ვომობდით, მაგრამ მე არასდროს მძულდა აფხაზები; უფრო მეტიც, მე ჩემს მიწა-წყალს ვიცავდი, ვკლავდი, ვინც ამ მიწა-წყალზე მოდიოდა, მაგრამ, მაინც მიყვარდა. ამიტომ იყო, რომ ტყვედ ვინც ჩამივარდა, ყველა ცოცხალი დაბუნდა ოჯახში. მე ომის ყველა დაწერილი თუ დაუწერელი კანონი მაქვს შესრულებული, სააკაშვილი კი მუშტებს უქნევდა აფხაზებს – აბა, თუ მაგრები ხართ, შემოდითო! ზუსტად ის უნდოდა, რაც მოხდა. მას მზაკვრული გეგმა ჰქონდა.


## განცხადება

ჟურნალ „თბილისელებს“ ესაჭიროება კვალიფიციური ჟურნალისტები.

დაუკავშირდით პასუხისმგებელ რედაქტორს, ზაალ ცინაძეს.

**ტელ.: 599-58-73-33.**

***ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 12 საათიდან 17 საათამდე.***


**პატიმრობიდან გათავისუფლებული ემზარ კვიციანი ყველაზე ახლობელი ადამიანების გარემოცვაში ტკბება თავისუფლებით. უკან დარჩა ყველაზე რთული – დევნილობისა და პატიმრობის წლები, რამაც კოდორის ხეობის ბოლო დამცველს ძალიან მძიმე მოგონებები დაუტოვა. დაუკავშირებს თუ არა ემზარ კვიციანი ცხოვრებას კვლავ პოლიტიკას, ამას მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი მას სხვა გეგმები აქვს, რაზეც კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებული ჩვენთან თავად საუბრობს.**

# რატომ ითხოვდა ემზარ კვიციანი თავის საკანში გიგი უგულავას შეყვანას და როგორ გამოაცილეს ის ციხიდან პატიმრებმა

მე მეძახდა „ნომრიან” აგენტს, მაგრამ, თვითონ იყო „კაგებეს” აგენტი. მას ჯარის შემოყვანის უფლება არ ჰქონდა კონსტიტუციით, მან ჯარი პირადი შურისძიების საგნად გამოიყენა.

**– ბევრჯერ ითქვა, რომ თქვენ ერთმანეთთან პირადი ანგარიშებიც გქონდათ.**

– მე არ მქონია მასთან ანგარიში. მას რა ანგარიში ჰქონდა, სიკვდილს რომ გადავარჩინე?! მაშინ პირველი მოწვევის დეპუტატი იყო, როცა ჩემს მეგობარს, ვანო ონიანს დაუპირისპირდა. მაშინ მისი ოჯახი პეკინის ქუჩაზე ცხოვრობდა. ვანო ონიანმა იმ სახლებში რამდენიმე სარდაფი შეიძინა, გაარემონტა და მერე ბიზნესისთვის იყენებდა. ერთ-ერთი სარდაფი, თურმე, მიშას ბებიის იყო. იყიდა ვანომ ის სარდაფი – რა იცოდა, რომ საბუთები გაყალბებული იყო?! მოკლედ, მიშა ჩავარდნია იქ მუშებს და ერთი ამბავი აუტეხავს, მაგრად დაულანძღია ყველა. ეს რომ ვანომ გაიგო, გაგიჟდა კაცი. უკრაინაში ვიყავი, ჩამოვედი და გავიგე, რომ ვანო ვილაცას სდარაჯობს მოსაკლავად. ელოდება, როდის გამოჩნდება ვინმე მიშა, რომ მოკლას – იუკადრისა კაცმა, მისი მუშები რომ გალანძღეს. ჩავერიე მე ამ საქმეში: ნინო ბურჯანაძის ქმარს, ბადრის ვუთხარი, თუ ძმა ხარ, მაჩვენე ეგ კაცი, რომ გასროლის გარეშე მოვაგვაროთ პრობლემა-მეთქი. ეს იყო ჩემი პირველი შეხება მიშასთან, სულ გმირი მეძახა. სხვათა შორის, კაცურად მითხრა, არაფერი მინდა მაგ კაცის, მრცხვენია, რომ ბებია ვერ დავიცავიო. ჩავერიე ამ საქმეში და გადაწყდა, რომ ხუთასი დოლარი უნდა მიეცა ჩემს მეგობარს სააკაშვილის ბებიისთვის. ჩემი ფეხით მივედი სააკაშვილებთან და სანდრას გადავეცი. ბებიაც სახლში იყო, უუფ, სააკაშვილს ჰგავდა ძალიან. მალე ჩემი ბიჭის დაბადების დღე დადგა და იქ შევახვედრე მიშა და ვანო ონიანი ერთმანეთს. იქ ბევრი ხალხი იყო. მიშა მოვიდა, იმხიარულა, მერე კი გამოვიდა და თქვა: რესტორანში დამპატიჟეს და ფულს მთავაზობდნენო – აი, ასე იტყუებოდა სულ. ასე არ მოიტყუა კოდორშიც? ერთ მუშტად შეკრული, გამარჯვებული ხეობა ჩავაბარე ხელისუფლებას და რა გააკეთეს?! ხალხი ერთმანეთს გადაკიდეს, ჩასაბარებლად ამზადებდნენ. მე, ივერი ჭელიძემ და ავთანდილ მარგიანმა ბევრი რამ გავაკეთეთ, რომ იქ სიტუაცია შეცვლილიყო. ეს ხალხმა ძალიან კარგად იცის. როცა დევნილობაში ვიყავი, პირველი დღიდან ბოლო დღემდე ჩემთვის ყველაზე მძიმე მაინც ის იყო, როცა სააკაშვილის მეგობრებმა კოდორიდან გამიტყუეს, ჩამკეტეს და ტელევიზორი ჩამირთეს. საკუთარი თვალით მაყურებინეს და მასმენინეს, როგორი მოღალატე ვარ – ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი უბედურება. უკვე სოჩაში ვიყავი, როცა ჩემი შვილები ჩემთან ერთად უყურებდნენ ტელევიზორს. გამოდის ნიკა გვარამია და ჩემზე ამბობს, ერის და ქვეყნის კლასიკური მოღალატეაო და ამას უსმენდნენ ჩემი შვილები, პატარა გოგონამ შემომხედა და მკითხა: მამიკო, მოღალატეს რატომ გეძახიანო. ნაჯახი ავიღე – ჩვენს სახლთან ტყე იყო და თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ, განგების ძალამ გადამარჩინა. გაბრიელა ჩემზე სხვანაირად მოქმედებს. სასამართლოზე რომ მოიყვანეს და დავინახე, ისე განვიცადე, საკანში რომ დავბრუნდი და ნარზე დავწექი, კედლისკენ შევბრუნდი და ორი დღე აღარ გადმოვტრიალებულვარ – საკუთარ თავს გავებუტე! „ნაციონალებს” ბევრ კითხვაზე აქვთ ჩემთან პასუხი გასაცემი, ჩემს დაზე, რომელმაც ძალიან მძიმე წლები გაატარა ციხეში. იქ მე ნორას დარდი მკლავდა, იმას ციხეში – ჩემი. როგორც კი ცხინვალში მიშამ ომის თამაში დაიწყო, შემოვუთვალე, ჩემი და გამოუშვით, მე ჩაგბარდებით-მეთქი, მაგრამ, არაო – შემომითვალეს ტელევიზიით. მერე კიდევ იყო ერთი-ორი შემოთავაზება, მაგრამ, ისეთ რამეს მთხოვდნენ, იმაზე ვერ წავიდოდი და ასე გავიდა კიდეც ის წლები. ისე მენატრება ჩემი ხეობა, მთლიანად აფხაზეთი!.. ახლა კოდორში რომ მოვხვდე, სიხარულისგან შეიძლება დავიხრჩო.

**– როგორ გაატარეთ პატიმრობის თითქმის ერთი წელი? ამბობენ, ციხეში ავტორიტეტული პატიმარი იყავით.**

– კამერის მაყურებელი ვიყავი, იმიტომ რომ, მარტო ვიჯექი, ჩემ გარდა არც არავინ იყო ***(იცინის).*** როცა კარანტინში შემიყვანეს, უამრავი პატიმარი მოდიოდა ჩემს სანახავად, დიდი მხარდაჭერა და პატივისცემა ვიგრძენი მათგან. როცა საკანში გადავყავდი და კორპუსებს შორის გავდიოდი, ზოგი როგორ მამხნევებდა, ზოგი – როგორ. ასე იყო წამოსვლისასაც – ციხიდან დიდი პატივისცემით, სიყვარულითა და ოვაციებით გამომაცილეს პატიმრებმა. სხვათა შორის, როცა გიგი უგულავა საკანში გადაჰყავდათ, ისეთი ლანძღვა და ბრახუნი ატეხილა, რომ გავიგე, შემეცოდა. ბიჭებს ვუთხარი, დირექტორს გადაეცით, გიგი ჩემს საკანში შემოიყვანოს-მეთქი. ყველა დაინტერესდებოდა, ნეტავ რას იზამს კვიციანიო? თუმცა, არც არაფერს არ ვიკადრებდი, მასთან საუბარი კი, არ დაგიმალავთ და, მაინტერესებდა. პატიმრობა მე გამოცდილი მქონდა ახალგაზრდას, 27 წლის ასაკში, როცა ანდროპოვის პერიოდის საშინელ ციხეში გავატარე ხუთი წელი. ამდენი არ მქონდა მოსჯილი, ერთი ქართველის დასაცვად ვიჩხუბე და ორი წელი კიდევ დამიმატეს. მაშინ ციხეში სულ ტყუილად მოვხვდი – სოფელში ვცხოვრობდი და ჩემი ძმის მანქანის მოტაცებისთვის დამიჭირეს, ჩემს ძმას მანქანას ხომ არ მოვტაცებდი? იქ ვილაცეები

არ ჩავუშვი, იქ კიდევ სხვა რაღაცეები იყო და ასე მოვხვდი ციხეში. სამი წელი გავატარე ზონაში, მერე მიმაგრებაში გავედი. ბრეჟნევი რომ მოკვდა, ათასობით ახალგაზრდა წაგვიყვანეს რუსეთში – მგონი, გეგმა ჰქონდათ ახალგაზრდების დაჭერის. ამ გეგმაში მეც მოვყევი – ქართული ციხიდან ვოლგოგრადში გადამიყვანეს. იქ ისეთი საშინელი პირობები იყო, ახლა, იმ ციხის ფონზე, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ვიყავი. 1984 წელს, როცა ციხიდან გავთავისუფლდი, დედამ ვერ მიცნო, ისე ვიყავი შეცვლილი. ძვალი და ტყავი ვიყავი, დედამ შემომხედა და გაიარა. სხვათა შორის, მაშინაც თებერვალში დავბრუნდი სახლში და ახლაც; მაშინ 27 წლის ვიყავი, ახლა კი იმ ფაქტიდან 27 წლის შემდეგ მოხდა ჩემი გათავისუფლება, ასე მაქვს დაცდილი ეს თვე *(იცინის).*

**– რას აპირებთ მომავალში, დაუკავშირებთ კიდევ ცხოვრებას პოლიტიკას?**

– არა, ეს არაა ჩემს გეგმებში. ან, სად ვიყავი მე პოლიტიკაში? ჩემი პოლიტიკა იწყებოდა და მთვარდებოდა კოდორში, თორემ, ცხოვრებაში არ მიფიქრია არც პოლიტიკაში მოხვედრაზე, არც გუბერნატორობაზე. არც სწავლა მქონდა შესაბამისი, თვითონ ცხოვრებამ მოიტანა ყველაფერი. მერე დათო თევზაძემ კიევში გამგზავნა სასწავლებლად და გენშტაბის აკადემია დავამთავრე წითელ დიპლომზე კახა თარგამაძის ჯინაზე *(იცინის).* იმის მერე დავინტერესდი ბევრი რამით. ჩემს თავს უფრო ბიზნესში ვხედავ, ასეთი გეგმა მაქვს. ორი შემოთავაზება უკვე მივიღე.

**– ამ საქმეში გამოცდილება გაქვთ. ბიზნესი ხომ ადრეც გქონდათ?**

– დიახ, ტყუილად ხომ არ ვიჯდებოდი, დევნილობის დროსაც კი ვცადე სამშენებლო ბიზნესის გაკეთება. საშუალებას კი არ მაძლევდნენ, მაგრამ, მე მაინც ვცდილობდი, ტენდერებს ვიგებდი, მაგრამ, სად იყო იქ ჩემი ადგილი?! აქ ყოფნის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო საქმით ვიყავი დაკავებული, მაგარი ფერმა მქონდა. შრომა არასდროს მეზარებოდა, ბავშვობიდან ვშრომობდი. 2005 წელს წალკაში ისეთი ფერმა გავაკეთე, იმ ფერმიდან გვინახავდა ჩემი და მე და ჩემს ოჯახს. კახეთშიც მქონდა ფერმა, ფიზიკურადაც ბევრს ვმუშაობდი. ბონდო შალიკიანს ჩემი ადრინდელი ვალი ჰქონდა, იმ ფულით ცხვარი და კამეჩები ვიყიდე და გავამრავლე. უჯარმაში 19 კამეჩი მყავდა; თერთმეტ ჰექტარზე – სიმინდი, ას ჰექტარზე – ქერი, ხორბალი, შვრია, ჭარხალი მქონდა მოყვანილი. მოსავალი ავიღე, ვენახები ჩავყარე. აი, ასე ვიყავი მანამ, სანამ პოლიტიკას დამაკავშირებდნენ. ზუსტად არ ვიცი, რა იქნება მომავალში. ხომ იცით, ნათქვამია, არასდროს არ თქვა არასდროსო! ჩემს ცხოვრებაში, რატომღაც, ისე ხდებოდა, რასაც ვიტყოდი, ამას არ ვიზამ-მეთქი, სწორედ იმას მიპირისპირებდა უფალი, თუმცა, ძალით არასდროს არაფერი გამიკეთებია, ყველაფერი თავისით აეწყო. არც ცუდი გამიკეთებია ვინმესთვის. თუ სადმე ფათერაკში გავეხვიე, სულ სხვის გამო ხდებოდა. მე მიყვარს ადამიანის დაცვა, პატარაობიდან ვიყავი სიმართლის დამცველი. მაშინ ისეთი ენერგიული და მოუსვენარი ვიყავი, ჩემთან ურთიერთობა იოლი არ იყო – არავის არ ვასვენებდი, მარტო ერთი ძმაკაცი მიძლებდა. ძალაც მქონდა – სულ ტურნიკზე ვვარჯიშობდი. 11 წლისა გაყინულ ჩხალთაში გადავხტი ჩემი თანასოფლელი ქალის გადასარჩენად. პატარა ვიყავი, მარტო ვერ გამოვიყვანდი, მაგრამ, იქვე უფროსები იყვნენ და ვიფიქრე, იმათ მივცემდი სტიმულს. ასეც მოხდა – ბოლოს სამივემ ერთად ამოვიყვანეთ თაჯი დეიდა წყლიდან და გადავარჩინეთ. თუმცა, ამ პატიმრობამ მაგრად შემცვალა: მოთმინება ვისწავლე, ფიქრი. საკანში მარტოს რა უნდა მეკეთებინა? ვიხსენებდი ყველაფერს, ყველა დეტალს, სად რა როგორ იყო. საფიქრალი დრო კი მქონდა. ვვარჯიშობდი კიდეც, რომ ჯანი არ დამეკარგა. იმდენი ვიმუშავე საკუთარ თავზე და ისე შევიცვალე, ჩემი ცოლი ვერ მცნობს; ეს შენ ხარო? – მეკითხება, როცა ხვდება, რომ ადვილად აღარ ვბრაზდები, აღარ გამოვდივარ წყობიდან. ახლა ხასიათი ბევრად უფრო მშვიდი გამიხდა, ყველა ნეგატივი მოვიშორე, ახალი ცხოვრებისთვის მომზადებული გამოვედი.

**თამუნა სამადაშვილი**

# რატომ უწუნებს სომხეთი საქართველოს პროევროპულ პოლიტიკას და რატომ ვერ ხედავენ საქართველოს ფუნქციას რეგიონში

(მე-10 გვერდიდან)

ანუ კონკრეტული ქმედებები ჩაიდინეს.

**– ისრაელი გარშემორტყმულია მისადმი უკიდურესად მტრულად განწყობილი მეზობლებით. იმის თქმა გინდათ, რომ საქართველოსთვის, მაგალითად, სომხეთი ასეთივე მტრული სახელმწიფოა?**

– მაგალითად, თქვენ, ქართველებს შეგიძლიათ, გადაწყვიტოთ რამე პრობლემა ჩრდილოეთ კავკასიაში?! შეგიძლიათ იქ შესვლა, თუ რომელიმე საველე მეთაური დაემუქრება თქვენს ინტერესებს?

**– როგორ შევალთ, ის ხომ რუსეთის ტერიტორიაა და ის აკონტროლებს?**

– აი, აქედან იწყება პრობლემა. ისრაელი აფრიკაშიც კი წყვეტს პრობლემას. საქმე ისაა, რა ფუნქციებს იღებს ქვეყანა თავის თავზე. ვინ ხართ თქვენ ამ რეგიონში?

**– იმის თქმა გინდათ, რომ მხოლოდ ისეთი სახელმწიფო შეიძლება, იყოს დასავლურად ორიენტირებული, რომელსაც აქვს ძალა? და, თუ ისეთი არმია გეყოლება, როგორიც ჰყავს ისრაელს, ვერ გავხდები დასავლური ტიპის ქვეყანა?**

– ჯერ ერთი, რატომ არ გყავთ ასეთი არმია და, მეორე, რატომ არ განსაზღვრავთ თქვენი სახელმწიფოს ფუნქციას საგარეო პოლიტიკაში. შიდა დემოკრატია არის სახელმწიფოს ღერძი და ეს ღერძი უნდა შექმნა, მაგრამ, ამავდროულად, სახელმწიფო უნდა ასრულებდეს რაღაც როლს მსოფლიოში. ის უნდა წყვეტდეს პრობლემებს. რა საკითხებს წყვეტს საქართველო?!

**– ალბათ, ისეთსავე საკითხებს, რასაც სომხეთი წყვეტს.**

– სომხეთი საერთოდ არაფერს წყვეტს. ნარდს ვთამაშობთ და ხაშს მივირთმევთ... სომხეთი ყარაბაღის ხარჯზე იძენს ფუნქციას. საქართველო კი ტურისტებს იწვევს. მაგრამ, როგორც სახელმწიფო არ წყვეტს არაფერს დედამიწის ზურგზე. იმისთვის, რომ საინტერესო გახდე მსოფლიოსთვის, რაღაც საკითხი უნდა გადაწყვიტო. მაგალითად, აზერბაიჯანი რაღაცას მაინც ფაფხურობს – შეიარაღებას ყიდულობენ, რის გამოც მათ სომხები ხანდახან სჯიან. ანუ ისეთ პრობლემებს ქმნიან სომხები, რომ მსოფლიო ამას ამჩნევს. საქართველო კი რითაა დაკავებული? აკეთებს ეს ქვეყანა რამეს ისეთს, რაც მის მერკანტილურ ინტერესებს სცილდება?! არ აკეთებს! ერთადერთი რუსეთთან აქვს კონფლიქტი. იკონფლიქტეთ რამდენიც გინდათ, მაგრამ ამით ხომ პრობლემები არ წყდება?!

**– მე ბუნდოვნად მესმის, რა პრობლემის გადაჭრაა ყარაბაღის კონფლიქტის პერიოდულად გაღვივება, მაგრამ საქართველოზე გამავალი ენერგოპროექტები არ არის ფუნქცია?**

– დაუკეტეთ აზერბაიჯანს მილსადენები და გახდებით მსოფლიო პოლიტიკაში ფაქტორი.

**– რატომ უნდა გადავუკეტოთ? სულელები ვართ?!**

– იმიტომ რომ ეს საჭიროა. მაგალითად, ერაყელ ქურთებს 20-30 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ და, როდესაც ისინი რაღაც დონემდე მივიდნენ, დასავლეთმა გადაწყვიტა, შეეიარაღებინა ქურთების არმია, რადგან ერაყელმა ქურთებმა აჩვენეს მთელ მსოფლიოს, რომ შეუძლიათ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა. ამიტომაც დაინტერესდა ქურთებით მსოფლიო. საქართველომ კი რა შესთავაზა მსოფლიოს?! მხოლოდ რუსეთთან კონფლიქტი. ეს არის ერთადერთი, რითაც საქართველო იპყრობს მსოფლიოს ყურადღებას. მაგრამ რაში გჭირდებათ რუსეთთან კონფლიქტი? თქვენი ამოცანაა, ამ სიტუაციაში თქვენი ფუნქციის მოგონება. რაც მეტად გააგრძელებთ რუსეთთან კონფლიქტს, მით ვერაფერს მიიღებთ.

**– და თუ არ გავაგრძელებთ, რას მივიღებთ?**

– არ ვიცი... მაგრამ, მაგალითად, სომხეთი წყვეტს საკითხებს – სჯის აზერბაიჯანს ყარაბაღის არმიის ხარჯზე, როცა საჭიროა, ალიევს ყურებში ურტყამენ.

**– და რას აძლევს სომხეთს, როგორც თქვენ ამბობთ, „ალიევსთვის ყურებში დარტყმა“?**

– არ ვიცი, მაგრამ თქვენ მსოფლიოს მხოლოდ ელაპარაკებით, არადა რაღაც საქმით უნდა დაკავდეთ. მაგალითად, გააგზავნეთ სპეცრაზმი უკრაინაში.

**– ამ რჩევას, აზერბაიჯანისთვის მილსადენების გადაკეტვის არ იყოს, რატომ გვაძლევთ, რომ რუსეთმა შემდეგ დაგვბომბოს?**

– რა გააკეთეთ, რომ დაგბომბეს და წაგართვეს, რაც წაგართვეს?! სომხეთი ასჯერ უარეს სიტუაციაშია, ვიდრე საქართველო. თავის დროზე არსებობდა ერთიანი სომხურ-ქართული სამეფო, შეიძლება ამაზე დალაპარაკება. შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს, მსოფლიოს კი უყვარს აქტიური, ინიციატივიანი ხალხი, რომლებსაც, თუ რამეს გააკეთებენ, ისინი დაეხმარებიან. სომხეთი და საქართველო კი არაფერს აკეთებენ და მხოლოდ წუწუნებენ. ეს მსოფლიოს არ აინტერესებს. დალაპარაკებაა საჭირო, მშვიდად, კომპლექსების გარეშე, მაგრამ ეს რთული ამოცანაა ჩვენი სახელმწიფოებისთვის, იმიტომ რომ ჩვენი საზოგადოებები ძველმოდური და დაკომპლექსებულია.

**ნინო ხაჩიძე**

**ქეთი ზაზაშვილი საზოგადოებამ „ნიჭიერიდან“ გაიცნო, რომლის გამარჯვებულიც გახდა ის თემურ არაბიძესთან ერთად. ქეთიმ ის ბინა, რომელიც წყვილმა ერთად მოიგო, მთლიანად თემოს დაუთმო. ქეთი ძალიან ბევრ საინტერესო და ღირებულ საქმეს აკეთებს; გარდა ამისა, ის „ზუმბა ფიტნესის“ პირველი ლიცენზირებული ინსტრუქტორია და მისი სტუდია „ბამბატა“, ვაჟა-ფშაველაზე, მეტრო „დელისთან“ მდებარეობს. „ნიჭიერის“ შემდეგ ქეთის პირადი ცხოვრებაც შეიცვალა – მისი შეყვარებული თბილისში იოგას ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინსტრუქტორი, ზურა ყაზიშვილია, რომელიც ასევე „ნიჭიერში“ მონაწილეობდა.**

# როგორ იპოვა მომავალი შეყვარებული ქეთი ზაზაშვილმა და რას აკეთებს მასთან ურთიერთობისას ყოველგვარი სპეცეფექტების გარეშე ზურა ყაზიშვილი

**ზურა ყაზიშვილი**: ქეთი პირველად ერთი წლის წინ შევამჩნიე – რიყეზე ჰქონდათ „ზუმბა ფიტნესის“ ღია გაკვეთილი, სადაც ჩემს მეგობართან მივედი, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა. დავინახე ქეთი, მომეწონა და დამამახსოვრდა. ჩემს მეგობარს ვკითხე, ეს გოგონა ვინ არის-მეთქი. „ზუმბას“ ინსტრუქტორიაო. მერე ვნახე „ნიჭიერში“, სადაც ორივე ვმონაწილეობდით. მეცნო, მაგრამ, ვერ გავიხსენე.

**ქეთი ზაზაშვილი**: მეც დავინახე ზურა შესასვლელში და, მეთქი – ოო, ძალიან კარგი ბიჭია. ვუყურებდი, მინდოდა შევემჩნიე და აქეთ-იქით ვსეირნობდი

**ზურა**: მეც ძალიან, ძალიან მომეწონა. პირველად რომ დავინახე, აზრზე არ ვიყავი, რა უნდა გაეკეთებინა, მაგრამ, მერე მისი გამოსვლა რომ ვნახე, მეც და სხვა მონაწილეებმაც აღვნიშნეთ – ესენი გაიმარჯვებენო.

**– ქეთი, ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებ, დასაფასებელს და მისაბაძს. ხომ არ გამოგიჩნდნენ მიმბაძველები?**

**ქეთი**: ჯერ არა. თავიდან მიკვირდა, ამ საქმით რატომ არავინ ინტერესდება-მეთქი. მე ეს „ნიჭიერამდე“ დავიწყე, დაახლოებით წლინახევრით ადრე. სხვა მეწყვილე მყავდა – რატი იონათამიშვილი. მერე გავიცანი თემო. ცოტა რთული საქმეა, მაგრამ, ჩემთვის სირთული შედარებითია, ამიტომ, ყველაფერი უფრო სასიამოვნოა ჩემთვის და დიდად არ მეძნელება. ზოგადად, ჯერჯერობით ხალხს ეს არარეალურად ეჩვენება და, სანამ ეს მენტალიტეტი არ შეიცვლება, მიმბაძველები არ იქნებიან. მე დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ ყველასთან, ვისაც უნდა, რომ ეს სფერო განავრცოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თემომ ეს გაბედა, რადგან, ძალიან გაბედული ადამიანია. ამის შედეგად, სხვებმაც, ალბათ, დაინახეს საკუთარ თავში ძალა, რადგან, რამდენიმე შშმ პირი უკვე დამიკავშირდა – შემდეგ „ნიჭიერში“ უნდათ გამოსვლა და დავაკვალიანებ. ხელოვნების კუთხით რაღაცეებს ვგეგმავ: მინდა დავდგა წარმოდგენები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთად. საცეკვაო თეატრი ჩამოვაყალიბე – საინტეგრაციო ცეკვის კომპანია. ინოვაციური იქნება და დიდი მხარდაჭერა გვაქვს სხვადასხვა ორგანიზაციისგან, მთავარია, ეს პირველი პერფორმანსი გავაკეთოთ. ეს იქნება თეატრალური წარმოდგენა, ოღონდ – ცეკვით.

**– ზურაც ხომ არ მიიღებს მონაწილეობას?**

– მინდა, რომ ზურაც ჩავრთო ყველაფერში. ძალიან მეხმარება, არაჩვეულებრივი ადამიანია და საოცრად გახსნილი გონება აქვს. ამ საქმეში სხვანაირი მიდგომა გჭირდება, არ უნდა გქონდეს შეზღუდვები, მენტალური ბარიერები – ეს ხალხი არ უნდა დაინახო როგორც შეზღუდულები. მე არ აღვიქვამ ამ ხალხს შეზღუდულებად.

**– მოდი, თქვენს ურთიერთობას დავუბრუნდეთ.**

– ძალიან მგრძნობიარე ვარ. როგორც კი დავინახე ზურა, მაშინვე ენერგეტიკულად ვიგრძენი, რომ „ჩემია”. ჯერ ერთი, ძლიერი ადამიანია, ეს ენერგეტიკა მოაქვს და ეგრევე დამიპყრო. თან, ძალიან მშვიდია და გაწონასწორებული. რაღაც პრობლემაც რომ შეექმნას, შეუძლია, გადაჭრას. შეიძლება, გარეგნულად არ ჩანდეს, მაგრამ, მე ამას მაინც ყოველთვის ვგრძნობ, თუნდაც თვალის ერთი დახამხამებით. ყველა მეუბნება, რა წყნარი ადამიანიაო, თუმცა, არც მე და არც ზურა არ ვართ ინტრავენტები. არც ჩაკეტილი არ არის, პირიქით, ძალიან გახსნილია. უბრალოდ, მე უფრო მეტ ჟესტიკულაციას ვიყენებ – აჰაჰაა, უფრო მეტად გამოვხატავ ემოციებს.



**ზურა: „არ ვაკონტროლებ სიტყვებს და საერთოდ არაფერს; ანალოგიურად არის ქეთიც“**

**ზურა**: არა მარტო მე, სხვებსაც უჩნდებათ კითხვა: „თურმე”... – და ამ კითხვას გაეცა პასუხი: საოცარი წერილები მომივიდა, თუნდაც მილოცვის სახით – ისეთი გოგო უნდა იყოს შენ გვერდით, როგორიც ქეთიაო. ძალიან ვგავართ ერთმანეთს; შეიძლება, გარეგნულად ერთნაირად არ გამოვხატოთ, მაგრამ, შინაგანად ძალიან ერთნაირები ვართ. იმდენად, რომ, რასაც ვგრძნობ ან ვფიქრობ, ქეთი იმას ხვდება და მეც ანალოგიურად ვარ. ის, რაც ყველაზე მეტად მიქმნიდა პრობლემებს ურთიერთობებში, ქეთისთან ბოლომდე მოხსნილი მაქვს – არ ვცდილობთ ერთმანეთის აღზრდას, პატივს ვცემთ ერთმანეთს, ასევე, ვერგებით ერთმანეთს, პატივს ვცემთ ერთმანეთის არჩევანს. მე და ქეთის ასეთი ფილოსოფია გვაქვს: მიიღე საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ხარ და მიეცი საშუალება სხვებს, იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან.

**ქეთი**: ეს ძალიან იოლია, უბრალოდ, შენს ეგოს უნდა გადააბიჯო. მე, ზოგადად, ასეთი ადამიანი ვარ და, ალბათ, ამიტომაც მოილტვის ჩემკენ ყველა.

**ზურა**: ქეთი ისეთი ადამიანია, მასთან ყველა კომფორტულად იგრძნობს თავს. ერთი ადამიანი მეორეს რამდენიმე რამით აფასებს: ეს არის ვიზუალი (ანუ თვალი), ყნოსვა – მოკლედ, ხუთი ძირითადი გრძნობის ორგანოა ჩართული და, პლუს – ენერგეტიკა, რასაც სულიერი ადამიანები აქცევენ ყურადღებას. ენერგეტიკის შეგრძნება მე და ქეთის ძალიან გვაქვს განვითარებული. ხომ არიან ადამიანები, ვისთანაც თავს კომფორტულად გრძნობ? ასე ვარ ქეთისთან: კომფორტულად, მშვიდად ვგრძნობ თავს და არა მხოლოდ ენერგეტიკულად; ვიცი, თუ რამის თქმა მინდა, შემიძლია, პირდაპირ ვთქვა, შელამაზების, სპეცეფექტების გარეშე და, დარწმუნებული ვარ, რომ ამას ქეთი გაიგებს და მიიღებს; მასთან არ ვაკონტროლებ სიტყვებს და საერთოდ არაფერს და ანალოგიურად არის ქეთიც. რაც შეეხება ჩვენს გაცნობას, „ნიჭიერის“ მეორე ტურში გავიცანით ერთმანეთი. გავიხსენე, სად მყავდა ნანახი, მივედი: საერთო მეგობარი გვყავს-მეთქი და ასე აეწყო საუბარი. მიზეზი რომ არ ყოფილიყო, მაინც მივიდოდი გასაცნობად.

**ქეთი**: მაშინვე მივხვდი, რომ გამოგონილი მიზეზი იყო, შემდეგ უკვე ჩვეულებრივ განვითარდა ურთიერთობა. მერე თავის იოგის დარბაზში დამპატიჟა. ახლა დავდივარ იოგაზე. პოლონეთში ცხოვრებისას შევიძინე მეტაფიზიკური გამოცდილება და მას შემდეგ სულ მინდოდა იოგაზე წასვლა, მაგრამ, ვერ ვნახე პროფესიონალი ტრენერი, თავი დავანებე და ბოლოს... ხომ იცით, ვინც ეძებს, ის პოულობსო.

**ზურა**: მთავარი ის არის, რომ ჩემი ხათრით არ ვარჯიშობს, ძალიან მოწადინებულია. მასთან სახლში რომ მივედი, სასიამოვნო სიურპრიზი დამხვდა: ჩემზე მეტი იოგის წიგნი აქვს – ოკულტურ-მისტიკური ლიტერატურით აქვს თაროები გამოტენილი. ძალიან კარგად ერკვევა მეტაფიზიკაში... მიჭირს მოძრაობების დამახსოვრება, რადგან, გონება პოზების დამახსოვრებაზე, შეცნობაზე, გააზრებაზე მაქვს აწყობილი. ქეთის გონება კი არა მხოლოდ მოძრაობის დამახსოვრებაზე, არამედ, გამოგონებაზეა აწყობილი. იდეალურად ვარჯიშობს, ათასში ერთხელ, რომ პატარა შესწორება შევიტანო და, არც წახალისება სჭირდება ვარჯიშზე – თავისით მოდის დილის 8 საათზე.

**ქეთი**: მეც ვასწავლე ცეკვა – ეს ჩემი გეგმაა.

**ზურა**: სანამ ქეთის გავიცნობდი, მეგონა, მოუქნელად ვცეკვავდი, უხერხულად ვგრძნობდი თავს ცეკვის დროს. ახლა, ქეთის გაცნობის შემდეგ, ეს მომეხსნა და ამიტომ ქეთის ვაბრალებ. სექსუალურ მოძრაობებს მასწავლის. ორივეს გვხიბლავს თანამედროვე ბალეტი და, არ არის გამორიცხული...

**ქეთი**: რომ ჩემი ქორეოგრაფიის ნაწილი გახდეს ზურა. არაჩვეულებრივი მონაცემები აქვს.

**– სამომავლოდ რამეს სერიოზულს გეგმავთ თუ ურთიერთობას მიჰყვებით?**

– დაგეგმვა საერთოდ ყველაფერს ხელს უშლის, ზედმეტი სტრესია. ამიტომ, დინებას მივყვებით.

**ნათია უტიაშვილი**

**გურამ შარაძის ქალიშვილი, რუსუდან შარაძე, თითქმის ათი წელია, ჟენევაში ცხოვრობს. იმის მიუხედავად, რომ მისი ცხოვრების გზა იოლი არ იყო და ძალიან ბევრი პირადი ტრაგედიის გადატანა მოუწია, რუსუდან შარაძე ძალიან გახსნილი და გულწრფელი ადამიანი აღმოჩნდა. საქართველოს მონატრებას უფრო და უფრო ხშირად ჩამოჰყავს სამშობლოში, აქ მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების საფლავებია და, ამიტომაცაა, რომ, როგორც თავად ამბობს, თბილისი-ჟენევის მარშრუტს ვერ გასცდა.**

# ვინ გადაარჩინა გურამ შარაძის ქალიშვილი ჟენევაში და რა ახალი გარემოებები აღმოაჩინა მან მამის მკვლელობის საქმეში

**– რუსუდან, ცოტა ხნის წინ განაცხადეთ, რომ გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში ახალი გარემოებებია აღმოჩენილი და პროკურატურისგან ამ საქმის დაჩქარებული გამოძიება მოითხოვეთ. რა გარემოებებზე საუბრობთ?**

– მამაჩემის მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიება დაიწყო 2014 წლის ივლისში. საქმეს იძიებს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფი მთავარი პროკურორის მოადგილის, ირაკლი შოთაძის მეთვალყურეობის ქვეშ. ყველამ იცის, რომ გურამ შარაძის მკვლელობა გადაღებულია სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ ვიდეოთვალის მიერ. პირველად ეს ვიდეო ვნახე 2007 წლის ივლისში, პოლიციაში. მიუხედავად ჩემი თხოვნისა, მაშინ არცერთი კადრი არ მომცეს. დეკემბერში მთავარი პროკურორის მოადგილეს, ირაკლი შოთაძეს ვთხოვე და გადმომცეს სრული მასალა. აგრეთვე, ვთხოვე ფირის ექსპერტიზაზე დასწრება. 28 იანვარს დავესწარი კიდეც ფირის ერთ-ერთ ექსპერტიზას შინაგან საქმეთა სამინისტროში. პარალელურად, ექსპერტიზა ჩატარდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროშიც. ყოველდღე ველოდები, რომ ორივე უწყება შეჯერდება და დადებენ ერთ საერთო დასკვნას. თავიდანვე დიდ იმედს ვამყარებდი ამ ფირებზე, მიუხედავად იმისა, რომ ის საშინელი ხარისხისაა. ვფიქრობდი, რომ ამ კადრების მეშვეობით, სულ მცირე, შესაძლებელი გახდებოდა, მკვლელის, რომელიც მამაჩემს უკან მისდევდა, ზუსტი სიმაღლის დადგენა. ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ცნობილი იქნებოდა, თუ რომელი ტიპის აპარატურა ჰქონდა დაყენებული „ალდაგს“ 2007 წლის 20 მაისს, ანუ, რა აპარატურამ გადაიღო ჩვენს ხელთ არსებული ფირები. „ალდაგი“, საეჭვოდ, არ თუ ვერ იძლევა ამ ინფორმაციას. პროკურატურის კითხვაზე, თუ რა კამერა ეყენათ იმ დღეს, პასუხობენ, რომ არ იციან. არც საქმის მასალებშია რამე ცნობა შემონახული. მაშინდელი გამომძიებელი ზაალ გურგენიძე ექსპერტ ყანდარელს ეკითხება, თუ რა ტიპის აპარატურამ გადაიღო ფირი, რაზეც ექსპერტი დუმს. არც ისე დიდი ხნის წინ, „ფეისბუქის“ მეშვეობით გავავრცელე კადრების ნაწილი. მკვლელი, რომელიც მამაჩემს უკან მიჰყვება, არაა გიორგი ბარათელი და, ვინც მას იცნობს, ყველა დამეთანხმება, მაგრამ, ამას დამტკიცება სჭირდება. ეს ისედაც დამტკიცდება, მამაჩემის მკვლელობის საქმე ისედაც გაიხსნება.



11 თებერვალს ღია წერილით მივმართე საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ვთხოვე, თანამდებობებიდან გაეთავისუფლებინა პოლიციაში დასაქმებული ის პირები, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან, რომ, პირდაპირ ან ირიბად, მონაწილეობას იღებდნენ მამაჩემის მკვლელობაში. შსს მინისტრის მოადგილეს, არჩილ თალაკვაძეს, მიპასუხა, რომ ყველას ვერ მოხსნიან თანამდებობიდან, სანამ მათი ბრალეულობა არ დამტკიცდება. კარგად მესმის ბატონი არჩილის. ის იურისტია და კანონის შესაბამისად ლაპარაკობს, მაგრამ, საქართველოში რომ ყველაფერი კანონიერად ხდებოდეს, მოქმედი პოლიციელები არ აფეთქებდნენ მამას შვილის საფლავზე; უდანაშაულო ხალხის წამებასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილი ადამიანები არ დაიკავებდნენ თანამდებობებს, არ ატარებდნენ იარაღს კანონიერად და მეც სათქმელი არაფერი მექნებოდა. რამე რომ მოხდეს, თუნდაც, მოწმეებზე ზეწოლა ან მკვლელობა, მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ უწყებას, რომელსაც ბატონი არჩილ თალაკვაძე წარმოადგენს. ამასთან, მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს მთავრობას და მის მეთაურს, რომელსაც თხოვნით მივმართე. ეს ნამდვილად არ მსურს. მე ჩემი ვთქვი, დანარჩენი მათ იციან, იმედია, ჩემზე კარგად.



**ჩემი ტრაგედიებიდან გამომდინარე, ჩემთან ცხოვრება იოლი არაა. ჩემმა მეუღლემ ყველანაირი ამიტანა და ყველანაირს გამიძლო**

**– რუსუდან, ბევრჯერ გითქვამთ, რომ მამამ მთლიანად განსაზღვრა თქვენი ცხოვრების გზა.**

– მიჭირს კიდეც გადმოცემა, თუ რამხელა ადგილი უკავია მამაჩემს ჩემს ცხოვრებაში. ის იყო არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა და ბაბუა, მკაცრი ადამიანის იმიჯი ჰქონდა, მაგრამ, ვინც პირადად იცნობდა, დამეთანხმება, რომ ცხოვრებაში იყო დამთმობი, თბილი და მოსიყვარულე. შვილები ვაღმერთებდით და მისი რიდი გვქონდა. დედაჩემი უფრო მკაცრად გვზრდიდა, მამა კი ლოიალური იყო. მასთან ყოველთვის მეგობრული დამოკიდებულება მქონდა, ბავშვურ საიდუმლოებებსაც კი ვანდობდი. ბოლო წლებში კი, თითქოს, ასაკით დავეწიე, ტოლებივით ვიყავით. 1998 წელს, როცა ოჯახის შექმნა გადავწყვიტე, სახლში პირველს მას ვუთხარი. მაშინაც ჟენევაში ვიყავი და ვრცელი წერილი მივწერე (ახლაც მელიმება იმ წერილზე). თუმცა, ურთიერთობაში ზღვარს არასდროს გადავსულვარ. არ ვიცი, რომელი გრძნობა უფრო ჭარბობდა ჩემში – მისდამი სიყვარულის თუ პატივისცემის. ზოგჯერ, მგონია, რომ, როცა ყველაზე მეტად ვჭირდებოდით ერთმანეთს და როცა ყველაზე მეტად ვხარობდით ერთმანეთით, მაშინ წამართვეს მამა.

**– როგორ ცხოვრობთ დღეს ჟენევაში, რას საქმიანობთ?**

– პირად ცხოვრებაზე საჯაროდ საუბარი მერიდება ხოლმე, მგონია, რომ უფრო საინტერესო რაღაცეები ხდება ქვეყანაში. განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია. ჟენევაში რთული გზა გავიარე. სასწავლებლად 2006 წლის ოქტომბერში წავედი. რამდენიმე თვეში, მოულოდნელად, მომიკლეს მამა და ცხოვრება თავზე დამენგრა. გარდა იმისა, რომ მორალურად და ფიზიკურად უნდა გადამერჩინა თავი, ლამის მომკლა პასუხისმგებლობამ. მანამდე არასდროს არაფერი მეხებოდა საკუთარი თავის გარდა და ზოგჯერ საკუთარი თავიც არ მეხებოდა. მთელი ცხოვრება მშობლებისა და ძმების ფრთებქვეშ ყოფნას მიჩვეული, მოულოდნელად თითქმის მარტო დავრჩი სახელმწიფო მანქანასთან. ჟენევაში თან ვსწავლობდი, თან ვმუშაობდი. არაფერი არ მითაკილია, რაც ფიზიკურად შემეძლო და პატიოსანი შრომით თავს გამატანინებდა. უნივერსიტეტში დავხურავდი რაღაც ეტაპს, გამოვიქცეოდი თბილისში, მერე დავბრუნდებოდი და ასე გაგრძელდა 2011 წლამდე. სხვა ქვეყანაში, სულ მარტო, თითქმის უსახსრო, ზოგჯერ ვფიქრობდი, ღირს კი „ერთი – ყველას წინააღმდეგ“ ყოფნა? და, საერთოდ, ღირს ამ უსამართლო ქვეყანაზე სიარული?! ალბათ, როგორ სასაცილოდ არ ვყოფნიდი ძალაუფლებით გაყოყოჩებულ სააკაშვილსა და მისი მკვლელების ბანდას, მაგრამ, რაღაც ძალა მაძლებინებდა. ან, რა უნდა მექნა? უკან დასახევი გზა არ იყო – მამაჩემს ვერ ვუღალატებდი. ვერც იმას წარმოვიდგენდი ვერასდროს, რომ, შვეიცარიაში სასწავლებლად წასული, საბოლოოდ იქ პოლიტიკურ დევნილად დავრჩებოდი. პოლიტიკური თავშესაფარი მოვითხოვე 2010 წლის დეკემბერში, მაშინ, როდესაც არავითარი იმედი აღარ მქონდა, რომ სააკაშვილი ხელისუფლებას ოდესმე დათმობდა. მან შეცვალა კონსტიტუცია და უკვე როგორც პრემიერ-მინისტრი, ისე აპირებდა საქართველოს სათავეში ყოფნას. მისი მომრევი აღარავინ იყო: ნამდვილი ოპოზიცია გაანადგურა – ზოგი მიჩქმალა, ზოგს სახელი გაუტეხა, დანარჩენი მოისყიდა. სწორედ მაშინ მოვითხოვე პოლიტიკური თავშესაფარი. შვე-

**(გაგრძელება 27-ე გვერდზე)**

**რა არის ფობია? საიდან ჩნდება? როგორ უნდა დავთრგუნოთ შიში, რომელიც ადამიანთა უმრავლესობას აწუხებს და რომელიც ხშირად ჩვენს ცხოვრებასა და ყოველდღიურობას ართულებს? ამის შესახებ ფსიქონევროლოგიური კლინიკის ხელმძღვანელს, პროფესორ ბაკურ კოტეტიშვილს ვესაუბრეთ.**

# რატომ იზრდება ფობიების რიცხვი ცივილიზაციის მიღწევებთან ერთად და ვის მეტი შიშები აქვს - მდიდრებს თუ ღარიბებს

**ბაკურ კოტეტიშვილი**: ტერმინი „ფობია" წარმოიქმნა ბერძნული სიტყვიდან – „ფობოს" და „შიშს" ნიშნავს. ცოტა ღრმად თუ გადავხედავთ ძველ ჰელადოსს, პანთეონში ყველა ღმერთან ერთად იყო ღმერთი ჰობოსიც, რომელიც გახლდათ ომის ღმერთის – არესისა და აფროდიტეს შვილი; ასე რომ, ფობოსი თავისი შთამომავლობითაც საკმაოდ კარგი გვარიშვილია (ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს ფენომენი ადამიანის მოდგმას ყოველთვის თან სდევდა ყველა დროში. სხვადასხვა კულტურა, რელიგია და ცივილიზაცია სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევდა შიშს, თუმცა, ეს არის ადამიანის ჩვეულებრივი და აუცილებელი ატრიბუტი, რომლის გარეშეც არ შეიძლება ნორმალური არსებობა, შეგუება და გადარჩენა – ხომ წარმოუდგენელია, კურდღელს მგლის რომ არ ეშინოდეს?! წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად დაიღუპება. ადამიანი ნებისმიერ ასაკში განიცდის შიშს, რომლის გარეშეც ნორმალური არსებობა შეუძლებელია. შიშის უამრავი ფორმა ადაპტირებული ვარიანტია არსებობისთვის, მაგალითად, ხომ არ არსებობს ვინმე, ვისაც არ ეშინია მანქანის დაჯახების?! მთავარი ისაა, რა ფორმით არის გამოვლენილი შიში ადამიანში და რა ფორმით ცვლის ის მის ყოფიერებას, ყოველდღიურობას, ცხოვრების წესს. თუ შიში იმდენად გამოხატულია, რომ ის ცვლის ადამიანის ყოფიერებას, ეს უკვე არის ფობია, რომლის გამოხატულების უფრო რთული ფორმაა აკვიატებული შიში, რომელსაც შფოთვითი დარღვევები და პანიკა მოსდევს. მსოფლიოში ძალიან ბევრი სახეობის ფობია არსებობს – პრაქტიკულად, რაც კი რამ არსებობს ჩვენ ირგვლივ და მათი რაოდენობა ცივილიზაციის მიღწევებთან ერთად იზრდება. ადამიანს ყველაფრის მიმართ შეიძლება ჰქონდეს შიში, მათ შორის, ერთი შეხედვით უცნაურიც, მაგალითად, არსებობს ბალახის შიში, ობობის შიში, საკეტების შიში. თქვენ წარმოიდგენთ, რომ არსებობს აუროფობია – ოქროს შიში? ან ტეტრაფობია – შიში რიცხვი 4-ისა? ამ ფონზე ბევრად უფრო ბუნებრივად მოჩანს თანატოფობია – სიკვდილის შიში, ალგოფობია – შიში ტკივილის მიმართ.



**ფრაზები: „ნელა ჭამე, არ დაიხრჩო", „არ გადაგცდეს" – ბავშვს უფიქსირდება გონებაში და იწვევს შიშს საჭმლის მიმართ**

**– საიდან ჩნდება ფობია?**

– შეუძლებელია, ვისაუბროთ ფობიაზე და არ ვისაუბროთ ტვინზე, რომელიც ყველანაირი – აზროვნებითი, შემეცნებითი, გონიერებითი, აღქმითი პროცესების სათავეა. დიდი ხნის განმავლობაში არ იყო ცნობილი, ტვინის რა ნაწილი, უბნები, რგოლები მონაწილეობენ შიშის ჩამოყალიბებაში, აღქმასა და ინტერპრეტაციაში. ღრმა ნევროლოგიური კვლევები დაიწყო ჯერ კიდევ ფროიდის დროიდან, ხოლო, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ტვინი კიდევ უფრო ღრმად იქნა გამოკვლეული. შიშს თავისი ნეირობიოლოგიური სუბსტრატი აქვს, თუმცა, ეს ერთ კონკრეტულ წერტილში არ მდებარეობს, რადგან, ტვინს მონოფუნქციური უნარი აქვს, რაშიც ტვინის სხვადასხვა უბანი ერთად მონაწილეობს. არსებობს ტვინის ის ნაწილები, რომლებიც, მარტივად რომ ვთქვათ, შიშის ცენტრია; არსებობს ის ნაწილებიც, რომლებიც შიშის ცენტრს ამუხრუჭებს. თუ ეს მუხრუჭის ფენომენი ტვინში არასწორად მუშაობს, მაშინ ხდება განმუხრუჭება, შიში იმატებს და იმატებს და, შესაძლოა, გადავიდეს შფოთვით მდგომარეობაში. ამ მდგომარეობის პიკი არის პანიკა, რომელიც მკვეთრად ცვლის ადამიანის ცხოვრებას და მის ფიზიოლოგიასაც კი. ყველაფერს განსაზღვრავს ტვინი და, მათ შორის – ფობიასაც. შიშის წარმოქმნას ხელს უწყობს გარემოც, სადაც ხდება ადამიანის ჩამოყალიბება. არსებობს ფიქსირებული შიშები, რომლებიც სტრესული სიტუაციებიდან მოდის და შიშად იქცევა. მნიშვნელოვანი ფაქტორია გენეტიკაც, ანუ, არსებობს მემკვიდრეობითი ფობიებიც – თუ მშობელს რაიმე სახის შიში აწუხებს, არის ალბათობა, რომ ეს ფობია შვილსაც დაემართოს.

**– ინგლისელი ფსიქოთერაპევტების მოსაზრებით, რაც უფრო მაღალინტელექტუალია ადამიანი, მით უფრო მეტი ფობია შეიძლება ჰქონდეს მას. თქვენ ეთანხმებით ამ აზრს?**

– ვერ დავეთანხმები ინგლისელ ფსიქოთერაპევტებს. ინტელექტი განპირობებულია თავის ტვინის შუბლის წილთან: რაც უფრო განვითარებულია შუბლის წილი, მით მაღალია ადამიანის ინტელექტი. ფობიები, ჩემი აზრით, განპირობებულია რაც შეიძლება დაბალი დონით და არა მაღლით; ინტელექტუალური ტვინი ფობიას ამუხრუჭებს. დაბალგანვითარებულმა ბევრი რამ არ იცის და, შესაბამისად, მას უფრო იმპულსური ქმედებები აქვს, ვიდრე გააზრებული; მისი თავის ტვინის შუბლის წილი ტვინი ვერ ამუხრუჭებს საფეთქლის ტვინის ნაწილებს. ისიც მინდა გითხრათ, რომ დაბალგანვითრებულ ადამიანსა და საზოგადოებას უფრო მარტივი შიშები აქვთ. რაც უფრო მაღალია განვითარება, მით უფრო გაწყენებულია აზროვნება და, შესაბამისად, შიში თუ ფობია, შეიძლება ითქვას, უფრო გლობალურია. იგივე შეიძლება ითქვას მდიდარი და ღარიბი ადამიანების შიშებზე: მდიდარს, რა თქმა უნდა, უფრო მეტი და მრავალფეროვანი ფობია შეიძლება ჰქონდეს, ღარიბს კი ნაკლები, რადგან, მას მოქმედების მცირე არეალი და დიაპაზონი აქვს.

**– პატარა ბავშვებში არსებობს საჭმლის შიში: ფიზიკურად მოსწონს ბავშვს საკვები, მაგრამ მიკარების ეშინია. საიდან შეიძლება გაჩნდეს ამ ტიპის ფობია?**

– ძალიან მნიშვნელოვანია ის შიშები, რაც ბავშვთა ასაკს ახასიათებს. ეს, საბოლოო ჯამში, გარემოსთან ურთიერთობაში, მშობელთან, ძირითადად, მკვებავთან არის დაკავშირებული. მკვებავი არის ან დედა, ან აღმზრდელი. ძალიან ხშირად, ჩვენი არასწორი წარმოდგენებიდან გამომდინარე, გვაქვს მკვეთრი, აგრესიული და ზეწოლითი ქმედებები ბავშვის კვებასთან დაკავშირებით. ბევრი დედა ძალით უკეთებს და აჭმევს ბავშვს საჭმელს, და, ფრაზები?! „ბოლო ლუკმა რაღა დასატოვებელია?" ჩვენ, მოზრდილებს თუ გვაქვს უფლება, რესტორანში დავტოვოთ საჭმელი, რომელშიც ფულს ვიხდით, ბავშვს ბოლო ლუკმა რატომ უნდა ვაჭამოთ სხვადასახვა თემებზე სპეკულირებით? ფრაზები: „ნელა ჭამე, არ დაიხრჩო," „არ გადაგცდეს," „არ შეჭამო, მოიწამლები" – ბავშვს უფიქსირდება გონებაში, ეს საშინელი უარყოფითი ფენომენები ბავშვში გროვდება და მას საჭმლის მიმართ შიშად უყალიბდება. არსებობს კლაინისა და ლასტის სკალა, თუ რა ასაკში რა შიშია დასაშვები ბავშვებში. ძირითადი შიში, რომელიც ბავშვში ცხრა-ათი თვის ასაკში შემოდის, არის მშობელთან განშორების შიში და საკმაოდ დიდხანს გრძელდება. ბავშვში, ასევე, ბუნებრივია სიბნელის შიში; მოგვიანებით ბავშვში იწყება დიდი საგნების, ცხოველების შიში. მთავარია, ამ სკალის მიხედვით უნდა განისაზღვროს, ნორმალურია თუ არა ეს შიში. არსებობს ფობიების კლასიფიკაცია ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ასაკისთვის არსებობს მისთვის დამახასიათებელი შიშები. მოზრდილ ასაკში ადამიანს შეიძლება ეშინოდეს ეკონომიკური კრიზისის, ლარის ინფლაციის, ომის, მაგრამ, 2 წლის ბავშვმა რომ მითხრას, ტაივანის ეკონომიკის მდგომარეობის მეშინიაო ხომაა ეს არანორმალური და საშიში?! მე რომ გითხრათ, საკუთარი ჩრდილის მეშინია-მეთქი, ჩემს ასაკში ეს უკვე დამაფიქრებელი უნდა იყოს. ბავშვის შიში უნდა შეფასდეს სპეცილისტთან და დაიგეგმოს, რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**– როგორ უნდა დავძლიოთ ფობია?**

– სხვადასხვა მეთოდიკით ყველანაირი შიშის დაძლევა შეიძლება. ადამიანთა უმეტესობა ცდილობს, თავი დააღწიოს ამა თუ იმ ფობიას იმ გზით, რომ, რაც შეიძლება ნაკლები „კონტაქტი" ჰქონდეს შიშის „ობიექტთან". ტრანკვილიზატორების მიღება ანელებს შიშს, თუმცა, ვერ ახერხებს მის აღმოფხვრას. ძალიან ეფექტურია სპეციალისტების, ფსიქოანალიტიკოსების დახმარება. თუ შიში იმდენად მძლავრად არის გამოვლენილი, რომ ადამიანს ცხოვრებაში ხელი ეშლება, აქ უკვე მედიცინის ჩარევაა საჭირო. არის შიში, რომელიც დაიძლევა თვითტრენინგის, შიშის მართვის მეშვეობით, თუმცა, ისთი შემთხვევებიც ხშირია, როცა შიში არაფერს აფუჭებს შენს ყოფიერებაში და, უბრალოდ, მასთან ერთად გიწევს ცხოვრება.

**თამუნა ნიჟარაძე**

**გამონათქვამი – „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“, შეიძლება, ვინმესთვის გაზვიადებულიც იყოს ბევრი ობიექტური მიზეზიდან გამომდინარე, თუმცა, საბედნიეროდ, მართლა არსებობენ ქართველები, რომლებიც ამ გამონათქვამს დამაჯერებლობას ჰმატებენ და ეს განსაკუთრებით ღირებული ხდება მაშინ, როცა ქართველი თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს საქართველოს ფარგლებს გარეთ ამტკიცებს და, არა მხოლოდ ქართველებისთვის, არამედ, მთელი მსოფლიოსთვის სასარგებლო საქმეს აკეთებს. ასეთ ქართველთა რაოდენობა არც ისე მცირეა და მათ შორის არის იგორ ჩელიევი (იაგორ ჭელიძე), რომელმაც თავისი გამოგონებით უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო სამშენებლო ინდუსტრიაში; მასვე მიუძღვის ლომის წილი მეცხრამეტე საუკუნეში გადამწვარი მოსკოვის აღდგენის საქმეში. ჩელიევის საქმიანობისა და გამოგონების შესახებ ვესაუბრეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელს, თამაზ გაბადაძეს.**

# ვინ იყო ქართველი, რომლის გეგმის მიხედვით მოსკოვში აშენდა 6 ტაძარი, 21 მონასტერი, 261 ეკლესია, 129 საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა

**თამაზ გაბადაძე**: კაცობრიობას დღემდე არ შუქმნია უკეთესი სამშენებლო კონსტრუქციული მასალა, ვიდრე ცემენტია. ის, ალბათ, ოცდემეერთე საუკუნეშიც შეუცვლელი დარჩება. მსოფლიოში ყოველწლიურად ასეულ მილიონობით ტონა სხვადასხვა სახის ცემენტი იწარმოება, რომლისგანაც მილიარდობით ტონა ბეტონი და რკინაბეტონის კონსტრუქციები მზადდება. დღეს არცერთი სახის სამშენებლო მასალა იმდენი რაოდენობით არ გამოიყენება პრაქტიკაში, რა რაოდენობითაც ცემენტი, რაც, თავისთავად, მის უნიკალურ თვისებებზე მიუთითებს. წყალსა და სინესტეში ხე ლპება, რკინა იჟანგება, პლასტმასი ბერდება და მწყობრიდან გამოდის, ცემენტსა და მისგან მიღებულ ბეტონს კი, წყალში, პირიქით, სიმტკიცე ემატება; კარგად უძლებს ყინვასა და მაღალ ტემპერატურას, დაწოლასა და ბიძგს. უდიდესი და უნიკალური ნაგებობების მშენებლობა სწორედ ცემენტის გამოგონების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამ უნივერსალური კონსტრუქციული მასალის – პორტლანდცემენტის გამომგონებლად ითვლებიან ინგლისელი ჯოზეფ ასპდინი და წარმოშობით ქართველი იაგორ გერასიმეს ძე ჭელიძე (ჩელიევი), რომელიც ხელმძღვანელობდა 1812 წელს გადამწვარი მოსკოვის აღდგენით სამუშაოებს, ახალი ნაგებობების დაპროექტებასა და მშენებლობას. სამწუხაროდ, ორმოცდაათიან წლებამდე ჩელიევის სახელი მივიწყებული იყო და ცემენტის ავტორად მხოლოდ ასპდინი ითვლებოდა, რომელმაც 1824 წელს ამ მასალის პატენტი მიიღო. 1825 წელს ჩელიევმა რუსეთში გამოსცა წიგნი, რომელშიც აღწერდა მის მიერ მიღებული ცემენტის ტექნოლოგიასა და გამოყენების სფეროებს. ამჟამად კი ოფიციალურ სახელმძღვანელოებში პორტლანდცემენტის გამომგონებლად, ასპდინთან ერთად, ჩელიევიც მოიხსენიება. ამ გამომგონებლების წინაშე მთელი მსოფლიო ვალშია, რადგან, სწორედ ამ ორი ადამიანის გამოგონებამ გახადა შესაძლებელი მსოფლიოში ცათამბჯენების მშენებლობა და, საამაყოა, რომ მათგან ერთ-ერთი ქართველი იყო. სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთი ქუჩა დღესაც ატარებს ჩელიევის სახელს.

**– ჩელიევის ბიოგრაფიული მონაცემები თუ არის თქვენთვის ცნობილი?**

– მეთვრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში, იაგორ ჭელიძის ბაბუას, დავით ჩელიევს, რუსეთის იმპერატორმა უბოძა თავადობა, პოლტავის მიდამოებში მისცა მიწა და ათი კომლი. მისი ვაჟი, გერასიმე, მუშაობდა ქართველ ჰუსართა პოლკში, სადაც კაპიტნისა და სეკუნდ-მაიორის წოდებას მიაღწია. 1771 წელს მას შეეძინა ვაჟი – იაგორი. 6-7 წლის იაგორს მამა გარდაეცვალა. დედა სამხედრო ინჟინერზე გათხოვდა და მათი ოჯახი სარატოვში გადავიდა საცხოვრებლად. 1800 წლიდან ჩელიევი მოსკოვში ცხოვრობს. 1817 წელს იგი



ამ გამოგონებისთვის „...მთელი მსოფლიო ვალშია“ ასპდინის წინაშე. იგივე სიტყვები ეკუთვნის იაგორ ჭელიძესაც

დაინიშნა საპროექტოს ერთ-ერთი განყოფილების დირექტორად, რომელიც მოსკოვის მშენებლობის კომისიის შემადგენლობაში შედიოდა.

**– როგორც ვიცი, მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ნაპოლეონის შემოსევის დროს კუტუზოვის მიერ გადამწვარი მოსკოვის აღდგენაში...**

– დიახ. გადამწვარი მოსკოვის აღსადგენად ალექსანდრე პირველმა მოითხოვა ახალი პროექტების შედგენა, რაც მოსკოვის მთავარსარდალსა და მისი სამოქალაქო მშენებლობის ნაწილის ხელმძღვანელს, გრაფ როსტოპჩინს დაევალათ. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც მეთაურობდა თავადი ციციანოვი. ამ კომისიაში შედიოდა საპროექტო და არქიტექტურის განყოფილება. საპროექტოს დირექტორი ჩელიევი იყო. მისი უშუალო ხელმოწერითაა დამტკიცებული მოსკოვის მრავალი შენობის, არხის, ხიდის, აღდგენის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის პროექტები. ჩელიევის ხელმძღვანელობით შედგა მოსკოვის გენერალური გეგმა, რომელსაც ხელს აწერდნენ ჩელიევი და ციციანოვი. მასში შედიოდა 486 მნიშვნელოვანი შენობა, 6 ტაძარი, 21 მონასტერი, 261 ეკლესია, 129 საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა და ასე შემდეგ. მოსკოვის გენერალური გეგმა ჩელიევმა დასტამბა და გამოსცა. გარდა ამისა, ჩელიევი ხელმძღვანელობდა ყველა გეოდეზიურ, ტოპოგრაფიულ და კარტოგრაფიულ სამუშაოს. 1818 წელს მას დაავალეს, შეედგინა ახალი წყალსარიდებელი არხის პროექტი, რათა გაზაფხულის წყალდიდობის დროს მოსკოვის სანაპიროები არ დატბორილიყო. მან ეს პროექტი წარადგინა და, ამასთან დაკავშირებით, იგი პარალელურად დანიშნეს მოსკოვის სამხედრო ბრიგადის სამშენებლო სახელოსნოების უფროსად. გარდა საპროექტოსი, მის მოვალეობაში შედიოდა ჰიდროტექნიკური და ჰიდროსტატიკური სამუშაოების შესრულებაც. ჩელიევი აპროექტებდა და მონაწილეობდა კიდეც მოსკოვის სანაპიროების, აუზების, შადრევნების არხების, ნაგებობების მშენებლობაში. იგი დაჯილდოებული იყო ვლადიმირისა და ანას ორდენებით, სამამულო ომის მედლით. მინიჭებული ჰქონდა მრჩევლის წოდება. ჩელიევის დახასიათებაში წერია: „იცის არითმეტიკა, გეომეტრია, არტილერია, ფორტიფიკაცია, ექსპერიმენტული ფიზიკა, ქიმია, მექანიკა, ფერწერა, სკულპტურა, სამოქალაქო არქიტექტურა. ღირსია დაწინაურების“. გოლიცინი 1828 წელს წერდა მის შესახებ: „...თავის საქმეში ძლიერ მცოდნეა, ხელმძღვანელობის მრავალ დავალებას ასრულებს დიდი წარმატებით“. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში აგებული მოსკოვის მრავალი ღირშესანიშნავი ადგილი, სანაპირო, არხი თუ შენობა დღესაც ხიბლავს მნახველებს. უდიდესი წვლილი მიუძღვის მათ დაპროექტებასა და მშენებლობაში წარმოშობით ქართველ იაგორ ჭელიძეს. სამწუხაროდ, ამ უნიჭიერესი ადამიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი გაკეთებულა, მაშინ, როცა, სანკტ-პეტერბურგში ერთ-ერთი ქუჩა, როგორც გითხარით, მის სახელს ატარებს, მისი არსებობისა და საქმიანობის შესახებ კი ძალიან ბევრმა ქართველმა საერთოდ არაფერი იცის. არადა, ლიდსის (ქალაქი ინგლისში, სადაც პორტლანდცემენტის მეორე გამომგონებელი – ასპდინი დაიბადა) სამოქალაქო საბჭოს დარბაზში, ბრინჯაოს მემორიალურ დაფაზე, რომელიც ამერიკის პორტლანდცემენტის ასოციაციამ მიართვა ბრიტანეთის ცემენტის მწაროებელთა ფედედრაციას, წერია, რომ ამ გამოგონებისთვის „...მთელი მსოფლიო ვალშია“ ასპდინის წინაშე. იგივე სიტყვები ეკუთვნის იაგორ ჭელიძესაც. ამიტომ, კარგი იქნება, თუ დავაფასებთ ასეთ ქართველებს და ახალგაზრდა თაობებს ინფორმაციას მივაწვდით მათ შესახებ.

**ქეთი კაპანაძე**


**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

გახდი სტუდენტი ყოველგვარი გამოცდის გარეშე და მიიღე სახელმწიფო დიპლომი სპეციალობებში:

ტურიზმი, ინტერნეტტექნოლოგი, კორესპონდენტი, მუსიკოს-რეპეტიტორი.

აუცილებელია საბაზისო ან სრული განათლება. სწავლა დაიწყება ჩარიცხვისთანავე.

**მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №47**
**ტელ: 2-93-66-03; 2-93-54-30; 2-99-96-26; 599-18-89-24.**

**ყოველი შაბათი ეკლესიაში მიცვალებულთა მოსახსენებელ დღედ არის დაწესებული. ჩვენ ვიცით, რომ კავშირი მიცვალებულებსა და ცოცხლებს შორის უწყვეტია და ამ კავშირს მოფრთხილება და სწორი მიდგომა სჭირდება. ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# როგორ გამოიხატება ცოცხლებისა და მიცვალებულების უწყვეტი კავშირი და რატომ არის ჩვენი საქმეები გარდაცვლილის საიქიო ცხოვრებასთან პირდაპირპროპორციული

– ყველა ქრისტიანი კარგად უნდა აცნობიერებდეს, რომ, როგორც არ უნდა ცხოვრობდეს და რამდენ ხანსაც არ უნდა იყოს ამქვეყნად, ადრე თუ გვიან, მაინც იმ სამყაროში გადავა, სადაც გარდაცვლილები ცხოვრობენ. ამიტომ, მიცვალებულებთან ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ აქტი კი არ არის, არამედ, ჩვენი კეთილი ნებაა, ზრუნვაა, რომელსაც მათი სულების საოხად აღვასრულებთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უფლისთვის მკვდარი არავინაა, უფლის წინაშე ყველა ცოცხალია. უბრალოდ, ერთნი აქ ვართ, მეორენი კი წუთისოფლიდან არიან გასულები და სულიერად განაგრძობენ ცხოვრებას. ასე რომ, ის კავშირი, რომელიც ცოცხალ და გარდაცვლილ ადამიანებს შორის არსებობს, მეორედ მოსვლამდე, საყოველთაო განსჯამდე შენარჩუნდება. ამიტომ, სანამ ამქვეყნად ვცხოვრობთ, გარდაცვლილებზე მუდმივად უნდა ვიზრუნოთ: უნდა ვილოცოთ მათ სახელზე; აღვასრულოთ ქველი საქმეები; მოვიხსენიოთ; მათ სახელზე აღვასრულოთ წირვები, პანაშვიდები და ეს გვაძლევს იმის საშუალებას, არა მხოლოდ საკუთარ თავზე ვიფიქროთ, არამედ, მათზეც. დედაეკლესია არ შედგება მხოლოდ ცოცხალი ადამიანებისგან, ის შედგება გარდაცვლილებისგანაც და ჩვენ ყველანი ერთმანეთზე ვზრუნავთ: ცოცხლები – მიცვალებულებზე, ხოლო მიცვალებულები – ცოცხლებზე. ეს კავშირი უწყვეტია და განსაკუთრებით დიდმარხვის პერიოდში ძლიერდება, როცა ზედიზედ სამი შაბათი ჩვენ მიცვალებულებისთვის განსაკუთრებულად ვლოცულობთ.



ის ტრაპეზი, რომელიც ეკლესიაში მსახურებაზე მიგვაქვს, მოხმარდება მღვდელს, ასევე, შეჭირვებულ, უსახსრო ადამიანებს; ეკლესიის წიაღში ეს ყველაფერი იმიტომ არსებობს, რომ, ადამიანი ზრუნავს მიცვალებულზეც და ეხმარება სხვებსაც

**– როგორი ურთიერთობა უნდა იყოს მიცვალებულებსა და ცოცხლებს შორის და როგორ არ უნდა გასცდეს ის ზომიერების ფარგლებს?**

– ჩვენსა და მათ შორის კავშირი ყოველთვის უწყვეტია, ეს კი გამოიხატება ქრისტიანულ სწავლებაში, ანუ, ლოცვით მდგომარეობაში, ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი კარგი საქმეები, პირდაპირპროპორციულია ჩვენი მიცვალებულების სულებთან. ქრისტიანმა, შეიძლება, მიცვალებულისთვის ბევრი რამ გააკეთოს: საკურთხი მიიტანოს ეკლესიაში, სასულიერო პირს გადაახდევინოს პანაშვიდი, მაგრამ, ეს ყველაფერი მხოლოდ გარეგნულ მდგომარეობად დარჩება, თუ მასში ადამიანი სარწმუნოებით არ მონაწილეობს, მისი სარწმუნოება კი დატვირთული უნდა იყოს კეთილი საქმეებით. არავინ იცის, სად არიან ჩვენი მიცვალებულები – სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში. გარეგნული შეხედულებით არასდროს არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, რადგან, არავინ ვიცით, ვინ როგორია გულის სიღრმეში, რას ნანობს, როგორ ცდილობს, მოინანიოს განვლილი ცხოვრება – ეს მხოლოდ მან და უფალმა იციან. ამიტომ, ჩვენ არ გვაქვს უფლება, ვინმე ან ჯოჯოხეთში გავუშვათ, ან – სამოთხეში.

**– როცა ადამიანი გარდაიცვლება, ჭირისუფლები 40 დღის განმავლობაში ლოცულობენ მისთვის, შეძლებისდაგვარად უკეთებენ ყველაფერს: საკურთხს, შეკვეთილ წირვას, პანაშვიდებს და, ცდილობენ, მიცვალებულების მოხსენიების დღეებში მაინც მივიდნენ ეკლესიაში. ეს თუ არის საკმარისი?**

– თუ გვინდა, რომ მათ შევეწიოთ, უნდა ვიყოთ კარგი მართლმადიდებლები. თუ არ ხარ კარგი მართლმადიდებელი, არ ეუფლები საღვთისმეტყველო სწავლებას, არ იღრმავებ ცოდნას, რათა გაიგო, რა სჭირდება შენს მიცვალებულს, გამოდის, რომ მას არ ეხმარები, რადგან, არ გაქვს საკმარისი ცოდნა. თუნდაც, პანაშვიდის დროს მოძღვარმა ლოცვა უნდა შეაჩეროს, მოსახსენებელში მან ყველას სახელი უნდა წაიკითხოს, არავინ არ უნდა გამორჩეს და, ჩვენც, როცა ჩვენს ან ახლობლის სახელს გავიგონებთ, ძალიან ბედნიერები ვართ, რადგან ამით ჩვენი მიცვალებულისთვის იქაურ ცხოვრებაში ყველაფერი გადაწყდა, შეიცვალა – ეს, რა თქმა უნდა, ზედაპირული და ძალიან პრიმიტიული მიდგომაა. როდესაც მიცვალებულის მოხსენიების დღეებია ან პანაშვიდებს იხდიან, იქ ჭირისუფლების მხრიდან ძალიან ბევრი მოსახსენიებელია, სადაც, ასევე, ძალიან ბევრი სახელი წერია. როცა ცოტა ხალხია, არ არის პრობლემა, მოიხსენიებს მოძღვარი და ლოცვაც არ შეწყდება. მაგრამ,

**ბევრს ჰგონია, საკურთხის გაკეთება იმისთვის არის საჭირო, რომ პირდაპირი გაგებით მის მიცვალებულს მიუვა და ეს ძალიან კარგია**

როდესაც ძალიან ბევრი მოსახსენიებელია და მასში წერია ძალიან ბევრი სახელი, ეს ნიშნავს იმას, რომ ლოცვა აღარ არის, რადგან, მამაო კითხულობს სახელებს, რასაც ძალიან დიდ დროს ანდომებს და ამ დროს ლოცვა გაჩერებულია – არ ლოცულობს არც მღვდელი და არც მრევლი. არც ერთ წმიდა მამას არ უთქვამს, რომ ლოცვა უნდა შეწყდეს. ეს გარეგნული მიდგომაა და არც ჰგავს მართლმადიდებლობას – ღმერთმა ხომ ყველას სახელი, გვარი იცის, იცის, ვინ როგორ წავიდა ამქვეყნიდან, რა ხვედრი აქვს. სახელების ამოკითხვა კი არ არის მთავარი დანიშნულება, არამედ, ლოცვა და ჩვენი მიცვალებულების შეწევნაა. დღეს ძალიან ბევრი მოდის ეკლესიაში, ტოვებს თავის მოსახსენიებელსა და საკურთხს, რადგან, ან ეჩქარებათ, ან მეტად აღარ აიძულებენ საკუთარ თავს. ბევრს ჰგონია, საკურთხის გაკეთებაც იმისთვის არის საჭირო, რომ, პირდაპირი გაგებით, მის მიცვალებულს მიუვა და ეს ძალიან კარგია.

**– რისთვის არის საჭირო საკურთხის გაკეთება, ან, აუცილებელია თუ არა ეს? ბევრი ქრისტიანი ხშირად ვერ აკეთებს საკურთხს, ამის გარეშე კი ერიდებათ ეკლესიაში მისვლა და თუნდაც პანაშვიდის გადახდა. სწორია თუ არა ასეთი საქციელი?**

– გარდაცვლილებს არ გააჩნიათ მატერიალური მოთხოვნილებები, არ სჭირდებათ საკვები, უბრალოდ, ამ ყველაფერს მოწყალების სახე აქვს და ეს აღესრულება ჩვენი მიცვალებულების სულების საოხად, მოსახსენიებლად. ის ტრაპეზი, რომელიც ეკლესიაში მსახურებაზე მიგვაქვს, მოხმარდება მღვდელს, ასევე, შეჭირვებულ, უსახსრო ადამიანებს. ეკლესიის წიაღში კი ეს ყველაფერი იმიტომ არსებობს, რომ, ჯერ ერთი, ადამიანი ზრუნავს მიცვალებულზე და, შემდეგ, თავისი მიცვალებულების პატივისცემით, ეხმარება სხვებსაც. ამით, გარკვეულწილად, თვითონაც იმსუბუქებს ცხოვრებას და მიცვალებულის სულზეც ზრუნავს. ეს მოწყალების ფორმაა და ამის გაკეთება აუცილებელი არ არის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ადამიანისთვის მთავარია სარწმუნოება, ლოცვა და პირადი ცხოვრება; ყველაფერი დანარჩენი კი, ანუ, რითაც ვიხარჯებით და რასაც ვაკეთებთ ჩვენი მიცვალებულების გამო – მოწყალებაა, რადგან, ამას ვერ გამოიყენებს მიცვალებული; მოწყალება კი სიყვარულის გამოხატულებაა. ზრუნვა ადამიანებზე – ეს სჭირდება ღმერთს ჩვენგან და ჩვენ გვჭირდება ეს ერთმანეთისგან. შეიძლება, ადამიანმა არ გააკეთოს საკურთხი, მაგრამ, დადგეს, გულით ილოცოს თავისი მიცვალებულისთვის ან, თუნდაც, სხვანაირად დაუდგეს გვერდში სასულიერო პირს. ვიცხოვროთ ქრისტიანულად, თუნდაც იმ 40 დღის განმავლობაში, როცა მიცვალებული ახალი გარდაცვლილია; ვეცადოთ, მარხვა დავიცვათ, კარგი საქმეები ვაკეთოთ, საკუთარ თავზე ვიფიქროთ, ცოდვები მოვინანიოთ – ეს უფრო ქმედითი იქნება, უფრო წაადგება ჩვენს მიცვალებულებს, ვიდრე ის, რომ მივიდეთ ტაძარში და დიდი ტრაპეზი მივიტანოთ.

**ნათია უტიაშვილი**

# ქრისტიანული სასწაულები

## წმიდა ონოფრე გარეჯელი

ერთხელ დავით გარეჯის მონასტერს ლეკები შეესივნენ, მოაოხრეს, იავარჰყვეს, რამდენიმე ბერი, მათ შორის, მღვდელმონაზვნები – მაქსიმე და იოაკიმე, ბერი ონოფრე და კიდევ ოთხი კერძო დიაკონი ტყვედ წაიყვანეს. დატყვევებულთა შორის უხუცესი იყო ღირსი ონოფრე (ერისკაცობაში ოთარ მაჭუტაძე, მეთვრამეტე საუკუნის ქართლელი აზნაური). უსჯულოებს მისი მოკვლა უნდოდათ, მაგრამ სახიერმა უფალმა დაიცვა იგი.

ყოვლადმოწყალე ღვთის განგებულებით, ღირსი ონოფრე გაათავისუფლეს და მონასტერში დააბრუნეს.

ლეკთა შემოსევებისგან მონასტერი ძალზე გაღარიბდა. ერთხელ არქიმანდრიტმა მოუწოდა ღირს ონოფრეს და უთხრა: „სიყვარულისათვის ძმათასა, წარვედ ქუეყანასა ქართლისა და ილვაწე საზრდო, რათა მიიღო გვირგვინი უოხჭნო მორჩილებისა და მეცა წავიდე სხვით კერძო და რაოდენ ძალ მედვას, მოვირენწო“.

ღირს ონოფრეს ეძნელებოდა მონასტრიდან გასვლა, მაგრამ წინამძღვრის კურთხევას დაემორჩილა და ერთ დროს ქართლის უპირველესმა აზნაურმა კარდაკარ დაიწყო სიარული წყალობის სათხოვნელად.

ცხინვალს მიახლოებული ღირსი მამის ყურადღება მიიპყრო მშფოთვარე ბრბომ: ვიღაც ჭაბუკი ეშმაკეულ ქმნილიყო და ურიებთან მიჰყავდათ, რომ მიზეზი შეეტყოთ. ღირსმა ონოფრემ ლმობიერად უთხრა შეკრებილებს: „შვილნო, არა არს საქმე ეგე ყოვლად წესი ქრისტეანთა, არამედ მომგვარეთ იგი აქა“. ავადმყოფის დედა ფეხებში ჩაუვარდა წმიდანს და შემწეობა სთხოვა. ონოფრემ წამოაყენა დედაკაცი და ანუგეშა: „მაქვს მე აქა წმიდის დავითის გარეჯის საფლავისაგან მტვერი ევლოგიად“, წყალში გაურია წმიდანის საფლავიდან აღებული მიწა და ბოროტისაგან გვემულ ჭაბუკს დაალევინა. ავადმყოფი მეყსეულად განიკურნა.

სასწაულის მხილველნი ადიდებდნენ ღმერთს და მის ერთგულ მონას, ონოფრეს. ღირსი მამა გაექცა დიდებას, უმცროსი ვაჟი, იოანე წამოიყვანა და კვლავ მონასტერში დაბრუნდა, თან სამი-ოთხი წლის სამყოფი საზრდო ჩამოიტანა.

ერთხელ მონასტერში მოვიდა ვიღაც არაბი, რომელსაც ცალი თვალი დაზიანებული ჰქონდა და, რადგან არაბული ენა ონოფრეს გარდა არავინ იცოდა, მას გამოელაპარაკა. ღირსმა ონოფრემ წმიდა დავით გარეჯელის წყაროს წყლით მოჰბანა მას სნეული თვალი. ორიოდე დღის შემდეგ მონასტერში მობრუნებულმა განკურნებულმა არაბმა მადლობა შესწირა უფალსა და ღირს ონოფრეს.

... ღირსმა ონოფრემ წინასწარ იგრძნო სიკვდილის მოახლოება, თავის მოძღვარს მოუწოდა და ზიარება ითხოვა. წმიდა ზიარების მიღების შემდეგ ონოფრემ გონება დაკარგა. არქიმანდრიტის კურთხევით, ძმებმა სულთმბრძოლის ლოცვის კითხვა დაიწყეს.

თვრამეტი დღის განმავლობაში წმიდანს ხმა არ ამოუღია, არც არაფერი მიუღია, მხოლოდ თვალები ჰქონდა ზეაპყრობილი და მარჯვენა ხელით პირჯვარს ისახავდა.

ნათლისღების დღესასწაულზე, ლიტურგიის შემდეგ, წმიდანს მართალთა ძილით მიეძინა.

წმინდა ონოფრეს ნეშტი დაკრძალეს წმიდა დავით გარეჯელის საფლავის სამხრეთით, საკურთხევლის სარკმელთან.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რამდენჯერ უნდა გადავიწეროთ პირჯვარი ტრანსპორტში ყოფნისას, როდესაც ეკლესიას ჩავუვლით?**

**პასუხი:** პირჯვრის გადაწერა ერთხელაც საკმარისია, რომ უფლისადმი თქვენი მორჩილება, სიყვარული და ვედრება გამოხატოთ. მთავარია, პირჯვარი სწორად, გამართულად და გულწრფელად გადაიწეროთ.

**კითხვა: ვართ უკვე ასაკოვანი ცოლ-ქმარი. მინდა ჯვარი დავიწეროთ, მაგრამ ჩემი მეუღლე თავს იკავებს. ვფიქრობ, ერიდება. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** თუ გსურთ მეუღლეს უხერხულობა დააძლევინოთ, შეგიძლიათ, ერთ-ერთ ჩვეულებრივ კვირის დღეს, როცა ტაძარში სიხალვათეა, ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე დაიწეროთ ჯვარი. ტაძარში ყოველთვის არის მორიგე მღვდელი, რომელიც ამ საიდუმლოს შეასრულებს. ჯვრისწერა აუცილებელია, რათა თქვენი ცოლქმრობა ღვთისგან იყოს დალოცვილი.



**კითხვა: შეიძლება თუ არა, გრიგორიანულ ეკლესიაში მეჯვარედ გავყვე მეგობარს, თუ თავად მართლმადიდებელი ვარ?**

**პასუხი:** მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის არ შეიძლება მონოფიზიტურ ეკლესიაში მეჯვარეობა, რადგან თქვენ მათ საეკლესიო საიდუმლოებაში მონაწილეობით დაუპირისპირდებით მართლმადიდებლობას.

**კითხვა: ვართ ერთი ბავშვის ნათლიები, გვინდა დაქორწინება, რაზეც ეკლესია უარს გვეუბნება. გთხოვთ, მიგვითითოთ კონკრეტული წყარო, სადაც აღნიშნულია, რომ ჯვრისწერა ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია?**

**პასუხი:** ზოგადად, მართლმადიდებლური ეკლესია კურთხევას არ იძლევა ქორწინებისთვის, თუ საქმე სულიერ ნათესაობას ეხება. ეს საკითხი მხოლოდ იმიტომ არ არის დიდ სჯულის კანონში შეტანილი, რომ იქ იგულისხმება მხოლოდ ერთი ნათლია. თუმცა არსებობს ამის თაობაზე საეკლესიო გადმოცემები, რომლებიც შეტანილია ლიტურგიაში.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## „რა პასუხს გავცემ საშინელ სამსჯავროზე ქრისტეს?“

ეგვიპტის ერთ უდაბნოში ღვთივსათნო ბერი ცხოვრობდა – სახელად დულა. ის პატიოსანი, მოკრძალებული ადამიანი იყო. როდესაც რაიმეს აბრალებდნენ, თავს არ იმართლებდა – ღვთის ჭეშმარიტი მონა იყო. ასეთ მოთმინებაში გაატარა მან ოცი წელი, მაგრამ ადამიანთა მოდგმის მტერი მახეს უგებს მას, ვინც ეშმაკს კი არა, სამყაროს შემოქმედს ემსახურება. როდესაც მან დაინახა, რომ ზეციური მადლით განმტკიცებული მოსაგრის გულს ვერაფრით შეარყევდა, სხვა ხერხს მიმართა.

ერთი ბერი, რომელსაც ღვთის მცნებების შიში არ ჰქონდა და მაცდურ სულს ემორჩილებოდა, ღამით ტაძარში შევიდა და წმიდა ჭურჭელი მოიპარა. საიდუმლო ადგილას დამალა, თვითონ კი სენაკში ჩაიკეტა, საიდანაც იშვიათად გამოდიოდა. როდესაც დილის მსახურების დრო დადგა, ტაძარში კანდელის ასანთებად შესულმა ბერმა დაინახა, რომ წმიდა ნივთები მოპარული იყო და დაუყოვნებლივ ამცნო ყოველივე წინამძღვარს, რომელმაც ეს ამბავი ძმებს შეატყობინა.

სამწუხაროდ, ღირსი მოსაგრე დულა ამ დროს, ავადმყოფობის გამო, დილის მსახურებას არ დასწრებია. ამით ისარგებლა ზოგიერთმა ბერმა, რომლებიც ცუდად იყვნენ მის მიმართ განწყობილი და განაცხადეს, სხვას არავის შეეძლო ამის ჩადენა, თუ არა დულასო. ამის საუკეთესო დადასტურებად კი, მიიჩნიეს, რომ ჩვეულების საწინააღმდეგოდ, დულა დილის მსახურებას არ დაესწრო... ქარაფშუტა ადამიანებმა ცილისწამება დაიჯერეს და ბრძანეს, უდანაშაულო დულა ტაძარში მოეყვანათ.

ავადმყოფობით გატანჯული მოსაგრე ძალით მიიყვანეს ტაძარში. იქ კი წინამძღვრისა და მამების თანდასწრებით არც კი ჰკითხეს, იყო თუ არა მართლა დამნაშავე, ცილისწამება დაუწყეს: ერთნი ამბობდნენ, რომ ის მალულად ჭამდა პურს; მეორენი გაჰყვიროდნენ, რომ პურს იპარავდა და მონასტრის გარეთ ყიდდა. ამის გამგონე წინამძღვარმა და ბერებმა ირწმუნეს ცილისწამება და მუქარით დაუწყეს დაკითხვა უდანაშაულო დულას. მოითხოვდნენ, გაემხილა, სად დამალა ტაძრიდან მოპარული ქონება. თავდაპირველად, ღირსი მოსაგრე თავს იმართლებდა და საკუთარი უდანაშაულობის დამადასტურებელ საბუთებს მოიხმობდა. მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ მისი არ სჯეროდათ, გული გაიმაგრა და დადუმდა, მხოლოდ ხანდახან ამბობდა: „შემინდეთ, წმიდაო მამებო, მე ცოდვილს“.

ამის შემდეგ წინამძღვარმა ბრძანა, გაეხადათ მისთვის საბერო შესამოსელი და საეროთი შეემოსათ. უდანაშაულო დულას მძიმე ბორკილები დაადეს და დასაკითხად ეკონომოსს გადასცეს.

ბოლოს გაღიზიანებულმა წინამძღვარმა და მამებმა დულა ქალაქის თავთან გააგზავნეს, სადაც ახალი ტანჯვა ელოდა.

მეორე დღეს მსაჯულმა თავისთან მოიხმო წინამძღვარი, სხვა ბერები და განუცხადა მათ, რომ დულა არაფერში გამოტყდა. მაგრამ, გასასტიკებულმა ადამიანებმა მისი დანაშაულის დამადასტურებლად ახალი ცრუ საბუთები მოიხმეს. მოტყუებულმა ქალაქის თავმა ხელი მოაწერა განაჩენს, რომ დულასთვის, როგორც სიწმიდეთა შეურაცხმყოფელისთვის ხელი მოეკვეთათ.

უდანაშაულო მოწამე სასჯელის ადგილას გამოიყვანეს... ამ დროს ნამდვილმა დამნაშავემ სინდისის ქენჯნა იგრძნო. მას თავზარი დაეცა და საკუთარ თავს უთხრა: „ვაი მე, რა მელის, თუკი ჩემი დანაშაული გამჟღავნდება? რა პასუხს გავცემ საშინელ სამსჯავროზე ქრისტეს?“ ის დაუყოვნებლივ მივიდა წინამძღვართან და უთხრა სიმართლე: წინამძღვარმა დაუყოვნებლივ შეატყობინა ეს ამბავი ქალაქის თავს და ვნებათა დამთმენი მოსაგრე კვლავ სავანეში დააბრუნეს.

ბერებმა მაშინვე შეიტყვეს მისი უდანაშაულობის შესახებ, გამოააშკარავეს ნამდვილი მიმტაცებელი და ფეხებში ჩაუვარდნენ ღირს დულას, ევედრებოდნენ, შეენდო მათთვის ასეთი მძიმე ცოდვა. მაგრამ, განა შურისძიებას ეძიებს ის, ვინც ქრისტეს მიბაძვით ცხოვრებას ცდილობს, რომელმაც დაითმინა ნერწყვი, გაშოლტვა, ეკლის გვირგვინი და ჯვარცმა?..

ნურავის დანაშაულს ნუ იწამებ, სანამ ამაში დარწმუნებული არ იქნები. ასეთი გაუფრთხილებლობა უდანაშაულო ადამიანს დაღუპავს, დამნაშავე კი დაუსჯელი დარჩება და კიდევ უფრო დიდი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა ექნება.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**



## რატომაა აუცილებელი კომბოსტოს ხშირად ჭამა

უძველესი დროიდან, კომბოსტო ბევრი დაავადების წამლად მიაჩნდათ და ადამიანებს ურჩევდნენ, ის ყოველდღიურ რაციონში შეეტანათ. კომბოსტო შველის უძილობას, კურნავს კუჭს, აამებს თავის ტკივილს, ახორცებს ძნელად შესახორცებელ ჭრილობებს.

არა მარტო კომბოსტოს ფოთოლი, არამედ მისი შუაგულიც, მდიდარია ვიტამინებით.

C ვიტამინს კომბოსტო დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს. მასში, ასევე, უხვადაა B ჯგუფის ვიტამინები და ნივთიერებები, რომლებიც ხელს უშლის სკლეროზისა და გულის დაავადების განვითარებას. ის მდიდარია ფოლიუმის მჟავით, რაც აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევასა და ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში.

სწორედ ამ თვისებების გამოა აუცილებელი კომბოსტოს ხშირად ჭამა.

## რომელი დაავადების დროს უნდა შეზღუდოთ თქვენს რაციონში მარილიანი კერძები

მარილი შეიცავს ნატრიუმს, რომელიც ორგანიზმიდან ჭარბ კალიუმს გამოდევნის, რაც ძალიან მავნებელია. ბევრი ჩვენგანი გაცილებით მეტი რაოდენობით მარილს მოიხმარს, ვიდრე ეს საჭირო და აუცილებელია.

ნატრიუმისა და კალიუმის ბალანსი ორგანიზმში სითხის მარაგის საჭირო რაოდენობით შენარჩუნებას უზრუნველყოფს; ასევე, სისხლძარღვების მუშაობას უწყობს ხელს და აუცილებელია კუჭში მარილმჟავას წარმოქმნისთვის. ორგანიზმში ჭარბი მარილის დაგროვება კი ისევე საშიში და საზიანოა, როგორც მისი დეფიციტი.

ჩვენს ორგანიზმს დღეში დაახლოებით 12-14 გრამი მარილი ესაჭიროება. ჭარბი მარილის კომპენსირება ადვილად არის შესაძლებელი – უნდა იცოდეთ და დაიცვათ შემდეგი პირობა: წლის განმავლობაში მიირთვით მეტი ბოსტნეული, გაზარდეთ სითხის რაოდენობა, სვით ისეთი წყალი, რომელიც მინერალურ ნივთიერებებს შეიცავს.

ორგანიზმში მოხვედრილი ჭარბი მარილი აზიანებს თირკმლებს, გულსა და სასიცოცხლო არტერიებს. ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარღვევისას, ორგანიზმში გროვდება სითხე. რაც შეშუპებისა და ჭარბი წონის მიზეზი ხდება. ძალიან მარილიანი საკვების მიღება იწვევს აგრეთვე, გულის იშემიურ დაავადებებსა და ათეროსკლეროზს.

მარილის ძირითადი რაოდენობა საკვებიდან უნდა მიიღოთ. ასაკის მატებასთან ერთად, იცვლება და იზრდება მოთხოვნა მარილზე, ჯანმრთელ ადამიანს კი ნაკლებმარილიანი და ნაკლებად მწარე საკვების მოთხოვნილება აქვს. უმარილო დიეტა ძალიან სასარგებლოა გაცხიმოვნების დროს. ასეთ შემთხვევაში ყველა კერძი მარილის გარეშე მოამზადეთ. აუცილებლობის დროს კი, მწიკვი მარილი მოაყარეთ მომზადებულ საკვებს.

საკვები უნდა მიიღოთ დღეში 5-ჯერ, სუფრიდან ადგომისას კი ოდნავ დაუნაყრებლობის გრძნობა უნდა გქონდეთ. უბრალო დიეტაში შეგიძლიათ შემდეგი პროდუქტები გამოიყენოთ: დღეში 200 გრამი ხორბლის პური, მჭლე ხორცი, თევზი, მოთუთქული ან უმი ბოსტნეული – კიტრი, კომბოსტო, თალგამი, ლობიო, პომიდორი, კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი; ასევე, ხილი, კენკროვნები, ხაჭო, კვერცხი, ჩაი და ყავა.

უმარილო დიეტის დროს იკრძალება: მაკარონი, შაქარი, ყურძენი, საზამთრო, ბანანი, შებოლილი პროდუქტი, ბურღულეული, მწარე და მჟავე საკვები.

უმარილო დიეტა გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და თირკმლების დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება. ამ დროს უნდა მიირთვათ უმარილო, ორთქლზე მომზადებული კერძები. ასევე, იკრძალება შემწვარი პროდუქტი; კარაქი და ზეთი კი მომზადების შემდეგ უნდა დაამატოთ. მკაცრად გამორიცხეთ ცხიმიანი, მწარე, შებოლილი პროდუქტები, მარინადები, ცხვრის ხორცი და საკონდიტრო ნაწარმი.

## რომელ დაავადებებს იწვევს ხშირი სტრესი და უკონტროლო ემოციები

ხშირი სტრესი იწვევს გულ-სისხლძარღვთა ისეთი დაავადებების განვითარების პროვოცირებას, როგორიც არის არტერიული ჰიპერტონია და ათეროსკლეროზი. სტრესი დიდ როლს ასრულებს გაცილებით საშიში დაავადებების განვითარებაშიც, კერძოდ, ის ნერვული სისტემის უმძიმესი და პრაქტიკულად განუკურნებელი დაავადების – გაფანტული სკლეროზის რისკ-ფაქტორია.

იმ ადამიანებში, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან სტრესის ქვეშ, გაფანტული სკლეროზის შემთხვევები გაცილებით ხშირია. ეს მოვლენა სტრესის შედეგად იმუნური სისტემის ფუნქციის დარღვევასთან არის დაკავშირებული, რაც გაფანტული სკლეროზისთვის დამახასიათებელი მოვლენის, კერძოდ კი, ადამიანის იმუნური სისტემის უჯრედების თავისივე ნერვული ქსოვილის მიმართ აგრესიულობის საფუძველი შეიძლება იყოს.

სტრესმა, შესაძლოა, გამოიწვიოს მიოკარდიუმის ინფარქტი. ნერვული სისტემის გადაჭარბებული აგზნება იწვევს ორგანიზმის დამცველი ძალების სტიმულაციას სიცოცხლისთვის საშიშ სიტუაციებში. ამ დროს ხდება სისხლში მნიშვნელოვანი რაოდენობით სტრესული ჰორმონების გადმოსროლა, რაც იწვევს გულის შეკუმშვების გაძლიერებას და ასტიმულირებს ენერგიით მდიდარი ქიმიური ნივთიერებების მოდინებას. ნერვული სისტემის ზედმეტმა აგზნებამ, შესაძლოა, გულის გაჩერებაც კი გამოიწვიოს. ამიტომ, აკონტროლეთ თქვენი ემოციები და დაიცავით გული.

## შეივსეთ ორგანიზმი კალიუმით

ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანმა საკვებიდან მეტი რაოდენობით უნდა მიიღოს კალიუმი. როგორც წესი, საჭიროა, ორჯერ გაზარდოთ კალიუმის მიღება თაფლის, ახალი ბოსტნეულისა და კენკრის სახით.

კალიუმი საჭირო და აუცილებელია არა მარტო ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, არამედ, კალიუმსა და ნატრიუმს შორის ბალანსის დასაცავად.

წითელი წიწაკა კალიუმის საბადოა, ამიტომ, რაც შეიძლება, დიდი რაოდენობით მოიხმარეთ კერძებში, განსაკუთრებით კი მათ, ვინც 40 წელს გადააბიჯა.

კალიუმის კიდევ ერთი წყაროა წყალში გახსნილი თაფლი და ვაშლის ძმარი.

შტოშის ან ვაშლის 1 ჭიქა წვენი, სასურველია, დღეში ორჯერ დალიოთ, რადგან, ის ორგანიზმს საჭირო კალიუმით უზრუნველყოფს.

კალიუმი არეგულირებს ორგანიზმში კალციუმის ცვლას. ძვლის ცუდი შეხორცების ან მოტეხილობის დროს, აუცილებელია, მეტი კალიუმით მოიმარაგოთ ორგანიზმი და მისი ნაკლებობა სასწრაფოდ შეივსოთ.

## მწვანე ჩაის ყოველდღე დალევა კუჭისა და ღვიძლის კიბოს განვითარებისგან დაგიცავთ

მწვანე ჩაი მდიდარია ნივთიერებებით, რომლებიც აახლებს ადამიანის სისხლძარღვთა კედლების უჯრედებს, ხელს უშლის ადრეული სტადიის სიმსივნეების ზრდის პროცესს. ყოველდღიურად ორი ჭიქა მწვანე ჩაის დალევა კუჭისა და ღვიძლის კიბოს განვითარებისგან დაგიცავთ; ასევე, ის კარგად მოქმედებს გულის მუშაობაზე.

თუ მწვანე ჩაის ნაყენს დროდადრო გამოივლებთ პირის ღრუში, ბაქტერიები განადგურდება და კარიესისგან დაცული იქნებით.

საკვებად კი გამოიყენეთ ისეთი პროდუქტები, რომელთა ჭამა უმადაც შეიძლება, რადგან, თერმული დამუშავების დროს ისპობა სასარგებლო ელემენტებისა და ვიტამინების დიდი ნაწილი.

უმი ბოსტნეული ორგანიზმს იცავს კიბოსგან, ამაგრებს გულსა და სისხლძარღვებს და აქვს ბევრი სხვა სასარგებლო თვისება, რაც ხარშვის დროს იკარგება.

თუ თქვენს რომელიმე წინაპარს ნაწლავის კიბო 40-45 წლის ასაკამდე გამოუვლინდა, დაავადების რისკი თქვენშიც იზრდება. თუ რომელიმე მშობელი, დედმამიშვილი ან ბებია-ბაბუა ავადმყოფობდა

ავთვისებიანი სიმსივნით, საკონსულტაციოდ აუცილებლად მიმართეთ ექიმს, რადგან, ამ დაავადებისგან სიკვდილიანობის რიცხვმა ბოლო დროს ძალიან იმატა.

თუ თქვენი ოჯახის წევრს ან ნათესავს ნაწლავებში პოლიპების წარმოქმნისკენ აქვს მიდრეკილება, აუცილებელია ექიმ-გენეტიკოსთან კონსულტაცია.

დიდი რაოდენობით მცენარეული უჯრედისებისა და მარცვლოვანების დიეტა კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა.

თუ ფიზიკურად მუშაობა გიჭირთ, მაშინ კვირაში 4-5-ჯერ მაინც, ნახევარსაათიანი ენერგიული სიარულით უნდა მიიღოთ ის აუცილებელი დატვირთვა, რაც დადებითად იმოქმედებს ნაწლავებში საკვების გატარებაზე – ეს ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია დაავადების რისკის შესამცირებლად.

### რომელი ალკოჰოლური სასმელი ხსნის დაღლილობის შეგრძნებას

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომელი ალკოჰოლური სასმელი უნდა დალიოს და რა რაოდენობით, რომ ძალები აღიდგინოს და დაღლილობაც მოიხსნას.

თუ ალკოჰოლის დალევა საღამოს გადაწყვიტეთ, მაშინ, ქვემოთ მოყვანილი რჩევები გაითვალისწინეთ:

* ამ დროს ღვინოს აშკარა უპირატესობა აქვს, რადგან ის ალკოჰოლს შედარებით ნაკლები რაოდენობით შეიცავს და მისით თრობა გარკვეული პერიოდის შემდეგ იწყება. მაგრამ, თუ დიაბეტი გაწუხებთ, საღამოს ღვინის დალევა კატეგორიულად გეკრძალებათ;

* არაყს მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ. ის ალკოჰოლის წყალხსნარია და ეიფორიიდან სიმთვრალეში გადასვლის ძალიან მცირე პერიოდი აქვს.

* ლუდში შემავალი მცირე ალკოჰოლი და ამინომჟავები ფსიქოლოგიურ ბარიერს ხსნის, მაგრამ, დიდი რაოდენობით ლუდის დალევა დიდი რაოდენობით სითხის მიღებას ნიშნავს, რაც შარდის ბუშტზე ცუდად მოქმედებს და ღამის საათებში აუცილებლად შეგაწუხებთ.

* დაძინებამდე დაახლოებით ორი საათით ადრე კარგია ერთი სირჩა კონიაკის გადაკვრა. ის მდიდარია ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე და, ასევე, ადვილად ხსნის დაღლილობას.

### როგორ მოვუაროთ შინაგან ორგანოებს

კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებისას ავადმყოფს მუცლის არეში სიმძიმის შეგრძნება აღენიშნება. ამ დროს ხდება ნაღვლის ამოფრქვევა, რომელიც წვავს ლორწოვან გარსს, რამაც, შეიძლება, კიბოს დაავადებაც კი განავითაროს.

ჭამის შემდეგ ნუ დაწვებით ზურგზე, რადგან ამ დროს ხდება დაწოლა თორმეტგოჯა ნაწლავზე, საკვები და ნაღველი ამოიფრქვევა და მთელ ტრაქტზე გაიბნევა, ეს კი ლორწოვანი გარსის ანთებას იწვევს.

უმჯობესია, ჭამიდან 2-3 საათის შემდეგ დაწვეთ.

კუჭის წყლულის, კოლიტისა და ბრონქიტის დროს შემდეგი ნაყენი გიშველით:

1 სადილის კოვზ წვრილად დაჭრილ ნედლ მრავალძარღვას (ან აფთიაქში ნაყიდ გამხმარ ფოთოლს) დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, შეფუთეთ და აცადეთ გაციება. შემდეგ გადაწურეთ და ეს ნაყენი დალიეთ 1 ჩაის კოვზი, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

თირკმელი ქვიშებისა და პატარა კენჭებისგან გაიწმინდება, თუ ორი დღის განმავლობაში, ყოველ ორ საათში ერთხელ, დალევთ სელის თესლის ნახარშს: 1 ჩაის კოვზ სელის თესლს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დაამატეთ ცოტა ლიმონის წვენი. ეს ნაყენი გამოდევნის პროცესს ერთიორად დააჩქარებს.

რაც შეეხება ღვიძლს, ის შედარებით აქტიურია ღამის საათებში, ამიტომ, უძილობის პრობლემები სწორედ ამ დროს იწყება.

ყურადღება მიაქციეთ ღვიძლს, თუ ღამით შინაგან დაძაბულობას ან შიშს გრძნობთ, დილით კი უმიზეზო თავბრუხვევა ან თავის გამჭოლი ტკივილი გაწუხებთ.

ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს უძილობა თქვენი მუდმივი თანამგზავრი შეიძლება გახდეს. დილით კი, შესაძლოა, ჰაერის უკმარისობამ შეგაწუხოთ.



## ექიმის რჩევები

**კითხვა: მაქვს წყლული თორმეტგოჯაზე. ვმკურნალობ და დიეტაზე ვარ. მოხარშული საქონლის ხორცი და ხორცის ან ქათმის ნახარში შეიძლება, რომ შევჭამო (ბულიონი)? ასევე, უცხიმო რძე, სოკო (სოკოს მარინადი), ჩაი, სალათები და ბოსტნეული თუა რეკომენდებული?**

**პასუხი**: წყლულოვანი დაავადების დროს რაციონში შეიძლება, ჩავრთოთ: პურფუნთუშეული (თეთრი ფქვილის), კვერცხი (თოხლო ან ორთქლზე მომზადებული ომლეტის სახით); სუპი (ბოსტნეულის); ხაჭო; წყალში ან ორთქლში მოხარშული ხორცი (საქონლის, ქათმის, ხბოს კატლეტი, გუფთა, პიურე, რულეტი), თევზი, ბოსტნეული (სტაფილო, კარტოფილი, ჭარხალი, ყაბაყი, გოგრა); ბურღულეული და მაკარონის ნაწარმი (წიწიბურა, შვრია, ბრინჯი); მცენარეული ცხიმი; ხილი; სითხეები (ასკილის ნახარში, არამჟავე ბოსტნეულისა და ხილის წვენები, უგაზო მინერალური წყალი). რაციონიდან უნდა ამოიღოთ: ცხიმიანი ხორცი და თევზი, განსაკუთრებით - შემწვარი; სოკოს სუპი; ცხვრის, საქონლისა და ღორის ქონი; ცხარე სანელებლები; ძეხვი, შაშხი; კონსერვები; ჭვავის პური, ნაზუქი, ნამცხვარი; ალკოჰოლური სასმელები; ნაყინი. გამწვავების პერიოდში თავი უნდა შეიკავოთ წყლულისთვის მავნე საკვებისგან. ასეთია: ხორცის ნახარში (ბულიონი); შაშხი; მჟავე და ცხარე კერძები, მწნილი, მარინადი; ხილი და კენკრა; სანელებლები; კონსერვები; ახალი პური, საფუარიანი ცომეული; გაზიანი სასმელები.

**კითხვა: ხელის კიდურებზე ზამთარ-ზაფხულს მაქვს სიწითლე. ხელები სულ ცივი მაქვს. ზამთარში კი სიწითლეს ემატება ისიც, რომ თითებზე პატარ-პატარა წითელი გამონაზარდებიით აღმენიშნება, რომელიც ხელის დაჭერით მტკივნეულია. ეს ქრონიკულად გრძელდება, თვეში ერთხელ მიჩნდება ეს გამონაზარდები და ყოველგვარი მკურნალობის გარეშე, კვლავ ქრება. გთხოვთ, მიპასუხოთ, რა დაავადებაა ეს და ვის მივმართო?**

**პასუხი**: როგორც წესი, ეს პრობლემა მიუთითებს სისხლის მიმოქცევის დარღვევაზე. ეს შეიძლება იყოს გულის ქრონიკული დაავადება, მცირედი მოყინვა, მემკვიდრეობითი დაავადება. ასეა თუ ისე, წითელი ხელები მიუთითებს სისხლის დუნე ცირკულაციაზე. „წითელი წანაზარდები" კი, სავარაუდოდ, კანის კაპილარული ჰემანგიომაა. აუცილებლად და დროულად მიმართეთ ანგიოლოგს.

**კითხვა: ამ ბოლო ხანებში ძალიან მივეჩვიე უმი ნივრისა და ხახვის მიყოლებას სადილის ან ვახშმის დროს. მაინტერესებს, რამე სახის გვერდით მოვლენას ხომ არ მივცემ სტიმულს ამით?**

**პასუხი**: თუ კუჭის წვას და გაღიზიანებას არ იწვევს, შეგიძლიათ მიირთვათ.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

**როდესაც ცხოვრებაში წარუმატებელი პერიოდი იწყება, მხოლოდ მაშინ ვიწყებთ იმაზე ფიქრს, თუ რა გავაკეთეთ არასწორად, როგორ შეიძლება პრობლემის მოგვარება, როგორ უნდა შევიმსუბუქოთ ცხოვრება. ხშირად, გვინდა, ირგვლივ ყველაფერი მოვაწესრიგოთ, ისეთი გარემო შევიქმნათ, რომ თავი მშვიდად და კომფორტულად ვიგრძნოთ და, სწორედ ამ ცვლილებების დროს ვუშვებთ გაუაზრებელ შეცდომებს. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ლია ამბობს, ამ საკითხს მეტად ფრთხილად და ცოდნით უნდა მივუდგეთ და ყველა დეტალი გავთვალოთ, რომ ყოველივე ამან მომავალში პრობლემების წინაშე კი არ დაგვაყენოს, არამედ, სიამოვნება მოგვანიჭოს და წარმატებისკენ გვიბიძგოს.**

# როდის ხდება ადამიანი ბოროტი ძალების მსახური და რა კავშირშია ამასთან საკუთარი გემოვნებით მოწყობილი საცხოვრებელი

**– ქალბატონო ლია, დღეს ბევრი ამჯობინებს, იყიდოს მიწა და საკუთარი დიზაინითა და გემოვნებით ააშენოს საცხოვრებელი სახლი. თუმცა, არ ინტერესდება იმ ადგილის ენერგეტიკით, რასაც ჩვენი წინაპარი დიდ ყურადღებას აქცევდა. ეს გამართლებულია?**

– ძველად, იმ ადგილს, სადაც სახლის აშენება უნდოდათ, წინასწარ კარგად შეისწავლიდნენ და, თუ ენერგეტიკულად საშიში იყო, ახლოსაც აღარ ეკარებოდნენ. დღეს უამრავი ხელსაწყო არსებობს ამის დასადგენად. დამიჯერეთ, იმ ადგილას დაგროვილი ენერგიები, სადაც სახლის აშენებას გეგმავთ, დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი, უდიდეს გავლენას ახდენს იქ მცხოვრებ ადამიანებზე. საცხოვრებლის ყველა კუთხე-კუნჭული ენერგიის დაგროვებას იწყებს და ეს ენერგია მოდის როგორც მიწიდან, ასევე, ადამიანებისგანაც. ამიტომ არის, რომ დადებითი აურის მქონე ადამიანების ბინაში ყოფნა გსიამოვნებთ, უარყოფითი ენერგიის მქონე სახლში კი ფორიაქობთ და ეს ცუდი აურა შემდეგ დიდხანს გაგყვებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

**– როგორ მივხვდეთ, დაგროვდა თუ არა ბინაში უარყოფითი ენერგია?**

– ეს ძალიან მარტივია. კარგად დააკვირდით, სახლში ყოფნისას ხომ არ შფოთავთ, გეწყებათ თავის ტკივილი, ავეჯზე ხშირად ჩნდება თუ არა მოთეთრო ლაქები, ჭკნება ქოთნის ყვავილები და ასე შემდეგ. თუ შინაური ცხოველი გყავთ, კარგად დააკვირდით მის ქცევებსაც. მაგალითად, თუ ძაღლი ნერვიულად დადის ოთახიდან ოთახში, ყეფს და იღრინება, ესე იგი, ამ უარყოფით გავლენას განიცდის. ხოლო, თუ კატა ხშირად გარბის გარეთ და არ სურს სახლში შემოსვლა, ესეც იმის მანიშნებელია, რომ ის სახლში დაგროვილ ცუდ ენერგეტიკას არიდებს თავს.

ბინის ყიდვისას კარგად უნდა გაიმახვილოთ გრძნობითი ორგანოები. ჯერ ერთი, გირჩევთ, კარგად გაარკვიოთ, ვინ ცხოვრობდა იქ, რა იყო ამ სახლში გარდაცვლილთა სიკვდილის მიზეზი და რამდენად წარმატებულები იყვნენ ცხოვრებაში.

**– ამის გარკვევა როგორ შევძლოთ უბრალო ადამიანებმა?**

– შედით ბინაში, ცოტა ხანს დადექით და, თუ იგრძნობთ, რომ სახლის აურა დადებითად მოქმედებს თქვენზე, ესე იგი, შეგიძლიათ, ეს ბინა შეიძინოთ. სახლის მოსაწესრიგებლად, რემონტის ჩასატარებლად, კოსმეტიკური სამუშაოების ჩასატარებლად თუ საცხოვრებლის ასაშენებლად მხოლოდ ფინანსები და დრო როდია საკმარისი. გირჩევთ, მსგავს საკითხებში პროფესიონალები ჩართოთ, მათ შორის – პარაფსიქოლოგებიც, რომლებიც ისეთ საიდუმლოებებში გაგარკვევენ, უზრუნველი ცხოვრება რომ მოიწყოთ. მართალია, მეტყვით, ყველას თავისი გემოვნება აქვს და თავისი შეხედულებისამებრ თუ გემოვნებისამებრ იწყობს ბინასო, მაგრამ, მე სხვისი გემოვნების კი არა, სპეციალისტების და, კონკრეტულად, ამ სფეროში მომუშავე იმ ადამიანების აზრის გათვალისწინება ვიგულისხმე, რომელთა რჩევაც თქვენთვის კომპეტენტური იქნება, რათა მომავალში საცხოვრებელ გარემოში შეტანილმა არასწორმა შტრიხმა პრობლემა არ შეგიქმნათ. ეს, რასაკვირველია, აგარაკებსაც ეხება, სადაც შვებულების დროს ისვენებთ და გინდათ ძალებისა და ენერგიის მოკრება-აღდგენა. გაითვალისწინეთ, არ უნდა ააშენოთ სახლი ხეობის შესასვლელში ან გამოსასვლელში, რადგან, სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, წარმატების ნაცვლად, საწინააღმდეგო შედეგს მიიღებთ. ასევე, არ უნდა ააშენოთ ან იყიდოთ სახლი გზაჯვარედინზე, რადგან, ასეთ საცხოვრებელში წარუმატებლობის შანსი იზრდება და ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობები ვერ ლაგდება. კარგია, თუ სახლის კარი და ფანჯრები დასავლეთისკენაა მიმართული, იქ კი გზა გადის, რადგან, ასეთ გარემოში ადვილია სიმშვიდის, ჰარმონიისა და ბედნიერების მოპოვება, პირადი ცხოვრების ადვილად აწყობა და გარშემო მყოფების აგრესიისა და ავი თვალისგან თავდაცვა. პირადად მე, რამდენი კერძო სახლიც ვნახე, თითქმის არსად არ არის დაცული პარაფსიქოლოგიური კანონები და ბევრისგან მსმენია კიდეც, ასეთ წამოჭიმულ ფეშენ-სახლებში რაც ხდება. ამიტომ, როდესაც გადაწყვეტთ, აიშენოთ კერძო სახლი და ირგვლივ სხვა საცხოვრებელი სახლებიცაა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ის რჩევები, რომლებიც მომავალში თქვენს კეთილდღეობაზე აგებს პასუხს. მოკლედ, თქვენი სახლი არ უნდა იყოს ირგვლივ მდებარე სახლებზე ძალიან მაღალი. როცა სახლი ყველა მხრიდან ღიაა და იზოლირება შეუძლებელია, ადამიანები მოუსვენრად გრძნობენ თავს. ამ დროს სახლიდან გაედინება დადებითი ენერგიები და მათი ეგრეთ წოდებული „შეკავება" და ცირკულაცია საცხოვრებელში ვერ ხერხდება. ასეთი დისჰარმონია კი უეცარი დაავადებების მიზეზი შეიძლება გახდეს. ყველა მსგავსი წესი, რომელიც წინაპრებისგან მოდის, სრული სიმართლეა. სახლი ის ადგილია, სადაც დღის დაძაბული რიტმისა და მომქანცველი მუშაობის შემდეგ ადამიანმა უნდა დაისვენოს და თავი კომფორტულად იგრძნოს. თუმცა, ბევრი ამბობს, რომ მათთვის მსგავსი იდილია და სიმშვიდე უცხოა. ალბათ, არც კი დაფიქრებულხართ იმაზე, ვის ეკუთვნოდა წინათ ბინა, რომელიც შეიძინეთ და ცხოვრობთ ოჯახთან ერთად, ან, რომელიც მემკვიდრეობით გერგოთ; რა ვნება და რა ძალა ტრიალებდა იქ თქვენს მისვლამდე. ფაქტებითაა დადასტურებული, რომ, იმ სახლში, სადაც ბოროტი ადამიანები ცხოვრობდნენ, უარყოფითი ენერგია დიდხანს ტრიალებს. ასეთი ბინის შეძენისა და იქ დასახლების შემდეგ კი, შესაძლოა, ბოროტი ძალების მსხვერპლი თავად გახდეთ და დიდი ხნის წინ მომხდარი ტრაგედია წლების შემდეგ კვლავ განმეორდეს. ხშირად ხდება, რომ, მოგეწონებათ სახლის დიზაინი, შეხვალთ შიგნით და – უმაღლეს დონეზეა რემონტი ჩატარებული, გამოტენილია ძვირფასი ავეჯით და ნივთებით, მაგრამ თქვენ მაინც უცნაური გრძნობა გეუფლებათ და გინდათ, მალე დატოვოთ იქაურობა, არასდროს გიფიქრიათ ამაზე? ჰოდა, დაფიქრდით და აუცილებლად გაითვალისწინეთ ის რჩევები, რაც მოგეცით, თუ გსურთ, ისედაც დაძაბულ ცხოვრებაში კიდევ მეტი დაძაბულობა და პრობლემა არ შეიქმნათ და საკუთარ თავს ზედმეტი სირთულეები არ შეუქმნათ.



**კარგად დააკვირდით, სახლში ყოფნისას ხომ არ შფოთავთ, გეწყებათ თავის ტკივილი, ავეჯზე ხშირად ჩნდება მოთეთრო ლაქები, ჭკნება ქოთნის ყვავილები და ასე შემდეგ**

**ნონა დათეშიძე**

# პლანეტის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელები

*კომპანია REPUCOM-ის გლობალური სპორტული მარკეტინგის ექსპერტებმა გამოკითხვითა და სოციალურ ქსელებზე დაყრდნობით შეადგინეს და გამოაქვეყნეს მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ფეხბურთელების რეიტინგი:*

**1. კრიშტიანუ რონალდუ** – *„რეალი", პორტუგალიის ნაკრები.*

ფაქტები, რომლებმაც რონალდო მესიზე წინ დააყენეს, საკმაოდ შთამაგონებელია: პორტუგალიელი თავდამსხმელი რესპონდენტთა 83 პროცენტმა იცნო. „ფეისბუქზე" მას 82 მილიონი მეგობარი ჰყავს, „ტვიტერზე" კი – 26 მილიონი ხელმომწერი. ამას დაემატა: 2013 წლის შედეგებით მოგებული „ოქროს ბურთი" და ჩემპიონთა თასი კლუბის შემადგენლობაში, ბომბარდირის რეკორდები და ტელევიზიის ეკრანზე ხშირი გამოჩენა; ასევე, მისი მეგობარი გოგონა ირინა შეიკი – მოდელი, ასევე ცნობილი საზოგადოებისთვის.



**2. ლიონელ მესი** – *„ბარსელონა", არგენტინის ნაკრები.*

გაზაფხულამდე ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა, თუმცა, სეზონის ბოლოს უფერულმა თამაშმა მესის რეიტინგი ცოტა შეარყია, თუმცა, საეჭვოა, ეს არგენტინელი ფორვარდის ცნობადობაზე ასახულიყო, რადგან მუდმივად ილებენ რეკლამებში და, უკვე სამი წელია, მსოფლიოში პოპულარული თამაშების სერიის – FIFA-ს სახეა. მესის პლანეტის მოსახლეობის სამი მეოთხედი იცნობს, მაგრამ „ფეისბუქზე" მხოლოდ 52 მილიონი მეგობარი ჰყავს, „ტვიტერზე" კი – მხოლოდ 2 მილიონი ხელმომწერი.

**3. ჟერარ პიკე** – *„ბარსელონა", ესპანეთის ნაკრები.*

ჟერარის ასეთი წარმატება ორი-სამი წლის წინ ფანტასტიკის სფეროში თუ განიხილებოდა. მაღალი დონის დამცველის, ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის ტალანტი და ოსტატობა უდავოა, მაგრამ მისი ასეთი პოპულარობა, სულაც არ არის ფეხბურთის მოედანზე მისი მიღწევების დამსახურება. ამაში ლომის წილი კოლუმბიელ მომღერალთან – შაკირასთან მხურვალე რომანს, მასთან ქორწინებასა და შვილს მიუძღვის. ახლა პიკეს ცნობს მოსახლეობის 59 პროცენტი, ხოლო სოციალურ ქსელებზე მასთან 20 მილიონი ადამიანი მეგობრობს.

**№4** ადგილზე ფეხბურთელთა თანავარსკვლავედში „ჩელსის" ესპანელი ფორვარდი **ფერნანდო ტორესია.** მისი ცნობადობა გატანილმა გოლებმა კი არ გამოიწვია, არამედ მისმა წარსულმა და მიმზიდველმა გარეგნობამ. სოციალურ ქსელებში ფერნანდოს 5 მილიონი ადამიანი ადევნებს თვალს.

**№5** და **№6** ადგილებზე, თითქმის იდენტური მაჩვენებლებით, **უეინ რუნი** და **ანდრეს ინიესტა** არიან. „ფეისბუქზე" ორივეს დაახლოებით 20 მილიონი მეგობარი და „ტვიტერის" 9 მილიონი ხელმომწერი ჰყავთ. რუნის მოსახლეობის 56 პროცენტი ცნობს, ინიესტას – 53.

**№7** გახლავთ „ფეხბურთის ჯასტინ ბიბერი" (როგორც მას უწოდებენ) – „ბარსელონას" მეთვრამეტე ნომერი ბრაზილიელი **ნეიმარი**. ის ჯერ მხოლოდ ერთი წელია, რაც ევროპაში თამაშობს და უკვე ბევრის გული მოიგო. სამხრეთ ამერიკაში კი ყველა იცნობს, რაშიც გარეგნობაც უწყობს ხელს.

**№8** და **№9** ადგილებზე **იკერ კასილასი** და **ზლატან იბრაგიმოვიჩი** არიან. მათ ამაში „ვაჟკაცური უნიკალურობა" დაეხმარა, თუმცა, სრულიად საწინააღმდეგო ტიპაჟები არიან: ესპანელი გოლკიპერი წესიერი ბიჭია, სამაგალითო პროფესიონალი, იბრა კი – პირიქით, გამომწვევი ქცევით გამოირჩევა და ყოველთვის ცდილობს, თავისი ღირსებები წარმოაჩინოს.

ტოპ-რეიტინგის ბოლო, **მე-10** ნომერია ფრანგი **ტიერი ანრი**. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა და „ოქროს ბურთის" არაერთგზის პრიზიორმა ამერიკაში მივლინებით მოახერხა, მნიშვნელოვნად აემაღლებინა პოპულარობა. ანრის დედამიწის მოსახლეობის ნახევარი იცნობს, რაც არც ისე ცუდია ფეხბურთელისთვის, რომელიც უკვე აღარ გამოდის არც ჩემპიონთა ლიგაში და არც ნაკრებში.

# კრივის სპექტაკლი რინგზე

ამერიკელმა მოკრივემ, ელიოტ სეიმურმა აღიარა, რომ კრივის საღამოზე მისი ნოკაუტით წაგება 62 წლის ჰოლივუდელ მსახიობთან მიკი რურკთან, ჩაწყობილი იყო. სპორტსმენის თქმით, მას დაავალეს, ორთაბრძოლა მეორე რაუნდში წაეგო, რაც გააკეთა – დაეცა კორპუსში დარტყმის შემდეგ. ამასთან, დასძინა, რომ მისი ყველა ილეთი ქორეოგრაფიული ელემენტი იყო. რინგზე ამ სპექტაკლის მოწყობისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლის შემდეგ სეიმურს ჰონორარის სახით 15 ათას დოლარს შეჰპირდნენ და მხოლოდ 10 ათასი გადაუხადეს.



მსახიობის წარმომადგენელი და პრომოუტერი ანდრეი რიაბინსკი, ტურნირის ორგანიზატორი მოსკოვში, უარყოფს მოლაპარაკების ფაქტს, სეიმური კი აცხადებს, რომ ეს ტყუილი რურკის ხალხმა მუქარით აიძულა. „როგორც ჩემთვის ცნობილია, რურკმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და ამ „სცენართანაც" არანაირი კავშირი არ ჰქონდა. ის გულლია და კარგი ადამიანია", – განაცხადა მოკრივემ. სკანდალის შემდეგ გაირკვა, რომ 29 წლის ელიოტი უსახლკაროა, წელიწად-ნახევარია, ქუჩაში ცხოვრობს და ამ „სპექტაკლში" მონაწილეობის ფინანსური მდგომარეობის გამო დათანხმდა.

მიკი რურკმა კრივში მეცადინეობა 12 წლისამ დაიწყო. პროფესინალურ რინგზე მან რვა ბრძოლა ჩაატარა და 6-ჯერ გაიმარჯვა, ბოლო შეხვედრა ამერიკელ შონ გიბსონთან ფრედ დაამთავრა. კრივს თავი ტრავმების გამო დაანება. რინგზე დასაბრუნებლად კი ის ცნობილი სპეციალისტის, თავის დროზე მაიკ ტაისონის მწვრთნელის, ფრედი როუჩის ხელმძღვანელობით ემზადებოდა.

# დამნაშავე თუ თანამედროვეობის საკულტო ფიგურა

Wikileaks-ის დამფუძნებელი ჯულიან ასანჟი ავსტრალიაში, ქალაქ თაუნსვილში დაიბადა 1971 წელს. მოხეტიალე იყო მისი ბავშვობა, ისევე, როგორც მთელი ცხოვრება. არავინ იცის, ვინ იყო ჯულიანის მამა. დედამისი რამდენჯერმე გათხოვდა და ერთ-ერთისგან კი ვაჟიც გააჩინა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ, სექტა, რომლის წევრიც მისი ქმარი იყო, მშობლებს ახალშობილს აშორებდა. ამიტომ, ჯულიანი, დედასთან და ნახევარძმასთან ერთად, იძულებული იყო, დამალულიყო და საცხოვრებელი ადგილიც ხშირად შეეცვალა. ასეთი ცხოვრების სტილით სკოლაში სწავლა გამორიცხული იყო; თანაც, დედამისი ფიქრობდა, რომ სწავლების არსებული სისტემა წარსულის გადმონაშთი იყო, თუმცა, მან მაინც ყველაფერი გააკეთა, რომ ჯულიანს განათლება მიეღო. თვითნასწავლი ბიჭუნა ზუსტი მეცნიერებებით იყო გატაცებული. მისთვის კომპიუტერი რომ ეყიდა, დედამ ოჯახი ნაკლებად კომფორტულ ბინაში გადაიყვანა. ასანჟი სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ, არცერთიდან არ აუღია დიპლომი.

პროგრამისტმა და ჰაკერმა ასანჟმა ჯერ კიდევ ფართო ინტერნეტიზაციამდე შექმნა ორგანიზაცია „ჭიები – ატომური მკვლელების წინააღმდეგ". 90-იანი წლების დასაწყისში ჯულიანი კომპიუტერული სისტემის შეტევაში დაადანაშაულეს, თუმცა, ჯარიმით გადარჩა. ჯულიან ასანჟის მთავარი პროექტი Wikileaks-ის საიტი გახდა. მისმა დამფუძნებელმა, დედასთან ერთად, ავსტრალიაში გაუკეთა ორგანიზება პროექტს, რომლითაც სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის კორუმპირებულ ორგანიზაციებს ამხელდა. სწორედ კორუფციის გამოაშკარავება იყო ამ საიტის მთავარი მიზანი. პირველი ხმამაღალი საბუთი იყო სომალის ჩინოვნიკების დასჯის დადგენილება, რამაც ჯულიანიც და თავად „ვიკილიკსიც" მსოფლიოს საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოაქცია; ამას მოჰყვა ომები ავღანეთსა და ერაყში; ჟურნალისტებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტები ირანის კონფლიქტში. ასანჟმა მაქსიმალურად გაასაიდუმლოა როგორც საიტი, ისე ინფორმაციის წყაროები. მისი განთავსების ადგილად კი შვედეთი აირჩია. 2013 წლისთვის საიტზე საიდუმლო დოკუმენტების ასობით გიგაბაიტი აიტვირთა, რომლებშიც მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი პირები მოხვდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ დიდ სიფრთხილეს იჩენდა, ასანჟი მაინც მოექცა სამართალდამცველების ყურადღების ცენტრში: ამერიკასა და ინგლისში სახელმწიფოს მტრად გამოცხადდა, შვედეთმა კი მას სექსუალურ ძალადობაში დასდო ბრალი და, ორი დაზარალებული ქალის ჩვენების საფუძველზე, სასამართლომ მისი დაკავების დადგენილებაც გამოიტანა. ასანჟი ეკვადორის საელჩომ შეიფარა და კომფორტული აპარტამენტებიც მოუწყო, თუმცა, პოლიციამ მისი დაკავება დღემდე ვერ შეძლო. 2012 წელს ასანჟმა ბარაქ ობამასაც კი მიმართა...

ასანჟი თანამედროვეობის საკულტო ფიგურად იქცა და ამას მისადმი რეჟისორების ინტერესიც ამტკიცებს: Wikileaks-ის დამფუძნებელზე გადაიღეს სერიალი – „ჯულიან ასანჟის ისტორია" და ფილმი – „მეხუთე ხელისუფლება". მისი პერსონაჟი გამოჩნდა ცნობილ მულტსერიალ „სიმპსონებში", ხოლო თავად ასანჟი მრავალ ფილმში, სერიალსა და დოკუმენტურ პროექტში გადაიღეს. ბევრჯერ თავად იყო პროდიუსერიც, სცენარისტიც და რეჟისორიც. 2016 წელს კი მისი მონაწილეობით გამოვა ფილმი – „ცხოვრების აზრი".

**გვერდი მოამზადა ლაშა გაბელიამ**



# რა არ უნდა გარისკოს ცოლ-ქმარმა და საჭიროა თუ არა მათ ურთიერთობაში სრული გულახდილობა

**ცოლ-ქმარს შორის მყარი ურთიერთობის გარანტი ნდობააო – ასე მიიჩნევენ ფსიქოლოგები, მაგრამ, ვერ თანხმდებიან იმაზე, საჭიროა თუ არა სრული გულახდილობა, ანუ, უნდა ჰქონდეს თუ არა წყვილს ერთმანეთთან რამე დამალული. შეიძლება, ეს ყველამ თავად უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ, ზოგჯერ ისინი სტერეოტიპების ტყვეობაში იქცევიან და სერიოზულ შეცდომებსაც უშვებენ, რომელთა გამოსწორებაც შემდგომში საკმაოდ რთულდება.**

**ელზა** ***(38 წლის):*** მე ძალიან ვიყავი შეყვარებული ჩემს ქმარზე, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ცოლად გავყვებოდი. როგორც კი ვიგრძენი, რომ გრძნობა გაჩნდა, იმ დღის მერე არც მიფიქრია, ჩემი საყვარელი ადამიანისთვის რამე დამემალა.

**– დამალვაში რა იგულისხმება და, ზოგადად, რას ნიშნავს, იყო ბოლომდე გულახდილი? ბოლომდე გულახდილები საკუთარ თავთანაც კი არ ვართ.**

– პრინციპში, გეთანხმებით. ზოგჯერ საკუთარ თავსაც არ ვუტყდები ხოლმე რაღაც-რაღაცეებში, მაგრამ, ეს სხვა რამეა, მე რაზეც ვსაუბრობ, იმასთან კავშირი ნაკლებად აქვს. მე მართლა სულ მჯეროდა, რომ ცოლ-ქმარს შორის გულახდილობა მთავარია. ეს ისე მქონდა გამჯდარი, რომ სხვანაირად ვერც წარმომედგინა.

**– ანუ, საკუთარი სტერეოტიპის ტყვეობაში აღმოჩნდით?**

– ტყვეობაში აღმოვჩნდი? დიახ, შეიძლება, ასეც ითქვას, მაგრამ, რთულია, გაექცე იმას, რისიც გჯერა და გწამს. იქნებ, ეს არის კიდეც სტერეოტიპი, მაგრამ, უფრო შინაგან რწმენას დავარქმევდი. რეალურად რომ შევხედოთ, შენს მეორე ნახევარზე ახლობელი ვინ უნდა იყოს ან რატომ უნდა იყოს? მაგრამ, ეს ყველაფერი ბევრად რთული ყოფილა. მე ფსიქოლოგი არ ვარ და ვერ ავხსნი იმას, რაც ადამიანის ტვინში ხდება, მაგრამ, ფაქტია, რომ, ფიქრობ ერთს და გამოდის მეორე, თავისით და მოულოდნელად! როცა მივხვდი, ეს ჩემი წარმოდგენები მთლად კომფორტში არ მამყოფებდა, რაღაცეების წაკითხვა დავიწყე. ძალიან ბევრი ფსიქოლოგი წერს, რომ ოჯახურ თანაცხოვრებაში ნდობაა მთავარი.

**– მაგრამ, ნდობა არ ნიშნავს სრულ და უსაზღვრო გულახდილობას. პირიქითაც ამბობენ – ქმარს ყველაფერი არ უნდა მოუყვე, მთავარი შენთვის უნდა შეინახოო...**

– მეც მსმენია ეგ, მაგრამ, რაღაცნაირად, სხვა აზრზე ვიყავი, სხვა რამის შინაგანი მოთხოვნილება მქონდა. სიყვარული შთამაგონებდა – ის შენი ყველაზე ახლობელი ადამიანია... ყველაზე, ყველაზე საყვარელი და ძვირფასი... როგორ შეიძლება, ყველაფერი არ მოუყვე-მეთქი.

**– მაინც, რა უნდა მოუყვე ასეთი?**

– მაგალითად, წარსულის შესახებაც საკმაოდ გულახდილი ვიყავი. მოვწონდი მამაკაცებს და ეს მისთვის არ დამიმალავს. ჩემს ქმართან შეხვედრამდე სერიოზული შეყვარებული, სერიოზული ურთიერთობა არ მქონია. ორი კაცი კი მომწონდა, მაგრამ, ზედაპირულად და მალევე დავემშვიდობე, არაფერი განსაკუთრებული.

**– მაშ, რაღა იყო მოსაყოლი?**

– არ ვიცი, რა გიპასუხოთ. ვიფიქრე, ჯობია, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დავიწყო-მეთქი. თვითონაც მომიყვა, ვის ხვდებოდა ჩემამდე და ამას ნორმალურად შევხვდი – მოვუსმინე და დავივიწყე. რატომ უნდა „ჩამეხვია"? არც ჩემი ქმარი ჩანდა ეჭვიანი და ღიმილით მისმენდა. ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ამ ყველაფერს დაიმახსოვრებდა... და, კიდევ ბევრ რამეს ვერ წარმოვიდგენდი.

**– მაინც, რას?**

– გეტყვით. რადგან ყველაფერს ვუყვებოდი, ჩემი ქმრის ხასიათის ზოგიერთ ცუდ თვისებას. მე იმავე „რეჟიმში" გავაგრძელე ურთიერთობა ქორწინებაშიც: ყოველი დღის შესახებ ვუყვებოდი, ჩემი განცდების შესახებაც მოვუთხრობდი... თუ ვინმე სოციალურ ქსელში მსუბუქად წამეფლირტავებოდა, სიცილით და ხუმრობით ვეუბნებოდი. მეგონა, ისიც ჩემსავით ერთობოდა, მაგრამ, მწარედ მოვტყუვდი. 38 წლის ქალისთვის მამაკაცის მხრიდან კომპლიმენტები, დამეთანხმებით, ძალიან სასიამოვნოა და ამას არც ვმალავდი. მერე რა მოხდა-მეთქი, ვფიქრობდი, – პირიქით, ხომ უნდა ესიამოვნოს ქმარს, როცა ასეთი ცოლი ჰყავს-მეთქი. ეს კი, თურმე, ნელ-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ იბოლმებოდა.

**– თვითონ არ გეუბნებოდათ, რომ არ სიამოვნებდა ამ ყველაფრის მოსმენა? არ ეტყობოდა მაინც გაღიზიანება?**

– არა, პირიქით, მეუბნებოდა, კარგია, რომ ყველაფერს მიყვები და ასეთი გულახდილი ურთიერთობა გვაქვსო... მერე დამიწყო გამოკითხვა, – რას გრძნობ, როცა მამაკაცი დაჟინებით გიყურებს... როცა ფოტოს გიწონებს... როცა აღფრთოვანებით გწერს, რომ ძალიან მოსწონხარ და უნდიხარო... ვეუბნებოდი, მე არ ვეკონტაქტები ძალიან აჟიტირებულებს; კაცს რომ მოვწონვარ, ეს კი მსიამოვნებს-მეთქი. არც მიფიქრია, რომ სერიოზულ რისკზე მივდიოდი ასეთი

> **ერთ დღეს, დამსვა და ბოროტი გამომეტყველებით მითხრა, მოყევი, რას მიმალავო**

გულახდილობით. საკმაოდ ყურადღებიანი და გულისხმიერი ქმარი იყო, ალერსსაც არ მაკლებდა. სისულელეა იმაზე ლაპარაკი, რომ, შეიძლებოდა, სხვა მამაკაცზე მეფიქრა, ამის მინიმალური შანსიც კი არ არსებობდა. თან, ერთიორჯერ ჩემმა ქმარმა თქვა, ვერ ვიტან „მოთამაშე" ქალებს, ვერ ვიტან მათ ფარისევლობას... საშინელებაა, როცა ქალი შენთან სიამოვნებას ვერ იღებს და თავს ისე გაჩვენებს, თითქოს ბედნიერიაო. მე ასეთ ცოლს ერთი დღეც არ ავიტანო და ვეთანხმებოდი.

**– დიდ რისკზე წასულხართ.**

– სამწუხაროდ. ოღონდ, მე ამას ვერ მივხვდი და კინაღამ ოჯახი დამენგრა, კინაღამ ძალიან სერიოზული კონფლიქტი დავიტეხე თავზე. ძალიან გულუბრყვილო აღმოვჩნდი. არადა, საკმაოდ ზრდასრული და ჩამოყალიბებული გავთხოვდი – 32 წლის. სტაბილურად ბედნიერი ვიყავი მთელი ხუთი წელი და, როცა ვიფიქრე, ჩემს ოჯახურ სიმყუდროვეს არაფერი ემუქრება-მეთქი, მაშინ გართულდა ყველაფერი. თურმე საკუთარ თავთანაც არ უნდა იყო ბოლომდე გულახდილი, მით უმეტეს, ნდობა ხომ საკმაოდ საჩოთირო თემაა. მე ამდენი გულახდილობით ჩემი ქმრის ნდობა დავკარგე, უკურეაქცია გამოვიწვიე.

**– რანაირად?**

– გეტყვით. რადგან ყველაფერს ვუყვებოდი, იფიქრა, ეს იმიტომ ყვება ამ წვრილმანებს, მთავარის გადაფარვა უნდაო, ანუ, აშავებს რაღაცასო. წარმოგიდგენიათ? ეს იყო ჩემთვის სრული შოკი. ერთ დღეს, დამსვა და პირდაპირ მითხრა, თანაც ბოროტი გამომეტყველებით (მანამდე ჩემი ქმარი ასეთი არ მინახავს), მოყევი, რას მიმალავო. პირი დავაღე. გავგიჟდი, რას ამბობ-მეთქი. რას ვამბობ და, მე შენში ეჭვი მეპარება, თანაც, სერიოზულადო. მატყუებ, ვიღაც გყავსო. რამდენი მატირა და რამდენი მანერვიულა, ვერ გეტყვით. მთელი კვირა მაწამებდა. დაკითხვაზე მეგონა თავი. სიტყვებით ამის გადმოცემა ძალიან ძნელია. თავი შემძულდა. რა არ ვუთხარი, რა არ ვემუდარე და ვეფიცე, ვერაფრით გადავარწმუნე.

**– ანუ, იეჭვიანა?**

– დიახ. თუმცა, ამას ეჭვიანობა აღარ ჰქვია. სული ამომხადა და მხდის. აღარ დამთავრდა – დაიწყო და ასე მიდის ყოველდღიურად, გამწვავებებით და უმნიშვნელო ჩაცხრობებით. ძალიან გამირთულდა ცხოვრება. ისე ცუდად ვარ, გაღვიძებისა და ახალი დღის მეშინია. ჩემი ქმარი მთლიანად შეიცვალა. სულ შარზეა, სულ რაღაცაზე მეკიდება, სულ რაღაცას ქექავს და ეძებს. მობილურში მესიჯებს მიმოწმებს, კარადაში – ტანსაცმელს...

**– კარადაში ტანსაცმლის შემოწმება რას ნიშნავს?**

– არ მკითხოთ! რას ნიშნავს და, დილით ნახულობს, რა როგორ დევს ან კიდია... მერე საღამოს ისევ ნახულობს – აბა, სადმე ხომ არ გაველი. ნამდვილი ჯოჯოხეთია. არსად დავდივარ – მეშინია, რომ მეჩხუბება. ფანჯრიდან ვერ გადამიხედავს თამამად. სახლში მოულოდნელად დაბრუნებას დაეჩვია: რომ მგონია, წასულია და საღამომდე არ მოვა, უცებ შემომიღებს კარს. ასეთ რეჟიმში ცხოვრებამ ბოლო მომიღო.

**– არ ცდილობთ, აუხსნათ, რომ მართალი არ არის?**

– ვაიმე, ვცდილობდი, ვცდილობდი და ბოლოს დავიღალე. ყოველ ასეთ მცდელობას ისეთი ჩხუბი და სკანდალი მოჰყვება ხოლმე, რომ, აღარ მიღირს. სულ სკანდალი ხომ არ მექნება ოჯახში, დავანგრიო ჩემი დიდი სიყვარული?

**– ისევ გიყვართ?**

– რა თქმა უნდა, მიყვარს. როგორ შეიძლება, აღარ მიყვარდეს? ის ჩემი ყველაზე საყვარელი და ახლობელი ადამიანია, მიუხედავად ყველაფრისა. იქნებ გაუაროს, იქნებ დაწყნარდეს – ამის იმედიღა მასულდგმულებს და მაცოცხლებს. ეს რა დამემართა! აიკვიატა, ის შენი ძველი შეყვარებულებიც უნდა ვნახო, გავიგო, რა ურთიერთობა გქონდათ, რომელიმე მათგანს ხომ არ დაუბრუნდიო. როგორ დავაშავე, რომ ასეთი სისულელე ჩავიდინე. რა გულახდილობანა ამიტყდა! მეგონა, ქმართან მეტ სიახლოვეს მივაღწევდი, შარში კი გავყავი თავი. არავის ვურჩევ, მომბაძოს. არაფრის მომცემი არ არის უსაზღვრო ნდობა და გულახდილობა, პირიქით, რაც მეტ გონიერებასა და სიფრთხილეს გამოიჩენ, უკეთესი ყოფილა. გვიან მივხვდი ამას და ძალიან ვნანობ.

**დალი მიქელაძე**

## თავისუფლება – ნიუანსებით...

თავისუფლება ჩვენ შიგნით არის და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რა დოზით გამოვავლენთ მას. ყოველი ჩვენგანი მეტ-ნაკლებად არის შეზღუდული ტრადიციებით, წესებითა და სტერეოტიპებით. ხშირად მოუსმინეთ საკუთარ გულისთქმას და უკეთესად მიხვდებით, რაშია თქვენი ცხოვრების არსი, ცხოვრებისა, რომელიც რაღაც კონკრეტული მისიისთვის მოგეცათ.

უკეთ გაიცანით საკუთარი თავი. იპოვეთ საქმე, რომლის კეთებაც მართლა მოგწონთ და გიყვართ. შეიძლება, არც იცით, რომ ქსოვა ან ქარგვა მოგწონთ; ან – დეკორაციების შექმნა ან ხატვა. მოინდომეთ და აუცილებლად იპოვით სასარგებლო გასართობს, რომელიც სიამოვნებასაც მოგგვრით და სხვასაც მოუტანს სარგებელს.

ჭეშმარიტად თავისუფალი მაშინ იქნებით, როცა საკუთარი თავის, საკუთარი სურვილების მართვას ისწავლით. ნუ შეგეშინდებათ ექსპერიმენტების – ისინი საკუთარი თავის აღმოჩენაში დაგეხმარებათ. თითოეულ დღეს შეუძლია, ჩვენი შესაძლებლობის ახალი საზღვრები გვაჩვენოს და მაშინ ჩვენი ყველა სურვილი რეალიზებული იქნება, გეგმები კი – შესრულებული.

ნურც ნურაფრის შეგეშინდებათ. გახსოვდეთ, ხვალინდელი დღე ყოველთვის უფრო პოზიტიური და დადებითი იქნება. ცხოვრება ბევრჯერ მოგვცემს შანსს, ცხოვრება უკეთესობისკენ შევცვალოთ – ეს ხომ ჩვენს ხელშია!

## ძვირფასი თუ პრაქტიკული

ვის არ უყვარს საჩუქარი... რომელი ქალი არ იქნება კმაყოფილი და ბედნიერი, თუკი საყვარელი მამაკაცი ძვირფასეულობით გაანებივრებს. მაგრამ, ყოველთვის ნიშნავს საჩუქარი იმას, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ? მაგალითად, მამაკაცმა გაჩუქათ ძვირფასი სამკაული, ექსკლუზიური ნამუშევარი, ან ხელოვნების ნიმუში... რას იფიქრებთ?!

ერთი შეხედვით, ის ადამიანი, რომელმაც ასეთი ძვირფასი საჩუქარი მოგიძღვნათ, ხელგაშლილია, კეთილი, მზრუნველი და ყურადღებიანი. მას ამით უნდოდა, თავისი დამოკიდებულება გამოეკვეთა თქვენ მიმართ. ეჩვენებინა, რაოდენ მნიშვნელოვანია თქვენი ურთიერთობა. მეორე მხრივ კი, თვალსაჩინოს ხდის თავის სტატუსს. შეიძლება იმიტომ, რომ დაბალი აქვს თვითშეფასება. აწუხებს კომპლექსები...

ამით ცდილობს, ყურადღება საჩუქრისკენ მიმართოთ და მას ნაკლებად დააკვირდეთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე არ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ.

ძვირფასი საჩუქარი თითქოს რაღაც პასუხისმგებლობასაც გაკისრებთ. ასე არ არის?! ასეთი საჩუქრის გამჩუქებელი ხშირად ახდენს მანიპულირებას სხვაზე თავისი საჩუქრებით. ერთი სიტყვით, სიფრთხილე არ გაწყენთ. რა თქმა უნდა, ეს მარტო შეყვარებულს და თაყვანისმცემელს არ ეხება. ძვირფასი მეუღლეც შეიძლება, იყოს მანიპულატორი.

ძვირფასი კარგია, მაგრამ იყავით უფრო პრაქტიკული – ეს ნამდვილად არ იქნება ზედმეტი.

## კეთილი სურვილები!

კეთილ ადამიანებს ბედი გაცილებით ხშირად უღიმის... ზღაპრები მაინც ხომ წაგიკითხავთ, ყველა ზღაპრის არსი სწორედ იმაშია, რომ თუ კეთილშობილი ხარ, ბოლოს აუცილებლად გაგიმართლებთ, მიზანსაც მიაღწევთ და ბედნიერიც იქნებით.

ასეთი „ზღაპარი“ რეალობად აუცილებლად იქცევა. უბრალოდ, ამის ძალიან, ძალიან უნდა გჯეროდეთ. რწმენაა ის სტიმული, რომელიც კეთილი საქმეების კეთებისკენ გიბიძგებთ. თუმცა, ყველაფერი ისე რომ მოხდეს, როგორც ჩვენ გვინდა, ატმოსფეროსაც აქვს მნიშვნელობა. თქვენ თავად მიხვდებით, რა განსაკუთრებული გარემოა თქვენთვის ხელისშემწყობი.

შეინარჩუნეთ და ხშირად გამოავლინეთ სითბო, სიხარული, იუმორის გრძნობა, ხალისი და ის სიყვარული, რომელიც გულში გაქვთ.

კიდევ ერთიც, გახსოვდეთ – სიცოცხლე ბედის ყველაზე დიდი საჩუქარია... ასი წლის წინაც კი ადამიანებს ისეთივე პრობლემები ჰქონდათ ურთიერთობებში, როგორიც ახლა აქვთ... ხვალ აღარც გემახსოვრებათ მიზეზი, რომლის გამოც საყვარელ ადამიანს წაეჩხუბეთ... ან უბრალოდ, გაგეცინებათ მასზე... ისწავლეთ, რომ რაღაც-რაღაცეებს ყურადღება არ მიაქციოთ და კეთილი სურვილები საჯაროდ გამოიტანოთ... ეს აუცილებლად დაგიბრუნდებათ უკან, შეიძლება, ორმაგადაც კი.

## ფლირტი ორისთვის!

ეფლირტავეთ საკუთარ ქმარს... აუცილებლად ეფლირტავეთ! ქორწინებაში ფლირტი, უბრალოდ, აუცილებელია. თუ არ იცით, ისწავლეთ.

ცხოვრობს ზოგიერთი ათი, ოცი, ოცდაათი წელი ერთ პარტნიორთან, ერთ სახლში, ერთ ჭერქვეშ... თითქოს მოსაწყენი უნდა იყოს ასეთი შეჩვეული ყოველდღიურობა, მაგრამ არა – მათ მაინც უხარიათ ერთმანეთი; მაინც იზიდავს და ხიბლავთ ერთად ყოფნა; ისევ უნდათ, ხელიხელჩაკიდებულებმა იარონ... როგორ მოვახერხოთ, რომ ჩვენც ვიყოთ ასეთი ბედნიერები?! ნუთუ, ფსიქოლოგიური განათლებაა აუცილებელი, რომ ოჯახურ ჰარმონიას მივაღწიოთ? „მეორე ნახევარი“ მითი არ არის, რეალობად ის ჩვენ უნდა ვაქციოთ, თან ისე, რომ საკუთარი მთლიანობაც არ დავარღვიოთ. თურმე, მთავარი ყოფილა, დავრჩეთ რომანტიკოსებად ცხოვრების ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი. სიგიჟეა? პრინციპში, რატომაც არა?! ცოტა სიგიჟე აუცილებელიც კია. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ რომანტიკული პერიოდის შემდეგ, რომელიც მხოლოდ სამ წელიწადს გრძელდება, წყვილის ურთიერთობაში ისადგურებს მომაბეზრებელი რუტინა და ერთფეროვნება. მით უმეტეს, როცა პარტნიორი ძალიან შორს არის იდეალისგან. ასეთ დროს, უნდა ჰკითხოთ საკუთარ თავს, გინდა თუ არა ეს ადამიანი გვერდით და, თუ გინდათ, იდეალი თავად უნდა შექმნათ, პირადად თქვენთვის ანუ, თქვენს „თარგზე გამოჭრათ“, თქვენივე სიამოვნებისთვის ნურასდროს დაგავიწყდებათ, რომ ქალი ხართ, ამიტომ, იკეკლუცეთ სამზარეულოშიც კი – წინსაფარიც მოიხდინეთ, რათა მიხვდეს თქვენი ძლიერი მეორე ნახევარი, რომ გვერდით სასურველი ქალი ჰყავს – თქვენ ეს გამოგივათ. ბოლოს და ბოლოს, წარმოიდგინეთ, რომ ახლა აპირებთ მის მოხიბვლას. თუ შეძლებთ და ისევ დააბრუნებთ რომანტიზმს თქვენს ცხოვრებაში, მაშინ ყველაფერი ძალიან, ძალიან კარგად იქნება.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ზოგჯერ მეჩვენება, რომ ოჯახური ცხოვრებისთვის არ ვარ შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულით გავთხოვდი და პირველი ოთხი წელი ნორმალურად ვიცხოვრე ქმართან, ახლა ვგრძნობ, რომ ისიც და ბავშვიც ძალიან მაღიზიანებენ. სულ მარტო ყოფნა მინდა, ჩემთვის. თან, თავს დამნაშავედ ვგრძნობ. რა მეშველება?!**

**გამოხმაურება:** მარტო დარჩენის, საკუთარ თავთან განმარტოების სურვილი დანაშაული არ არის, პირიქით, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. უბრალოდ, უნდა შეძლოთ ამ ბუნებრივი სურვილის სოციუმთან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ოჯახთან ადაპტაცია.

მთავარია, არ გახდეთ აგრესიული და არ შეიბოჭოთ კომპლექსებით. პრობლემა მოგვარდება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

# რა კავშირში იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი დიმიტრი ყიფიანის მკვლელობასთან და რის საფუძველზე მისცა ისინი პოლიციამ პასუხისგებაში

*ქართველ თავად-აზნაურთა 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, რუსეთში ვერაგულად მოკლული დიმიტრი ყიფიანი, როგორც იცით, აქტიურად მონაწილეობდა ბატონყმობის გაუქმების გეგმის მომზადებაში; იყო სათავადაზნაურო ბანკისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი; სწორედ მისი დაარსებულია ახლანდელი თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის პირველი დირექტორიც თავად გახლდათ.*



*დიმიტრი ყიფიანმა და ნინო ჭილაშვილმა ჯვარი 1845 წლის 22 იანვარს დაიწერეს. ცოლ-ქმარს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მათ ექვსი შვილი შეეძინათ, სამი მათგანი მცირეწლოვან ასაკში გამოეცალათ ხელიდან. ნინო 1902 წელს გარდაიცვალა. მათ დარჩათ შვილები: ნიკოლოზი, კონსტანტინე და ელენე. იმ ადამიანის შთამომავლები, რომლის ხსოვნასაც აკაკიმ ულამაზესი ლექსი – „განთიადი" უძღვნა, დღეს თბილისში, ჩვენ გვერდით ცხოვრობენ. თბილისელი ქალბატონი ლალი პატარაია დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილის, ნიკოლოზის ქალიშვილის – ელისაბედის შვილი გახლდათ. ჩვენ ქალბატონი ლალის ქალიშვილს, თამარ მიქაძეს ვესაუბრეთ.*



**თამარ მიქაძე:** ეროვნულ საკითხებში დიმიტრი ყიფიანისთვის ამოსავალი წერტილი იყო დებულება, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ ის ერი შეიძლება დადგეს პროგრესის გზაზე, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე. ლიტერატურული მოღვაწეობა კი დიმიტრი ყიფიანმა თარგმნით დაიწყო: ქართულად თარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა", რუსულ ენაზე თარგმნა გიორგი ერისთავის „გაყრა"... 1882 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა „ახალი ქართული გრამატიკა", რომლის გამოცემასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სკოლების დევნის პერიოდში. 1886 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის, ჩუდეცკის მკვლელობის გამო, საქართველოს ეგზარქოსმა პაველ ლებედევმა ქართველი ერი დაწყევლა. ეს ყიფიანმა ვერ აიტანა და მას საქართველოს დატოვება მოსთხოვა. „ამბობენ, რომ თქვენ დაწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან. თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეურაცხმყოფელი დაუყოვნებლივ იქნას გაყვანილი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან". ამის გამო ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც მეფის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს. გაზეთი „ივერია" იუწყებოდა, რომ დიმიტრი ყიფიანი თავის ოთახში თავში მძიმე და ბლაგვი საგნის ჩარტყმით მოკლეს. თავისა და პირსახის ძვლები სულ ჩამტვრეული ჰქონდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მკვლელობა გაძარცვის მიზნით მოხდა, რაც სიმართლეს არ შეეფერება. როდესაც ილია მოკლეს, მასზეც ასეთივე ცრუ ინფორმაცია გავრცელდა. დიმიტრი ყიფიანის მკვლელობამ ხალხში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ვალერიან გუნიას გადმოცემით, თურმე ილია იმ პერიოდში პირმოკუმული და წარბშეკრული დადიოდა და ქვემო ტუჩმა დაუწყო თრთოლა, ვანო მაჩაბელს კი ნერვიული ტირილი ავარდნია. პოლიციამ მაშინ პასუხისგებაში მისაცემად შეადგინა ურჩ პირთა სია, რომელშიც შეყვანილი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ანტონ ფურცელაძე, ვალერიან გუნია... 1887 წელს, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვისას, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით ხალხმრავალი ყრილობა გაიმართა – სეროოზული, მძლავრი დემონსტრაცია. „დიმიტრი იყო ჩვენი ხუროთმოძღვარი, ჩვენ კი – მისი კალატოზები" – ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის აზრი...



დიმიტრის მამა, ქოჩო ყიფიანი, სააბაშიოდან გადმოსახლებული აზნაურიშვილი ყოფილა და ჩასიძებულა ქართლში მცხოვრები ფურცელაძეების ოჯახში. დიმიტრის ბებიებიც ქვიშხეთში გადასულან. ათი წლის დიმიტრი კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს. არსებობს პატარა დიმიტრის ჩანაწერები, რომელშიც იმ წლებს სევდიანად იხსენებს.



უფროსების მიერ შეგირდების ცემა-ტყეპა დაკანონებული იყო სასწავლებელში. პატარა დიმიტრი, მიუხედავად მორიდებული და თავდაჭერილი ყოფაქცევისა, ვერ ასცდა ყურების აწევასა და ხელების დალურჯებას. ერთხელ ვიღაცამ, თურმე, ზარი ჩამოკრა ეზოში, რაც დიმიტრის დაბრალდა და სკოლის დირექტორმა უდანაშაულო ბავშვი სცემა; მეორედ კი თათრული ენის მასწავლებელმა ადინა ცხვირიდან სისხლი, რის გამოც მასწავლებელი თვითონვე შეშინებულა და დირექტორთან გაქცეულა. დიმიტრის ბედად, კაბინეტში გენერალი ბაგრატიონ-მუხრანსკი შესულა და ძალიან გაბრაზებულა: კეთილშობილთა სასწავლებელში ხომ თავად-აზნაურთა შვილებს ზრდიან, თმის გლეჯა, ცემა-ტყეპა ამგვარი რამ შეუწყნარებელიაო, – უთქვამს.

მეცხამეტე საუკუნის თბილისში ლიტერატურული საღამოები იმართებოდა. სალონებს მშვენიერი ქალბატონები ამშვენებდნენ. მამაკაცები მაშინ სპარსეთის ომში იყვნენ გაწვეულნი. ამიტომ, მეტი რა გზა იყო და, საღამოებზე უფროსკლასელ შეგირდებს იწვევდნენ. ერთხელ დიმიტრი სხვა შეგირდებთან ერთად მიიწვიეს ორბელიანთა წარმოდგენაში. ეს ამბავი სასწავლებელში გაიგეს და, გადაწყვიტეს, სასტიკად დაესაჯათ ის ექვსი შეგირდი, რომლებმაც იმ წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა. დიმიტრი მოგვითხრობს: „ყველა, ვინც ვიყავით, უნდა გავეწკეპლეთ, თითოეული კლასი ცალ-ცალკე, რათა ყველა შეგირდისთვის დაენახვებინათ. თვითმკვლელობა სამარცხვინო დანაშაულად ითვლება ქართველებში, მაგრამ, ჩვენ მზად ვიყავით, თავი გაგვეწირა, ხოლო, მშვენიერ იმდროინდელ რომანტიკოსთა წყალობით, რომელნიც გამოგვესარჩლნენ, სიკვდილს გადავრჩით".

მე გახლავართ პირველი თაობის წარმომადგენელი, რომელსაც დღეს ხმამაღლა შუძლია, თქვას, რომ დიმიტრი ყიფიანის შთამომავალია, რისი თქმის უფლებაც არ ჰქონდა დედაჩემს – ლა-

ლი პატარაიას. როცა მასწავლებელი კლასს „განთიადს“ უხსნიდა, დედას უნდოდა, ეთქვა, რომ დიმიტრი ყიფიანი მისი ბაბუა იყო, მაგრამ, კომუნისტური რეჟიმის გამო, იძულებული იყო, ამაზე გაჩუმებულიყო და ძალიან განიცდიდა, რომ ამ ფაქტს მალავდა. ბებიების თაობას კიდევ უფრო მძიმე ხვედრი ხვდა წილად – მიწის წართმევები და პიროვნული ტრაგედიები. დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილს, ვეტას (ელისაბედს), თავის შვილებთან ერთად ქვიშხეთში შუფარებია თავი, მაგრამ, იქაც მიაგნეს. მის დასაცავად, რომ იტყვიან, ქუდზე კაცი გამოსულა და ვეტა ქვიშხეთელების წყალობით გადარჩენილა. ვეტას დისშვილი თამარი (ბაგრატიონი) კი ძონძებში გამოაწყვეს და სამშობლოდან გადახვეწეს. ეს 8 წლის ულამაზესი გოგონა უსამართლოდ დაისაჯა იმის გამო, რომ დედის მხრიდან დიმიტრი ყიფიანის შთამომავალი იყო, მამამისი კი სამეფო გვარს ატარებდა. მას წლების განმავლობაში ელოდნენ ჩემი ბებიები. ელისაბედი ექვთიმე თაყაიშვილთანაც მისულა. თამარს ბიძაჩემი, კინორეჟისორი გურამ პატარაიაც ეძებდა უცხოეთში გადაღებების დროს. ბოლოს თამარს ერთ-ერთი გაზეთის მეშვეობით მივაკვლიეთ – 88 წლის თამარი შვეიცარიაში, ქალაქ ლოზანაში, მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობდა (ამჟამად გარდაცვლილია). მას თავისი სახლი გაუყიდია და ცოლად ფრანგს, ვინმე ოროს გაჰყოლია. ქართული დავიწყებია, სტატიაში ამბობს, რუსული დავივიწყეო – ეს სიძულვილი მას-



ში, რა თქმა უნდა, იმ რეჟიმმა გამოიწვია. ჩვენ მას ტელეფონით დავუკავშირდით და ერთი საათი ვსაუბრობდით ინგლისურად. ძალიან ემოციური საუბარი იყო. მეხსიერებას უჩიოდა. ერთადერთი, ვინც გაახსენდა, იყო ბებია ელისაბედი. ბუნდოვნად ახსოვდა, როგორ გააყოლეს 8 წლის ბავშვი ნათლიას და ცხოვრობდნენ ინგლისში, დედოფლის კარზე. მან მოიკითხა დედის საფლავი და სურვილი გამოთქვა, ენახა ქვიშხეთი, სადაც ბავშვობის ბედნიერი წლები გაატარა. განსაკუთრებით გული აუჩუყდა, როცა ვუხსენეთ სახელი ჯოია, რადგან ასე მას მხოლოდ ოჯახის წევრები ეძახდნენ. ჩვენ აქედან გავუგზავნეთ მისი და ოჯახის წევრების სურათების ასლები.

დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავალი დღეს სამი ოჯახია: დედაჩემის – ლალი პატარაიას ოჯახი; აწ განსვენებული გურამ პატარაიას ოჯახი და სავანელების ოჯახი. მეორე კლასში ვიყავი, როცა ბებიამ სკივრიდან ამოიღო გადამალული, სათუთად გახვეული პორტრეტი დიმიტრი ყიფიანისა, მის სიცოცხლეში შესრულებული ცნობილი მხატვრის მიერ და დედას უთხრა: სურათი თამარს გადაეცი, თუ ოდესმე ნახავო. როცა წამოვიზარდე, მივხვდი, რომ ამით ბებიამ არა მარტო ეს უნიკალური მხატვრული ტილო გადმოგვცა, არამედ, ოჯახური ტრადიციების გაგრძელების ესტაფეტაც. ამჟამად ვაპირებთ წიგნის გამოცემას, პირობითი სათაურით – „ის, რაც ოჯახმა იცის”.

**ეკა პატარაია**

(მე-15 გვერდიდან)

# ვინ გადაარჩინა გურამ შარაძის ქალიშვილი ჟენევაში და რა ახალი გარემოებები აღმოაჩინა მან მამის მკვლელობის საქმეში

იცარიაში დაინახეს, რომ ამდენ ხანს არ „მისარგებლია“ ჩემი ტრაგედიით, ვიარე ყველაზე რთული გზით, ვცადე ყველაფერი, რომ ჩემს ქვეყანაში სიმართლე დამემტკიცებინა და ერთ თვეში სახლში ფოსტით მომივიდა დადებითი პასუხი. ეს იყო ჩემთვის გამარჯვება და დასტური იმისა, რომ ქვეყანაზე, სადღაც, სამართალი მართლა არსებობს. უაღრესად მადლობელი ვარ შვეიცარიის, მიყვარს ეს ქვეყანა და ხალხი, მათ გადამარჩინეს და ოჯახიანად შემიფარეს. თავიდან ვსწავლობდი ჟენევის უნივერსიტეტის ევროპის ინსტიტუტის მაგისტრატურაში; საბოლოოდ, დავამთავრე ამავე უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრატურა. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი შეეხებოდა ანტიკომუნისტურ „საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტს“, რომელიც ჟენევაში მოქმედებდა 1924-1939 წლებში და რომლის შემადგენლობაში შედიოდა ჟენევის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა ელიტა. სამწუხაროდ, ჩემი მთავარი ოცნებისთვის, რაც თავიდანვე მქონდა ჩაფიქრებული, ჯერ კიდევ ვერ მოვიცალე. შვეიცარიაში კარგი ქართული საქმეების გაკეთება შეიძლება. აქ ცხოვრობდნენ ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, აქ არის სრულიად უცნობი, მოსაძიებელი არქივები. ეს საქმე მამაჩემის დაწყებული და ჩემი ძმის, გიორგი შარაძის გაგრძელებულია. თითქოს სულ ვალად მაწევს მათ წინაშე ეს შეუსრულებელი საქმე და ძალიან ვწუხვარ. ვფიქრობდი, დამეცვა სადოქტორო დისერტაცია და დაწყებულიც მქონდა, ვაპირებდი ვრცელი ნარკვევი მომემზადებინა მეოცე საუკუნის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობაზე ჟენევაში. მამაჩემისგან განსხვავებით, ბევრ რამეს ერთნაირი ენთუზიაზმით ვერ ვეკიდები. მას შეეძლო, ერთნაირი გულმოდგინებით, ერთდროულად ეწერა რამდენიმე წიგნი, მოეწყო საპროტესტო აქციები, მონაწილეობა მიეღო ქვეყნის საპარლამენტო, კულტურულ თუ სამეცნიერო ცხოვრებაში.

– **რით არიან დაკავებული ჟენევაში თქვენი მეუღლე და ქალიშვილი, რომელიც თითქმის მანდ გაიზარდა?**

– ყველა უბედურების დაძლევაში მეხმარებიან ჩემი მეუღლე და ქალიშვილი და მაძლიერებს ძმისშვილების სიყვარული. ჯერ ლაშა მოკლეს, მერე – მამაჩემი. მამაჩემის მერე ორი წელი გიორგიმ იცოცხლა, შვიდი წელი კი – დედაჩემმა. ეს წლებიც, მიუხედავად განცდილი ტანჯვისა, თურმე, რა ბედნიერი ვყოფილვარ. ჩემი მეუღლე ჩემი საუკეთესო მეგობარია. თითქოს ჩვენ ერთმანეთი გავზარდეთ. ვიცი, ჩემი ტრაგედიებიდან გამომდინარე, ჩემთან ცხოვრება იოლი არაა, მაგრამ მან ყველანაირი ამიტანა, ყველანაირს გამიძლო და მადლობელი ვარ ამისთვის. ჩვენ თავზე ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ, სხვა ყველაფერი ვნახეთ – სიყვარული, განშორება, ზოგჯერ იმედგაცრუებაც... ორივეს გვქონდა შეცდომები, მაგრამ, უკვე 17 წელია ერთად ვართ. არც კი ვიცი, რამ უფრო შეგვაკავშირა – განცდილმა ბედნიერებამ თუ უბედურებამ. 2001-2002 წლებში ერთ წელიწადში გარდაეცვალა მასაც მამა და ძმა. ვცდილობთ, ჩვენი ქალიშვილი, რომელიც მალე 13 წლის გახდება, ქართველად გავზარდოთ. თავის ცხოვრებას ქართველს თუ დაუკავშირებს, უბედნიერესი ვიქნები, თუმცა, ეს არავინ იცის, სიყვარულს წინ ვერავინ დაუდგება. მთავარია, ბედნიერი იყოს და არ დაკარგოს სამშობლო.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, ჟენევა ჩემი სახლიაო. ემოციური ქართველისთვის ჟენევა „კონსერვატიული” და „ცივი” ქალაქი, სახლად იოლად იქცა?**

– მიუხედავად ჩემი ემოციური ხასიათისა, სიმშვიდე და ხშირად მარტოობაც მიყვარს. კონსერვატიულ საზოგადოებაში დისკომფორტს არ ვგრძნობ, პირიქით. არც ის მგონია, რომ აქაურები ცივი ხალხია. თუ მიგიღეს, ისე იციან გულში ჩახუტება, რომ ბევრ ქართველს შეშურდება. მივეჩვიე აქაურობას და შევიყვარე. რაც მამაჩემის მკვლელები ხელისუფლებიდან წავიდნენ, საქართველოში უფრო ხშირად ჩამოვდივარ. ჟენეველი მეგობრები მეხუმრებიან, ჩვენ მთელი მსოფლიო შემოვიარეთ, შენ კი ჟენევასა და თბილისს ვერ გასცდიო *(იცინის).*

– **თქვენი სამომავლო გეგმები ჟენევასთან არის დაკავშირებული თუ აპირებთ სამშობლოში დაბრუნებას?**

– თბილისი ჩემთვის ერთადერთია, ისევე, როგორც მთლიანად ჩემი სამშობლო. აქ მეგულებიან ჩემი უსაყვარლესი ადამიანები, ვისთვისაც სიცოცხლესაც არ დავიშურებდი; აქ მეგულება უძვირფასესი ოთხი საფლავი... ამ წუთას არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ბოლომდე უნდა მივყვე მამაჩემის მკვლელობის საქმეს, მერე კი უკვე მისი მემკვიდრეობის სათანადოდ დაბინავებაზე ვიზრუნებ. სამომავლოდ ვაპირებ, ჩვენი სახლი ჭავჭავაძის გამზირზე დავუთმო გურამ შარაძის სახლ-მუზეუმს, სადაც გამოიფინება მისი არქივი, ნივთები და მკითხველის სარგებლობაში იქნება მისი უნიკალური ბიბლიოთეკა. საქართველოში სამუდამოდ დაბრუნებას არ ვგეგმავ. ერთი სული მაქვს, ჩემთვის, მშვიდად და განმარტოებით ვიცხოვრო. ერთ აგურს თუ მეც დავდებ მამაჩემის დაწყებულ საქმეში, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება.

**თამუნა ნიჟარაძე**

# სალათების დიეტა

**პირველი დღე**

*9 საათი*: 1 ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი, 100 გრამი უმარილო ყველი.

*12 საათი*: 200 გრამ მოწალულ ყვავილოვან კომბოსტოს მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ყველანაირი მწვანილი; მოასხით 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 ჩაის კოვზი ძმარი და ძალიან ცოტა მარილი; დააყოლეთ 1 ჭიქა უცხიმო მაწონი ან კეფირი.

*15 საათი:* 200-200 გრამი ვაშლისა და გრეიპფრუტის სალათა; 1 ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი.



*18 საათი*: 100-100 გრამი ცოცხალი ისპანახის, მწვანე სალათისა და ჩინური კომბოსტოს ფოთლები დაჭერით მსხვილად. დაუმატეთ დაჭრილი მწვანე ხახვი და ყველანაირი მწვანილი, ცოტ-ცოტა გახეხილი ბოლოკი და სტაფილო, ცოტა უკურკო ზეთისხილი, თითო ჩაის კოვზი ძმარი და ზეითუნის ზეთი, ცოტა მარილი და შაქარი; დააყოლეთ 1 ჩაის ჭიქა ახალგამოწურული გრეიპფრუტის წვენი.

შუალედებში – 2 ლიტრამდე ჩვეულებრივი სასმელი წყალი.

**მეორე დღე**

*9 საათი*: 1 ჭიქა უშაქრო მწვანე ჩაი ლიმონით, 1 ნაჭერი ტოსტი, 1 ცალი მოხარშული კვერცხი.

*12 საათი*: 2 ცალი (საშუალო ზომის) მოხარშული კარტოფილის სალათა ყველანაირი მწვანილით, თითო ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთითა და ძმრით; 1 ჭიქა უცხიმო კეფირი ან მაწონი.

*15 საათი*: 100 გრამი მოხარშული ბრინჯისა და 200 გრამი მოხარშული გოგრის სალათა; 1 ჭიქა ახალგამოწურული ნებისმიერი ხილის წვენი.

*18 საათი*: 200-200 გრამი ვაშლისა და მსხლის სალათა; 1 ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი.

შუალედებში – 2 ლიტრამდე ჩვეულებრივი სასმელი წყალი.

**მესამე დღე**

*9 საათი*: 1 ფინჯანი ნალექიანი ყავა (უშაქროდ), 100 გრამი უმარილო ყველი.

*12 საათი*: ყველა სახეობის უმი კომბოსტოს სალათა (ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 300-400 გრამს), მწვანე ხახვით, კამითა და ოხრახუშით; ზემოდან მოასხით თითო ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი და ძმარი; 1 ჭიქა ახალგამოწურული სტაფილოსა და ჭარხლის წვენი.

*15 საათი*: 250-300 გრამი მოხარშული ქათმის ფილე, ხახვით, მწვანილითა და ზეითუნის ზეთით; 1 ჭიქა უცხიმო კეფირი ან მაწონი.

*18 საათი*: 200-200 გრამი ანანასისა და ფორთოხლის სალათა; 100 გრამი ხაჭო; 1 ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი.

შუალედებში – 2 ლიტრამდე ჩვეულებრივი სასმელი წყალი.

დიეტის გამეორება შეგიძლიათ 2-კვირიანი შუალედებით.

თუ ძალიან გაგიჭირდათ, კვებასა და კვებას შორის მიირთვით 50 გრამი მწარე შოკოლადი (დღეში ერთხელ), 1 ნაჭერი ლიტვური შავი პური 1 ჩაის კოვზი თაფლით ან რამდენიმე ლებანი ნიგოზი.

ეცადეთ, ზედმეტად არ დაიტვირთოთ ფიზიკურად ან გონებრივად და ხშირად წამონვეთ. წარმატებას გისურვებთ!

# საჭირო ლექსიკონი

მეზოთერაპია არის პროცედურა, რომლის დროსაც კანში ინიექციით შეჰყავთ მეზოკოქტეილი, რომელიც შლის და წვავს ცხიმებს, ამცირებს შეშუპებას, ჭიმავს კანს და აქვს სისხლძარღვების მატონიზებელი ეფექტი სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე.

დადებითი მხარე: ამ მეთოდიკით ზედმეტი ცხიმების მოშორება შესაძლებელი ხდება მაშინაც კი, როდესაც გენეტიკურად გადმოგეცათ და არ ემორჩილება არანაირ დიეტასა და ვარჯიშს.



იმისათვის, რომ თქვენი გარშემოწერილობა შეამციროთ საშუალოდ, 2-დან 4 სანტიმეტრამდე, უნდა ჩაიტაროთ 4-7 პროცედურა.

ტრედლიფტინგი შესაძლებლობას გაძლევთ, ასწიოთ მუცლის კანი, რომელიც მშობიარობის შემდეგ მოდუნდა; გაიკეთოთ ლიფტინგი თეძოებზე და ბეჭებზე. ის დამზადებულია ბიოლოგიური მასალით და 6-9 თვეში მთლიანად გაიწოვება. ეფექტი გრძელდება 3 წლის განმავლობაში: სანამ ის კანში იმყოფება, ძაფები აქტიურებს კოლაგენისა და ელასტინის გამომუშავებას და ახდენს კანის კარკასის გამაგრების სტიმულირებას.

ვაკუუმი+რადიოტალღები – ამ კომპლექსურ მეთოდიკას ReAction-საც უწოდებენ. ვაკუუმი ხელს უწყობს ორგანიზმიდან ზედმეტი ცხიმების გამოტანას. სითბოს ზემოქმედების ქვეშ, რომლის გენერირებასაც რადიოტალღები იწვევენ, ხდება კოლაგენისა და ელასტინის ბოჭკოების სინთეზის აქტივიზება და, შედეგად, კანი უფრო მკვრივი ხდება.

დადებითი მხარე: ეს არის იდეალური მეთოდი, რომელიც უმტკივნეულოდ აქრობს სტრიებს.

კავიტაციის, იგივე ულტრაბგერითი ლიპოსაქციის მეთოდიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ, ულტრაბგერების მეშვეობით იხლიჩება ცხიმოვანი უჯრედები, შემდეგ კი ლიმფატიკური და ვენური დრენაჟის მეშვეობით გამოიდევნება.

დადებითი მხარე: კავიტაცია ცხიმების დაშლის ერთ-ერთი ყველაზე უმტკივნეულო მეთოდია. ამ პროცედურის დროს არ კეთდება ინიექცია (როგორც, მაგალითად, ლაზერული ლიპოსაქციის დროს).

გასახდომად საკმარისია 3-4 სეანსი. ამ პერიოდში, შესაძლოა, თქვენი გარშემოწერილობა 3-დან 5 სანტიმეტრამდე შემცირდეს.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ძალიან დიდ დისკომფორტს მიქმნის ცელულიტი. მკურნალობამ შედეგი რომ გამოიღოს, რომელი პროცედურით უნდა დავიწყოთ – მასაჟით, შეფუთვით, რადიოტალღური ლიფტინგით და ასე შემდეგ, თუ, რამე სხვა მეთოდით დაწყებაა უმჯობესი?**

**პასუხი**: არა მარტო ცელულიტის, არამედ, ნაოჭების, შეშუპების, კუპეროზისა და პიგმენტაციის მკურნალობა გაცილებით უფრო შედეგიანი იქნება, თუ დაიწყებთ არა მასაჟით, შეფუთვით, ქირურგიით ან ლიფტინგით, არამედ ანტისტრესული თერაპიით, რადგან, თუ მაქსიმალურად არ შეამცირებთ სტრესის დონეს, არანაირი მეთოდი არ გამოიღებს სასურველ შედეგს.

**კითხვა: მაინტერესებს, კანის დაბერება რამდენი პროცენტით არის დამოკიდებული ასაკზე?**

**პასუხი**: თუ საშუალო ასაკს გულისხმობთ, ნაოჭებზე ასაკი მოქმედებს მხოლოდ 30 პროცენტით, დანარჩენი 70 პროცენტი კი ჩვენს ხელთაა, ანუ, მოვლაზეა დამოკიდებული.

**კითხვა: რა ფერის თმა იქნება მოდაში გაზაფხული-ზაფხულის სეზონზე?**

**პასუხი**: წელს მოდაში იქნება „გახუნებული" თმის ნატურალური ფერები, პარიკის ეფექტის გარეშე.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორი მოხაზულობის წარბები უხდება კვადრატული ფორმის სახეს, როგორი – სამკუთხედს და როგორი – ოვალურს?**




**პასუხი**: კვადრატული ფორმის სახეს უფრო „არბილებს" ოდნავ მორკალური წარბები, ოღონდ, მათი სისქე უნდა იყოს ბუნებრივი, და არა ძალიან დაწვრილებული; სამკუთხედ სახეს „აწონასწორებს" კუთხოვანი წარბები, ოღონდ, წარბის საწყისი და ბოლო წერტილები დაახლოებით ერთ ხაზზე უნდა მდებარეობდეს; ოვალურ სახეს კი მოუხდება სწორხაზოვანი წარბები.

**მოამზადა თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

## მშობლები ჩემს უფლებებს ლახავენ

ვარ მეთერთმეტე კლასში. ვსწავლობ კარგად, კერძო მასწავლებლებთან დავდივარ თითქმის ყველა საგანში, იმ საგნებშიც კი, რომლებშიც საკუთარი ძალებითაც ადვილად ვიღებ უმაღლეს ქულებს. მშობლებს ყველგან დავყავარ – თეატრშიც, კინოშიც, უცხოეთშიც, საუკეთესო კურორტებზე დასასვენებლადაც და წვეულებებზეც, მაგრამ, არსად არ მიშვებენ მეგობრებთან ერად. არცერთი თანაკლასელის დაბადების დღეზეც კი არ ვყოფილვარ მხოლოდ იმის გამო, რომ იქ თვითონ ვერ წამომყვებოდნენ. სკოლაშიც დილით მამას მივყავარ კარამდე მანქანით, გაკვეთილების შემდეგ კი დედა მხვდება და ერთად მოვდივართ. ყველა კერძო მასწავლებელი თვითონ დადის ჩვენთან სახლში და ამ ყველაფრის გამო ისე ვარ დათრგუნული, საკუთარი თავის რწმენა დავკარგე. უფრო მეტსაც გეტყვით: პატარაობიდანვე შემაჩვიეს იმას, რომ ის წიგნები უნდა წავიკითხო, რომლებსაც თვითონ მირჩევენ და იმ ფილმებს უნდა ვუყურო, რომლებსაც თვითონ ჩათვლიან მიზანშეწონილად. ამის გამო ბავშვები დამცინიან, ამითვალწუნეს და გამინაპირეს – ჰგონიათ, რომ, რადგან შეძლებული მშობლები მყავს, ამიტომ ვუკადრისობ მათთან ერთად სიარულს. ისე ამომივიდა ყელში, ერთი სული მაქვს, როდის გავხდები სრულწლოვანი – მაშინვე გავიპარები სახლიდან და არავის ეცოდინება, სად ვიცხოვრებ.

ვერცერთი ვერ ხვდება, რომ ასეთი მოპყრობით ჩემს უფლებებს ლახავენ. რაც გავიზარდე, ვგრძნობ, რომ მარიონეტად ვიქეცი მათ ხელში და, მალე, ალბათ, ელემენტარული სურვილები და ინტერესებიც აღარ მექნება. მამაჩემი იურისტია და, ნუთუ არ იცის, რომ ეს ყველაფერი ჩემი უფლებების დარღვევაა? სხვებს ხომ კარგად ასწავლის ჭკუას? დედაც ისეა როლში შეჭრილი, სრულიად ახალგაზრდა, ლამაზ და ნიჭიერ ქალს პირადი ცხოვრება აღარ აქვს ამ მზრუნველობის გადამკიდეს. მამაჩემი ხომ, საერთოდ, შეპყრობილივით იქცევა. ეჭვიც არ მეპარება, რომ ორივეს ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ, აღარ მინდა ასეთი სიყვარული, დამანებონ თავი და სულ ცოტა თავისუფლება მაინც მომცენ.

ჩემი ბიძაშვილი სწავლობს ამერიკაში და, იმას რომ მოვუყევი სკაიპში ჩემი ამბები, მითხრა, აქაურ ბავშვებს ასე რომ მოექცეს მშობელი, მაშინვე სასამართლოში უჩივლებენ და არც არავინ გაამტყუნებსო. თავისთავად, საშინელებაა, შვილი რომ მშობელს უჩივის, მაგრამ, მეორე მხრივ, ალბათ, სწორია საკითხისადმი ასეთი მიდგომა. მე ამას ვერასდროს შევძლებ, თუმცა, ვამართლებ ყველას, ვისაც საკუთარი უფლებებისთვის სამართლებრივად ბრძოლა შეუძლია, თუნდაც ყველაზე ახლობელი ადამიანების წინააღმდეგ.

**სოფიკო, 16 წლის.**

## ჩემს შვილს ოჯახი ენგრევა

მე მგონი, ჩემს შვილს ოჯახი ენგრევა და, არ ვიცი, როგორ ვუშველო. ძალიან განვიცდი, სულ ვფიქრობ, როგორ გამოვაფხიზლო ან შვილი და ან სიძე, მაგრამ გამოსავლისთვის ვერ მიმიგნია.

ცალ-ცალკე რომ ჰკითხო, უყვართ ერთმანეთი, მაგრამ, თვე ისე გადის, შეიძლება, სულ რამდენიმე წუთით შეხვდნენ სახლში ერთმანეთს და მაშინაც არაფერი აქვთ სალაპარაკო. არადა, ორი მოზარდი შვილი ჰყავთ და არც ბავშვების მიმართ იჩენენ ისეთ ყურადღებასა და მზრუნველობას, როგორც ნორმალურ მშობელს შეეფერება. არც ის აინტერესებთ, როგორ სწავლობენ ან როგორ იქცევიან სკოლაში; არც ის, ვისთან მეგობრობენ ან როდის შემოდიან სახლში... ჩემი გოგო დილიდან 6 საათამდე მუშაობს, მერე კი დაქალებთან ერთად დასეირნობს და, ისე გვიან ბრუნდება, ბავშვებს უკვე სძინავთ ხოლმე. დილითაც, წასვლის წინ თუ მოჰკრავენ ერთმანეთს თვალს და მაშინაც არაფერს ეკითხება შვილებს. ბავშვებიც გადაეჩვივნენ დედასთან ელემენტარულ კონტაქტს და აღარც მეკითხებიან, დედა როდის მოვაო. რა თქმა უნდა, უყვართ ერთმანეთი, მაგრამ, ჩემი აზრით, მათ შორის მხოლოდ ბიოლოგიური გრძნობაა დარჩენილი და მეტი არაფერი.

ჩემი სიძე კიდევ უარესად იქცევა იმ მხრივ, რომ ძალიან ხშირად ღამითაც არ მოდის სახლში და, როცა მოდის, თუ ცოლი შინ არ ხვდება, არც კი კითხულობს, სად არისო; არც შვილებზე ზრუნვით იკლავს თავს და უკვე ბავშვებსაც აღარ უჩნდებათ მასთან თუნდაც ელემენტარული ურთიერთობის სურვილი. მხოლოდ ერთხელ, როცა ჩემი უფროსი შვილიშვილი თანაკლასელის დაბადების დღიდან დაბრუნდა და მთელი ორი დღე მოწყენილი დადიოდა, მე რომ არაფერი მიკითხავს, ისე მითხრა თვითონ – ბებო, რატომ ვკიდივართ ფეხებზე მე და ბაჩო დედიკოს და მამიკოსო. გული მომიკვდა, ისე შემეცოდა საწყალი ბავშვები. როგორც არ უნდა გადაჰყვეს თან შვილიშვილებს ბებია, ვერც დედას და ვერც მამას ვერ შეუცვლის. მინდოდა, დამემშვიდებინა და ვუთხარი, შენი მშობლები ძალიან ბევრს მუშაობენ, რომ შენ და ბაჩოს არაფერი მოგაკლდეთ. უბრალოდ, დრო აღარ რჩებათ, თან, საშინლად დაღლილები მოდიან სახლში და ამიტომ ხდება ასე, თორემ, ორივეს ძალიან უყვარხართ-მეთქი. ბავშვმა უნდობლად შემომხედა და მიპასუხა: ერთი კვირაა, ბაჩო ჩალურჯებული თვალით და შეხვეული მუხლით დადის, ორივემ დაინახა, მაგრამ, არცერთს არ უკითხავს, რა დაგემართაო. ამას რა დრო სჭირდება? უბრალოდ, ფეხებზე ვკიდივართ. თანაც, დაბადების დღეზე რომ ვიყავი, იქ ნოდიკოს დედამ ჩემზე მიუთითა ვიღაც ქალს – ეს ის ბიჭია, იმ დღეს რომ გითხარი, მამამისი ყოველთვე საყვარლებს იცვლის, მის ცოლს კი არც აინტერესებსო.

კინაღამ მართლა ენა ჩამივარდა. კინაღამ მივუვარდი იმ ქალს, მაგრამ, რა აზრი ჰქონდა, ეს ყველაფერი ხომ მეც მქონდა გაგონილი?! მაშინ დავრწმუნდი, რომ ეს ჭორი კი არა, სიმართლე იყო. ისედაც ეტყობოდათ, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ცოლ-ქმარს საწოლიც კი არ აკავშირებდა ერთმანეთთან. მართალია, არასდროს ჩხუბობდნენ (თუმცა, როდის უნდა ეჩხუბათ, როცა ერთმანეთს თითქმის ვერ ხედავდნენ), მაგრამ, მხოლოდ ეს არის მიზეზი, რომ ქმარს არ გაშორდე და, მთელი სიცოცხლე სიძულვილში თუ არა, გაუცხოებასა და გაღიზიანებულ მდგომარეობაში გაატარო?! ან შვილებს რა მაგალითს აძლევ ამით? მეც, განა რამდენ ხანს ვიცოცხლებ, უკვე ჯანმრთელობაშერყეული ადამიანი?! კიდევ კარგი, ჩემი ქმარი არ მოესწრო ამას, თორემ, საწყალი, გაგიჟდებოდა.

გული იმაზე მიკვდება, რომ, არც ბავშვებისთვის და არც მშობლებისთვის სახლი ოჯახი და კერა კი არ არის, ღამის გასათენებელი ადგილია, სადგომია, სადაც მხოლოდ იმისთვის მოდიან, რომ დაიძინონ, იბანაონ ან ტანსაცმელი გამოიცვალონ. ძალიან გული მტკივა, რომ უახლოესი ადამიანები, აგერ უკვე რამდენი წელია, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, მაგრამ ერთმანეთისთვის აბსოლუტურად უცხოები არიან და, თან, რაც მთავარია, ერთმანეთს ტანჯავენ. მე მეტი აღარ შემიძლია ამის ყურება, ერთხელაც, დავსვამ ორივეს – ჩემს შვილსა და მის ქმარს, პირდაპირ ვეტყვი, რომ გაშორდნენ და ამით საკუთარი თავიც დაასვენონ და ერთმანეთიც, ეგებ, მერე უფრო მოიცალონ შვილებისთვის.

**მაგდა, 65 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# როგორ ჩაწერეს სპეციალურად სტალინისთვის ერთ ღამეში მოცარტის 23-ე სიმფონია, რომელიც ერთ ეგზემპლარად დაბეჭდეს



**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 2.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"დრაკონებზე მონადირენი" 7.55** "საქმიანი დილა" **9.40, 12.30, 13.05, 18.30, 3.00** "ბიზნესკონტაქტი" **10.05 სერიალი "ჩემი შვილები" 11.05 სერიალი "ჩემი შვილები" 13.35** "უცნობი ისრორიები" **14.05 სერიალი "სხვისი სხეული" 15.35** გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "აკრძალუ-ლი სიყვარული" 19.00 სერიალი "მამის კვალდაკვალ" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30** დფ "საქართველო მე-XX საუკუნე" **23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

**06.45** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35, 03.05** ქრონიკა **10.05** სერ. **"უდანაშა-ულო" 11.20** სერ.**"ივნისის ღამე" 12.30** დღის შოუ **14.40** სერ.**"ღალატი" 7** სერ. **17.35** სერ. **"ქალის ხვედრი" 2** სერ. **18.45, 19.03** სერ. **"დაკარგული" 20.55** სერ. **"შურისძიება" 22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ **"გადამზიდი - 2" 01.45 2014** წლის MSV-ის ვიდეოკლიპების დაჯილდოების ცერემონია **03.15** ფარული კამერა **05.15** მხ/ფ **"იმედის ბალები"**.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" I II ნაწ. **07.25** საქართველოს ქალაქები **07.45** მარხვის კარიბჭესთან (მამა არჩილ მინდიაშვილი) II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "ივერიის ეკლესია" **11.00** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ ლ **"მთვარის მოტაცება"** II სერ. **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.05** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" III ნაწ. **15.25** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **15.55** კონცერტი - ანდრია ბოჩელი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.20** მოკ/ფ **"ლახტი" 20.40** ძილი ნებისა **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მწვანე არქიტექტურა **22.25** დ/ფ "უაილდ ვესთის მხედრები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ხილული სასწაულები" **23.45** სიახლენის სიუჟეტი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## პარასკევი 20 თებერვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 02.30** "პირადი ექიმი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"მეცამეტე მოციქული" 17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** თოქ-შოუ: I სტუდია **23.30** მხ/ფ **"ამაოების ბაზარი" 02.00** "პოპ-კულტურა".

**06.00, 16.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები" 07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწე-რა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"ქარადაი" 20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** გააცინე და მოიგე **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.".

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 2.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"დრაკონებზე მონადირენი" 7.55** "საქმიანი დილა" **9.40, 12.30, 13.05, 18.30, 3.00** "ბიზნესკონტაქტი" **10.05, 11.05 სერიალი "ჩემი შვილები" 13.35** "უცნობი ისრორიები" **14.05 სერიალი "სხვისი სხეული" 15.35** გადაცემა "ქალაქი და ადამიანი" **16.05,17.05 სერიალი "აკრძალული სიყვარუ-ლი" 19.00 სერიალი "მამის კვალდაკვალ" 20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული" 21.00** "მაესტროს ცხრიანი"

22.30 დფ "საქართველო მე-XX საუკუნე" 23.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

06.45 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35, 03.45 ქრონიკა 10.05 სერ. "**უდანაშაულო**" 11.20 სერ."**ივნისის ღამე**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ."**ღალატი**" 8 სერ. 17.35 სერ. "**ქალის ხვედრი**" 3 სერ. 18.45, 19.03 სერ. "**დაკარგული**" 20.55 სერ."**შურისძიება**" 22.00 რეაქცია 00.00 მხ/ფ "**მეფის სახელით 3**" (რ.პასკალევა) 01.45 მხ/ფ "**წყვდიადის სამეფო**" (მ.შინი).

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" III ნაწ. 07.05 დ/ფ "ხილული სასწაულები" 07.30 დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა" I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მწვანე არქიტექტურა 11.00 ღვთის სახლი 11.15 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.10 მოკ/ფ "**ლაჰტი**" 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.05 "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" IV ნაწ. 15.20 კონცერტი - "ღიმილი მინდა" 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ "**სხვისი შვილები**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "თვენი" - წმინდა მეფე სოლომონ II, სამშობლოსათვის თავდადებული 23.00 დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა" II ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## შაბათი 21 თებერვალი

08.00 ან/ფ "ანიმალია" 09.20 მხ/ფ "**ბეიბი ანუ გოჭი ქალაქში**" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**ბიჭუნა წყალზე**" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – "**მეორედ მოსვლა" ანუ ვიზიტი**" 14.00 მხ/ფ "**ყოვლისშემძლე ევანი** " 16.30 ქართ. მხ/ფ "**წარსულის აჩრდილები**" 18.30 "ჩვენი ეზო" 19.00 "ეტალონი" 21.00 ტ/სერ. "**მეცამეტე მოციქული**" 22.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ "**ტყავის ჩაფხუტიანები**" 02.00 "ეტალონი".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ.მხ/ფ.10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქერის უბანი 14.00 სიცილის ზონა 15.30 მარაო 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 23.00 მხ/ფ. 02.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 2.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**დრაკონებზე მონადირენი**" 9.00, 2.30 **სერიალი "კარმა"** 10.00 გადაცემა "NX სპიკერი" 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00, 3.30 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 18.30 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 19.00 შერეული ორთაბრძოლები "**ქ-1**" 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 21.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 22.30 მხ/ფ "**ღამის გუშაგი**".

07.30 სერ. "**სონის შანსი**" 08.00 მხ/ფ "**ნამდვილი მამაკაცი**" 10.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 11.00 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ერთხელ საქართველოში 12.00 შალვა რამიშვილის შოუ 13.00 კულინარიული დუელი 14.40 სერ."**ღალატი**" 9 სერ. 17.35 სერ. "**ქალის ხვედრი**" 4 სერ. 18.45, 19.03 სერ. "**დაკარგული**" 20.55 სერ."**შურისძიება**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-2**" 3 სერ. 23.00 ერთხელ საქართველოში 23.35 2015 წლის მსახიობთა გილდიის დაჯილდოების ცერემონია 01.15 მხ/ფ "**უბრალო ფორმალობა**" (რ.პოლანსკი) 03.05 მხ/ფ "**მეფის სახელით 3**".

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "კოსმოსიდან დანახული დედამიწა" 07.15 ეთნოგრაფიული ჩანახატი 07.30 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "ჩვენი საგანძური". გვანცელაძე. 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართ. მულტფილმი 10.50 კვირიაკე 11.50 ამბიონი 12.10 მხ/ფ "**სხვისი შვილები**" 13.25 მწვანე არქიტექტურა 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" V ნაწ. 15.30 ოპერა - "**ოტელო**" (ა.ხომერიკი,ნ.გლუნჩიძე,ე. გეწაძე) 18.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 კვირიაკეს სიუჟეტი - მამა გაბრიელი 23.30 დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა" I ნაწ. 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ "**პიანისტი**" I ნაწ.

## კვირა 22 თებერვალი

08.00 ან/ფ "ანიმალია" 09.20 მხ/ფ "**დიდი მსუქანი მატყუარა**" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**ბიჭუნა წყალზე**" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ფერმა" 13.00 "ქართული ჯარი" 13.30 "ვაშინგტონი დღეს" 13.55 **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატის ტურის ცენტრალური შეხვედრა -"**სამტრედია**" – **თბილისის "დინამო"**. 16.30 დ/ფ "არქიტექტურა" 17.00 "ეს საქართველოა" 17.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 18.00 მხ/ფ "**გრაფინია ჰონკონგიდან**" (ს.ლორენი) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. "**მეცამეტე მოციქული**" 22.00 "მშვიდობით იარაღო" 23.00 ქართ. მხ/ფ "**მანდარინები**" 00.30 მხ/ფ "**შენ მე და დუპრი**" 02.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ.მხ/ფ. 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 პროფილი 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 00.30 სოციალური ცელი 01.00 მხ/ფ. 03.30 მხ/ფ.

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 2.00, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**დრაკონებზე მონადირენი**" 9.00, 3.00 **სერიალი "კარმა"** 10.00 გადაცემა "NX სპიკერი" 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00, 1.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 16.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 18.30 გადაცემა "მონიტორი" 19.00 **სერიალი "მამის კვალდაკვალ"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 21.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 22.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 23.00 "ოთარ ტატიშვილის შოუ".

07.30 სერ. "**სონის შანსი**" 08.00 მხ/ფ "**ახალი რობინზონები**" 10.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-2**" 3 სერ. 13.00 სტუმრად იუმორინასთან 14.30 იმედის გმირები 14.45 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 16.25 ერთხელ საქართველოში 17.30 ორი ვარსკვლავი 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ერთხელ საქართველოში 23.35 მხ/ფ "**გაცეხული**" (ჯ.ლუკასი) 01.25 მხ/ფ "**კილიმანჯაროს თოვლიანი მთა**" 03.20 მხ/ფ "**უბრალო ფორმალობა**".

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.55 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 11.25 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ "**ლომა**" 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 გამოყენებითი ხელოვნება 16.05 ერთსულოვნების სალონი 17.00 ეპოქის სახელები 17.25 დიდი მარხვა - ყველიერის კვირა, ადამის განდევნა 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 მარხვისა და სინანულის შესახებ - მეუფე დანიელი 19.40 დ/ფ "აღდგომა თებერვალში" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ "**პიანისტი**" II ნაწ.

# რა საფრთხეს გვიქმნის დედამიწიდან ამოსული უარყოფითი ენერგია და იწვევს თუ არა გეოპათოგენურ ზონაში დიდხანს ყოფნა სიმსივნურ დაავადებებს



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

გეოპათოგენურ ზონებს ასტროლოგები „სიკვდილის ზონებსაც“ უწოდებენ. ამ ზონებში, რომლებიც, სამწუხაროდ, ყველგან შეიძლება შეგვხვდეს, ადამიანის ცხოვრება, მუშაობა და საქმიანობა ძალიან სახიფათოა.

დიდი მნიშვნელობა აქვს დადებითი და უარყოფითი ენერგიების განლაგებას სივრცეში. ეს ენერგიები ადამიანის ჯანმრთელობაზეც მოქმედებს. პათოგენურ ზონას შეუძლია, გამოიწვიოს ძალიან მძიმე დაავადებები, მაგალითად, კიბო, ძვლების დაშლა ან ფსიქიკური აშლილობა. „პათოგენურ ზონებს“ უწოდებენ სივრცის იმ ნაწილს, სადაც ენერგია ნეგატიურია. პათოგენური ზონა არის უარყოფითი ენერგიის გავრცელების არეალი. სხვათა შორის, გეოპათოგენური ზონები სხვადასხვაგვარია. ეს არის დედამიწიდან ამოსული უარყოფითი ენერგიისგან შემდგარი ზონა, რომელიც წარმოიქმნება ცოცხალ არსებათა ცხოველმოქმედი უნარის შთანთქმით. პათოლოგიურ ზონებს უწოდებენ სივრცის იმ მონაკვეთს, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის ნეგატიური, სახიფათო ენერგეტიკა აქვს. ბუნებრივია, ასეთი ზონების უარყოფითი ზემოქმედების ნეიტრალიზება საკმაოდ ძნელია, ზოგ შემთხვევაში კი – შეუძლებელიც. ბიოპათოგენურ ველებთან ბრძოლა უფრო ადვილია, ვიდრე გეოპათოგენურ ზონასთან. უარყოფითი ენერგიის (იგივე ბიოპათოგენური) ველები სივრცეში წარმოიქმნება ადამიანების ნეგატიური ფსიქიკური განცდებისგან, ან, იმის შედეგად, თუ ამ შენობაში დიდხანს იმყოფებოდა მძიმე სენით დაავადებული ადამიანი, მოხდა მკვლელობა ან თვითმკვლელობა; თუ იქ დიდხანს ცხოვრობდნენ ფსიქიკურად დაავადებულები, ნარკომანები, ალკოჰოლიკები... ასეთი ადგილები ხშირად გადაიქცევა ხოლმე ძლიერ ბიოპათოგენურ ზონად. გეოპათოგენური ზონის შემთხვევაში კი უარყოფითი ენერგეტიკული ველის წყარო კონკრეტულ ადგილზე დედამიწის გამოსხივებაა. გეოპათოგენური ზონების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება იყოს ნეგატიური ენერგიის მქონე მიწისქვეშა მდინარეები, გრუნტის რღვევა... კვლევებით დადასტურებულია, რომ გეოპათოგენური ზონის წყარო, თავისი უარყოფითი ენერგიით, რეალურ საფრთხეს უქმნის ამ ზონის სივრცეში მყოფი ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ასე გახშირებული ონკოლოგიური დაავადებები თუ გულსისხლძარღვთა პათოლოგიები სწორედ გეოპათოგენური გამოსხივების ზემოქმედების შედეგია. ეს ზონები განსაკუთრებით საშიშია მოზარდებისა და ბავშვებისთვის.

ასეთი საშიში ზონების ლიკვიდაცია შეიძლება სანთლის ხშირი ანთებით ან სურნელოვანი პიტნის ზეთის დადგმით ამ მიდამოში. რაც შეეხება გეოპათოგენური ზონის არსებობას, მას ინტუიციის დონეზე გრძნობენ ბავშვები. ისინი იმ ადგილას ყოფნისას ჭირვეულობას იწყებენ. ასევე, ასეთ ზონაში უცნაურად „იქცევიან“ ყვავილებიც. თუ, მიუხედავად მოვლისა, მისი ფოთლები მაინც ჭკნება, ესე იგი, ეს საშიში ზონაა; ხოლო, თუ ქოთნის ყვავილი სხვა ადგილას გადადგმისას უკეთ იგრძნობს თავს, ესე იგი, ის უარყოფით ზონაში იდგა.

უარყოფითი ზონები ნამდვილად საშიშია. ის ისრუტავს თქვენს სასიცოცხლო ენერგიას, თუკი მათი ზემოქმედების არეში მოხვდით. თუ ადამიანს დიდხანს უწევს ასეთ ადგილას ყოფნა, ის თავს შეუძლოდ გრძნობს და, სამედიცინო კვლევის შემდეგაც კი, მიზეზი გაურკვეველი რჩება. ამიტომ, აუცილებელია იმ დამანგრეველი ენერგეტიკული სივრცის დროულად აღმოჩენა და განეიტრალება. ჯობია, გაარკვიოთ და დაიზღვიოთ თავი, სად გადის „სიკვდილის ზონები“ თქვენს სახლებში.

> *„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*
>
> **კურტ ვონეგუტი**

ალბათ, ბევრმა იცის, რომ, ჩვენი წინაპრები სახლს ისე არ აშენებდნენ, სანამ არ გაარკვევდნენ, ტრიალებდა თუ არა იქ დადებითი ენერგია. ამას ახლა მეცნიერები „ბიოლოკაციას“ უწოდებენ. ასევე, საგულისხმოა, რომ წინაპართა გამოცდილებამ და თანამედროვე მეცნიერებამ დიდი ყურადღება მიაქცია პათოგენური ველების ნეიტრალიზების საკითხს, რათა ადამიანებს გაუადვილოს ცხოვრება და ის საშიში დაავადებები აარიდოს თავიდან, რომლებსაც ეს ზონები იწვევს.

არ არსებობს ბინა, სადაც არ არის გეოპათოგენური ზონა. ამიტომ, აუცილებელია, ისინი დროულად აღმოვაჩინოთ, მოვერიდოთ ასეთ ადგილებს და გავანეიტრალოთ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი ვაჟი დაიბადა 1998 წლის 3 ივნისს, დილის 6 საათზე. რომელი პროფესიები იქნება მისთვის წარმატებული?**

**პასუხი:** თქვენი ვაჟის კოსმიური მისია უკავშირდება უცხოეთს, ამიტომ, აუცილებელია ურთიერთობა რომელიმე ქვეყანასთან, რათა შემდგომ წარმატებას მიაღწიოს. რაც შეეხება წარმატების მომტან პროფესიებს, ასეთებია: ტურიზმი, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, დიზაინი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, იურისპრუდენცია, სადალაქო ინდუსტრია, საცირკო ხელოვნება ან ბიზნესი, ფილოსოფია, ფსიქოლოგიის ფართო სპექტრი, გაზის ინდუსტრია, ავიაციის ბიზნესი, პოლიტიკის ფართო სპექტრი, სპორტი, მედიცინის ფართო სპექტრი (ფარმაცევტიკის გამოკლებით).

**კითხვა: ჩემი გოგონა დაიბადა 1997 წლის 27 მარტს. რომელ პროფესიაში ექნება მას წინსვლა და წარმატება?**

**პასუხი:** პროფესიებიდან მისთვის წარმატებების მომტანია: პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, იურისპრუდენცია, პედაგოგიური მოღვაწეობა, ტურისტული ბიზნესი, სპორტის ფართო სპექტრი, ფილოსოფია, ფსიქოლოგიის ფართო სპექტრი, სასწრაფო დახმარება, რეანიმატოლოგია, ქირურგია, სტომატოლოგია, ფსიქიატრია, გინეკოლოგია, ასევე, არატრადიციული მედიცინა, სამხედრო სტრუქტურები, სამართალდამცავი ორგანოები, უშიშროების სფერო, სადაზღვევო კომპანიები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მაკონტროლებელი ორგანოები, საბაჟო-სადაზღვევო დეპარტამენტები.

**კითხვა: დავიბადე 2001 წლის 9 იანვარს, დილის 10 საათზე. მაინტერესებს, იქნება თუ არა ჩემთვის შესაფერისი პროფესია ფსიქოლოგობა? თუ არა, რომელი სპეციალობა ავირჩიო?**

**პასუხი:** ფსიქოლოგია თქვენთვის საშუალოა. თუ გადალახავთ სირთულეებსა და პრობლემებს, მხოლოდ მაშინ მიაღწევთ წარმატებას. თქვენთვის წარმატებების მომტანი პროფესიებია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, ფოტოგრაფიის ხელოვნება და ბიზნესი, დიზაინი, სამოდელო სფერო, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა, იურისპრუდენცია, სადალაქო ინდუსტრია, საკონდიტრო ბიზნესი, სოციოლოგიის ფართო სპექტრი, ტურიზმი.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 10 მაისს. რომელი პროფესიებია ჩემთვის მეტად წარმატებული და რომელი ასტროლოგიური ქვის ტარებაა ჩემთვის წარმატებების მომტანი?**

**პასუხი:** ქვებიდან კარგია: ზურმუხტი, აქატი, მალაქიტი, ოპალი და ტოპაზი. რაც შეეხება წარმატებების მომტან პროფესიებს, ასეთებია: ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმე, სამართალდამცავი ორგანოები, სამხედრო სტრუქტურები, საგამომძიებლო სფერო, სასწრაფო დახმარება, რეანიმატოლოგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, ქირურგია, ფსიქიატრია, არატრადიციული მედიცინა (მაგალითად, ექსტრასენსორიკა, სუჯუკთერაპია, ფიტოთერაპია), ასევე, მაკონტროლებელი ორგანოები, კონტროლის პალატა, საგადასახადო, საბაჟო, სადაზღვევო კომპანიები და დეპარტამენტები; პედაგოგიური მოღვაწეობა ან ბიზნესი, ოკულტური სფერო, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი.

### ვერძი



ნებისმიერ საქმეს ფრთხილად მიუდექით. ნუ გამოიყენებთ ძალისმიერ მეთოდებს. მეტად ჩაუღრმავდით საოჯახო პრობლემებს და ეცადეთ, მოიწესრიგოთ პირადი ცხოვრება. ნუ დაუსვამთ გარშემო მყოფებს რთულ კითხვებს და ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს.

### კურო



კარგია ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება და გრძნობების თამამად გამოხატვა. ადვილად გაართმევთ თავს პრობლემებს. შესაძლებელია ფინანსური პრობლემების გამოსწორება. პირად ცხოვრებაში კი მეტი მოთმინება და სიფრთხილე გამოიჩინეთ.

### ტყუპები



თქვენი გრძნობები და სურვილები გამძაფრდება; მოიმატებს ენერგია და შრომის უნარი. ნებისმიერ რთულ საქმეს ადვილად დაძლევთ და ადვილად მიაღწევთ წარმატებებს, თუმცა, ნუ გადაიღლებით და მიაქციეთ ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობას.

### კირჩხიბი



მოერიდეთ ილუზიებს და მეტად პრაქტიკულად იაზროვნეთ როგორც პირადი, ასევე, საქმიანი საკითხების გადაწყვეტისას. სასიყვარულო ურთიერთობაში იყავით მეტად გულახდილი, რათა ცვლილებებმა დადებითი შედეგი გამოიღოს. კარგია ოჯახის წევრებთან მეტი კონტაქტი.

### ლომი



თავს ენერგიულად იგრძნობთ და შეძლებთ ახალი საქმის წამოწყებას. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. ადვილად დაძლევთ კრიზისულ სიტუაციებს სამსახურში. ეცადეთ, არ ეჩხუბოთ საყვარელ ადამიანებს. კარგია უცხოელებთან კონტაქტი.

### ქალწული



მეტი ყურადღება მიაქციეთ იმ ინფორმაციას, რომელიც თქვენამდე მოვა. დახმარება გაუწიეთ ახლობლებს. არ არის გამორიცხული, სასიამოვნო გარემოცვაში გაიცნოთ ადამიანი, რომელიც მომავალში თქვენი სასიყვარულო პარტნიორი გახდება. რომანტიკული შეხვედრები ბევრ დროს წაგართმევთ, რაც საქმეში დაგხევთ უკან.

### სასწორი



მოერიდეთ ზედმეტად დასვენებას, ოცნებებსა და ფანტაზიებს. მეტი ყურადღება მაიქციეთ ოჯახის წევრებს. გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობა. საყვარელი ადამიანი და კოლეგები დაგეხმარებიან, ცხოვრებაში წინ წაიწიოთ და დრო სასიამოვნოდ გაატაროთ.

### მორიელი



მოერიდეთ ფარულ საქმიანობას. მოლაპარაკებები და გარიგებები წარმატებებს მოგიტანთ. ენერგიულობით ბევრ საქმეს მოასწრებთ, თუმცა, ნუ დაარღვევთ წესებს და კანონებს. სწრაფად მიიღეთ გადაწყვეტილებები. საყვარელ ადამიანთან კი მოერიდეთ უსიამოვნო საუბრებს.

### მშვილდოსანი



მიგიზიდავთ რისკი, ავანტიურები და სასიყვარულო თავგადასავლები, მაგრამ, ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული და ჯიუტი. მოსალოდნელია რთული მოვლენების განვითარება, ამიტომ, იყავით ფრთხილად. კარგია უცხოელებთან კონტაქტი. სასიყვარულო ურთიერთობა კი ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

### თხის რქა



მოიმატებს აქტიურობა და თავდაჯერებულობა. საქმეებში მხოლოთ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ, თუმცა, გაითვალისწინეთ გამოცდილი ადამიანების რჩევებიც. გაზრდილი ინტუიცია საქმეების მოგვარებაში წაგადგებათ. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.

### მერწყული



დაუთმეთ მეტი დრო ახალ გეგმებსა და პროფესიონალურ საქმიანობას. გაიზრდება ხარჯები, ამიტომ, მატერიალური საკითხები გონივრულად გადაწყვიტეთ. იზრუნეთ იმიჯზე და იყავით მუდამ ფორმაში, რათა გარშემო მყოფებზე შთაბეჭდილება მოახდინოთ. ფარული სასიყვარულო შეხვედრები მეტად რომანტიკულს გაგხდით.

### თევზები



თავს სანაქებოდ იგრძნობთ და მოგინდებათ ახალი მწვერვალების დაპყრობა. პოპულარობა ნუ ჩაგაგდებთ ეიფორიაში, მეტად პრაქტიკულად შეხედეთ რეალობას. არ გირჩევთ ფინანსურ გარიგებებს. საყვარელ ადამიანთან კი ჯობია, დროულად გაარკვიოთ გაუგებრობა. დრო გამონახეთ დასვენებისთვისაც.

**ახალმთვარეობა – 18 თებერვალი, 23:50 სთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანებს. ეცადეთ, დაიცვათ სულიერი სიმშვიდე. კარგია სერიოზული საქმეების შესრულება. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, ვაჭრობას. სუსტდება კბილები, ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის.*

### სამშაბათი

მოერიდეთ ხვალინდელი ახალმთვარეობის წინ ახალი საქმის დაწყებას. დაასრულეთ ძველი საქმეები. ნუ აჰყვებით ცდუნებებსა და პროვოკაციებს. ატარეთ ცისფერი, ვარდისფერი, ყვითელი, მწვანე ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ძოწი, ცირკონი ან ციტრონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს, რადგან საეჭვოა მათი ახდენა. კარგია ინტელექტუალური საქმეები, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება თვალები, ფეხის კუნთები, ნერვული სისტემა.

*პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.*

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

დღეს ახალმთვარეობაა. გამახვილდება მგრძნობელობა, რომანტიკულობა, ინტუიცია, შემოქმედებითი ნიჭი და უნარი. მოერიდეთ ილუზიებს და რეალურად აღიქვით ცხოვრება. კოსმოსიდან მოდის უარყოფითი ენერგია, რაც მეტად განაპირობებს ტრავმების, ავარიების, დეპრესიის, კონფლიქტების, შეცდომების დაშვების, ჯანმრთელობის გაუარესებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობას. ამიტომ, იყავით ფრთხილი და წინდახედული. ატარეთ ფიროუზისფერი, იისფერი, მწვანე, ვერცხლისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი, მარჯანი ან გიშერი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მეტი დრო დაუთმეთ ინტელექტუალურ სამუშაოს. აკონტროლეთ ემოციები. მოერიდეთ კონფლიქტებს. ატარეთ ვერცხლისფერი, ცისფერი, ვარდისფერი, ყვითელი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი აკვამარინი, საფირონი, ძოწი, ცირკონი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სამეცნიერო კვლევა, საზოგადოებრივი საქმიანობა, სახლის მშენებლობა, დიეტის დაწყება. სუსტდება ნერვული სისტემა, სისხლძარღვები, ვენები, თვალები.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.*

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ გაურკვეველ სიტუაციებსა და საიდუმლო საქმიანობას. მოიმატებს ენერგიულობა, სულსწრაფობა, უყაირათობა. ატარეთ იისფერი, ყვითელი, ფირუზისფერი, მწვანე ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, გიშერი ან ამეთვისტო. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, იურისტებთან კონტაქტი, შემოქმედებითი მუშაობა, ქველმოქმედება. სუსტდება ტერფები, ნერვული და ენდოკრინული სისტემები.

*პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის.*

### შაბათი

ნუ გასცემთ დაპირებებს, თუ მათ ვერ შეასრულებთ. მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობას. მოერიდეთ თმის შეჭრას, სტომატოლოგიურ პროცედურებს, წესების დარღვევას, ფინანსურ ოპერაციებს. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ძოწი, ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი ან ტოპაზი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, ვარჯიშების ჩატარება, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება თავი, კბილები, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები.

*პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.*

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ თმის შეჭრას, წესებისა და კანონების დარღვევას, უყაირათოდ ფულის ხარჯვას, სასიყვარულო შეხვედრებს. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, ფირუზი, წითელი იასპი ან სარდიონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია ვარჯიშების ჩატარება, მოგზაურობა, ავეჯის შეძენა, მეგობრული კონტაქტები. მოერიდეთ კამათს. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორი მეუღლე ხართ?

*როგორი მეუღლე ვარ? რა თქმა უნდა, კარგი! – ასე იტყვის ბევრი ჩვენგანი. მაგრამ, რეალობა, შესაძლოა, სხვაგვარი აღმოჩნდეს. უბრალოდ, იყავით გულახდილი, როცა შეკითხვებს უპასუხებთ.*

**1. ყოველთვის იჩენთ ინიციატივას, როცა საქმე საოჯახო პრობლემების მოგვარებას ეხება?**

ა) დიახ – 1 ქულა;
ბ) არა – 2 ქულა;
გ) სხვა რა გზა მაქვს, ეს ჩემი განაჩენია – 3 ქულა.

**2. როცა მეუღლეს ეჩხუბებით, შემდეგ როგორ იქცევით?**

ა) ბოლომდე ვეცდები ჩემი სიმართლის დამტკიცებას – 2 ქულა;
ბ) დაველოდები, სანამ ის ბოდიშს არ მომიხდის – 1 ქულა;
გ) ვეცდები, ჩხუბი მალევე დავივიწყო – 3 ქულა.



**3. კინოში მიდიოდით. ბოლო წუთს მეუღლემ გადაიფიქრა წამოსვლა თავის ტკივილის მიზეზით. რას იზამთ?**

ა) გავბრაზდები და მარტო წავალ – 1 ქულა;
ბ) თუ საწინააღმდეგო არაფერი ექნება, მარტო წავალ – 3 ქულა;
გ) მეც სახლში დავრჩები – 2 ქულა.

**4. მეუღლე ძალიან უგუნებოდ არის. რას მოიმოქმედებთ?**

ა) ვეტყვი, რომ თავისი უგუნებობით მე არ უნდა შემაწუხოს – 1 ქულა;
ბ) არ შევიმჩნევ, ვითომ არაფერი – 2 ქულა;
გ) ყველაფერს გავაკეთებ, რომ გავამხიარულო – 3 ქულა.

**5. ითვალისწინებთ მეუღლის გემოვნებას სხვადასხვა საკითხში?**

ა) აუცილებლად – 3 ქულა;
ბ) არა. უბრალოდ, არც ვეკითხები. არ არის ამისი დრო – 1 ქულა;
გ) გააჩნია საკითხს. ზოგჯერ ვეკითხები, ზოგჯერ – არა – 2 ქულა.

**6. გაიგეთ, რომ მეუღლემ უნებლიეთ გიღალატათ. როგორი იქნება თქვენი რეაქცია?**

ა) ვაპატიებ, ვითომ არაფერი მომხდარა – 1 ქულა;
ბ) სამაგიეროს იმავე მეთოდით გადავუხდი – 2 ქულა;
გ) დაველაპარაკები მეუღლეს. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი – 3 ქულა.

**7. თქვენი შვილი ცუდად სწავლობს, თქვენი და თქვენი მეუღლის რეაქცია იქნება:**

ა) ორივე ერთად დავეხმარებით – 3 ქულა;
ბ) ორივე მკაცრად გავაკონტროლებთ – 1 ქულა;
გ) ქმარს ვაიძულებ, ამეცადინოს – 2 ქულა.

**8. ზრუნავთ მეუღლის ავტორიტეტზე, მის გაძლიერებაზე?**

ა) არა. მან ამაზე თავად უნდა იზრუნოს – 2 ქულა;
ბ) დიახ, რადგან, ამაზეა დამოკიდებული ჩემი ავტორიტეტიც – 3 ქულა;
გ) თუ მთხოვს, არ არის პრობლემა – 1 ქულა.

**9. საღამოს სამსახურიდან მოსულ მეუღლეს როგორ ხვდებით?**

ა) უბრალოდ ვეკითხები, როგორ ჩაიარა მისმა დღემ – 2 ქულა;
ბ) აუცილებლად ვკოცნი – 3 ქულა;
გ) ჩვეულებრივად, არაფერი განსაკუთრებული – 1 ქულა.

**10. როგორ ფიქრობთ, რა გაკავშირებთ ერთმანეთთან თქვენ და თქვენს მეუღლეს?**

ა) სიყვარული, პატივისცემა, შვილები – 3 ქულა;
ბ) საერთო საზრუნავი, სახლი – 1 ქულა;
გ) ცხოვრების წესი, საერთო საკუთრება, საერთო ინტერესები – 2 ქულა;

**11. ზრუნავთ მეუღლის გარეგნობაზე?**

ა) დიახ და, თუ არ მომწონს, ვეუბნები, მაგრამ, სწყინს – 1 ქულა;
ბ) ვცდილობ, მეუღლეს მოდურად და ძვირფასად ეცვას – 3 ქულა;
გ) მისი გარეგნობა საერთოდ არ მადარდებს – 2 ქულა.

**12. მეუღლის ნათესავებთან რა დამოკიდებულება გაქვთ?**

ა) არ მიყვარს, თუმცა არ ვიმჩნევ – 2 ქულა;
ბ) ისინი, უბრალოდ, არ არსებობენ – 1 ქულა;
გ) პატივს ვცემ როგორც საკუთარ ნათესავებს – 3 ქულა.

**13. შენიშნეთ, რომ მეუღლემ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას მოუმატა:**

ა) სკანდალს მოვუწყობ – 1 ქულა;
ბ) არ შევიმჩნევ – 2 ქულა;
გ) არანაირი პრობლემა არ არის – 3 ქულა.

**14. მისცემდით მეუღლეს იმდენ თავისუფლებას, რამდენიც მას უნდა?**

ა) დიახ. თუმცა, გააჩნია, რას დაარქმევს ის თავისუფლებას – 3 ქულა;
ბ) არა, რა სუსულელეა! – 1 ქულა;
გ) არ ვიცი. რთულია – 2 ქულა.

**15. გაქვთ ჩვევა, ეჩხუბოთ მეუღლეს მისი ახირებების გამო?**

ა) არა – 3 ქულა;
ბ) ვცდილობ, არ ავყვე – 2 ქულა;
გ) არ ვფიქრობ ამაზე – 1 ქულა.

**16. გაქვთ მეუღლეებს საერთო საფულე?**

ა) რა თქმა უნდა. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ – 2 ქულა;
ბ) არა, ეს სისულელეა – 3 ქულა;
გ) არის საოჯახო ფული და არის პირადიც – 1 ქულა.

**17. გჯერათ, რომ თქვენს მეუღლეს უყვარხართ?**

ა) ასი პროცენტით დარწმუნებული ვერ ვიქნები – 1 ქულა;
ბ) დიახ – 2 ქულა;
გ) ამაში ვინმე დარწმუნებულია? – 3 ქულა.

**ნახეთ შედეგები.**

*45 ქულაზე მეტი: არაჩვეულებრივი მეუღლე ხართ. თქვენს ქორწინებას არაფერი ემუქრება. ან მართლა ძალიან გიყვართ ერთმანეთი, ან ისეთი ნდობა და სიახლოვე გაქვთ, ურთმანეთოდ არსებობა ვერ წარმოგიდგენიათ.*

*30-45 ქულა: ნორმალური მეუღლეები ხართ, ნორმალურად ურთიერთობთ და თქვენი ოჯახიც სტაბილურია. თუმცა, ერთმანეთის ნაკლს ხედავთ, მაგრამ, არაფრის გამოსწორებას არ ცდილობთ.*

*30 ქულაზე ნაკლები: ხშირად ფიქრობთ, რომ უკეთეს მეუღლეს იმსახურებდით. შეიძლება, ამას ხმამაღლა არ ამბობთ, მაგრამ, შინაგანად სულ დაძაბული ხართ. კიდევ გაქვთ შანსი, ყველაფერი გამოასწოროთ, თუკი ეს მართლაც გინდათ.*

**ელენე წულუკიძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**16 თებერვალი**

1923 – ეგვიპტეში ჰოვარდ კარტერის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ტუტენჰამონის აკლდამის შესასვლელი (მის გათხრას ერთი წელი დასჭირდა).

1937 – ამერიკელმა ქიმიკოსმა უოლეს ჰიუმ კაროზერსმა დააპატენტა ნეილონი.

1956 – დიდ ბრიტანეთში გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

1968 – ქალაქ ჰეილვილში (ალაბამა) გაიხსნა პირველი სასწრაფო მაშველთა სამსახური – 911.

1980 – ქალაქ ლიონთან (საფრანგეთი) წარმოიშვა საავტომობილო საცობი სიგრძით 176 კილომეტრი.

**17 თებერვალი**

1876 – ჯულიუს ვოლფმა ამერიკის შეერთებული შტატებში დაამზადა თევზის კონსერვი (სარდინები).

1947 – რადიოარხმა – „ამერიკის ხმა" – დაიწყო ტრანსლირება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

**18 – თებერვალი**

1825 – იაპონიის მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვით სიკვდილით ისჯებოდა ნებისმიერი უცხოელი, რომელიც გაბედავდა და იაპონიის ნაპირზე შედგამდა ფეხს.

1930 – ასტრონომმა კლოდ ტომბომ აღმოაჩინა მზის სისტემის მეცხრე პლანეტა – პლუტონი.

1979 – უცნაური ფაქტი – ალჟირში მოვიდა თოვლი და საჰარის უდაბნოს ქვიშები დაფარა.

**19 თებერვალი**

1878 – ტომას ალვა ედისონმა დააპატენტა ფონოგრაფი – პირველი ხმის ჩამწერი მოწყობილობა.

1986 – მსოფლიო მასშტაბით აიკრძალა ვეშაპებზე ნადირობა.

**20 თებერვალი**

1872 – ნიუ-იორკში გაიხსნა მეტროპოლიტენ მუზეუმი.

1937 – ამერიკელმა ინჟინერმა უოლდო უატერმანმა წარადგინა თავისი გამოგონება – მანქანა, რომელსაც ფრენა შეეძლო (ან თვითმფრინავი, რომელსაც გზებზე მოძრაობა შეეძლო).

1940 – პირველად ეკრანებზე მულტფილმში ერთად გამოჩნდნენ კატა ტომი და თაგუნა ჯერი.

1988 – შეიარაღებული კონფლიქტის დასაწყისი მთიან ყარაბახში.

**21 თებერვალი**

1858 – ბოსტონელმა ედვინ ჰოლმსმა პირველმა დააყენა სახლში ელექტროსიგნალიზაცია.

1885 – ვაშინგტონში გაიხსნა ჯორჯ ვაშინგტონის ძეგლი (ყველაზე მაღალი ძეგლი მსოფლიოში – 169,3 მეტრი სიმაღლის).

1935 – დაარსდა ცნობილი კოსმეტიკურ საშუალებათა მწარმოებელი ფირმა „ლანკომი".

1947 – ედვინ ლენდმა წარადგინა თავისი გამოგონება – ფოტოაპარატი „პოლაროიდი".

1953 – უოტსონმა და კრიკმა გამოაქვეყნეს მათ მიერ გაშიფრული დნმ-ის ფორმულა (ორმაგი სპირალი).

**22 თებერვალი**

1635 – კარდინალ რიშელიეს ინიციატივით დაარსდა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია.

1828 – ერევანი და ნახჭევანი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

1848 – საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დასაწყისი.

1935 – თვითმფრინავებს აეკრძალათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენციის (თეთრი სახლის) თავზე გადაფრენა.

# სიყვარული ნისიად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №4-6(737)

ვერიკოს გაოცებისგან ენა ჩაუვარდა. მიუხედავად იმისა, რომ დედასთან ძალიან ახლოს იყო, შეიძლება ითქვას, დაქალობდნენ და ერთმანეთს ყველაფერს უყვებოდნენ, მაინც ძალიან გაუკვირდა ასეთი გულახდილობა. რამდენიმე წამში გადახარშა გონებაში მისი სიტყვები და უცებ გული აენვა – მიხვდა, რომ, დედა, რომელიც მისთვის მთელი ცხოვრება მისაბაძი მაგალითი იყო და ყოველთვის უბედნიერეს ქალად მიაჩნდა იმ დღემდე, სანამ მამა სახლიდან წავიდოდა, სინამდვილეში არასდროს ყოფილა ბედნიერი ცოლი... იმასაც მიხვდა, რომ, რატომღაც, სწორედ დღეს მოინდომა დედამ თავისი, შეიძლება ითქვას, საკრალური საიდუმლოს შვილისთვის გამხელა, მაგრამ, ვერ გაუბედა თუ ვერ აკადრა ამ ძალიან პირადულ და ძალიან ინტიმურ თემაზე კითხვების დასმა, თუმცა, იმასაც გრძნობდა, რომ დედა ამ კითხვებს მოუთმენლად ელოდა, რომ მერე უფრო თავისუფლად გადაეშალა გული. ვერიკოს შეეშინდა, ზედმეტი ცნობისმოყვარეობით არ დაეფრთხო ისედაც დაბნეული და აფორიაქებული ქალი და შორიდან მოვლა არჩია:

– წელან რომ მკითხე, ხომ არავის უყვარხარო...

– ჰო, მერე? – უცებ გამოცოცხლდა დედა.

– სიყვარულის რა მოგახსენო, მაგრამ, ორ კაცს ნამდვილად მოვწონვარ, ზუსტად ვიცი.

– ვინ არიან? – ქალის ხმაში ერთდროულად გაჟღერდა სიხარული, მოუთმენლობა და ცნობისმოყვარეობა.

– ერთი – ჩვენი ფირმის დირექტორია, მეორე კი – ელექტრიკოსი.

– ანუ, მონტიორი? – ცხვირი აიბზუა დედამ.

– ჰო, – გაეცინა ვერიკოს, – მაგრამ, ძალიან კარგი ბიჭია. გაგიკვირდება, ისეთი დახვეწილი და განათლებულია. ნებისმიერ თემაზე შეუძლია საუბარი, თან, ისეთი დახვეწილია...

– ეგ უკვე თქვი, – უკმაყოფილოდ აიქნია ხელი ქალმა, – ის დირექტორი ვინ არის და რას წარმოადგენს, გარდა იმისა, რომ დირექტორია?

– მაცადე, ჯერ ერთის დახასიათება დამამთავრებინე, – გაეცინა ვერიკოს.

– ჰო, კარგი, დაასრულე, ოღონდ, დროზე; მე ის მეორე უფრო მაინტერესებს.

– ამ ჩვენს ახალ ელექტრიკოსს, – ღიმილით განაგრძო ვერიკომ, – ილია ჰქვია. არის 40 წლის. ცოლი არასდროს ჰყოლია; ჰყავს მშობლები, გათხოვილი და და ცოლშვილიანი ძმა. თვითონ ცალკე ცხოვრობს, ოღონდ, სად და რა პირობებში, არ ვიცი. ორი უმაღლესი აქვს დამთავრებული, მაგრამ, სამსახური ვერ იშოვა და ელექტრიკოსობა დაიწყო – ეს საქმე ბავშვობიდან ეხერხებოდა. ყოფილი სპორტსმენია, მორაგბე. დაკუნთული და ნავარჯიშევი აღნაგობა აქვს – ეტყობა, ყურადღებას აქცევს თავის სხეულს. ყველასთან ძალიან ზრდილი და კორექტულია, განსაკუთრებით კი – ქალებთან, სხვათა შორის, ასაკის მიუხედავად. არის მხიარული და, თან, ძალიან მაგარი პროფესიონალი...

– შენ, რაღაც, ძალიან გატაცებით ლაპარაკობ იმ ვიღაც ელექტრიკოსზე, – ქალმა ბოლო სიტყვას ირონიულად გაუსვა ხაზი, – მაგრამ, რამდენიც არ უნდა განიო-გამოწიო, მონტიორი მაინც მონტიორია. ახლა კი იმ მეორეზეც მომიყევი, ვინ არის, რას წარმოადგენს, როგორ გეპყრობა...

– ჩვენს დირექტორს ჰქვია გენო, ანუ გენადი...

– გენადი რამ დაარქმევინათ მის მშობლებს? – შეწუხდა დედა.

– რუსი დედა ჰყავს და, ალბათ, იმან დაარქვა. აღარ შემაწყვეტინო, დამასრულებინე.

– ჰო, კარგი, გავჩუმდები, განაგრძე.

– არის 46 წლის, განქორწინებული. ჰყავს ორი სტუდენტი შვილი...

– ეტყობა, ძალიან ადრე შეირთო ცოლი, – ვერ მოითმინა და მაინც ჩაურთო კომენტარი ქალმა.

– ჰო, ალბათ. ჰყავს დედა და ერთი ძმა; აქვს ცალკე ბინა. ძმა სადღაც სხვა ქვეყანაში მუშაობს და, რადგან დედას მარტოს ვერ ტოვებს, გენო დედასთან ერთად ცხოვრობს. გარდა ამ ფირმისა, კიდევ ჰქონია რაღაც პატარ-პატარა ბიზნესები, მაგრამ, არ მახსოვს, რა. გარეგნობით არა უშავს – მაღალია, გამხდარი, სიმპათიური და ვერც საუბარს დაუწუნებ, თუმცა... – ვერიკო გაჩუმდა და თვალი სივრცეს გაუშტერა.



– რა – „თუმცა“?

– არ ვიცი, როგორ გითხრა...

– როგორც არის, ისე მითხარი.

– იცი, როგორი ტიპია? ქალს როცა მიმართავს – ახალგაზრდა ქალებს ვგულისხმობ, – თვალებში ჩასცქერის, თითქოს მონუსხვას ცდილობს; ტუჩებზე ღიმილს მიიხატავს და, რამე ოფიციალური საქმეც რომ ჰქონდეს, ისე ჩუმად და შემპარავი ხმით ელაპარაკება, თითქოს ამ მზერითა და ჩუმი საუბრით „აბამს“. ამ ქალებსაც ხომ მეტი არ უნდათ, თითოეულს ჰგონია, რომ ფირმის დირექტორი სწორედ მასზეა შეყვარებული და – მორჩა, თავიან-ფეხებიანად ებმებიან მახეში, უყვარდებათ ისე, როგორც ნებისმიერ უკაცო ქალს შეიძლება შეუყვარდეს უცოლო, შეძლებული, წარმატებული და სიმპათიური მამაკაცი; მისი ყურმოჭრილი მონები და, რაც მთავარია, მსტოვრები ხდებიან.

– ანუ?

– ანუ, სათითაოდ ყველა თანამშრომელზე შეაქვთ მასთან ენა: ვინ როგორ ცხოვრობს (პირადი ცხოვრების ჩათვლით), ვინ ვის რა ეუბნება და ასე შემდეგ. ასე ჰყავს ეს შტერი ქალები გამოჭერილი და, მათი წყალობით, მთლიანად აკონტროლებს სამსახურში სიტუაციას.

– მერე, ამით რას აღწევენ?

– მაგაზე აღარ დავფიქრებულვარ და, სიმართლე გითხრა, არც მაინტერესებს. ერთადერთი, ის ვიცი ზუსტად, რომ თითოეულ მათგანს გულში იმედი აქვს – ერთ დღესაც, სწორედ მას შეირთავს ცოლად და დანარჩენებს პირში ჩალას გამოავლებს.

– შენ?

– რა – მე?

– შენ როგორ გელაპარაკება ხოლმე?

– ჩემთან არ გასდის თავისი ნომრები და, ცოტა არ იყოს, გაოცებულია, თან – დაინტრიგებულიც.

– დაინტრიგებული რატომ?

– ალბათ, მთელ სამსახურში მე ვარ ერთადერთი ქალი, რომელიც არ წამოეგო მის ანკესზე და, მგონი, ინტერესშია ჩავარდნილი, – ვერიკო უცბად გაჩუმდა და მერე დაამატა: – არა, მართალს არ ვამბობ, ერთადერთი არ ვარ; მეორე, ვისაც თავის დაკრულზე ვერ ათამაშებს, თეაა.

– ვატყობ, რომ ეგ თეა კარგი კერკეტი კაკალი ჩანს.

– მაგარი. პრინციპში, თეა მამაკაცისთვის ყველანაირად საინტერესო ტიპაჟია, თან, სამჯერ განათხოვარი და, ხომ იცი, ასეთი გოგოების მიმართ კაცები უფრო თამამები არიან ხოლმე, მაგრამ თეას ისე უჭირავს თავი, რომ ვერცერთი ვერაფერს ვერ უბედავს. თუმცა...

– რა – „თუმცა“? – ისევ ვერ მოითმინა ქალმა.

– რა და, როგორც გავიგე, თეას თვითონ აქვს გენოზე თვალი დადგმული, მაგრამ, ისე იქცევა, რომ აქეთ შეეხვეწოს. მხოლოდ ერთი რამე ვერ გამიგია: თეასთან რომ ვიყავი, იქ ორი ახალგაზრდა კაცი იყო – ტატო და მამუკა, რომლებითაც, როგორც მივხვდი, თეაა დაინტერესებული; სამსახურში კი თავის დირექტორს ხვევს ბადეში ძალიან ტაქტიკურად... ეტყობა, ის

ტატო და მამუკა „სათადარიგოდ“ ჰყავს, თუმცა შეიძლება, ვცდებოდე კიდეც.

– ერთი ეს გამაგებინე, ამ კაცებზე ასეთი დაწვრილებით მონაცემები საიდან გაქვს?

– დაინტერესებული ქალები მიდგნენ-მოდგნენ, გაქექ-გამოქექეს თითოეულის ცხოვრება და მერე ერთმანეთს გაანდეს „საიდუმლოდ“, ჰოდა, ისე გახმაურდა თითოეულის მოპოვებული ინფორმაცია, მეც კი გავიგე.

– მოკლედ, ქალმა არ მოინდომოს, თორემ... – თავი გააქნია დედამ.

ის იყო, ვერიკოს რაღაც უნდა ეთქვა, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. ორივემ საათს შეხედა და გაოცდნენ – 9 საათი ხდებოდა.

– თავზე დაგვთენებია. ახლავე დაწექი და ცოტა გამოიძინე, – თქვა ქალმა და კარის გასაღებად წამოდგა.

– იყავი, მე გავაღებ, – ვერიკომ ხელით შეისწორა აბურდული თმა და ჰოლისკენ გაემართა.

– გამარჯობა, ვერიკო. მეგი ფეხზეა? – კარში მეზობელი იდგა, ვერიკოს მშობლების ბავშვობის მეგობარი.

– კი, ფეხზეა, არც კი დავწოლილვართ. შემობრძანდით, შოთა ბიძია.

– არა, მეჩქარება, სხვა დროს იყოს, ჩემო კარგო, ქვემოთ გოგოები მელოდებიან. მეგის უთხარი, თუ მოდის ჩვენთან ერთად კუს ტბაზე, დროზე ჩამოვიდეს, თორემ, ისედაც დაგვაგვიანდა გასვლა.

– კარგი, გადავცემ, – გაუღიმა ვერიკომ და, უკან რომ შემობრუნდა, გაუკვირდა: მეგი უკვე სპორტულად იყო გამოწყობილი, სარკესთან იდგა და კეპიან ქუდს იხურავდა.

– დედა, მთელი ღამე თვალი არ მოგიხუჭავს, რა ვარჯიში აგიტყდა?

– შენ გგონია, დავრბივართ და ყირაზე გადავდივართ? უბრალოდ, ვსეირნობთ – ავისეირნებთ კუს ტბამდე და მერე ისევ ნელი ნაბიჯით ჩამოვისეირნებთ.

– მეშინია, ცუდად არ გახდე.

– ნუ გეშინია, არ გავხდები. მაგრამ, იცოდე, ჩვენ საუბარი არ დაგვისრულებია.

– კარგი, ბატონო, საღამოსაც ვისაუბროთ, – ვერიკომ დედა თავიდან ფეხამდე შეათვალიერა და კმაყოფილმა უთხრა: – ნაშასავით გამოიყურები.

– მართლა? – აღფრთოვანდა მეგი, – ასეთი კომპლიმენტი კარგა ხანია, არავისგან მიმიღია. მაინტერესებს, შოთიკო და გოგოები რას მეტყვიან.

– გოგოები ვინ არიან, დედიკო? შოთა ბიძიამაც მითხრა, ქვემოთ გოგოები მელოდებიანო.

– ჩემი ხნის ქალები ჩვენი კორპუსიდან. ისე, ზოგი გაცილებით უფროსიც კია, მაგრამ, შოთიკოსთვის ჩვენ ისევ გოგოები ვართ, – მეგიმ კარი გამოაღო და გავიდა, მერე უკან მობრუნდა და შვილის მკაცრად უთხრა: – იცოდე, ახლა თუ არ დაწვები, რომ მოვალ, თავს მოვიკლავ!

– კარგი, წადი, გელოდება ის ხალხი, – სიცილი აუტყდა ვერიკოს და კარი მიხურა.



მაშინვე ლოგინს მიაშურა, საბანში კარგად გაეხვია და თვალები დახუჭა. თავისდა გასაკვირად, სერგის მონატრებით გამოწვეული სევდა გაუნელდა და გაიფიქრა, ალბათ, მართალია დედაჩემი, უნდა მოვასვენო ის ბიჭი იქ, სადაც არისო და მერე ფიქრებით თავის ორ თაყვანისმცემელზე გადაერთო, თუმცა, თაყვანისმცემლები არც ეთქმოდა, უბრალოდ, ორივე სხვადასხვანაირად გამოხატავდა მის მიმართ სიმპათიას. ვერიკომ უცებ იგრძნო, რომ სიამოვნებდა ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ორი მამაკაცის შეფარული არშიყობა, მაგრამ, ვერ გაერკვია, რომელი კანდიდატურა (ამ სიტყვაზე გაეცინა) იყო მისთვის უფრო მისაღები. თვითონ არცერთის მიმართ არ ჰქონდა გამოკვეთილად განსხვავებული დამოკიდებულება, მაგრამ, ორივეს საქციელი თავიდან ბოლომდე რომ გააანალიზა, უცებ იგრძნო, რომ გენო რაღაცნაირად აშინებდა, უფრო სწორად, მასთან ელემენტარული, თუნდაც სამსახურთან დაკავშირებული კონტაქტი, უცნაურად ძაბავდა და საშინელ დისკომფორტს უქმნიდა, რაც მერე მთელი დღის განმავლობაში მიჰყვებოდა; ილიას მიმართ კი, თავისდაუნებურად, უფრო კეთილგანწყობა ეუფლებოდა. ამ მხიარულ ახალგაზრდა კაცს, სადაც მიდიოდა, ყველგან ხალისი შეჰქონდა. გოგოები ყოველთვის ოვაციებით ხვდებოდნენ ილიას გამოჩენას და, როცა რამე გაუჭირდებოდათ, მაშინაც მასთან გარბოდნენ, მაგრამ, საკმარისი იყო, რომელიმეს მიმართ ცოტა მეტი ყურადღება გამოეჩინა, რომ მაშინვე აიმრიზებოდნენ და სასწრაფოდ თავის ადგილზე „მოსვამდნენ“ ხოლმე „გათამამებულ” ელექტრიკოსს, ანუ, მაშინვე აგრძნობინებდნენ, რადგან თავს გიყადრებთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზედმეტის უფლება მისცე თავსო. ეს „ზედმეტი უფლება“ კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ილიას მიერ გულწრფელად ნათქვამი ქათინაური ან საღამოს კაფეში დაპატიჟება.

ვერიკოს ეცოდებოდა ილია, რადგან, იცოდა, რომ გოგოები მისი სოციალური სტატუსის გამო ექცეოდნენ ასე, ამიტომ (თუმცა, ვერიკო საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ არამარტო ამიტომ), თვითონ ყოველთვის ცდილობდა, არ ეგრძნობინებინა მისთვის, შენ უბრალო და ღარიბი ბიჭი ხარო და ყოველთვის სიამოვნებით გაუბამდა ხოლმე საუბარს, თუკი საამისო დრო ჰქონდა.

სამაგიეროდ, გენო იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქალების თავდასხმისა თუ შემოსევის ობიექტი, სხვათა შორის, მანამდეც, სანამ ცოლს გაშორდებოდა და თვითონაც შორის, არასდროს ამბობდა უარს სუსტი სქესის მხრიდან გამოვლენილ თაყვანისცემაზე; შესაბამისად, ხან ერთი მიჰყავდა საღამოს მანქანით „საქმეზე“, ხან მეორე და ხან მეათე.

ქალების აქტიურობა გასაგები იყო. სოლიდური ფირმის დირექტორი, წარმოსადეგი მამაკაცი საკმაოდ სერიოზული უძრავ-მოძრავი ქონებით, შეუძლებელია, არ გამხდარიყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა ინტერესის ობიექტი. ყველაზე სასაცილო კი ის იყო (ვერიკოს აზრით, რა თქმა უნდა), რომ თითოეულ მათგანს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ გენოს სწორედ ის უყვარს და სწორედ მასზე გააკეთებს საბოლოო არჩევანს; მაგრამ, როგორც კი პატივცემული დონჟუანი სხვა ქალზე „გადადიოდა“ (ეს კი დაახლოებით თვეში ერთხელ ხდებოდა, ანუ, ერთ თვეში ჰბეზრდებოდა ნებისმიერი სატრფო), მიტოვებული ქალი მაშინვე ხდებოდა გენოს ახალი რჩეულის მოსისხლე მტერი და, მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის ამ საკმაოდ სერიოზული მიზეზის გამო, შეიძლება ითქვას, სამსახურში სრული ქაოსი იყო ქალ თანამშრომელთა ურთიერთობების თვალსაზრისით, ანუ, ვინ ვის ებრძოდა, ვინ ვის უთხრიდა სამარეს ზურგსუკან და ვის ვისზე რა ენა შეჰქონდა დირექტორთან, ალბათ, უფალიც ვერ გაარკვევდა; ოღონდ, თითოეული მათგანი ამას ჩუმად აკეთებდა, გარეშე თვალისთვის კი გოგოები ერთმანეთთან დაქალობდნენ, ერთად დადიოდნენ კაფეებში, „ტუსოვკებზე“ და დასასვენებლადაც კი.

ამ „ალიაქოთში“ არ გარეულან მხოლოდ ვერიკო და თეა, თუმცა ვერიკო გუმანით გრძნობდა, რომ გენო უკვე იყო მოხვედრილი თეას ინტერესების სფეროში და, თითქოს ფიზიკურად ხედავდა კიდეც იმ რკინის ბადეს, რომელსაც ეს პატარა გოგო ნელ-ნელა და გულდაგულ ქსოვდა თავისი დირექტორის გარშემო.

თეას გახსენებაზე ვერიკოს უნებურად ტატოსა და მამუკას სახეები დაუდგა თვალწინ და გაიფიქრა, გენო თუ მოსწონს, ესენი რა შუაშია არიანო, მაგრამ, ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა, რადგან, უცბად ისე დაიღალა სხვების ცხოვრებაზე ფიქრით და ისე უცებ და ღრმად ჩაეძინა, რომ აწკრიალებული მობილურის ხმაც კი აღარ გაუგონია.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა**: **მაქვს ზოლიანი აჰავას ორწლიანი 10 ცალი ნერგი. მსურს გაყიდვა, ვის მივმართო და რა ღირს?**

**პასუხი:** დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გამოიყურება ნერგი. შეიძლება, ნერგი ორწლიანი იყოს, მაგრამ, არაჯანსაღი; ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა ზომისაა ისინი. თუ თქვენი ნერგები ჯანმრთელია, თითოს ფასი დაახლოებით ოცდაათ ლარამდე იქნება. მიმართეთ ყვავილების მაღაზიებს – შესაძლებელია, მათ სჭირდებოდეთ აჰავას ნერგები და შეიძინონ.

**კითხვა**: **შესაძლებელია თუ არა ბინაში ზამიოკულკასის გახარება და აყვავება?**

**პასუხი**: ეს აფრიკული მცენარე ჩრდილში ყოფნას კარგად იტანს და ამიტომ ოთახის პირობებს ადვილად ეგუება. ის იოლად გასაზრდელი მცენარეა და არც განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. დროდადრო სიმშრალესაც იტანს, მაგრამ, შეიძლება ფოთლები დასცვივდეს. თუმცა, თუ ჩამოვარდნილ ფოთოლს ტენიან მიწაზე დადებთ, დაფესვიანდება და ორ წელიწადში ახალი მცენარე გექნებათ. ის გაზნეულ შუქზე უკეთ იზრდება. ამ მცენარეს ბუნებრივ გარემოში მწვანე და თეთრი ყვავილები ამოსდის, მაგრამ, ოთახის პირობებში იშვიათად ყვავის.

**კითხვა**: **რამდენ ხანში ერთხელ მივანოდო ტილანზიას სასუქი?**

**პასუხი**: მცენარეს ზრდის პერიოდში მეოთხედად გაზავებული ბალანსირებული თხევადი სასუქი თვეში ერთხელ, დანამვისას ან წყალში ჩაშვებისას შეასხურეთ. შეუქმნეთ მაქსიმალურად ტენიანი გარემო, მაგრამ ზედმეტი წყალი მის დაღუპვას იწვევს. ამიტომ, აუცილებელია კარგი დრენაჟის მქონე მიწა. ზაფხულში ან ხშირად დანამეთ, რათა მიწა წყლით გაიჟღინთოს, ან, თუ მიწა თითქმის მშრალია, ოთახის ტემპერატურის მქონე რბილ წყალში ჩაუშვით და შემდეგ კარგად დაწრიტეთ. ზამთარში იშვიათად მორწყეთ.

**კითხვა**: **როგორ პირობებში ხარობს უკეთ მადაგასკარული ჟასმინი?**

**პასუხი**: მას კაშკაშა სინათლეზე ყოფნა მოსწონს, მაგრამ მზის გულს მოარიდეთ. იდეალურია სტაბილური ტემპერატურა, დაახლოებით 30 გრადუსი, უფრო მაღალ ტემპერატურაზე კი მეტი ტენი სჭირდება. ეს მცენარე ვერ იტანს ტემპერატურის ცვლილებას და დაბალ ტენიანობას, ამიტომ, უმჯობესია, მუდმივად ერთნაირ პირობებში ამყოფოთ. დანამეთ რეგულარულად. აქტიური ზრდის პერიოდში მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთრის თვეებში მორწყვა შეამცირეთ და მიწას შეშრობა აცალეთ, ოღონდ, მთლიანად ნუ გამოაშრობთ.

**კითხვა**: **როგორ უნდა შევარჩიოთ მცენარისთვის ქოთანი?**

**პასუხი**: სწორად შერჩეული ქოთანი სილამაზეს შეჰმატებს მცენარეს. ჭურჭელი ძირითადად ორი სახისაა: ქოთანი, რომელშიც მცენარეს ჩარგავთ და, კაშპო, რომელშიც მცენარეს ქოთნიანად ჩადგამთ. ქოთნის შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომ: მოყვავილე მცენარეებს ფერადდეტალებიანი ქოთნები უხდება, ხოლო მკვეთრი, კონსტრუქციული ფორმის მქონე მცენარეები უბრალო, მარტივი ფორმის ქოთნებში უფრო ეფექტურია. დეკორატიული კაშპო, რომელიც პლასტმასის ულამაზო ქოთანს მალავს, წყალგაუმტარი უნდა იყოს, რათა მორწყვის შემდეგ ზედმეტი წყალი შიგ ჩაგროვდეს. ფსკერზე ნახვრეტიან ქოთანში მცენარე პირდაპირ უნდა ჩარგოთ. როგორც წესი, ასეთი ქოთანი ლამბაქთან ერთად იყიდება. ლამბაქი ავეჯს მორწყვის შემდეგ გაჟონილი წყლისგან იცავს.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა**: **ახალ რძალს, რომელიც შემოვიდა ჩემს ოჯახში, ვაჩუქე ძვირად ღირებული საგვარეულო ბრილიანტის ბეჭედი. ჩემმა რძალმა ძალიან გამაბრაზა. შემიძლია თუ არა, უკან მოვითხოვო საჩუქარი? ჩუქების პერიოდიდან გასულია ერთი წელი.**

**პასუხი**: სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. თუმცა, არის ერთი პირობა: ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ჩუქებიდან გასული დროის პერიოდი, არამედ, დროის ის მომენტი, როდესაც თქვენ ძალიან გაგაბრაზეს და დიდი უმადურობა გამოიჩინეს თქვენ მიმართ. თუ თქვენი „ძალიან გაბრაზების" პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებია გასული, უფლება გაქვთ, მოითხოვოთ გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნება.

**კითხვა**: **ვარ მწარედ შეყვარებული. ვერ გავარკვიე, სისხლის სამართლის ახალი კოდექსით დასჯადია თუ არა ცოლის მოყვანის (დაქორწინების) მიზნით ქალის მოტაცება და, თუ დასჯადია, რა სასჯელს იმსახურებს? ასევე, გთხოვთ, მითხრათ, შეიძლება თუ არა შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გოგონა, რომლის მოტაცებასაც ვაპირებ, მიყვარს?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, მართალია, სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ ქალის მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით, დასჯადი ქმედებაა, მაგრამ, ამგვარი ქმედება კვალიფიცირდება როგორც თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომელსაც აქვს ასევე მაკვალიფიცირებელი გარემოებები და საკმაოდ მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს. კანონში მითითებული არაა, რომ სიყვარული ქმედების შემამსუბუქებელი გარემოებაა, თუმცა, მსგავს შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ, შეიძლება, სიყვარული ჩათვალოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

**კითხვა**: **არ ვეთანხმები საგადასახადო შემოწმების აქტს. გავასაჩივრე სასამართლოში. მაგრამ, სასამართლომ უარი თქვა საქმის განხილვაზე. კანონიერია თუ არა მისი გადაწყვეტილება.**

**პასუხი**: სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის ნორმებიც გამოიყენება ასევე ადმინისტრაციულ პროცესშიც, დადგენილია წარმოდგენილი სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები. სარჩელის მიღებაზე უარის შემთხვევაში, მოსამართლეს გამოაქვს განჩინება, რომელიც საჩივრდება კერძო საჩივრით.

**კითხვა**: **მოქალაქეებმა დადეს ნაძლევი საფეხბურთო მატჩში მონაწილე გუნდებზე. ერთ-ერთმა ნაძლევი წააგო, მაგრამ ფულის გადახდას თავს არიდებს. მოგებულს განცხადება უნდა შეეტანა სასამართლოში გამართლებული... ტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ. უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მისი მოთხოვნა?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სამოქალაქო ურთიერთობებში სანაძლეო მოთხოვნის უფლება არ წარმოშობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სანაძლეოს საფუძველზე უკვე განხორციელებული შესრულების უკან გამოთხოვა არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, სასამართლო ვერ დაავალდებულებს სანაძლეოს გადახდის თაობაზე სანაძლეოს დამდებს, რომელიც უარს აცხადებს წაგებული სანაძლეოს პირობის შესრულებაზე.

# რჩევები ავტომოყვარულებს

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ ნაკლები ცხენის ძალის მქონე ავტომობილს მეტი ცხენის ძალის მქონე ავტომობილზე სწრაფი აჩქარების უნარი ჰქონდეს?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, შესაძლებელია. უპირველესად, ნებისმიერ ავტომობილს უწერია თავის მონაცემებში ცხენის ძალების რაოდენობა. ამ სიმძლავრეს ის ძრავას მაღალი ბრუნის დროს აღწევს. რეალურად, ძრავას ბრუნვადობის მუშა დიაპაზონის გადართვისას, ძრავა წუთში 4 000-დან 7 000 ბრუნვამდე მერყეობს. მნიშვნელოვანია, რა სიმძლავრე აქვს ავტომობილს 4 000 ბრუნზე, 4 100-ზე, 4 500-ზე და ასე ბოლომდე – 7 000-მდე. ორი მანქანის შედარებისას, სწორედ ამ მაჩვენებლების ნაკრების მაქსიმალური მონაცემებით შეგვიძლია, განვსაზღვროთ, თუ რომელ ავტომობილს აქვს უფრო მეტი აჩქარება და რომელს – ნაკლები. ანუ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ავტომობილის ტექნიკურ მახასიათებლებში მინიშნებულ ცხენის ძალებს, რომლებიც მხოლოდ ძრავის ბრუნის ერთ მომენტში მიიღწევა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ასევე, არ დაგავიწყდეთ, ამ დროს მნიშვნელოვანია ავტომობილის წონა და მგზავრების რაოდენობა.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ოპელ-კორსა", 1995 წლის გამოშვება. როდესაც საჭეს მარცხნივ ვატრიალებ და ადგილიდან დავიძვრები, კაკუნის ხმა მესმის. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და, შესაძლოა თუ არა, რომ ამ კაკუნმა სხვა დეტალების დაზიანება გამოიწვიოს?**

**პასუხი:** თქვენს მანქანას დაზიანებული აქვს ეგრეთ წოდებული „ყუმბარა", სავარაუდოდ, ის მხარე, რომელ მხარეს მოხვევის დროსაც კაკუნი ისმის. მაგრამ, გააჩნია, თქვენი ყუმბარა რომელ ადგილასაა დაზიანებული. ამის მიხედვით შესაძლოა, მოხვევის საპირისპირო მხარეც იყოს დაზიანებული. რაც შეეხება ამის გართულებას, გირჩევთ, რაც შეიძლება მალე გამოიცვალოთ, რადგან, სანამ ის ასე კაკუნობს, შეიძლება დაიშალოს, რაც მოძრაობისას თქვენს გაჩერებას გამოიწვევს. მაგრამ, არის კიდევ ერთი ალბათობა, რომ, შეიძლება, ის უხეშად ჩაიშალოს და შიდა ყუმბარების დაზიანებაც გამოიწვიოს, რაც ბევრად უფრო პრობლემურია და მისი გამოცვლაც უფრო ძვირი დაგიჯდებათ; მით უმეტეს, „ოპელ-კორსას" სჩვევია ყუმბარის ასეთი ჩაშლა. ზოგადად, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში ზიანდება, თუ ავტომობილს რამდენჯერმე მოხვეული საჭით დავძრავთ. ძირითადად კი ზიანდება იმ დროს, თუ დამცავი შალითა გადასძვრება, შიგნით კი წყალი ან ჭუჭყი შევა, რაც ყუმბარასაც აზიანებს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ბეემვე 320", 1992 წლის გამოშვება. მოსახვევში შესვლისას უეცრად ძალიან პატარა თხრილში ჩავვარდი, რომელსაც გადავუარე, მაგრამ, მკვეთრი ხმა გაისმა და ჩემმა ავტომობილმა მართვა დაკარგა. მოვასწარი და მკვეთრად დავამუხრუჭე. გამიმართლა, რომ არაფერს შევასკდი. როდესაც გადმოვედი, დავინახე, რომ მარცხენა საბურავი მობრეცილი იყო და ამის გამო მარცხენა ფრთაც დაზიანებულიყო. როგორც შემდეგ გაირკვა, ეგრეთ წოდებული „შარავოი" გატეხილა. როგორ უნდა მოვქცეულიყავი და ამ სიტუაციაში მართალი ვარ თუ არა?**

**პასუხი:** მსგავსი რამ არა მხოლოდ „ბეემვეს" შეიძლება დაემართოს, არამედ, ნებისმიერი მოდელისა და მარკის ავტომანქანას. გამომწვევი მიზეზი კი ძალიან მარტივია: სანამ რამე მსგავსი არ შეგვემთხვევა, პროფილაქტიკის მიზნით არაფერს ვამოწმებინებთ. არადა, ძალიან მნიშვნელოვანია პერიოდულად სავალი ნაწილის გადამოწმება, თუ როგორ მდგომარეობაშია ის. ეს, შეიძლება, სულ რაღაც 5 ლარი დაგვიჯდეს, მაგრამ, სერიოზული ზარალისა და ზიანისგან გვიხსნას. სავარაუდოდ, თქვენს შემთხვევაში შემდეგი მოხდა: დამცავში, რომელიც ან გახეული იყო, ან სიძველისგან დაზიანებული, ჰაერი ან ნესტი შეიპარა, მოხდა ამ დეტალის დაჟანგვა ან გამოშრობა და, ბოლოს, გატყდა. ასეთი რამ რომ არ განმეორდეს, სხვა ადგილებიც გადაამოწმებინეთ ხელოსანს. ის დაზიანებულ დეტალს აღადგენს, გაპოხავს და მწყობრში ჩააყენებს.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
* *დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
* *ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
* *ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
* *მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რომელი ცხოველები ავადდებიან ყველაზე ხშირად ცოფით?**

**პასუხი:** ყველაზე ხშირად ავადდებიან ცოფით გარეული ცხოველებიდან – მელიები და მგლები, ხოლო შინაური ცხოველებიდან – ძაღლები და კატები. ისინი ინფიცირდებიან გარეული ცხოველის დაკბენით ან ნერწყვის მოხვედრით დაზიანებული კანის ნაწილზე. რამდენიმე ხნის განმავლობაში ვირუსი დასნებოვნების ადგილასაა, შემდეგ კი მიჰყვება ნერვულ დაბოლოებებს და ნერვული გზით ხვდება ჯერ ზურგის, შემდეგ კი თავის ტვინში. დაავადების სიმპტომები მას შემდეგ ვლინდება, რაც ვირუსი მთელ ორგანიზმში გავრცელდება. დაავადების კლინიკური სურათის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს მისი ფარული, ანუ ინკუბაციური პერიოდი. ცხოველი აღნიშნულ პერიოდშიც საშიშია. ხშირად ინკუბაციური პერიოდი 10-14 დღის განმავლობაში გრძელდება, ხოლო ადამიანში მისმა ხანგრძლივობამ შეიძლება, შეადგინოს ერთ წლამდეც კი. მოხვდება რა ცოფის ვირუსი თავის ტვინში, იქიდან ისევ ნერვის გავლით ხვდება სანერწყვე ჯირკვალში, სადაც ხდება მისი აქტიური პროდუცირება და ნერწყვთან ერთად გამოყოფა. კლინიკური ნიშნების გამოვლინებამდე 10 დღით ადრე შეიძლება, დაიწყოს დასნებოვნებულმა ცხოველმა ვირუსის გამოყოფა.

**კითხვა: მაინტერესებს, რა სიმპტომებით გამოირჩევა ძუ ძაღლი მშობიარობის წინა პერიოდში?**

**პასუხი:** მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე, ძუ სეირნობისას ცდილობს, შორს არ წავიდეს, ამზადებს ბუდეს, უმეტესად მოუსვენრობს, ხშირად წევს და პატრონის მიმართ განსაკუთრებით გადამეტებით მოსიყვარულეა. მშობიარობამდე 2-3 დღით ადრე სარძევე ჯირკვლებში დგება რძე. განსაკუთრებით ნამშობიარები ძუსთვის უმჯობესია, თუ 2-3 დღით ადრე აჩვენებთ მას ვეტერინარს.

სამშობიარო აქტი მიმდინარეობის მიხედვით, შეიძლება დავყოთ სამ სტადიად. პირველი სტადიაა – სამშობიარო გზების გაფართოება; მეორე სტადია – ლეკვის დაბადება, როცა შეიმჩნევა საშვილოსნოს კუმშვები, ეს სტადია ნორმალური სამშობიარო აქტის დროს გრძელდება 2 საათამდე; მესამე სტადია – სანაყოფე გარსებისა და პლაცენტის გამოძევება, რომელიც ძირითადად, ხდება 5-15 წუთში ლეკვის დაბადებიდან, ან მომდევნო ლეკვის დაბადების დროს.

რაც შეეხება ჭინთვებს, ეს მუცლის კედლის კუნთების შეკუმშვაა, რაც საშვილოსნოს ნაყოფის გამოძევებაში ეხმარება. ჭინთვებისა და საშვილოსნოს შეკუმშვის ლოგიკური დასასრულია ლეკვის დაბადება, რომელიც თანდათანობით გამოდის სამშობიარო წყლების ბუშტთან ერთად მენჯში, ხოლო შემდეგ კი, სწრაფად გამოიდევნება გარეთ.

ლეკვი, როგორც წესი, იბადება თავით და ზურგით მაღლა. მაგრამ, არის შემთხვევები, როცა ნაყოფი უკუღმა იბადება. ლეკვები ძირითადად, იბადება სანაყოფე გარსთან ერთად, მაგრამ მშობიარობის დროს შეიძლება, გასკდეს სანაყოფე გარსი და სანაყოფე სითხე დაიღვაროს. ლეკვის დაბადების შემდეგ, ხდება პლაცენტისა და სანაყოფე გარსების გამოძევება სამშობიარო გზებიდან.



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

> *ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.*
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# მაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-6(737)**

ბადალოვის ხსენებაზე ხურდა კვლავ აკანკალდა. გააბოლა და ვაჟას უთხრა:

– რას მიკეთებ, გინდა, რომ ჩეჩნებმა გამატყაონ? გეტყობა, კარგად არ იცი, თუ რაში მაყოფინებ თავს და რა შარში ვარდებით თქვენც.

– ჩიტი ბდღვნად ღირს, ხურდა. ჩემი და შენი სიცოცხლე არაფერია იმასთან შედარებ-



ით, რა სიკეთესაც მოვუტანთ ჩვენს ერს. ცხოვრებაში ერთხელ მაინც გადადგი სწორი ნაბიჯი.

– რომელი ილია ჭავჭავაძე მე მნახე. მშვიდი ცხოვრება მინდა.

– მშვიდად მაინც ვერ იცხოვრებ და ჯობია, შენი ცოდვების გამოსყიდვაზე იზრუნო. სინდისი არ გაწუხებს ხოლმე?

– ფული მირჩევნია.

– თანახმა ხარ თუ არა?

– მეტი რა გზა მაქვს. თანახმა ვარ.

– მაგრამ იცოდე, ბადალოვთან და საერთოდ, ასეთ საქმეში შეცდომის დაშვება სიკვდილის ტოლფასია. ძალიან ფრთხილად უნდა იყო. არ ინერვიულო. არ დაიბნე და ყურადღებით იყავი. დარწმუნებული ვარ, გამოგივა.

– რატომ ხარ დარწმუნებული?

– თუნდაც იმიტომ, რომ ამდენი წელია, ასეთ საიდუმლოს ინახავ. ძმაკაცის ცოლისგან შვილი გყავს და ერთხელაც არ გაიშიფრე.

– ნუღარ მახსენებ. არ დავიწვები. საკუთარი თავი ყველაზე მეტად მიყვარს.

– მარტო საკუთარი თავი?

– შემდეგ კი ფული.

– საკმაოდ მყარი დასაყრდენი გაქვს. კი, ნამდვილად შეძლებ, – ჩაეცინა ზვიადაურს, – მაგრამ გახსოვდეს, თუკი ჩემს გაცურებას დააპირებ, თავს დაკარგავ და ფული აღარ დაგჭირდება. ამიტომ ორივეს გაუფრთხილდი.

– გავუფრთხილდები, გავუფრთხილდები. წავედი ახლა, თორემ ძებნას დამიწყებენ. ბევრი საქმე მაქვს.

– აბა, შენ იცი. როგორც შევთანხმდით, კავშირზე ისე გამოხვალ. ეგენი კი საიმედოდ დამალე, – უთხრა ხურდას ზვიადაურმა, მოსასმენ-ჩამწერ აპარატურაზე მიანიშნა და კაფედან გაისტუმრა. ოციოდე წუთის შემდეგ კი თავადაც დატოვა იქაურობა და ოფისში წავიდა.

– როგორ ჩაიარა ვერბოვკამ? – ჰკითხა გამრეკელმა ზვიადაურს.

– როგორც ვვარაუდობდით, ბატონო მერაბ. დაგვთანხმდა, თუმცა ყოველნაირად ცდილობდა თავის არიდებას.

– ბადალოვზე რომ უთხარი, არ შეეშინდა?

– კი. მაგრამ, სხვა რა გზა ჰქონდა. ასე თქვა, ყველაზე მეტად საკუთარი თავი და ფული მიყვარსო.

– ტიპური ნაძირალაა.

– კი, მასეა. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თავის საქმეს კარგად გაართმევს თავს.

გამრეკელს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ტელევიზორს მიაპყრო მზერა. დიქტორი ლარისას ქმარზე ლაპარაკობდა. გამრეკელმა ხმას აუწია და გაიგო, რომ პრეზიდენტმა ლარისას ქმარი პარლამენტს ოფიციალურად წარუდგინა დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე. სიუჟეტი რომ დასრულდა, მერაბმა ხმას დაუწია და ზვიადაურს უთხრა:

– ახლავე უნდა ვიმოქმედოთ, რომ პრეზიდენტმა თავისი მოთხოვნა პარლამენტიდან გამოიწვიოს.

– მზად რომ არ ვართ?

– სანამ შენ ხურდას ავერბოვკებდი, დრო არც მე დამიკარგავს უქმად, – თქვა გამრეკელმა და უჯრიდან ქსეროასლების სქელი დასტა ამოიღო და, – აი, ხურდას გმირობების ქსეროასლები. რამდენიმე ეპიზოდია, მაგრამ კამპანიის დასაწყებად კმარა. ეს საბუთები დღესვე უნდა გამოქვეყნდეს ტელევიზიით. ხვალ კი გაზეთებმა დაბეჭდონ. მიდი, იმოქმედე.

ზვიადაურმა საათს დახედა და თქვა:

– ოთხი სრულდება. ვეცდები, რომ ექვსსაათიან საინფორმაციო გამოშვებაში მოხვდეს. ცხრიანში კი ყველა შემთხვევაში გავა.

– აბა, შენ იცი, მიდი!

ვაჟა ზვიადაური რკინიგზის სადგურისკენ გაემგზავრა და ათი ქსეროასლის დასტა ათ სხვადასხვა შემნახველ საკანში შეინახა. შემდეგ ქუჩის ტელეფონიდან ტელევიზიებსა და გაზეთების რედაქციებს დაურეკა და უთხრა:

– ექსკლუზიური მასალები შინაგან საქმეთა მინისტრობის კადრებზე თქვენთვის მაქვს გამზადებული. უფასოდ გადმოგცემთ. მომავალში კი მეტ მასალას მოგაწვდით, – ბოლოს, ზვიადაური შემნახველი საკნის კოდს ამბობდა და ტელეფონს თიშავდა.

ნახევარი საათის შემდეგ, რკინიგზის სადგურის შემნახველ საკნებს ჟურნალისტები შეესიენ და ექსკლუზიური მასალები წაიღეს. ზვიადაური მანქანიდან ადევნებდა თვალყურს ამ პროცესს. ოფისში რომ დაბრუნდა, გამრეკელს უთხრა:

– უნდა გენახათ, რა ხდებოდა. მშიერი ბეღურები რომ ხორბალს დააცხრებიან და კენკავენ, ისე შეესიენ ჟურნალისტები შემნახველ საკნებს და მასალები წაიღეს.

– ძალიან კარგი. ახლა შედეგს დაველოდოთ.

შედეგმაც არ დააყოვნა და ერთ-ერთმა წამყვანმა ტელეკომპანიამ პირველი თხუთმეტწუთიანი სიუჟეტი ლარისას ქმარსა და ხურდას მიუძღვნა. მასში მიწასთან იყო გასწორებული შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატი. ხურდა და მისი უფროსი ერთად, უხმოდ უყურებდნენ ტელევიზორს. სიუჟეტი რომ დასრულდა, ლარისას ქმარმა რაღაცის თქმა დააპირა. ამ დროს „ვეჩემ“ დარეკა.

– გისმენთ, – თქვა კომიტეტის თავმჯდომარემ.

– შენი დედაც, ტელევიზორიდან უნდა ვგებულობდე ასეთ ამბებს? – მოესმა ლარისას ქმარს პრეზიდენტის ისტერიკული ხმა.

– მეც არ ვიცოდი, ბატონო პრეზიდენტო, – ამოილუღლუღა ლარისას ქმარმა.

– რა, არ იცოდი, შე სირო? ბანდიტს რომ ნიშნავდი პარლამენტში, რა გეგონა? გინდა, რეიტინგი გამიფუჭო?

– არა, რას ბრძანებთ?

– მორჩა შენი მინისტრობა. უკან ვიწვევ ჩემს მოთხოვნას პარლამენტიდან და სხვა კანდიდატურას დავასახელებ.

– გასაგებია.

– რა არის გასაგები?! – ისტერიკულად გაჰკიოდა პრეზიდენტი, – ახლავე მოაშორე ეგ ბანდიტი პარლამენტს. და, საერთოდ, კადრები შეარჩიე. თორემ, ამასაც არ გაკმარებ და პარლამენტიდანაც პროპკასავით გაგისვრი.

– კარგი. ახლავე გავუშვებ.

– ახლავე, დაუყოვნებლივ, – გაჰკიოდა პრეზიდენტი.

– დიახ. უკვე მისი გათავისუფლების ბრძანებას ვბეჭდავ.

– ბანდიტები არ დამანახვო, ბანდიტები! – თქვა აქოშინებულმა პრეზიდენტმა და სანამ ყურმილს დაახეთქებდა, დაამატა, – თქვენი დედაც, ყველა ბანდიტს მოგსპობთ.

გაფითრებულმა ლარისას ქმარმა ტელეფონის ყურმილი დაკიდა. გააბოლა და ხურდას უთხრა:

– იმან დამირეკა და ისტერიკულად მომთ-




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

***ჩაწერა ხდება წინასწარ.***

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

ხოვა შენი გაშვება.
– მივხვდი, – მიუგო ხურდამ.
– მაინც, საიდან გამოგიჩხრიკეს ჟურნალისტებმა, მაგათი დედაც!
– რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა ხურდამ.
– მოკლედ ასე, ახლავე დავბეჭდავ შენი გათავისუფლების ბრძანებას. საღამოს კი, უფრო სწორად ღამით, დავილაპარაკოთ.
– რა ხდება?
– ბოტკოველს უნდა შევხვდე და შენც დაესწარი. ერთი საქმეა გადასაწყვეტი. მოკრიფე ახლა შენი ნივთები და წადი. შუაღამეს ჩემთან გელოდები. ჟურნალისტების შეტევა დაიწყება და მათ მოსაგერიებლად უნდა მოვემზადო.
ხურდა წავიდა. ლარისას ქმარმა, მილიონერმა ბოტკოველმა და ხურდამ დილის ხუთ საათამდე ილაპარაკეს და დაიშალნენ. ხურდა სახლში დაბრუნდა და ტანსაცმლიანად წამოწვა ლოგინზე. ცხრა საათზე კი კონსპირაციული ნომრით ზვიადაურს დაურეკა და კუს ტბაზე შეხვედრა დაუნიშნა.
– რა ხდება, ხურდა? – ჰკითხა ზვიადაურმა. ხურდას ჩაეცინა და მიუგო:
– ძველი შკოლა სულ სხვაა.
– რას გულისხმობ?
– ასე ოპერატიულად, მაინც როგორ მოახერხეთ ამხელა კამპანიის აგორება?
– ძველი შკოლაა, – გაიმეორა ვაჟამ და ჰკითხა, – რა მოხდა?
– იმან დარეკა.
– ვინ? – ვერ მიხვდა ვაჟა.
– პრეზიდენტმა.
– რაო, რა თქვა?
– შეფს ყველაფერი თავზე დაახურა.
– მართალია ის კაცი. სულ ესაა?
– არა.
– თქვი, გისმენ.
– მოკლედ, მართალი აღმოჩნდი. შეფმა ახალი ხაზი ჩამაბარა.
– რა ხაზი? რა და, უსმან ბადალოვთან შეხვედრა და მასთან მოლაპარაკება დამავალა.
– საინტერესოა.
– ჰო. მთელი ღამე მე, შეფი და ბოტკოველი ვსაუბრობდით და ყველაფერი დავალაგეთ. ბადალოვს უნდა ვუთხრა, რომ მის ტავარს ბოტკოველი გადაზიდავს. კრიშა შეფი იქნება. მე კი შეფის წარმომადგენელი.
– კარგად იცნობ ბადალოვს?
– კი. ერთად ორი საქმე გვაქვს გაკეთებული.
– ძალიან კარგი. როგორ ფიქრობ, წამოვა გარიგებაზე?
– რატომ არ უნდა წამოვიდეს. რას კარგავს, რო? – მიუგო ხურდამ ზვიადაურს და ჩანაწერი მისცა, – აი, მთელი ბაზარის ჩანაწერი.
ვაჟამ ჩანაწერი ჯიბეში შეინახა და ხურდას უთხრა:
– ბადალოვთან ჩაწერა სახიფათოა. შეიძლება, გაგშმონონ და რომ დაინვა, თავსაც დაილუპავ და საქმესაც.
– ვიცი და არც ვაპირებ. ყველაფერს ზეპირად გეტყვი.
– იცოდე, ფრთხილად.
– რა მზრუნველი ხარ? – ირონიით თქვა ხურდამ.
– რატომაც არა. როდის უნდა შეხვდე?
– ხვალ პანკისში მივემგზავრები და შევუთვლი. თუ საზღვარს იქით არაა, მაშინ მალე. თუ ჩეჩნეთშია, დაველოდები.
– კარგი. წარმატებას გისურვებ. როგორც კი ჩამოხვალ, დამიკავშირდი.
ხურდა ერთ კვირაში დაბრუნდა. ზვიადაურს კვლავ კუს ტბაზე შეხვდა და უთხრა:
– ველაპარაკე ბადალოვს.
– მერე?
– დამეთანხმა. ასე მითხრა, – ჰეროინი არ მოგვაკლდებაო.
– ნაძირალა.
– რატომ? ეს ხომ ბიზნესია.
– ბინძური ბიზნესი, რომელიც ჩვენი ერის გასანადგურებლადაა გამიზნული.
– მთელი მსოფლიო ნარკოტიკებზე დგას და ჩვენ რა ვყოფილვართ.
– სხვისი არ ვიცი, მე ჩემი მაღლევებს. შენ, რა არა? თუმცა, შენ მხოლოდ შენი თავი და ფული გიყვარს.



– ნუ გაიჩხერენ და არ გაუზედურდებიან. ვინმე აძალებს გაჩხერას? მე ნახევარი ცხოვრება სროკზე მაქვს გატარებული, მაგრამ ერთი დღეციც არ შემიშხაპუნებია.
– შენნაირებზე არ მაქვს ლაპარაკი.
– რას მერჩი. მიყენებ, თან მლანძღავ?
– კარგი, გვეყოფა. ამდენი ხანი რატომ შეყოვნდი?
– ბადალოვს ველოდებოდი. იქით იყო გადასული.
– საომრად?
– ამჯერად არა.
– აბა, რისთვის?
– თავისი ძმის მკვლელი ჩამოათრია პანკისში და ჩემ წინ პირადად, ცოცხლად გაატყავა.
ხურდას სიტყვებზე ზვიადაურს ცივმა ოფლმა დაასხა. ვაჟამ იცოდა, რომ ბადალოვის უფროსი ძმა, ახმედი ლიადოვის დავალებით იყო მოკლული და გულმა ცუდი უგრძნო.
– ვინ, ძმის მკვლელი?
– ვიცნობდი მასაც. მაგარი ყაჩაღი იყო. ახმედი ერქვა. ორი წლის წინ სნაიპერმა მოსკოვში გააგორა და ის მკვლელი დაითრიეს.
– ჩეჩენმა მოკლა?
– რუსმა.
– კი მაგრამ, როგორ მიაგნეს?
– ეგ, აბა, მე რა ვიცი. მაყუთით, ალბათ. აწამეს. შემკვეთის გვარი გაიგეს და ცოცხლად გაატყავეს.
– შენ წინ, ხომ?
– ჰო. სპექტაკლი დამიდგა რა. ამით მაგრძნობინა, არც თქვენ დაგინდობთ, თუ გადამაგდებთო. კაციჭამიები არიან.
– ნაბიჭვრები.
– შენ, რა, აბაროტს არ აიღებდი?
– კი.
– ჰოდა, რას ერჩი?
– მაგათ ყველას გაწყვეტენ რუსები და იმისი მეშინია, ჩვენც არ მოგვაყოლონ ტისკებში. არ გახსოვს, როგორ ბომბავდნენ პანკისს?
– მახსოვს, მაგრამ, რას იზამ... იცი, რამდენი არიან? თბილისზე რომ წამოვიდნენ, ალბათ, აგვილებენ.
– ჰოდა, ასე რომ არ მოხდეს, ჭკუით უნდა ვაჯობოთ. შენ კი ამ საქმეში წვლილს შეიტან.
– ქიანქველებივით არიან შესეულები ხეობას. არა რა, არ უნდა შემოგვეშვა. ახლა მათი გაყვანა ძნელია. უნდა ეომო.
– ომის გარეშე.
– როგორ? ხომ გეუბნები, თავისი ძმის მკვლელი დაითრია და ახლა შემკვეთის მოკვლაზე ჩალიჩობს. არა, – ხელი ჩაიქნია ხურდამ, – ტერორისტებთან ბრძოლა ძნელია.
– კარგი. მოვრჩეთ. პირველი პარტია რომ წამოვა, გამაგებინე.
– რას აპირებ?
– ყოველ შემთხვევაში, შენ არ გაიშიფრები. წადი, დაისვენე და მშვიდად იყავი.
ზვიადაურს ერთი სული ჰქონდა, გამრეკელს დალაპარაკებოდა. ხურდა რომ გაისტუმრა, გიჟივით გავარდა ოფისში და გამრეკელს ეახლა.
– რა სახე გაქვს, ვაჟა. რა მოხდა? – ჰკითხა გამრეკელმა.
– ხურდას შევხვდი.
– მერე?
– ლიადოვი გაიშიფრა.
– როგორ?
ვაჟამ გამრეკელს ყველაფერი დაწვრილებით უამბო და უთხრა:
– რა ვქნათ?
– ლიადოვი სასწრაფოდ უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში, რომ ფრთხილად იყოს.
– ტელეფონით არ გამოვა?
– არა. შეგიძლია, მოსკოვში გადაფრინდე?
– კი. ახლავე წავალ.
– იცოდე, ფრთხილად!
– გამრეკელმა საათს დახედა და ვაჟას უთხრა, – სამია. ხუთზე მოსკოვის რეისი მიფრინავს. შენ ახლავე აეროპორტში გაქანდი. მე კი უფროსს დავურეკავ და ბილეთს დავაჯავშნინებ. ლიადოვსაც შევატყობინებ, რომ მიფრინავ.
– კარგი. წავედი.
ვაჟა რომ გავიდა, გამრეკელმა ჯერ ბილეთი დაჯავშნა. შემდეგ ლიადოვს დაშიფრულად ელაპარაკა და ტელეფონი გათიშა.

***

მოსკოვის დროით, ღამის ათ საათზე, ზვიადაური უკვე ლიადოვის პირისპირ იჯდა.
– ეტყობა, რაღაც მოხდა, ასე სასწრაფოდ რომ ჩამოფრინდი მოსკოვში, – უთხრა ვაჟას ლიადოვმა.
– დიახ. მოხდა.
– რა?
– თქვენზე ჩეჩნები ნადირობენ.
– ჩეჩნები?
– დიახ. ჩეჩნები. რუსეთის მიერ ძებნილი უსმან ბადალოვის ხალხი.
– საველე მეთაურ ბადალოვის, რომლის რაზმიც პანკისის ხეობაშია ბაზირებული და



– გაქრა?

– კი, გაქრა. შემდეგ კი ისევ გამოჩნდა და გავარკვიეთ, რომ ის ყოვლად უპრინციპო, მხოლოდ და მხოლოდ ფულზე მომუშავე, უიდეო შემსრულებელი იყო. ასეთი ადამიანები კი ორმაგად საშიშნი არიან. ერთი სიტყვით, შევცდი არჩევანში. ვიჩქარე, როდესაც მას ახმედ ბადალოვი მოვაკვლევინე. ცოტა ხანში ის მუჰამედოვის კანტორაში აღმოჩნდა.

– ეგ ვინღაა?

– ქილერების შეფი. საკუთარი კანტორა აქვთ და შეკვეთილ მკვლელობებზე მუშაობენ. ოღონდ ფული გადაუხადე და ჩვილ ბავშვსაც კი მოაჭრიან თავს. თანაც, იმ ცოცხლადგატყავებულმა ჩემი ბავშვობის მეგობარი მოკლა. ბიზნესმენი იყო და კონკურენტმა მუჰამედოვს შეუკვეთა ეს საქმე. ერთი სიტყვით, საკმაოდ სერიოზული მიზეზი მქონდა. თანაც, ერთი კომბინაციის დასაწყებად კარგი მომენტი იყო და უსმან ბადალოვს ქილერის ვინაობა გავუშიფრე. ცოცხლად გატყავებული, სავარაუდოდ, ნიაზ მუჰამედოვს დაასახელებდა შემკვეთად და არა ჩემს სახელს. ის მე საერთოდ არ მიცნობდა.

– მე მგონი, რაღაცას ვხვდები, – თქვა ზვიადაურმა, – ერთი მხრივ, თქვენი მეგობრის მკვლელი და საშიში ქილერი მოიცილეთ თავიდან, მეორეს მხრივ კი – მუჰამედოვის კანტორას უსმან ბადალოვის ბანდა დაატაკეთ და ერთმანეთს ახოცინებთ.

– სწორედაც რომ მასეა. ისინი ერთმანეთს დაერევიან და დაასუსტებენ. მათი ნარჩენების ნაწილს ჩვენ მოვუღებთ ბოლოს, ნაწილს კი – სხვები.

– საკმაოდ მარტივია და მზაკვრული.

– კი, ასეა. მზაკვრებისა და ნაძირლების წინააღმდეგ სხვაგვარად ვერაფერს გახდები.

– გეთანხმებით, – თქვა ზვიადაურმა.

– ცუდი ისაა, ჩემო კარგო, რომ ჩეჩენთა რაზმს თქვენს ტერიტორიაზე აქვს ბაზა და მთავრობამ რომ მათი „გასუფთავების“ ოპერაცია დაიწყოს, საბრძოლო მოქმედებებმა შეიძლება, საქართველოში გადმოინაცვლოს. ხომ ხვდები, რას ნიშნავს ეს?

– ძალიან ცუდს. შეიარაღებულ კონფლიქტს თუ არა, ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გაფუჭებას.

– კარგია, რომ ჩამოხვედი. ამ დღეებში ისედაც მინდოდა თქვენთან ლაპარაკი.

– რა თემაზე?

– რა თემაზე და ზუსტად ვიცი, მაგ ბადალოვს პანკისში ჰეროინის ფაბრიკა აქვს და საკმაო დიდ ფულს ატრიალებს. იმდენს, რომ თავის ანტირუსულ ტერორიზმსაც აფინანსებს და დიდი ქონებაც შეიძინა უცხოეთში. ამ საკითხის პოლიტიკურ მომენტს რომ დავანებოთ თავი, ხომ შეიძლება, ეს თეთრი ჭირი საქართველოში გაიყიდოს და თქვენი გენოფონდის განადგურებას შეუწყოს ხელი?

– მართალს ბრძანებთ, – ჩაეცინა ზვიადაურს.

– რა ეშმაკურად გეცინება, რაღაცაშია საქმე? – იკითხა ლიადოვმა.

– საქმე ისაა, რომ ჩვენ უკვე ჩავერთეთ ამ ამბავში და ჩემი აგენტი სწორედ ამ საქმეზე იყო ჩასული ბადალოვთან პანკისში, როდესაც მან თავისი ძმის მკვლელი ცოცხლად გაატყავა.

– ყოჩაღ, ქართველო კოლეგებო. ვხედავ, ტყუილად არ კარგავთ დროს. რა დოზით ხართ ამ საქმეში ჩართულები და რას აპირებთ?

– ჯერჯერობით ვაკვირდებით და ვცდილობთ, მაქსიმალური ინფორმაცია მოვიპოვოთ. მეტი ჩვენ რა შეგვიძლია?

– მათი კონტროლიც არაა პატარა საქმე, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ეს კრაზანების ბუდე დედაბუდიანად მოვსპოთ.

– როგორ? ამას სამხედრო ოპერაცია სჭირდება და სახელმწიფომ უნდა განახორციელოს. ჩვენები კი ასეთ რამეს არ იზამენ.

– მაშინ ამას ჩვენები იზამენ და უფრო უარესი იქნება. სანამ დროა, რამე უნდა მოვიფიქროთ.

– მაინც, რა?

– იქნებ მათი რუსეთის ტერიტორიაზე შეტყუება მოხერხდეს. იქ კი მათ სპეციალური ძალები გაანადგურებენ, – უთხრა ლიადოვმა ზვიადაურს.

***

– სერ, პოლკოვნიკი მორისი გელოდებათ, – მოახსენა თანაშემწემ გენერალ პოულს სელექტორიდან.

– შემოვიდეს, – თქვა „ფებეერის“ დირექტორის მოადგილემ და ჩიბუხი გააბოლა.

დენის მორისს პოულმა ხელი ჩამოართვა, სავარძელზე მიუთითა და ჰკითხა:

– უშბასგან რა ისმის?

– წუხელ დაგვიკავშირდა სატელიტით და ასე თქვა, ყველაფერი რიგზეაო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოპერაცია „კარტელი“ გეგმაზომიერად მიმდინარეობს, – მიუგო გენერალს პოლკოვნიკმა და გაეღიმა, – ღელავ ხომ?

– კი. ცოტას ვნერვიულობ.

– დამშვიდდი, მარტინ. ჯაბა ნამდვილი საიდუმლო აგენტია. ეშმაკის ფეხი და არ გაიშიფრება.

– იმედი მაქვს, – თქვა გენერალმა და ჩიბუხი მოქაჩა.

– ის ჩვენ ყოველმხრივ მოვამზადეთ და არაფერი შეეშლება.

– მაინც ვნერვიულობ. იმ ველურ კაციჭამიებში ასეთ ახალგაზრდას არაფერი შეემთხვეს.

მორისმა ღიმილით მიუგო პოულს:

– არაფერი შეემთხვევა. მერწმუნე, მარტინ, რომ უშბა მათზე არანაკლები ველური და კაციჭამიაა. ისე გამოვწვრთვენით, რომ დღესვე შეუძლია საღვთო ომის წინამძღოლი გახდეს და წინ გაუძღვეს იმ ველურებს.

გენერალმა პაუზა გააკეთა და ჩაფიქრდა. შემდეგ კი პოლკოვნიკს ჰკითხა:

– უშბა რატომ შეარქვით, რაიმე აზრევია-

რომელსაც ორი წლის წინ სისხლისმსმელი ძმა, ახმედი მოუკლეს მოსკოვში? – თქვა ლიადოვმა.

– დიახ. სწორედ ახმედის გამო უნდათ თქვენი მოკვლა. ბადალოვმა ქილერი გაშიფრა, შეიპყრო, პანკისში ჩაიყვანა, შემკვეთის ვინაობა ათქმევინა და ბოლოს ცოცხლად გაატყავა.

– შენ საიდან იცი?

– ჩემმა აგენტმა მითხრა, რომელიც ბადალოვთანაა კავშირზე. აი, ამიტომ ჩამოვფრინდი ასე სასწრაფოდ. ტელეფონით ამდენ რამეს დაშიფრულადაც ვერ გეტყოდით. დრო არ ითმენს. თავს უნდა გაუფრთხილდეთ და უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებია მისაღები.

– კარგია, რომ ჩამოფრინდი. მადლობელი ვარ, – გაეცინა ლიადოვს, – მაგრამ არანაირი საფრთხე არ მემუქრება.

– ეგ როგორ? – ვერ მიხვდა ზვიადაური.

– ცოცხლად გატყავებული სნაიპერი ბადალოვს, სულ სხვა კაცის ვინაობას ეტყოდა.

– თქვენ, რა იცით?

– სნაიპერი მე გავუშიფრე ბადალოვს.

ზვიადაური აბსოლუტურად დარწმუნებული იყო ლიადოვის კეთილსინდისიერებაში და იცოდა, რომ ის არასდროს ღალატობდა თავისიანებს. ამიტომ, თავისი ყოფილი უფროსის სიტყვეებმა უკიდურესად გააოცა და დაბნეულმა ჰკითხა:

– კი მაგრამ, რატომ?

– გამოტყდი, ალბათ, ფიქრობ, ლიადოვმა თავისიანების ჩაშვება დაიწყოო, – გაეცინა ლიადოვს.

– არა. რას ბრძანებთ, – იუხერხულა ვაჟამ.

– ახლავე ყველაფერს აგიხსნი. ცოცხლად გატყავებული სნაიპერი ყოფილი სამხედრო იყო. ვაკვირდებოდით და კანტორაში მისი შემოყვანა გვინდოდა. შუამავლის მეშვეობით ახმედ ბადალოვის მკვლელობა შევუკვეთეთ, რაც მან უმაღლეს დონეზე შეასრულა და უკვე მის გადმობირებაზე მუშაობის დაწყებას ვაპირებდით, როცა ის მოულოდნელად გაქრა.

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

ტურაა?

– არა. უშბა ერთ-ერთი მწვერვალია კავკასიაში.

– გასაგებია, – ჩაეცინა პოულს, – თქვენი კავკასიელი გენიოსი დანარჩენ კოლეგებზე ათი თავით მაღლა დგას, როგორც ის მწვერვალი და სიმბოლურად შეარქვი. გონებამახვილურია. იმედია, გაამართლებს ამ სახელს.

– თავს დავდებ, რომ სწორედ ასე იქნება.

– დენ, ოპერაცია „კარტელით“ პირადად პრეზიდენტია დაინტერესებული. შეფისთვის უთქვამს – „კარტელის“ ყველა წვრილმანი და სიახლე დაუყოვნებლივ მომახსენოთო. ერთ საათში დირექტორს მოხსენება უნდა წარვუდგინო. ის კი შემდეგ, თეთრ სახლში, პრეზიდენტს მოახსენებს.

– შეიძლება, მოვწიო? – იკითხა პოლკოვნიკმა და სიგარა ამოაცურა.

– მიდი.

მორისმა გააბოლა და გენერალს უთხრა:

– საინტერესოა, ძალიან საინტერესო.

– რას გულისხმობ?

– პრეზიდენტის ასეთ დაინტერესებას ამ ოპერაციით.

– გეთანხმები, – გაეცინა პოულს.

– ხვდები ხომ, რასაც ვგულისხმობ?

– დაახლოებით. თუმცა, შენი აზრი მაინტერესებს.

– ამ ყველაფერს, როგორც ეტყობა, დიდი პოლიტიკის სუნი უდის და ვფიქრობ, თეთრ სახლში რაღაც გლობალური აქციისთვის ემზადებიან. ოპერაცია „კარტელი“ კი ამ აქციის შემადგენელი ნაწილია.

– სავარაუდოდ, კი. გეთანხმები.

– მაშინ, ჩვენ რა შუაში ვართ? ასეთი საქმეებით ხომ „ცეერუა“ დაკავებული?

– რა იცი, რომ ახლაც მასე არაა? და, თუ არაა, მაშინ რაღაც ეტაპზე ჩაერთვებიან.

– ჩაერთვებიან და დაფნის გვირგვინსაც ისინი დაიდგამენ. ჩვენ კი, როგორც ყოველთვის, თამაშგარე დავრჩებით და იმით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ პრეზიდენტი ოვალურ კაბინეტში მიგვიწვევს. დაგვამწკრივებს, ჰოლივუდურად გაგვიღიმებს და სათითაოდ, მხურვალედ ჩამოგვართმევს ხელს.

– რას იზამ, ასეთია თამაშის წესები და ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესები.

– ნეტავ, შეფი თუ ხვდება ამას?

– ყოველ შემთხვევაში, არაფერს იმჩნევს, – მიუგო გენერალმა პოლკოვნიკს, – კარგი, კარგი, დენ, ნუ წუწუნებ. გული მიგრძნობს, რომ ამ ოპერაციის შემდეგ გენერლობა არ აგცდება.

– ეჰ, როდის ეგ იქნება. ვინ იცის, რამდენი ხანი გაიწელება „კარტელი“ და რა კუთხით მოგვთხოვენ მის წარმართვას.

– ჩვენი ვალია, ქვეყნის სამსახური, – მიუგო პოულმა და საათს დახედა, – კარგი, დენ. დრო არ ითმენს. შეფს უნდა ვეახლო. აბა, შენ იცი, როგორც კი რამე სიახლე იქნება, იმწუთასვე შემატყობინე.

– არის, სერ! – გამოეჯგიმა პოლკოვნიკი გენერალს. შემდეგ ხელი ჩამოართვა ძველ მეგობარს და კაბინეტიდან გავიდა.

პოლკოვნიკი დენის მორისი გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ დაგეგმილი ოპერაცია „კარტელის“ კურატორი იყო და ჯაბა ზვიადაურთან მხოლოდ მას ჰქონდა პირადი კონტაქტი. ჯაბა, იგივე აგენტი უშბა, ბიუროს ტექნიკურ განყოფილებაში სპეციალურად შექმნილი, მინი-სატელიტური ტელეფონით უკავშირდებოდა თავის კურატორს და მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან შეეძლო დარეკვა. ტელეფონი უბრალო ნივთით იყო შენიღბული და აზრადაც კი არავის მოუვიდოდა, თუ რა დანიშნულება ჰქონდა.

***

– მაჰმუდ, ამერიკელს უხმე, – უთხრა თავის ადიუტანტს ავღანელმა საველე მეთაურმა საიდ რამზან ბეიმ და „აკაეს-უ“ ხელმარჯვნივ დაიდო.

ორიოდე წუთის შემდეგ, რამზან ბეის შალაშში ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა შემოვიდა. ის ჯინსებში იყო გამოწყობილი, სუფთად გაპარსული და ჯიჰადისტი მეომრებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ფეხმორთხმულ მასპინძელს წესისამებრ დაუკრა თავი და მიესალმა:



– სალამ, რამზან ბეი.

– სალამ, ჯამალ. დაჯექი, – მიუგო მასპინძელმა ახალმოსულს და მიწაზე გაფენილ ხალიჩაზე მიუთითა, – გისმენ. მითხარი შენი ამბავი.

– რამზან ბეი, მე შახ ომარის ვაჟი ვარ, ჯამალ ჯურთი. ერთი კვირაა, რაც ჩამოვედი და მოუთმენლად ველოდი თქვენთან შეხვედრას, – უთხრა ახალმოსულმა მასპინძელს.

– მამაშენს პირადად არ ვიცნობდი. თუმცა, მის ვაჟკაცობაზე ბევრი რამ მსმენია. ნამდვილი ალაჰის მეომარი იყო. ურჯულოებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. ახლა ის სამოთხეშია. ნეტარებაში და იქიდან გვამხნევებს, თან გაფაციცებით გვადევნებს თვალყურს. დიდება ალაჰს. იმედია, მამის კვალზე დგახარ.

– დიახ, სერ! უკაცრავად, რამზან ბეი. ამერიკაში რვა წელი ვცხოვრობდი და შეჩვეული ვარ მათ ტერმინებს, – მოიბოდიშა ჯამალმა, – რა თქმა უნდა, მამაჩემის კვალზე ვდგავარ და აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ მისი საქმე გავაგრძელო.

– ალაჰის საქმე, – გაუსწორა ჯამალს მასპინძელმა.

– დიახ. ალაჰის საქმე. დიდება მას!

– მომიყევი შენი ისტორია.

– მამა და მისი რაზმი რომ ამოხოცეს ამერიკელებმა, მაშინ თოთხმეტი წლის ვიყავი. მე შემთხვევით გადავრჩი. გონებადაკარგული ვიყავი, თორემ მათ ამას რას შევარჩენდი, თავს შევაკლავდი.

– ყოჩაღ. ნამდვილი ალაჰის მეომრის სიტყვებია, – შეაქო რამზან ბეიმ ჯამალი, – შემდეგ?

– ვისკონსინის შტატში ჩამიყვანეს. ორი წელი ბავშვთა სპეცსკოლაში ვიზრდებოდი. ეს იგივე ციხეა. მართალია, საკნებში არ ვცხოვრობდით, მაგრამ გარეთ არ გვიშვებდნენ. რომ იტყვიან, ტვინს გვირეცხავდნენ.

– ეგ რას ნიშნავს?!

– ამერიკულ ყაიდაზე გვზრდიდნენ, იდეოლოგიურად გვამუშავებდნენ. ბევრი ჩემი თანატოლი გადაიბირეს.

– ეგ როგორ?

– წარსული დაავიწყეს. ზოგმა რჯულიც კი გამოიცვალა. მე კი ღრმად მქონდა გულში ჩაბეჭდილი შურისძიება და ხელსაყრელ მომენტს ვეძებდი უკან დასაბრუნებლად. თექვსმეტი წლის რომ შევსრულდი, იფიქრეს, მოვაქციეთო და გამომიშვეს. ოთხი წელი კოლეჯში ვისწავლე. შემდეგ ვისკონსინის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. პარალელურად კი, ყურანს ვიზეპირებდი. ფიზიკურად და მორალურად ვემზადებოდი. ხელსაყრელ მომენტს ვქმნიდი. როდესაც ყველაფერი მზად იყო, ორ ურჯულოს ყელი გამოვჭერი და გამოვიქეცი.

– აქ როგორ ჩამოაღწიე?

– სხვისი საბუთებით პარიზში ჩავფრინდი. იქიდან კი, ტაჯიკეთის გავლით, აქ ჩამოვაღწიე. ერთი თვე მოვუნდი მგზავრობას. აქ თქვენმა მეომრებმა შემიპყრეს და მაშინებდნენ. დახვრეტის იმიტაციაც კი გაითამაშეს.

– ნაწყენი ხომ არ ხარ, ჯამალ?

– არა, რამზან ბეი. ისინი არაფერში ტყუიან. მით უმეტეს, ასე ვარ გამოწყობილი, თანაც, უცხო. მადლობა ალაჰს, რომ დამიფარა სიკვდილისგან და არ დამხვრიტეს.

– კეთილი, გასაგებია. ახლა ის თქვი, რის გაკეთება გინდა და რა შეგიძლია.

– მინდა ალაჰის რიგითი მებრძოლი გავხდე და ურჯულოები ვხოცო. ნებისმიერ თქვენს ბრძანებას შევასრულებ. გნებავთ, შაჰიდის ქამარს შევიბამ და ნატოს ბაზაზე შევვარდები? – მიუგო რამზან ბეის თვალებანთებულმა ჯამალმა.

– ამას ყოველთვის მოასწრებ, – გაეცინა მასპინძელს, – იარაღის ხმარება თუ იცი?

– ვიცი.

რამზან ბეიმ ავტომატს საბრძოლო მჭიდი მოაძრო. ჯამალს გაუწოდა და უთხრა, – დაშალე დაააწყვე.

ჯამალმა ავტომატი წინ დაიდო. თვალები შავი ცხვირსახოცით აიკრა. შემდეგ ავტომატი თვალახვეულმა თვალის დახამხამებაში დაშალა და ააწყო. ცხვირსახოცი მოიხსნა. იარაღი რამზან ბეის გაუწოდა და უთხრა:

– ინებეთ.

მასპინძელმა „აკაეს-უს” მჭიდი გაუკეთა. კვლავ გვერდით დაიდო და ჯამალს მიუგო:

– ყოჩაღ, ალბათ, სროლაც გეცოდინება.

– დიახ.

– სად ისწავლე?

– ტირში. ამერიკაში ეს ძნელი არაა. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ამის გაკეთება, თუკი სურვილი აქვს, – თქვა ჯამალმა და განაგრძო, – პისტოლეტის ხმარებაც ვიცი. დანასაც კარგად ვხმარობ და საბრძოლო ხელოვნებასაც დავეუფლე. როგორც გითხარით, სპეციალურად ვემზადებოდი.

– ძალიან კარგი. გეტყობა, რომ გულანთებული ალაჰის მებრძოლი ხარ. ჩვენთან ყველა მასეთია. ახლა უფრო ჭკვიანი და განათლებული ხალხი გვჭირდება. კომპიუტერი თუ გესმის?

– საკმაოდ კარგად, რამზან ბეი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# რა აფერა ჩაატარა ცნობილმა ქართველმა თაღლითმა, რისთვისაც ის „კაგებემ“ დააპატიმრა



### უჩვეულო პროცესი

1962 წლის 14 მაისს მოსკოვის საქალაქო სასამართლოში უჩვეულო პროცესი გაიმართა. სხდომა დახურული იყო და პროცესში მონაწილე პირების გარდა, მას ბრალდებულის მეუღლე ესწრებოდა. საბრალდებო სკამზე 27 წლის თენგიზ კარტოზია იჯდა. მას თაღლითობისთვის ასამართლებდნენ. პროცესის უჩვეულობა კი ის იყო, რომ კარტოზიას ბრალად ედებოდა ორი საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაციის დაწერა და გაყიდვა... საკანდიდატო დისერტაციები ინგლისურ და რუსულ ფილოლოგიას, სადოქტორო კი თანამედროვე საერთაშორისო სამართალს შეეხებოდა. პროცესს ესწრებოდა ის სამი პიროვნებაც, რომლებმაც ეს დისერტაციები იყიდეს. თუმცა, მათ ალმკვეთი ზომები არ ჰქონდათ მისჯილი და მხოლოდ პლაგიატის ბრალდება წაუყენეს, რაც არ ითვალისწინებდა პატიმრობას. აგრეთვე, ჩამოართვეს, სამეცნიერო ხარისხი და სახლებში გაუშვეს... თენგიზ კარტოზიას კი ოთხი წლით თავისუფლების ალკვეთა მიუსაჯეს და საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში გაამწესეს. სხდომის შემდეგ, პროცესში მონაწილე, მოწმის სტატუსით დაბარებული აკადემიკოსები თავიანთ ალშფოთებას ვერ მალავდნენ სასამართლოს გადაწყვეტილების გამო. მათ მიაჩნდათ, რომ ციხეში პლაგიატორები უნდა გაეშვათ. კარტოზიას კი სამეცნიერო მოღვაწეობა განეხორციელებინა.

– ის ხომ გენიოსია, ნამდვილი გენიოსი. თქვენ კი მას ციხეში ამწესებთ! – უთხრა ბრალმდებელ პროკურორს დარბაზიდან გამოსულმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, ცნობილმა აკადემიკოსმა მოისეი ვაისმანმა.

– ის ბოროტმოქმედია. თაღლითი. მისი ადგილი ციხეშია, – მშრალად მიუგო პროკურორმა ღვაწლმოსილ მეცნიერს და წავიდა...

### „ნიუტონი“

თენგიზ კარტოზია 1935 წელს იყო დაბადებული სამეგრელოს ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში. ის ადრე დაობლდა და ბებია ზრდიდა. პატარა თენგიზის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ცოტნე ანდრონიკაშვილმა. ის 1921 წლის საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა წითლების წინააღმდეგ და რეპრესირებული იყო. პროფესიით პედაგოგი, მრავალმხრივ განათლებული ადამიანი, თენგიზის სოფელში სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. კარტოზიებთან ცხოვრობდა და თენგიზს ბავშვობიდანვე შეაყვარა წიგნები. მრავალი რამ ასწავლა. მათ შორის, რუსული, ინგლისური და ფრანგული ენები. მოგვიანებით, მანვე შეარქვა თენგიზს მეტსახელი – „ნიუტონი“, რადგან ბიჭი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ფიზიკისადმი. ცოტნე ანდრონიკაშვილი ამაყობდა თავისი შეგირდით და დარწმუნებული იყო, რომ თენგიზი დიდი ადამიანი გამოვიდოდა. 1949 წელს თენგიზს ბებია გარდაეცვალა. ორი წლის შემდეგ, ანონიმური დაბეზღების გამო, 70 წლის ცოტნე ანდრონიკაშვილი „ჩეკამ“ დააპატიმრა, ერთ თვეში კი გარდაიცვალა. თენგიზი სრულიად მარტო დარჩა. სწორედ ამის შემდეგ გაუმრუდდა ნიჭიერ ჭაბუკს გზა და კრიმინალურ საქმიანობას მოჰკიდა ხელი. პირველი დანაშაული მან შურისძიების მოტივით ჩაიდინა, როდესაც ანონიმი დამბეზღებლის ვინაობა შეიტყო. თენგიზი დღისით-მზისით შეიპარა კარლო შაფათავას ეზოში. მის ოდასა და სხვა დამხმარე ნაგებობებს ცეცხლი წაუკიდა და გადაბუგა. ეჭვი თენგიზზე მიიტანეს და დააკავეს. თუმცა, დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. 16 წლის რომ შესრულდა, თენგიზ კარტოზია სოფლიდან წამოვიდა, ქალაქს მიაშურა და ჯერ ქუთაისში ცხოვრობდა, შემდეგ კი თბილისში ჩამოვიდა და საცხოვრებელი რომ ჰქონოდა, კულინარიულ სასწავლებელში დაიწყო სწავლა. სასწავლებელს საკუთარი საერთო საცხოვრებელი ჰქონდა და თენგიზს იქ ერთი ოთახი გამოუყვეს. ნიუტონმა, სასწავლებელი ორი წლის შემდეგ წარჩინებით დაამთავრა, პარალელურად კი, პატარ-პატარა თაღლითობებითაც იყო დაკავებული – ვითომდა ფინინსპექტორის სახელით, მაღაზიის გამგეებს პატარ-პატარა თანხას სძალავდა. პარალელურად კი, სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში ამზადებდა. საკმაოდ მსხვილი თანხა შეაგროვა. ამ ფულით 20 წლის ახალგაზრდამ ოროთახიანი ბინა შეიძინა სოლოლაკში, დაქორწინდა და 1856 წელს ვაჟი შეეძინა, რომელსაც თავისი მასწავლებლის პატივსაცემად, ცოტნე დაარქვა.

> **„ნიუტონმა” ისე გააბრუა გულანთებული პატრიოტი, რომ ნიგერიელი მზად იყო, მის ყოველ სიტყვას დამორჩილებოდა**

### პირველი პატიმრობა

თენგიზ კარტოზია პირველად 1959 წელს დააპატიმრეს და ორი წლით პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს. საქმე კი ის იყო, რომ ნიუტონმა ყალბი დიპლომი გააკეთა და 23 წლის ახალგაზრდა თბილისის უნივერსიტეტში მოეწყო ინგლისური ენის ლექტორად. კარტოზია თავს ასაღებდა მოსკოვის უცხო ენების ინსტიტუტის კურსდამთავრებულად. იმდენად კარგად უძღვებოდა თავის საქმეს, რომ დააწინაურეს და კათედრაზე ერთ-ერთი მიმართულებაც კი ჩააბარეს. თუმცა, მისი ლექტორული საუნივერსიტეტო კარიერა ერთ წელიწადში დასრულდა. თბილისში შექსპიროლოგთა სემინარი გაიმართა, რომელსაც მოსკოველი პროფესორები დაესწრნენ. მათ შორის იყო უცხო ენათა ინსტიტუტის შექსპიროლოგიის კათედრის გამგეც. სწორედ მას წარუდგინეს მისი „ყოფილი სტუდენტი“. სიმართლე რომ გამჟღავნდა, ვინმე უშანგი კოდალაშვილის მოთხოვნით, რომელიც, ასევე, უცხო ენების სპეციალისტი და თენგიზის მოშურნე იყო, პროკურატურამ ნიუტონის საქმის შესწავლა დაიწყო. დადგინდა, რომ მას ყალბი დიპლომი ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის რექტორს კარტოზიას გაშვება არ უნდოდა, მას მაინც მოუხდა მისი გათავისუფლება. ნიუტონს დიპლომი ჩამოართვეს. გაასამართლეს და ორწლიანი პირობით მსჯავრი დაადეს.

### ანტირასისტული რაზმი

დისერტაციების საქმისთვის გასამართლებული ნიუტონი ციხიდან 1966 წელს გათავისუფლდა და მას მერე მხოლოდ თაღლითობით იყო დაკავებული. ორჯერ, 3-3 წლით კვლავ ციხეში მოხვდა და ინტელექტუალ თაღლით ნიუტონს უკვე მთელი შავი სამყარო იცნობდა. მას პატივს სცემდნენ, როგორც ბოროტმოქმედები, ასევე სამართალდამცავები.

ყველაზე მსხვილი თაღლითობა თენგიზ კარტოზიამ 1987 წელს, გაგანია „პერესტროიკის“ დროს განახორციელა. ნიუტონი ნიგერიელ ნუამი კვანგოს დაუახლოვდა. 26 წლის შავკანიანი ახალგაზრდა პატრის ლულუმბას სახელობის უნივერსიტეტში სწავლობდა და გულანთებული პატრიოტი, ანტირასისტი იყო. თენგიზმა მას თავი გააცნო, როგორც რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა რუსმა პარტიზანმა და ისე გააბრუა ნიგერიელი, რომ ნუამი კვანგო მზად იყო, მის ნებისმიერ სიტყვას დამორჩილებოდა.

– ერთ თვეში სამხრეთ აფრიკაში პარტიზანთა რაზმი უნდა წავიყვანო, რომ იქაური რეჟიმი დავამხოთ. ასი ათასი დოლარი და ოცდაათიოდე ვაჟკაცი გვჭირდება. შეძლებ ხალხისა და თანხის მობილიზებას? – ჰკითხა ნიუტონმა ნიგერიელს.

– შევძლებ, – მოკლედ მიუგო კვანგომ თაღლითს.

ორი კვირის შემდეგ ნიგერიელმა კარტოზიას 100 ათასი დოლარი მიუტანა, რომელიც მოსკოვის შავკანიან სტუდენტობაში საიდუმლოდ შეაგროვა.

– ამით იარაღს შევიძენთ და მგზავრობის ხარჯებს დავფარავთ. სამი კვირის მერე კი, მოხალისეებთან ერთად, სოჭის პორტში გელოდები, – უთხრა ნიუტონმა ნიგერიელს. ფული ჯიბეში ჩაიდო და გაუჩინარდა.

1987 წლის 27 ოქტომბერს სოჭის პორტში შეკრებილი ოცდათხუთმეტი გულანთებული ანტირასისტი ამაოდ ელოდა „პარტიზანს“. როდესაც ყველაფერი გამჟღავნდა, საქმეში „კაგებე“ ჩაერთო და ნიუტონი 1987 წლის 30 დეკემბერს დააპატიმრეს. გაასამართლეს და რვაწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ნიუტონი 1992 წელს, დროზე ადრე გაათავისუფლეს ციხიდან და მას მერე აღარ დაუპატიმრებიათ. ცნობილი თაღლითი 2004 წელს გარდაიცვალა მოსკოვში გულის შეტევით.

***P. S. თენგიზ კარტოზიას ერთადერთი ვაჟი, ცოტნე დღესდღეობით რუსეთის დიპლომატიურ სამსახურშია და ერთ-ერთ საელჩოში მაღალი თანამდებობა უკავია.***

**ნიკა ლაშაური**

# მკვლელობა საკონტროლო გასროლით – მამაკაცმა ყოფილი ცოლის ქმარი თავისი მცირეწლოვანი შვილის თვალწინ მოკლა



41 წლის გიორგი ი-ძე წარსულში თაღლითობისა და იარაღის უკანონო ტარებისთვის იყო ნასამართლევი. დანაშაულმა, რომელიც მან 13 წლის მოზარდის, საკუთარი შვილის თვალწინ ჩაიდინა, განსაკუთრებით დაამძიმა მისი სასჯელი, რადგან, ორჯერ ნასამართლევი მამაკაცი პირობითი სასჯელით იყო გათავისუფლებული. დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ის მხოლოდ ორი დღის შემდეგ დააკავეს, როდესაც ქვეყნის საზღვრის დატოვებას ცდილობდა. დაკავებულმა გიორგი ი-ძემ ჩადენილი დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ ყოფილი მეუღლის ქმარი შურისძიების ნიადაგზე მოკლა.

შემთხვევის ადგილზე გარდაცვლილ მამაკაცს, ივანე ფ-შვილს, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ერთი ჭრილობა გულ-მკერდის, მეორე კი შუბლის არეში ჰქონდა მიყენებული. თვითმხილველთა განცხადებით, რომლებიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ, მკვლელმა მამაკაცს მეორე დაზიანება ეგრეთ წოდებული საკონტროლო გასროლით მიაყენა. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ივანე ფ-შვილს პირველად რამდენიმე მეტრი მანძილიდან ესროლეს, მეორე დაზიანება კი მას მიბჯნით ჰქონდა მიყენებული.

როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, ივანე ფ-შვილი გიორგი ი-ძის ყოფილი ცოლის მეორე ქმარი იყო. მასთან ერთად იზრდებოდა გიორგი ი-ძის ორი მცირეწლოვანი შვილი. მათ დედაზე, მაკა წ-ზე, ივანე ფ-შვილი მაშინ დაქორწინდა, როცა გიორგი პატიმარი იყო. როგორც დაზარალებული ოჯახის, ასევე ბრალდებულის ახლობლების განცხადებით გახდა ცნობილი, გიორგი ი-ძემ ციხეში ყოფნის დროს შეიტყო, რომ მისი ცოლი გათხოვდა, რაც მან ძალიან მძიმედ გადაიტანა. მკვლელობა მან ციხიდან გათავისუფლებიდან შვიდი თვის შემდეგ ჩაიდინა.

ამონაწერი გარდაცვლილის მეუღლის მაკა წ-ძის ჩვენებიდან: „გიორგიმ ჯერ კიდევ ციხიდან შემომითვალა, გათხოვებას არ გაპატიებო. როცა ის დაიჭირეს, ჩვენ უკვე გაშორებულები ვიყავით, თუმცა, შვილებთან ურთიერთობა ყოველთვის ჰქონდა. ამის მიუხედავად, გამუდმებით მაბრალებდა, რომ ბავშვებს მასთან შეხვედრის უფლებას და საშუალებას არ ვაძლევდი. ეს თემა კიდევ უფრო გამწვავდა მისი ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ კონფლიქტის დარეგულირება მის ძმასა და მშობლებს ვთხოვე. რამდენჯერმე ჩემს მეუღლესაც შეხვდა ვითომ შემთხვევით და გამოელაპარაკა. ივანემ თავი აარიდა მასთან კონფლიქტს. ბავშვებს შეძლებისდაგვარად ვაძლევდი უფლებას, რომ მამას შეხვედროდნენ, მაგრამ, როგორც ისინი მიყვებოდნენ, სულ იმას ეკითხებოდა, მამინაცვალი ცუდად ხომ არ გექცევათო და მათთან საუბარში მეც შეურაცხყოფას მაყენებდა. ბოლოს ბავშვების ნახვაც ავუკრძალე. იმ დღეს, როდესაც ეს დანაშაული ჩაიდინა, უფროსი შვილი, 13 წლის ნოდო ჰყავდა წაყვანილი. სახლთან მანქანით მოიყვანა. მე სახლში არ ვიყავი. სრულიად შემთხვევით, სადარბაზოს წინ ჩემი მეუღლე შეხვდა და ინციდენტიც იქვე მოხდა – მან ისე ესროლა ივანეს, ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მკვლელობა ბავშვის თვალწინ მოხდა. შეშინებული ნოდო, რომელმაც ყველაფერი დაინახა, შოკში იყო.

თვითმხილველთა შორის, რომლებიც ამ ინციდენტს შეესწრნენ, აღმოჩნდა მაკა წ-ძის ოჯახის დამხმარე ქალბატონი: „იმ დროს ეზოში სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი. ჩემი შვილი მოვიდა და სადარბაზოსთან მას შევხვდი. დავინახე, როგორ მოიყვანა გიორგიმ ნოდო, მანქანა კი ეზოს კართან გააჩერა. ჩვენი ეზო ჩაკეტილია, მაგრამ პატარა – ეზოს კარიდან სადარბაზომდე, ალბათ, 20-30 მეტრია. ნოდო სადარბაზოსკენ გამოიქცა. იქვე იყო ივანეც, რომელიც მანქანის საბარგულს წმენდდა. მე ვერ გავიგონე, როგორ დაუძახა გიორგიმ ივანეს, ამის შესახებ მოგვიანებით მეზობელმა მითხრა, რომელიც ასევე ეზოში იყო. ივანე გიორგისკენ მიტრიალდა და გავიგონე გასროლის ხმა და ივანე მაშინვე ძირს დავარდა. სანამ გონზე მოსვლა მოვასწარი, დავინახე, როგორ გადმოდგა გიორგიმ მისკენ რამდენიმე ნაბიჯი, ძირს დაგდებულს თავზე დაადგა და კიდევ ერთხელ ესროლა. ეზოში კივილი ატყდა. იქვე იდგა ორი პატრა ბავშვიც. გიორგი ცოტა ხანს გაჩერდა გარდაცვლილთან. როცა დარწმუნდა, რომ ივანე მკვდარი იყო, მანქანისკენ მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა და ეზო დატოვა."

**ყოფილი ცოლისა და მისი მეუღლის მოკვლა დიდი ხნის წინ ჰქონდა განზრახული, ამის შესახებ მათ ციხიდანაც შემოუთვალა**

სამართალდამცველებმა სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრეს. ბრალდებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა სასამართლო პროცესზეც. დაზარალებულის ოჯახის წევრების განცხადებით, გიორგი ი-ძეს ყოფილი ცოლისა და მისი მეუღლის მოკვლა დიდი ხნის წინ ჰქონდა განზრახული და ამის შესახებ მათ ციხიდანაც შემოუთვალა. ბრალდებულმა განაცხადა, რომ ყოფილი მეუღლისა და მისი ქმრის მიმართ საკუთარი ანგარიში ჰქონდა, თუმცა, მათი მოკვლა არ უფიქრია. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, გიორგი ი-ძე შურისძიებაზე იმ დღიდან ფიქრობდა, რაც ცოლის გათხოვების შესახებ გაიგო და ხელსაყრელ მომენტსაც სულ ეძებდა.

ამონაწერი ბრალდებულის ჩვენებიდან: „ივანეზე შურისძიებას ვაპირებდი – ვერ ვაპატიე, ჩემს ყოფილ ცოლზე რომ დაქორწინდა, თუმცა, მკვლელობის მიზეზი ეს არ ყოფილა. ბოლო შეხვედრაზე ბავშვმა მითხრა, ივანე ცუდად გვექცევაო და ეს ბოლო წვეთი იყო. შემთხვევით შევეჩეხეთ ერთმანეთს ეზოში. დავუძახე და, როგორც კი ჩემკენ შემობრუნდა, იარაღი ამოვიღე და ვესროლე, მეორე გასროლა კი მაშინ გავაკეთე, როცა ახლოს მივედი" – განაცხადა გიორგი ი-ძემ როგორც დაკავებისას, ისე სასამართლო პროცესზე.

სასამართლომ გიორგი ი-ძე დამნაშავედ ცნო ჩადენილ დანაშაულში და მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

**მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად

1. ნახევარი კვერცხის ფორმით დაიწყეთ ჩაიდნის ხატვა





2. მიახატეთ ცხვირი

3. შემდეგ – თვალები





4. დაახატეთ თავსახური და „გაალიმეთ"



5. მიახატეთ სახელური



6. დაასრულეთ ნახატი



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ 10 განსხვავება





## ოთხკუთხედებში ჩაწერეთ ფიგურების რაოდენობა



## მუყაოს ძაღლები





ძაღლების გასაკეთებლად დაგჭირდებათ მუყაოს ქაღალდები: ლურჯი, ცისფერი, თეთრი, შაბიამნისფერი; ასევე, შავი მარკერი, მაკრატელი და წებო.

გამოჭერით მუყაოსგან მრგვალი ფორმა და როგორც ნახატზეა ნაჩვენები, ამოჭერით სამკუთხედი. გამოჭრილი პირები დააწებეთ ერთმანეთს. სხვადასხვა ძაღლისთვის გამოჭერით სხვადასხვა ფორმის ყურები. თეთრი მუყაოსგან გამოჭერით თვალები. დააწებეთ თვალები და ყურები, შემდეგ, როგორც ნახატზეა ნაჩვენები, მიახატეთ პირი. ლოყები შეუფერადეთ, ცხვირისთვის კი, შეგიძლიათ, გამოიყენოთ სხვა ფერის მუყაო ან ძველი სათამაშოს ნაწილები.

## რიცხვრებუსი

,,3, ,5,, 7,,,,, ,,,,,13

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ცხოველი, რომელიც ცხოვრობს ხეზე | | | ყვანჩალა ფრინველი | |
| | | | | |
| ხის დათვი / ადვილი | | | წერტილი კანზე | |

## მგზავრი და ბედი

### (იგავ-არაკი)

ერთმა მგზავრმა იარა და დაიღალა, ერთი ჭა ნახა, იქვე მიწვა და მიიძინა, ძილში კინაღამ ჭაში ჩავარდა, მაგრამ თავს ბედი წამოადგა, გააღვიძა და უთხრა: შენ რომ ახლა ამ ჭაში ჩავარდნილიყავი, შენს წინდაუხედაობას კი არა, მე დამაბრალებდიო.

ზოგიერთები თავადვე არიან საკუთარი უბედურების მიზეზი და მაინც სხვასა სდებენ ბრალს.



არის ასეთი თოფი

ქალაქი გერმანიაში

ედმონდ დანტესის მეგობარი აბატი

მეღვინეთუხუცესი

ჩვენი „სოფლელი“ დონ ჟუანი

მაუგლის მეგობარი გველი

ავთანდილმა იხსნა ეს ვაჭარი

კავკასიელი

ფეხსაცმლის მალაზიათა ქსელი

ცარიელი ქურქელი

ტუზი / შოტლანდიის ქალაქი

ცეკვის სიტყვა / მაღალი ნაგებობა

თანხმობა

...ცეტკინი / თვითმფრინავის ქალი

(...) დე მოპასანი

მოლიერის პერსონაჟი

სარეცხი ფხვნილი

ლენინის გვარი

ახლო ნათესავი ქართლლის მეექვსე მეფე

პირუტყვი / მდუმარე

„რეროს“ შემდეგ

თბილისის უბანი

ხარებთან ბრძოლა

მნარეა

მისამღერი / ჰიტლერის მინისტრი

დიპლომატთა ნერილი

პირველი პირი

ლენინის ფილოსოფია

ტალღაა

ბაპრეინის დედაქალაქი

ფრენის „სიტყვა“

არასერიოზული კაცის როლშია

ჩვენი კინოქალაქი

ნატანჯი ანუ? / ქალაქი ფინეთში

.....ფიტცჯერალდი

ყველაზე უგემური რამ

თავშეყრა / ნარკოტიკი

საბჭოთა სატვირთო მანქანა

ძველი ქართველი ქალების სახელი

ფრანგი ღვთისმეტყველი / მწერალი ეტელ ლილიან / სურნელოვანი სითხე

ერთ-ერთი მეთორმეტეღი

რელიეფის ნაწილი / ადრე იყო სპი

დიდი ხელოვანი / ინდოეთის ფული

არის ასეთი მწერი

გაფრინდაშვილი / ქეთოს მიჯნური

არის ასეთი სახეობა ბაყაყისა / (.......) ჯოხაძე

„გვადი ბიგვას“ სოფელი

საარჩევნო ყუთი

ინდონეზიური კამერი

აშშ-ს კოსმოსური ცენტრი

სოხუმი აფხაზურად / ზაფხულის საქმე

ქალაქი კახეთში

ცხრაკაცა / აყვავებულა არაგვზე

აზერბაიჯანელი პოეტი

(......) ფრანკი

მდინარის დელფინი

თუთაშხია

კაცთმოძულე, საზოგადოებისაგან განდევნილი

ცხელი სასმელი

სოხუმთანაა

Column clues (top to bottom, columns 1–35):

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 1 | 1 | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 1 | 2 | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | | |
| | | | | 1 | 1 | 1 | 1 | | | 1 | 1 | 1 | 1 | | 1 | 2 | | | 2 | | | | | | | 2 | 7 | | 6 | | 4 | 2 | 1 | |
| | | | | 4 | 5 | 6 | 1 | 9 | 3 | 1 | 6 | 5 | 4 | 1 | 2 | 3 | 3 | 3 | 5 | 2 | 2 | 2 | 11 | 9 | 5 | 4 | 3 | 3 | 3 | 7 | 3 | 3 | 5 | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 5 | 1 | 5 | 5 | 9 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 7 |
| 1 | 10 | 11 | 12 | 4 | 4 | 4 | 4 | 10 | 10 | 4 | 4 | 4 | 4 | 12 | 11 | 10 | 11 | 1 | 8 | 1 | 10 | 10 | 7 | 8 | 7 | 8 | 7 | 13 | 1 | 1 | 1 | 1 | 18 | 21 |

Row clues (rows 1–30):

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 2 | 7 |
| | | | | 2 | 7 | 1 |
| | | | | 2 | 6 | 2 |
| | | | 2 | 1 | 3 | 2 |
| | | | 2 | 1 | 2 | 3 |
| | | 1 | 2 | 1 | 2 | 3 |
| | | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 |
| | | | 1 | 2 | 2 | 3 |
| | | | 1 | 1 | 3 | 3 |
| | | | 1 | 3 | 2 | 2 |
| | | | 1 | 3 | 3 | 1 |
| | | | | 4 | 3 | 4 |
| | | 1 | 2 | 1 | 3 | 3 |
| | | 1 | 4 | 1 | 12 | 2 |
| | 1 | 2 | 2 | 1 | 12 | 2 |
| | 1 | 2 | 2 | 1 | 12 | 2 |
| | | 1 | 10 | 1 | 12 | 2 |
| | 1 | 4 | 4 | 1 | 12 | 2 |
| | 1 | 5 | 5 | 1 | 1 | 2 |
| | | | | | 28 | 2 |
| | 3 | 2 | 4 | 2 | 1 | 2 |
| 17 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 |
| | 3 | 2 | 4 | 1 | 8 | 2 |
| | 3 | 2 | 4 | 1 | 8 | 2 |
| | 3 | 2 | 4 | 1 | 8 | 2 |
| | | 17 | 1 | 8 | 2 | |
| | | 17 | 1 | 8 | 2 | |
| | | 17 | 1 | 8 | 2 | |
| | | | 18 | 1 | 14 | |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 5 | | 3 | | 4 | | 2 |
| 4 | | 1 | 5 | | 8 | | 3 | |
| | 7 | | 1 | | | | 8 | 5 |
| 7 | 1 | 6 | | 4 | | | | 8 |
| | 5 | | | | 6 | 3 | 9 | 1 |
| 9 | 3 | 8 | 2 | | | | | 4 |
| | 4 | | 6 | | 2 | 8 | | |
| 1 | | | | | 3 | | 4 | |
| | 8 | 7 | | 9 | | 1 | 2 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 8 | | | | | | 9 |
| | | | | 7 | 6 | | | 4 |
| | 1 | | | | | 7 | | 6 |
| 8 | 4 | | | | | | 1 | |
| | | 7 | | | | 6 | | 2 |
| 1 | 3 | | | | | 9 | | |
| | | 5 | | | 2 | | | 1 |
| | 2 | | 5 | | | | | 7 |
| | | 1 | | 4 | | 3 | 2 | |



# შურმა გაახელდვინა

**ემი პოტერი**

დონალდი სახეგაბრწყინებული ატრიალებდა ხელში ლატარიის ბილეთს: – დარწმუნებული ვარ, საღამოს ორ მილიონს მოვიგებ. გული მიგრძნობს... – თქვა და ყავა ხმაურით შეხვრიპა.

ცოლმა, ბერტამ, წარბს ზემოდან გადახედა და ცხელ ტაფაზე ბეკონის ნაჭრების დალაგება დიწყო – ეს დონალდის საყვარელი კერძი იყო დილაობით.

– წარმოგიდგენია?! სულ რაღაც ერთი დოლარი გადავიხადე ამ ფარატინა ქაღალდში და მე ის გამამდიდრებს... უნდა მოვიფიქრო, როგორ დავხარჯო: შენ ახალ მანქანას გიყიდი, აი, ისეთს, მარგარეტს რომ ჰყავს. ხომ მოგწონს? მშვენიერი „ჰონდაა“. მეც ვაღიარებ, რომ ლამაზი და კარგი მანქანაა...

– არ მინდა, ჩემი მანქანითაც კმაყოფილი ვარ. შეიძლება ძველია, მაგრამ, საიმედოა შესავით... – ჩაიბურტყუნა ბერტამ, ქმარს თეფშზე შებრაწული ბეკონი ყველის ფირფიტებთან ერთად დაუწყო და წინ დაუდგა.

ქმარმა განცვიფრებით შეხედა:

– რა დაგემართა? არ გიხარია, რომ ორ მილიონს მოვიგებთ? რაც ამ ბილეთის შესახებ დავიწყე ლაპარაკი, გაღიზიანებული და ჩუმი ხარ. რა მოხდა?

– არაფერი. ხომ ხედავ, სადილს ვამზადებ. თანაც, ჯერ ხომ არ მოგიგია.

– ვიცი, რომ მოვიგებ, გული მიგრძნობს, – დონალდმა ბეკონი და ტოსტის ნაჭერი მთლიანად შეიტენა პირში და, სანამ დაღეჭავდა, გალებული ტუჩებიდან ნერწყვი გადმოუვიდა. ბერტა უკმაყოფილოდ დაიჭყანა:

– არ გაწყენს კარგი მანერების სწავლა. უკვე მეტისმეტი მოგდის – საზიზღრად იქცევი, გულისამრევად.

დონალდმა ცოლს უკმაყოფილოდ შეხედა:

– გინდა, გამომასწორო? მილიონები რომ მექნება, მერე ჩემი მანერებიც მომხიბვლელად მოგეჩვენება, – კაცმა დანარჩენი კერძი უსიტყვოდ შეჭამა, ხელსახოცით ტუჩები გაიწმინდა და საათს შეხედა. ლატარიის გათამაშებამდე ოთხი საათი იყო დარჩენილი. ბერტა ისევ სამზარეულოში ფუსფუსებდა. ჭურჭელს რეცხავდა – დონალდი წყლის ხმაურზე მიხვდა ამას. სასტუმრო ოთახში გავიდა და ტელევიზორი ჩართო.

ბერტა ნამდვილად ჭურჭელს რეცხავდა, თან ქმრის უდარდელ ცხოვრებაზე ფიქრობდა: დონალდი საუზმობდა, ვახშმობდა, სადილობდა, ტელევიზორს უყურებდა... მერე იძინებდა... დილით კი სამსახურში მიდიოდა... არასდროს, არცერთხელ არ გაურეცხავს თუნდაც საკუთარი თეფში, გასარეცხ ნიჟარამდეც კი არ მიუტანია – საჭიროდ არ მიაჩნდა. ბერტამ ამოიოხრა. საყიდლებზეც არ დადიოდა დონალდი. მისი მთავარი ფუნქცია სახლში ფულის მოტანა იყო და, რადგან ამას ახერხებდა, საკუთარი მისია შესრულებულად მიაჩნდა და, უკვე ოცდაათი წელი იყო, რაც ასე გრძელდებოდა. ბეტი კი ამ უმადურს სარეცხს ურეცხავდა, აჭმევდა, ასმევდა, უვლიდა... შარვლებსაც კი გადაუკეთებდა ხოლმე, როცა დონალდი რამდენიმე კილოგრამს მოიმატებდა. ქალს არ შესწევდა უნარი, რამე შეეცვალა ამ საშინელ რუტინაში, არადა, იხრჩობოდა, სუნთქვა უჭირდა... ჭურჭელი გაწმინდა და კარადაში შეალაგა, მერე სასტუმრო ოთახში შეიხედა. ქალმა საქსოვი აილო და სავარძელში ჩაჯდა. ქმარმა ალმაცერად გახედა. საუბრის სურვილმა სძლია.

– როგორც კი ორი მილიონი მექნება, ახალ, სისხლსავსე ცხოვრებას დავიწყებ, – დონალდი ლატარიის ბილეთს ჩააშტერდა. სახე ისევ გაუბრწყინდა – აშკარად ძალიან ბედნიერი იყო...

ბერტა შეიჭმუხნა.

– ჩვენ ისედაც გვაქვს ყველაფერი, რაც გვჭირდება, – თქვა უხალისოდ.

– რას ამბობ, ჩვენ ხომ ვოცნებობდით უკეთეს ცხოვრებაზე? – გაიოცა კაცმა.

– ეს შენ ოცნებობდი და ლატარიის ბილეთებსაც შენ ყიდულობდი.

– ბერტა, რაღაც ძალიან მოწყენილი მეჩვენები. ვნანობ, რომ შვილები არ გაგაჩინეინე, შეცდომა იყო. ნამდვილად, ბავშვები არ მოგაწყენდნენ. აი, მარგარეტს ოთხი ჰყავს. ჭკვიანი და მომხიბვლელი ქალია.

ბერტა გაწითლდა. ხელებზე დაიხედა. უკვე შესამჩნევმა ნაოჭებმა გააღიზიანა. ბოლო დროს სარკეში ჩახედვა შესძულდა, საკუთარი თავი შესძულდა... იმ ქალს აღარ ჰგავდა, თავის დროზე დონალდმა რომ შეირთო ცოლად – აღარც თმა ჰქონდა ლამაზი და ფუმფულა, ველარც მოკლე, წითელ კაბას ჩაიცვამდა და ვერც მამაკაცებს აურევდა თავგზას, ერთი სიტყვით, ბერტას უკვე აღარ მოსწონდა საკუთარი თავი, საშინლად აღარ მოსწონდა. მართალია, დონალდიც აღარ ჰგავდა მზეჭაბუკს, მაგრამ, ის ამას ვერ ამჩნევდა. პირიქით, საკუთარ სიმპათიურობაში დარწმუნებული, ხარბად ათვალიერებდა ლამაზმანებს. მეზობელ მარგარეტსაც კი უჭვრეტდა ურცხვად.

– იქნებ, შენთვის უკეთესი იქნებოდა, მარგარეტი მოგეყვანა ცოლად? – ჰკითხა დამცინავად და ბოროტი ირონიით.

– შეიძლება, – დონალდი აქსუტუნდა. არ უნდოდა, ნერვები მოშლოდა გათამაშების წინ. არავითარ შემთხვევაში განწყობა არ უნდა გაეფუჭებინა, დღეს მისი ყველაზე ბედნიერი დღე უნდა ყოფილიყო.

– საღამოს წინილა გვაქვს შემწვარი? – ჰკითხა ცოლს მშვიდად.

– როგორც ყოველთვის, ოთხშაბათობით, – თავი დაუქნია ქალმა, – ბროკოლის სალათასთან ერთად... შენ მართლა ფიქრობ, რომ ორი მილიონი უფრო ბედნიერებს გაგვხდის?

– უფრო ბედნიერებს? – დონალდმა ცოლს ბრაზით შეხედა, – ესე იგი, შენ ახლა უბედური ხარ? იმ სახლში, რომელიც მე ვიყიდე ჩემი გამომუშავებული ფულით; იმ მანქანით, რომელიც ასევე მე ვიყიდე; იმ ყველაფრით, რის საყიდელ ფულსაც მე გამოვიმუშავებ?! ჰო, რა თქმა უნდა, მე ხომ ვერ ვხვდები, როგორ და რით უნდა გაგიფერადო უბადრუკი ყოფა... – დონალდმა მუშტი დასცხო მაგიდის ზედაპირს, – უმადური ცოლი მყავს! მგონი, მართლაც მარგარეტის შერთვა აჯობებდა... ის არ იწუწუნებდა და კმაყოფილი იქნებოდა ჩემით...

დონალდი ტელევიზორისკენ შებრუნდა. სწორედ ამ დროს ტელევიზორში მათ რაიონში მომხდარი მკვლელობის ამბავს გადასცემდნენ. მკვლელისთვის ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო. ის სახლში შევიდა, სახლის პატრონს სამზარეულოს დანით ჩვიდმეტი ჭრილობა მიაყენა და გაიქცა... მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს, მაგრამ ისინი ცხელ კვალს ასცდნენ... შემდეგ – რეკლამა და გათამაშებაც დაიწყო... პირველი ნომერი რომ გამოაცხადეს, დონალდი შეხტა.

– ბეტი, შეგიძლია, ბარგი ჩაალაგო... აი, ჩემი ბედნიერი ბილეთი... ახალ ცხოვრებას ვიწყებ...

– მე არ მცალია, მარგარეტს ბუჩქების საჭრელი მაკრატელი ვთხოვე, ბუჩქები უნდა შევასწორო...

– რაც გინდა, ის ქენი... – დონალდმა რძით სავსე ჭიქას ხელი წამოავლო და ტელევიზორს მთელ ხმაზე აუწია... ბერტა ოთახიდან გავიდა და, უკან დაბრუნებული, სამზარეულოს ზღურბლთან გაჩერდა. „დღევანდელ გამარჯვებულს ორი მილიონი ერგება! ორი მილიონი – დაბეგვრის გარეშე! – გაჰკიოდა წამყვანი. „შვიდი!“ – ბერტამ თვალები დახუჭა – ამ რიცხვში დაქორწინდნენ... „ოცდაორი!“ – მაშინ ზუსტად 22 წლის იყო დონალდი... „ოცდაათი“ – ოცდაათი წელი გავიდა მათი ერთად ყოფნიდან... ბერტას თვალები დაებინდა, მუშტები გამეტებით მომუჭა და უცებ მიხვდა, რომ ხელში ისევ სეკატორი ეჭირა...

– ორმოცდათორმეტი! ბერტა, მე მილიონერი ვარ! – იბღავლა დონალდმა.

„ორმოცდათორმეტი...“ – ზუსტად ამდენი წლის არის ახლა დონალდი... ბერტამ სეკატორი შემართა და ნელა გაემართა სასტუმრო ოთახისკენ.

– დონალდ! დონალდ, შემომხედე!

– მომშორდი, ბერტა! არ მცალია ახლა შენთვის!.. – დონალდმა ხელში ააფრიალა ვარდისფერი ბილეთი. მას ცოლისკენ არც კი გაუხედავს და არ დაუნახავს, როგორ შემართა ქალმა სეკატორიანი ხელი... ამიტომაც, ისე მოკვდა, ვერ გაიგო, რა შეერჭო მას გულში... ბერტამ სეკატორის ტარი წინსაფრის კალთით გაწმინდა და ქმრის გვერდით დააგდო. ერთბაშად გულზე მოეშვა... ბილეთი ჭეშმარიტად მომგებიანი გამოდგა. ბერტამ აიღო, დახედა, მოკეცა და ჯიბეში ჩაიდო. მერე ფანჯარა გამოაღო და სახე საღამოს გრილ ნიავს შეუშვირა. ნელ-ნელა სახე ღიმილმა გაუნათა... ჰო, დონალდს ტყუილი უთხრა – მოგზაურობაზე და ცხოვრების შეცვლაზე ყოველთვის ოცნებობდა... ახლა კი ამის შანსი მიეცა და უცებ ხმამაღალი ყვირილი აღმოხდა:

– დღეს ჩემი ყველაზე ბედნიერი დღეა!..

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**გარკვეული პაუზის შემდეგ თამთა შედანია სამოდელო კარიერას დაუბრუნდა. ის ცოტა ხნის წინ რომის „ფეშენ-ვიქზე“ გამოდიოდა და საკმაოდ წარმატებულადაც. გარდა ამისა, თამთა 11 თვის მიას გაზრდასაც დიდ დროს უთმობს, რომელიც დღითი დღე სულ უფრო ლამაზი და საყვარელი ხდება.**

# როგორ აარჩიეს ცხრა მოდელს შორის რომის „ფეშენ-ვიქის“ დახურვის ჩვენებისთვის თამთა შედანია და რა თემაა დღეს მის პირად ცხოვრებაში დახურული

**თამთა შედანია**: სანამ რომში წავიდოდი, ცოტა დეპრესიული პერიოდი მქონდა, უფრო სწორად, მომბეზრდა ერთი და იგივე, რადგან აქტიურ ცხოვრებასა და მუშობას ვიყავი მიჩვეული. რაღაც ახალი მჭირდებოდა და უცბად გამოჩნდა შემოთავაზება რომის „ფეშენვიქიდან“. ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო. არ ვიცოდი, რომის ბაზარი ჩემზე როგორ იმუშავებდა, თან, ცოტა მეშინოდა კიდეც, რადგან, მიას ვტოვებდი და არ ვიცოდი, რა იქნებოდა. რთული იყო იმის განსაზღვრა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. მაგრამ, თუ არ გარისკავ, არაფერი გამოვა. ასე რომ, მე და ერთი გოგონა ჩვენი სააგენტოდან – „იმიჯ-ცენტრიდან,“ რომში გავემგზავრეთ. მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი, მაგრამ ასეთი საოცარი ემოციებით არსად დავტვირთულვარ – როგორც კი ჩავფრინდი აეროპორტში, უკვე ბედნიერი ვიყავი. ისეთი პოზიტიური ხალხია, ჰაერიც კი პოზიტივით არის გაჟღენთილი, ეს შენზეც გადმოდის და ყველაფერი გავიწყდება. კი იღლები, მაგრამ, გიხარია და ყველაფერს სიხარულით აკეთებ. შეიძლება, დიდხნიანი შესვენება რომ მქონდა, ამიტომ უფრო მეტად დავაფასე ეს ყველაფერი. ადრე ერთი კვირით თუ მოვახერხებდი საქართველოში ჩამოსვლას, ახლა კი, დიდი ხანია, არ ვყოფილვარ უცხოეთში და ყველაფერი კარგად შევირგე, დადებითი ემოციებით დავიტვირთე. თან, ეს იყო კარგი საშუალება იმისთვის, რომ ბევრ რამეზე დავფიქრებულიყავი და გამეანალიზებინა. საკუთარ თავთან მომიწია მარტო დარჩენა და დაფიქრება – რა როგორ მინდა გავაკეთო მომავალში.

**– მომიყევი, რამდენად წარმატებული იყო შენთვის რომში მუშაობა, მოდის კვირეულზე გამოსვლა?**

– „ალტარომ ფეშენ-ვიქი“ იტალიაში ერთ-ერთი ცნობილი მოდის კვირეულია და ძირითადად გამოტანილია ძვირად ღირებული ცნობილი იტალიური ბრენდები. ყველა „ჰაი კუტიურია“, შესაბამისად, კლიენტებიც ძალიან პრეტენზიულები არიან. ძალიან ბევრ ნიუანსსა და დეტალს აქცევენ ყურადღებას, განსაკუთრებით – პოდიუმზე სიარულს. თუ გოგოს „ჰაი კუტიური“ სიარული არ აქვს, შანსი არ არის, პოდიუმზე გამოიყვანონ და თავიანთ ჩვენებაში მიაღებინონ მონაწილეობა. აქედან გამომდინარე, როდესაც რომში ჩვენს სააგენტოში მივედით, უპირველეს ყოვლისა, სიარული შეგვიმოწმეს. სულ 12 გოგონა ვიყავით სხვადასხვა ქვეყნიდან, სააგენტოს მენეჯერს ძალიან მოეწონა ჩემი სიარულის მანერა – ისე კარგად დადიხარ, „ჰაი კუტიურ“ სიარული გაქვსო და მერე სხვა გოგონებს ვასწავლიდი, მასტერკალსებს ვუტარებდი. მენეჯერი ეუბნებოდა გოგონებს: ასე გაიარეთ, ნახეთ, სახე როგორ უჭირავს, როგორ დადის, ამას უყურეთო... ყველაზე მეტად ის მიხაროდა, რუსი გოგონები რომ მწარდებოდნენ – „გრუზიამ“ როგორ უნდა გვასწავლოს ჩვენ სიარულიო. ეს ისეთი რამ არის, ან გაქვს შინაგანად, ან არ გაქვს. ქასთინგებზე რომ მივდიოდი, ყოველთვის იყო 70-იდან 150-მდე გოგონა და ისეთ ლამაზ გოგონებს არ ირჩევდნენ ხოლმე, მიკვირდა. ყველა ქასთინგი ისე შორს იყო, რომ დღეში 9-10 კილომეტრი მიწევდა ფეხით სიარული. მაგრამ, ამ ყველაფერში ყველაზე პოზიტიური ის იყო, რომ ტურისტად რომ წავსულიყავი, ვერ ვნახავდი ასეთ ადგილებს, ამ ხეტიალ-ხეტიალში კი უამრავი რამ ვნახე. თან, მთელი ქალაქი მუზეუმია, ყველა ქუჩაზე რაღაც ხდება, რაღაცას აღმოაჩენ, შოკში ხარ – სულ დაშოკილი დავდიოდი. იმდენად ლამაზია ყველაფერი, სულ რომანტიზმში ხარ, მუდმივად რომანტიკულ განწყობაზე და ამაში ხალხიც გიწყობს ხელს. ქუჩაში რომ დადიხარ, ბიჭები, ქალები, ბავშვები, გოგონები თავიანთ ემოციებს გამოხატავენ და ამდენ კომპლიმენტს გეუბნებიან – რა ლამაზი ხაო, რა კარგი ხარო, თავი „ჰოლივუდის სთარი“ მეგონა. ძალიან სასიამოვნო იყო.



**იმდენი რაღაც მოხდა, იმდენი რამ გადავიტანე, რომ ახლა მინდა ვთქვა: ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სიმშვიდე**

**– მომიყევი მოდის კვირეულის შესახებ – როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა და მოგეწონა თუ არა?**

– როგორც კი ჩავედი, მაშინვე ყველა გაგვაფრთხილეს: რომის ბაზარი ცოტა რთულია; კლიენტებს ურჩევნიათ, ის გოგონები აიყვანონ, ვისთანაც ადრე მუშაობდნენ, ანუ, მათთან მუშაობის გამოცდილება აქვთ. ამიტომ, არ ინერვიულოთ, თუ არ აგიყვანენო. ამის ფონზე ჩემთვის საოცარი იყო, რომ, სიტყვაზე, თუ 7 ქასთინგი მქონდა, 6-ზე ამიყვანეს. ბევრი ცნობილი ბრენდის „ფეშენ-შოუ“ გავაკეთე, ერთ-ერთი არის ცნობილი იტალიური ბრენდი – „გატენონი.“ ისეთი კოლექცია ჰქონდა, ვფიქრობდი, როგორ შეიძლება ადამიანის ხელმა ეს შექმნას-მეთქი. თან, ერთს რომ ქმნის, იმას არასდროს იმეორებს, უნიკალურია ყველა კოსტიუმი. რომ გაცვია, იმდენად ძვირფასია, ფიქრობ, როგორ მოექცე, როგორ მოუფრთხილდე. გარდა ამისა, გავაკეთე ცნობილი იტალიელი დიზაინერების რენატო ბალესტრასა და თეოდორა ბექის ჩვენებები, რომელმაც დახურა რომის „ფეშენ-ვიქი“ –კოქტეილ ფართი იყო. თითო ჩვენებაზე 22-25 გოგონა გამოდიოდა და მისი ჩვენებისთვის მხოლოდ 9 გოგონა აგვარჩიეს, მათ შორის მეც და საბოლოოდ ჩვენ დავხურეთ რომის „ფეშენ-ვიქი“. საკმაოდ წარმატებული წასვლა მქონდა, გამორჩეული. ბევრ „ფეშენ-ვიქზე“ ვარ ნამყოფი, მაგრამ, რომის „ფეშენ-ვიქი“ სულ სხვაა, დიდი გამოცდილება მივიღე, თან, საკუთარი სხვა ამპლუაში აღმოვაჩინე. ყველა კოლექცია „ჰაი კუტიური“ იყო, „ჰაი კლასის“ და იმას მთხოვდნენ, რასაც „ჰაი კლასის“ ტოპ-მოდელებს სთხოვენ ხოლმე. მაღალი საზოგადოება ესწრებოდა – რომის ფეშენ-ელიტა, სულ გადატენილი იყო დარბაზები. ბევრი შემოთავაზება წამოვიდა, მათ შორის – მილანიდან, ფოტოგრაფებისგან. ვნახოთ, რა იქნება. მიხარია, რომ ამხელა ბრეიქის შემდეგ ასე კარგად ჩაიარა ყველაფერმა. თან, როცა ბავშვი გყავს გაჩენილი, გგონია, ისეთ ფორმაში აღარ ხარ. მაგრამ, სააგენტოში რომ დაგვიბარეს შესამოწმებლად, მენეჯერმა მკითხა: დედა ხარო? დიახ, 11 თვის შვილი მყავს-მეთქი. გადაიარია: როგორ მაგარ ფორმაში ხარ, აქ რომ არიან გოგონები, იმათზე კარგად გამოიყურები, როგორ ახერხებო. ისე გამიხარდა... ანაზღაურების მხრივაც კარგი იყო. კოლოსალური ჰონორარი არ მოუციათ, მაგრამ, იმდენი ავიღე, რომ ავტომობილი ვიყიდე – საჩუქარი გავუკეთე საკუთარ თავს. გარდა ამისა, ისე მიხაროდა რომში ყოფნა, რომ, საღამოს, როგორი დაღლილიც არ უნდა ვყოფილიყავი, გავდიოდი ქალაქში და, რომის ტალღაზე აწყობილი, „კაპუჩინოთი“ ხელში, ფეხით დავდიოდი, ვათვალიერებდი... იმდენი პოზიტივით დავბრუნდი სახლში, არანაირ ნეგატიურს აღარ ვიკარებ, ყველაფერი ცუდი წარსულში დარჩა. იმდენად კარგი ხანა დამიდგა, ისე კარგად მიდის ყველაფერი, რომ მიხარია.

**– მიას გარეშე გაგიჭირდებოდა.**

– ძალიან გამიჭირდა, ეს 12 დღე მიას გარეშე – კატასტროფა იყო. ამდენი ხნით არასდროს დამიტოვებია. სკაიპით კი ველაპარაკებოდი, მაგრამ, ეს როგორ იქნებოდა საკმარისი! რომ ჩამოვედი, ისეთი გაზრდილი დამხვდა, ისე გაუხარდა ჩემი დანახვა... თან, დედაჩემთან იყო და მშვიდად ვიყავი – სანდო ხელში დავტოვე. ადრე თუ ყველაფერს ჩემთვის და ჩემი ძმისთვის ვყიდულობდი, ახლა სულ მიას ვუყიდე. ისეთი გაზრდილია, ექიმს უკვირს: ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა ასეთი შემთხვევა, ასე სწრაფად რომ იზრდებოდეს ბავშვიო – 11 თვის არის და 92 სანტიმეტრია. ახლა იწყებს სიარულს, ლაპარაკს, „დედას” მეძახის.

**– და, რა ხდება პირად ცხოვრებაში?**

– არაფერი და, ჯერ კიდევ არ მოხდება – ეს თემა ჩემთვის დახურულია. დიდი ხანია, ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ მორალურად, სულიერად, ყველანაირად. იმდენი რაღაც მოხდა, იმდენი რამ გადავიტანე, რომ ახლა მინდა ვთქვა: ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სიმშვიდე. იქ ვარ, სადაც სიმშვიდე და კომფორტი გვექნება მე და ჩემს შვილს, ასეთ გარემოში ყოფნა მირჩევნია. როცა ადამიანი ბედნიერი ხარ, ყველაფერი გამოგდის. პირადში არაფერი არ ხდება, ბედნიერი ვარ ჩემი შვილით, ის არის ჩემი ბედნიერების წყარო და, შესაბამისად, ბედნიერების წყარო მამაკაცი ვერ იქნება.

**ნათია უტიაშვილი**

# რატომ იყო 15 წლის ვახტანგ გორგასალი გამწარებული ოსებზე და როგორ იძია მან შური

10 წლისა იქნებოდა პატარა ხელმწიფე, ვახტანგ გორგასალი, როცა ოსებმა ისარგებლეს მეფის არასრულწლოვანობით, გადმოვიდნენ ჩრდილო კავკასიიდან, ააწიოკეს სამეფო, გაძარცვეს და მრავალი ტყვე გაიტაცეს, მათ შორის, მეფის სამი წლის და, მირანდუხტი.

როცა გორგასალი გახდა 15 წლის, მოუწოდა ქართლის წარჩინებულებს და შეკრიბა ისინი მცხეთაში.

მეფემ, უკვე დაბრძენებული და გამოცდილი ადამიანივით განაცხადა:

– ისმინეთ ჩემი, მართალია ყრმა ვარ, მაგრამ არ მოვითმენ ოსთაგან შეურაცხყოფას, ღვთის მადლითა ვიძიებ შურს. არ შეიძლება ამის მოთმენა, სირცხვილია.

ადგა სპასპეტი ჯუანშერი და თქვა:

– იცოცხლე, მეფეო, დიდებით. უკვე ხუთი წელია, ოსთაგან ვითმენთ შეურაცხყოფას, რადგან შენ, ჩვენი წინამძღოლო პატარა იყავი, არ შეგეძლო მხედრობა, სარდლობა და სამეფოს მართვა. ახლა კი ვხედავ, მეფეო, უკვე დაბრძენებული ხარ, ძლიერი და მხნე. ჯერ ისევ ყრმა ხარ, მაგრამ ძალგიძს მეფობა. თუმცა, ჯერ ომისა და სარდლობისათვის პატარა ხარ. შენი სიბრძნითა და დედაშენის რჩევით, გამოარჩიე სარდალი ჩვენი ჯარისთვის და ჩაგვიყენე ის სათავეში. ყოვლადწმიდა სამების ძალით, წავალთ და შურს ვიძიებთ. შენ დარჩი დედაქალაქში და განაგე სამეფო საქმეები. უშენოდ წარწმყდება ჩვენი ქვეყანა, რადგან შენი შემცვლელი არავინ არის სამეფოში.



ჯუანშერ სპასპეტის სიტყვას დაემორჩილნენ წარჩინებულნი და ერისთავები.

ბრძანა მეფემ:

– შენი ერთგულობის გამო ამბობ, ჯუანშერ, მაგრამ მე არ დავემორჩილები შენს რჩევას. ჩემი პატარა დის სიბრალული გულს მიწვავს. ასეთ ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნია.

მიხვდნენ დიდებულები, რომ ვერ დაუშლიდნენ 15 წლის მეფეს. გადაწყდა ლაშქრობა ოსეთზე. ვახტანგ მეფემ გააგზავნა მოციქული თავისი დედის ძმასათან, ვარაზ-ბაკურთან, რანის (ბარდავის) ერისთავთან, რომელიც სპარსთა მეფეს მორჩილებდა. აუწყა მას, რომ ოსებზე აპირებდა გალაშქრებას და დამხმარე ჯარი სთხოვა. ვარაზ-ბაკური სიხარულით დათანხმდა, რადგან მისი ქვეყანაც ააოხრეს ოსებმა.

ქართლის ჯარი – ასი ათასი მხედარი და სამოცი ათასი ქვეითი აღლუმზე შეიკრიბა მუხნარსა და ხერკში (საგურამოსთან), არაგვის გაღმა-გამოღმა. ვარაზ-ბაკურმა თორმეტი ათასი მხედარი გამოაგზავნა.

მეფეს ესიამოვნა ჯარის სიმრავლე, მოეწონა ცხენ-კეთილობა და მოკაზმულობა მეომრებისა, მათი მხიარული და საბრძოლო განწყობა. სავსენი იყვნენ მეომრები ოვსთა შურით.

ვახტანგმა სამეფოს გამგებლად დატოვა დედამისი საგდუხტი და თავისი და ხვარანძე. დაწერა ანდერძიც: თუ ვერ დავბრუნდები ცოცხალი, ჩემი და – ხვარანძე ცოლად შეირთოს სეფეწულმა მირიანმა და ის გამოცხადდეს ქვეყნის მეფედ. ანდერძი დედას გადასცა საიდუმლოდ. მირიანი მცხეთაში დატოვა.

თიანეთში ყმაწვილ მეფეს ეახლნენ სხვა კავკასიელი მეფენი ორმოცდაათი ათასი მხედრით. დაიძრა ვახტანგის არმია ჩრდილოეთ კავკასიისაკენ. გაიარეს დარიალის კარი და შევიდნენ ოსეთში.

მაშინ თექვსმეტი წლის იყო ქართველთა იმედი.

ოსებს არ გამოპარვიათ ქართველთა სამზადისი. მათაც შეკრიბეს დიდძალი ლაშქარი, ხაზარებიც შემოიერთეს. მათი ჯარი მდინარე თერგის ნაპირას დაუხვდა ქართველთა ჯარს.

მდინარის გაღმა-გამოღმა მხარეს დაიბანაკეს ქართველთა და ოსთა ჯარებმა. შვიდი დღე იდგა ორი არმია მტრის პირისპირ და ბუმბერაზთა ორთაბრძოლები იმართებოდა.

ერთ დღესაც გამოვიდა გოლიათი თარხან ხაზარი და დაიყვირა:

– ვინ არის უძლიერესი ვახტანგის ჯარში, გამოვიდეს და შემებრძოლოს.

გამოვიდა ფარსმან-ფარუხი, სპარსი, ვარაზ-ბაკურის სამხედრო ნაწილებიდან. ის უძლეველი კაცი იყო, ლომებს შიშველი ხელით იჭერდა, თურმე.

გაიმართა ორთაბრძოლა. პირველსავე შეტაკებაზე ოსთა მოკავშირე ხაზარმა მკერდამდე გაუპო თავი ქართველთა მოკავშირე სპარსელს. შეწუხდნენ ვახტანგის ჯარისკაცები, რადგან არავინ ჰყავდათ მისნაირი ძლიერი მეომარი.

ის ღამე ვახტანგ გორგასალმა ლოცვაში გაატარა. შეწევნას ითხოვდა ღვთისგან, რადგან თარხანთან ბრძოლა გადაწყვიტა. უშიში იყო ქართველთა მეფე, ვითარცა უხორცო. ღვთისა და თავისი ძალის იმედი ჰქონდა.

> **არათუ იბერიის, არამედ მსოფლიოს არცერთ მბრძანებელს ამ ასაკში ასეთი დიდებული გამარჯვება არ მოუპოვებია**

გათენდა თუ არა, გამოიჭრა ხაზარი ბუმბერაზი და დასცინოდა ქართველებს, მათ მოკავშირეებს და იმუქრებოდა. ვერავინ გაბედა მის წინააღმდეგ გასვლა.

მიუბრუნდა ყმაწვილი ქართველი ხელმწიფე თავის ჯარს და უთხრა:

– არა ჩემი ძალის ან ჩემი სიმხნის მინდობით, არამედ სამების რწმენით გავალ თარხანთან საომრად.

გაუკვირდათ წარჩინებულებს და არ უშვებდნენ, რადგან ჯერ კიდევ პატარა იყო იბერიის მეფე, არც საომარი გამოცდილება ჰქონდა.

არ დაუჯერა თავის სარდლებს გულადმა გორგასალმა, ღმერთს შემწეობა სთხოვა, მიუბრუნდა თავის ჯარს და უთხრა: „ევედრეთ ღმერთს და ნუ შეძრწუნდებით".

ვახტანგის ჯარისკაცები თავ-თავიანთი რჯულის მიხედვით ევედრებოდნენ ღმერთს იბერიის მეფის გამარჯვებას.

შუბით შეიარაღებული ჭაბუკი მეფე შევიდა მდინარეში. ბუმბერაზმა თარხანმა დასცინა: „მე გოლიათებსა და ბუმბერაზებს ვებრძვი და არა ყმაწვილებს, შენზე უნდა შევირცხვინო თავი?". თუმცა, პირველივე შეტაკებაზე გორგასალმა შუბით განგმირა ხაზართა უძლეველი ბუმბერაზი.

იბერიის მეფემ მოჰკვეთა თავი თარხან ხაზარს, შეახტა ცხენს და მობრუნდა თავის ლაშქართან. ყიჟინით და ღვთის დიდებით შეხვდნენ ჯარისკაცები გამარჯვებულ მეფეს.

მეორე დღეს სხვა ბუმბერაზი გამოვიდა ოსთაგან საბრძოლად, სახელით ბაყათარ. ის დაუმარცხებელ გოლიათად ითვლებოდა, თორმეტი მტკაველის სიგრძის მშვილდი ჰქონდა და ექვსი მტკაველის სიგრძის ისრები. მოადგა მდინარეს და ყვიროდა:

– ვახტანგ მეფეო, ნუ გალაღდები თარხანის მოკვლით. არ იყო ის ნამდვილი გოლიათი და ამიტომ მოიკლა ყმაწვილის მიერ. თუ გამოხვალ ჩემ წინააღმდეგ საბრძოლველად, ნახავ, რაც არის ფიცხელი ბრძოლა და ვერ გამექცევი. თუ არა და, ვინმე შენი მეომარი შემებრძოლოს, მისთვისაც მზად ვარ.

ჭაბუკმა მეფემ საპასუხოდ უყვირა ბაყათარს:

– არა ჩემი ძალით ვძლიე თარხანს, არამედ ძალით ღმრთისა. არ მეშინია შენი, რადგან მაქვს ჯვარი მისი საჭურველად!

გაემზადა ვახტანგის სპა. მეფე შეახტა შეჭურვილ ტაიჭს, აიღო ფარი ნინაგის ტყავისა, რომელსაც ვერ ხვრეტდა მახვილი და გაეშურა მდინარისკენ. დაუყვირა ბაყათარს: „არ გამოვალ მე მდინარეს, რადგან მეფე ვარ, არ მოგიახლოვდებით ოსების ჯარს, რადგან გინდათ ჩემზე თავდასხმა, ჩემი სიკვდილით კი დამარცხდება ჩემი არმია. შენ მონა ხარ და შენი სიკვდილით არაფერი ევნება ოსთა ჯარს, როგორც ერთი ძაღლის სიკვდილით. გამოდი ჩემს ნაპირას".

ბაყათურ ოსმა დაუყვირა: „მე, შენი მკვლელი, გამოვალ მდინარეს, უკან დაიხიე მდინარიდან".

ვახტანგ მეფე გაშორდა მდინარის ნაპირს. წამოვიდა ბაყათარი, გამოსცდა მდინარეს, თან ისრებს ესროდა ქართველთა მეფეს და ასე უახლოვდებოდა. ცხენზე ამხედრებული ჭაბუკი მეფე ოსტატურად იცილებდა ისრებს.

მდინარის გაღმა-გამოღმით მდგარი ჯარები ბუკს აყვირებდნენ და დაფდაფებს სცემდნენ, ყვირილით ამხნევებდნენ საკუთარ ფალავანს. ხმაურისგან მთები და ბორცვები ირყეოდა.

მხოლოდ ორი ისარი გაარტყა ბაყათარ-

(გაგრძელება 65-ე გვერდზე)

# ინდოეთის ნაგას ტომმა სახელი გაითქვა როგორც თავებზე მონადირემ

ბრაჰმანიზმმა, რომელმაც ჩვენს ერამდე პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებში ინდოეთის ძველი რელიგია – ვედიზმი შეცვალა, უარი თქვა ადამიანის მსხვერპლშეწირვის ტრადიციაზე; ხოლო, მეფე აშოკამ (ჩვენს ერამდე მესამე საუკუნე), რომელმაც თავის მბრძანებლობას დაუქვემდებარა ინდოეთის დიდი ნაწილი, აკრძალა ნებისმიერი ცოცხალი არსების მსხვერპლად შეწირვა, რადგან იგი ბუდიზმის აქტიური მქადაგებელი იყო. თუმცა, თავისი მმართველობის პირველ წლებში, მეფე ხასიათის სიმშვიდით არ გამოირჩეოდა, მაგალითად, როდესაც მან ომი გამოუცხადა კალინგის სახელმწიფოს, მისი წარმატებით დასრულების შემდეგ სპეციალურ ედიქტში განაცხადა, რომ 100 ათასი ადამიანი გაანადგურა, 150 ათასი კი ტყვედ აიყვანა. მაგრამ, როდესაც ბრძოლის ველი დაათვალიერა და თავისი თვალით იხილა საკუთარი საგარეო პოლიტიკის შედეგები, მეფემ დაიმორცხვა. რის შემდეგაც მისი მმართველობა მართლაც უაღრესად ჰუმანური გახდა.

აშოკამ არა მარტო აკრძალა სისხლიანი მსხვერპლშეწირვები, არამედ, დასაცავი ცხოველების სიაც კი შეადგინა. გარდა ამისა, მან აკრძალა ტყის უმიზნოდ გამოწვა და ნადირობა სიამოვნების მიზნით. მეფემ დიდი ძალა და საშუალებები მოახმარა მედიცინისა და ვეტერინარიის განვითარებას და ცდილობდა, თავისი ქვეშევრდომები ჰუმანიზმის გზაზე დაეყენებინა. იგი აშენებდა საავადმყოფოებს, უფასო სასტუმროებსა და სკოლებს; აკრძალა ადამიანების იძულებით მუშაობა. მან შექმნა ერთგვარი უფლებადამცველთა – „მაჰამატრების“ ინსტიტუტი, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ჰუმანური პრინციპების დაცვას მთელ ქვეყანაში, კერძოდ, ისინი ინსპექტირებას ეწეოდნენ ციხეებში. აშოკა წერდა: „... ისინი თვალყურს ადევნებენ პატიმართა ღირსეულ პირობებში ყოფნას და საჭიროებისამებრ მათ გათავისუფლებას. და თუ მაჰამატრები მიიჩნევენ, რომ „რომელიმე მათგანს ოჯახი ჰყავს სარჩენი“, ან „რომელიღაცას ცილი დასწამეს“, ანდა „სხვა, რომელიმე უკვე მოხუცებულია“, მაშინ ისინი აყენებენ საკითხს, რომ ეს პატიმრები დროულად გაათავისუფლონ“.



ნაგას ტომებმა, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთის მთებში ბინადრობდნენ, სახელი გაითქვეს როგორც თავებზე მონადირეებმა. ნაგას საკულტო ცხოვრებაში თავები დიდ როლს თამაშობდა. ამიტომ, ნაგა არა მარტო ომებს აწარმოებდა, არამედ, მუდმივად ტეხდა სოფლებს შორის შეტაკებებს. ყველა ამ შინაომების მიზანს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდა თავები და, არა აუცილებლად მტრის თავები. თავი იყო მაგიური ავგაროზი და „მუშაობდა“ სრულიად დამოუკიდებლად იმისგან, მეომარს ეკუთვნოდა ის თუ ქალს; პატიოსან ბრძოლაში იყო მოპოვებული თუ მძინარე ბავშვზე თავდასხმის შედეგად. თითოეული თავი უზრუნველყოფდა მეომრისთვის ღმერთების წყალობას, თანატომელთაგან პატივისცემასა და ქალიშვილებისგან ყურადღებას; იგი იცავდა მას ავადმყოფობისგან, იფარავდა უბედურებისგან, მოჰქონდა სიმდიდრე. ამიტომ თავებს საგულდაგულოდ უვლიდნენ: მათ საზეიმო ვითარებაში ათავსებდნენ სპეციალურ სათავსში, ან საკერპო ხის ტოტებზე აცვამდნენ.

## თემი ყიდულობდა ადამიანის თანხმობას, მომკვდარიყო ამ მიზნით

კიდევ ერთ რიტუალურ მკვლელობას აღწერს ფრეიზერი თავის წიგნში – „ოქროს რტოები“:

„ერთი ძველი მოგზაურის ცნობით, კუჩლაკარის პროვინციაში არის წარმართული ტაძარი. მასში დგას ღრმად სათაყვანებელი კერპი, რომლის პატივსაცემად 12 წელიწადში ერთხელ იმართება მდიდრული ნადიმი, მსგავსი საიუბილეო ზეიმისა, რომელზეც ყველა იქაურ კერპთაყვანისმცემელს იწვევენ. ადგილობრივი „მეფუკა“ მხოლოდ 12 წელი მართავს პროვინციას, ესე იგი, ერთი დღესასწაულიდან მეორემდე. როდესაც ეს პერიოდი დასასრულს უახლოვდება, დღესასწაულზე ადამიანთა დიდი ბრბო იყრის თავს და დიდძალი ფული იხარჯება ბრაჰმანების (ბრაჰმანი – ძველი ინდური რელიგიის – ბრაჰმანიზმის ქურუმი) გასამასპინძლებლად. მეფუკასთვის იგება აბრეშუმის ქსოვილით მოფარდაგებული ხის ფიცარნაგი. ზეიმის დღეს, მუსიკის ჰანგების ქვეშ, ის დიდებული პროცესიის თანხლებით მიემართება წყალსატევისაკენ, რათა ჩაიტაროს განბანა, რის შემდეგაც ტაძარში გადაინაცვლებს და კერპის წინაშე ლოცულობს. შემდეგ ადის ფიცარნაგზე, ყველას თვალწინ ხელში იღებს ძალზე ბასრ დანას და იწყებს თავისი ცხვირის, ტუჩების, ყურებისა და სხვა დანარჩენი რბილი ნაწილების მოჭრას, თან, მალიმალ; ხორცის მოჭრილ ნაჭრებს აქეთ-იქით ისვრის მანამ, სანამ გონებას დაკარგავს ძლიერი სისხლდენის გამო; ბოლოს კი იგი... ყელს ილადრავს! ასეთი წეს-ჩვეულებით ხდება მსხვერპლის გაღება ადგილობრივი კერპის პატივსაცემად. მომავალი მმართველი ამ დროს მაყურებელთა ბრბოში იმყოფება და იქიდან ადის ტახტზე.

ხონდებში (ინდოელთა ერთ-ერთი ტომი) დიდხანს არსებობდა ნებაყოფლობით მსხვერპლად შეწირვის წეს-ჩვეულება, რომელიც მოსავლიანობას ემსახურებოდა. თემი ყიდულობდა ადამიანის თანხმობას, მომკვდარიყო ამ მიზნით; ზოგჯერ მშობლები შვილს ყიდდნენ ამ დანიშნულებით, რის შემდეგაც მას შეეძლო წლების განმავლობაში ეცოცხლა, დაქორწინებულიყო კიდეც და ბავშვებიც ჰყოლოდა. მაგრამ, როდესაც მოსავლიანობის გაუმჯობესების აუცილებლობა წამოიჭრებოდა, მსხვერპლს აკურთხებდნენ, ღვთაებასთან აიგივებდნენ, შემდეგ კი ოპიუმით ათრობდნენ და გუდავდნენ. მსხვერპლის სხეულს მრავალ ცალკეულ ნაწილად ჭრიდნენ და მთელი შემოგარენის მინდვრებში (ყანებში) ფლავდნენ.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კ | ო | პ | ი | | ა | | ვ | | | | | | | |
| | პ | | მ | ო | ვ | ლ | ა | | | | | | | გ |
| რ | ე | გ | ა | ტ | ა | | რ | | | | | | | ა |
| | რ | | დ | ა | რ | დ | ი | | | | | | | ნ |
| მ | ა | დ | ა | ნ | ი | | ა | | | | | | | დ |
| ი | | ო | | | ა | ი | ნ | | ს | ა | ტ | ა | ნ | ა |
| ნ | ო | ს | ტ | ე | | | ტ | | უ | | ო | | ა | გ |
| ტ | | ტ | | რ | ო | დ | ი | ა | | ა | მ | ა | ლ | ა |
| ა | პ | ი | ნ | ა | | ო | | ი | | | ა | ვ | ი | ნ |
| ი | ა | | ა | | ი | ნ | ა | დ | ა | მ | რ | ა | | ა |
| | ს | ი | ც | ხ | ე | | თ | | ნ | ი | ა | | ბ | |
| მ | ა | ნ | ე | | მ | ო | ნ | ი | კ | ა | | ე | რ | ი |
| | ტ | ა | მ | პ | ე | რ | ე | | ლ | | ა | ნ | ა | ნ |
| ლ | ი | ზ | ი | | ნ | ა | ლ | ი | ა | | რ | ა | ზ | ა |
| უ | | რ | | ა | ი | მ | ე | რ | ვ | | ი | ვ | ი | ტ |
| ი | ნ | ა | ი | ზ | | | | ა | ი | ჩ | | ა | | |
| | ე | ნ | ა | გ | ი | ს | | შ | | ა | ტ | ს | ო | კ |
| | კ | | ჰ | | ა | | მ | ა | ხ | რ | ა | | | |
| ი | ნ | ა | ვ | ა | ლ | ა | გ | | ა | გ | ე | ლ | ო | კ |
| ს | ი | ნ | ე | მ | ა | | ე | | პ | ა | პ | ი | | ი |
| ლ | | ყ | | ი | დ | ა | ლ | | ი | ლ | ი | ს | ა | ვ |
| ი | ნ | ო | ი | ლ | ი | | ი | კ | | ი | | ი | | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 6 | 8 | 3 | 1 | 2 | 5 | 7 |
| 3 | 2 | 5 | 6 | 7 | 4 | 9 | 8 | 1 |
| 7 | 8 | 1 | 9 | 2 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 5 | 7 | 8 | 4 | 9 | 3 | 1 | 2 | 6 |
| 1 | 6 | 4 | 2 | 5 | 7 | 3 | 9 | 8 |
| 2 | 9 | 3 | 1 | 8 | 6 | 4 | 7 | 5 |
| 8 | 3 | 2 | 7 | 1 | 9 | 5 | 6 | 4 |
| 6 | 5 | 7 | 3 | 4 | 2 | 8 | 1 | 9 |
| 4 | 1 | 9 | 5 | 6 | 8 | 7 | 3 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 7 | 1 | 2 | 5 | 6 | 8 | 4 | 9 |
| 9 | 8 | 5 | 7 | 1 | 4 | 3 | 2 | 6 |
| 2 | 6 | 4 | 8 | 9 | 3 | 5 | 7 | 1 |
| 4 | 1 | 7 | 5 | 6 | 9 | 2 | 3 | 8 |
| 8 | 9 | 3 | 1 | 4 | 2 | 6 | 5 | 7 |
| 5 | 2 | 6 | 3 | 7 | 8 | 1 | 9 | 4 |
| 7 | 5 | 8 | 9 | 3 | 1 | 4 | 6 | 2 |
| 1 | 4 | 9 | 6 | 2 | 5 | 7 | 8 | 3 |
| 6 | 3 | 2 | 4 | 8 | 7 | 9 | 1 | 5 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. სავსე ამფორებს წვეტიანი ბოლოებით ქვიშაში არჭობდნენ. 2. პატიმრები. 3. ასოები, რომლებიც სიტყვის შუაში სხვანაირად იწერება, სიტყვის ბოლოს – სხვანაირად. 4. ტყავს აბრუნებდნენ. შიგნით მოქცეული ბეწვი ღვინოს დამატებით ასუფთავებდა. 5. ოქროსგან ღუზა იყო ჩამოსხმული. 6. მენაგვეები – ამ საქმეს უმდაბლესი კასტის წარმომადგენლები ასრულებდნენ. 7. სალესი. 8. მაცივარი. 9. მავთულხლართი. 10. ყრუ-მუნჯთა ენა.**

**დიზაინერ ავთანდილ ცქვიტინიძეს ძალიან აქტიური შემოქმედებითი პერიოდი აქვს. სულ რამდენიმე დღეა, რაც ის მილანიდან დაბრუნდა, 19 თებერვალს პარიზში მიემგზავრება, 5 მარტიდან კი ნიუ-იორკის მოდის სამყაროს შეუერთდება. დღეს გიამბობთ, რა ხდება მის კარიერაში და რა სიახლეებს სთავაზობს ცნობილი დიზაინერი გაზაფხული-ზაფხულის სეზონზე მოდის მოყვარულებს.**

# რა სიახლეებს სთავაზობს მოდის მიმდევრებს ავთანდილ ცქვიტინიძე

**ავთანდილ ცქვიტინიძე**: ჩვენ უკვე მეექვსე სეზონია, რაც მილანში გვაქვს შოუ-რუმი, სადაც წარმოვადგენთ პირველი ხაზის კოლექციებს. ამჯერად ვაჩვენეთ მომავალი წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექცია. სამი თვის განმავლობაში გაიმართება ბაერებისთვის და შეკვეთებისთვის როგორც გამოფენა. ამ კონცეპტუალურ მაღაზიებთან თანამშრომლობით, პირველი ხაზის კოლექციას უკვე მსოფლიოს 121 მაღაზიაში ვყიდით.

**– ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია.**

– სერიოზული მაჩვენებელია. როცა მსოფლიო ასეთი გაჯერებული და დაკავებულია ამ ბაზრით, ფაქტობრივად, მათთვის უცნობი, ახლა უკვე ნაცნობი დიზაინერისთვის ძალიან სერიოზული შედეგებია.



**ძალიან ბევრი „მატყუარა" თარგი გვაქვს, რომელიც სილუეტს ავიწროებს, ყოველ შემთხვევაში, ქალბატონები კმაყოფილები და ბედნიერები არიან; ასევე, გვაქვს ელასტიკური ქსოვილები, რომლებიც სხეულს კრავს და სილუეტი უფრო მომგებიანად გამოიყურება**

ასევე, ჩვენ უკვე ვაკეთებთ ახალი მაღაზიების ქსელს, მეორე ხაზს – „ავთანდილ 73," ანუ, „ავთანდილის" რებრენდინგი ხდება და ერქმევა „ავთანდილ 73", რადიკალურად განსხვავებული იყოს პირველი ხაზისგან. ამ კოლექციასაც ახლა ვამზადებთ, რომელსაც, ასევე, გავიტანთ მთელი მსოფლიოს ხაზით. მზადების პროცესშია პირველი ხაზი, – ოღონდ უკვე „ლუქსი" ხაზის და „ჰენდმეიდი." ძალიან ბევრი ხელით ნამუშევარია გამოყენებული ნიუ-იორკისა და პარიზის გამოფენებისთვის, რომელიც ნიუ-იორკში შედგება 19 თებერვალს, 5 მარტიდან კი – უკვე პარიზში, სადაც უკვე ცალკე ბაზარია. პარიზში ჩემი მოდელები იყიდება ძალიან სერიოზულ კონცეპტუალურ მაღაზიაში – „ლე სვიტ", სადაც მუდმივად აკეთებენ ჩემი კოლექციების ვიტრინებს. იქ მხოლოდ და მხოლოდ პირველი კლასის დიზაინერები იყიდება.

**– ამ მასშტაბების კონკურენციის ფონზე, როგორც ფიქრობთ, რა დევს ისეთი „ავთანდილში," რის გამოც ამხელა ინტერესს გამოხატავენ?**

– მე საზოგადოებას პირველ ხაზში ვთავაზობ რადიკალურად განსხვავებულ კოლექციებს, რომლებშიც იდეის გარდა ჩადებულია, ფაქტობრივად, უჩვეულო მასალების სინთეზი, სილუეტი კი არის ძალიან ქალური.

**– ამით განსხვავებული ხართ?**

– იცით, რა არის? როდესაც ბაერები კოლექციებს იღებენ, ხშირ შემთხვევაში ამ კოლექციებზე აკეთებენ აქცენტს და, ეტყობა, მომხმარებელს ძალიან მოსწონს. ისე არავინ გარისკავს, შეგიკვეთოს კოლექცია. თუნდაც თვითონ მარტო ბაერი გაგიჟდა, გადაირია და შეიძინა კოლექცია, თუ ის ვერ გაყიდა სეზონზე, არავითარ შემთხვევაში მომავალ სეზონს არ შეგიკვეთავს; ანუ, მათი გაყიდვების მაჩვენებელიც მაღალია და, ალბათ, ეს ხალხის იმ კატეგორიაზე მუშაობს, რომელიც რადიკალურად განსხვავებულ დიზაინერს ეძებს.

ყველა ქვეყანაზე სხვადასხვა კოლექცია კეთდება; ანუ კოლექციას აქვს გამაერთიანებელი იდეა, მაგრამ, მაგალითად, მილანისთვის უფრო წყნარი სილუეტები კეთდება, ნიუ-იორკისა და პარიზისთვის – უფრო შემოქმედებითი პიკი და ბუმია, ოღონდ, იმ იდეის უფრო განვრცობილი ვარიანტი. ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, იდეა განვავითაროთ სხვადასხვა ბლოკად, ოღონდ, ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე. ამ კოლექციების აბსოლუტურად მარტივი ვარიანტები, რათა ყოველდღიურად მოიხმარო, კეთდება „ავთანდილ 73-ში".

**– ახლოვდება გაზაფხული და მოდის მიმდევრები რჩევებს ელიან თქვენგან, რომ ახალ სეზონზე კვლავ ახლებურად და მოდურად გამოიყურებოდნენ.**

– ჩვენ ყოველდღიურ ტანსაცმელში ვთავაზობთ ჯინსის, შარვლების, ქურთუკების, მაისურების არჩევანს. მაისურებისთვის და, აგრეთვე, „ავთანდილ 73-სთვის" გაკეთდა სპეციალური ქსოვილები, რომლებიც ჩვენმა გრაფიკოსებმა დაამუშავეს და ის წავა გრადაციაში, რათა საკმაოდ ხალისიანი ეფექტი მივიღოთ; ასევე, ამ ქსოვილებისგან კეთდება თხელი ლაბადები, ჟილეტები; ასევე შემოდის ფერთა ტონალობა: კარგი მწვანე, დამჯდარი ბორდოსფერი, მკვეთრი ყვითელი, ხაკისფერი.

ამ სეზონზე გვექნება ძალიან სერიოზული, პრეტენზიულად გამონათებული ოქროსფერი და ვერცხლისფერი ფეხსაცმელები; თვლებით გაფორმებული სპორტული ფეხსაცმელი, გვექნება რამდენიმე მოდელი ღია ფეხსაცმელი ქუსლზეც, ასე რომ, სერიოზული ფეშენ-ქალბატონი გამოგვივიდა „ავთანდილ 73-ში."

რაც შეეხება პირველ ხაზს, იქ ძალიან აქტუალური თემაა თეთრი ფერისა და კანის ფერის გრადაცია და, ასევე, თავისივე ტონალობაში ბუმბულების განაწილება. ფაქტობრივად, ამ აფრიკული და სხვავასხვა სახის ბუმბულებით გავითქვით და დავიმკვიდრეთ თავი გაზაფხული-ზაფხულის კოლექციებში. ეს ძალიან ცნობადია და, ფაქტობრივად, ყველა ქალი რადიკაურად იცვლება, როცა ამ კაბას იცვამს. ასევე, ძალიან თამამი და ღრმა დეკოლტეები გვაქვს პირველ ხაზში, რასაც მეორე ხაზში თავს ვარიდებთ. ასე რომ, ორივე ხაზის მომხმარებელს ძალიან კარგი არჩევანი ექნება გაზაფხული-ზაფხულის სეზონისთვის.

**– ამ სეზონის ზოგად ტენდენციებზეც ვისაუბროთ.**

– ჩვენ მაქსიმალურად ვიცავთ ზოგად ტენდენციებს, რათა ტანსაცმელი იყოს ძალიან აქტუალური, თანამედროვე და, ინვესტიცია, რომელსაც ქალი ჩადებს, არ იყოს ერთჯერადი, მოსაწყენი და არ „დაასვენოს" გარდეროზში ოთხი-ხუთი სეზონის განმავლობაში. ამიტომ სილუეტები არის თავისუფალიც და გამოყვანილიც.

**– კაბის ან ქვედაბოლოს როგორი სიგრძეა წელს უფრო აქტუალური?**

– ეტაპობრივად არის დაყოფილი. ყველა ქალბატონი ინდივიდუალურია და, ფეხის სილამაზიდან, სამსახურიდან, სიმაღლიდან და გაბარიტებიდან გამომდინარე, ჩვენ ყველანაირ ასორტიმენტს ვთავაზობთ. ეს არის ზოგადად მასმარკეტის პრინციპი, რომ, როდესაც ადამიანი შემოვა, თავისთვის რამე შეარჩიოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტანისამოსი ფეშენ-გოგოებზეა გათვლილი, ყველა ადამიანი რაღაცას პოულობს თავისთვის და ყიდულობს.

აქტუალურია მუხლს ქვემოთ დაახლოებით 10-15 სანტიმეტრით ჩამოშვებული სიგრძე, რომელიც ძალიან პრეტენზიულია და მას საზოგადოება ისეთი რაოდენობით ვერ იღებს; ამიტომ, იმავე ქალბატონებისთვის არის მოდელები 3 სიგრძეში: მინი, მიდი და მაქსისა და მიდის შორის სიგრძე, რომელიც უფრო რისკავს და უფრო მეტი პრეტენზია აქვს „ფეშენზე." სიგრძეები ყოველთვის რეგულირებადია, გააჩნია, რა იდეით გადის სახლიდან ქალი იმ დღეს.

**– გასულ სეზონზე ძალიან მოდური იყო კაბა-ხალათები.**

– კაბა-პერანგი, რიმელიც გვაგონებს დაგრძელებულ პერანგს, არის უსერიოზულესი თემა და მის ამ სეზონზე გაშლას ვაპირებთ, რადგან, ყველაზე პრაქტიკული და მოდური ტანსაცმელია და მას არ შეეხება სეზონი, უბრალოდ, ის სილუეტსა და ფერებში შეიცვლება.

**– როგორი ფეხსაცმელია წელს აქტუალური?**

– ფეხსაცმელი ძალიან აქტუალურია დაბალ ძირზე. ზოგადად, დაბალძირიანმა ფეხსაცმელებმა მოიცვა მთელი მსოფლიო, რადგან, ძალიან პრაქტიკულია.

რაც შეეხება ქუსლებს, ამ სეზონზე ის არ არის რადიკალურად მაღალი – მოიცავს დაახლოებით 7-8, მაქსიმუმ – 9 სანტიმეტრ სიმაღლეს, ოღონდ მყარი ქუსლით. რომელიც თან ქალურია, ნაზია და უხდება შარვალსაც, ქვედაბოლოსაც, მთლიან კაბასაც, გრძელ კაბასაც, მიდისაც და მინისაც.

**– დახურული ფეხსაცმელი უფრო აქტუალურია თუ სანდლის ტიპის?**

– აბსოლუტურად ყველანაირი ტიპის ფეხსაცმელი გვაქვს: ღია და დაბლებზე, თვლებით გაწყობილი და უთვლებოდ, რომელიც უკვე ივლისის დასაწყისიდან გამოვა გასაყიდად, თუმცა მანამდე გვაქვს დახურული ფეხსაცმელებიც და შუზი, რომელსაც წინ ცხვირი აქვს ღია და ამით ვანეიტრალებთ გარდამავალ პერიოდს, რომელიც ასევე ძალიან სექსუალურია და მარტივად მოსარგები.

**– ქართველი ქალის სილუეტი, რომელსაც თქვენ საკმაოდ კარგად იცნობთ, ლამაზი, განსხვავებული და, ამავე დროს, თავისებურიცაა. ალბათ ბევრ ეშმაკობას ფლობთ, თუ როგორ უნდა მიიღოთ მისგან მაქსიმალური ეფექტი.**

– ძალიან ბევრი ეშმაკობა გვაქვს. 20 წელი ბაზარზე რომ მუშაობ, ყოველთვის ითვალისწინებ, რა ტიპის ადამიანებს ემსახურები. ამიტომ, ძალიან ბევრი „მატყუარა" თარგი გვაქვს, რომელიც სილუეტს ავიწროებს, ყოველ შემთხვევაში, ქალბატონები კმაყოფილები და ბედნიერები არიან. ასევე, გვაქვს ელასტიკური ქსოვილები, რომლებიც სხეულს კრავს და სილუეტი უფრო მომგებიანად გამოიყურება. მობრძანდით ჩვენს მაღაზიებში, დაათვალიერეთ და ამაში თავად დარწმუნდით!

**ეკა სალაღაია**

## რომელი მსოფლიო რეკორდები დამყარდა თბილისში

გოგირდის წყლების გამაჯანსაღებელ ცენტრ „ჯორჯიან სპაში,“ კავკასიის მსოფლიო ფედერაციისა და სპორტული კლუბის – „რეკორდის“ ორგანიზებით, თოთხმეტგზის გინესის რეკორდსმენმა ეტიბარ ელჩიევ-ბუდაღლმა ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: პირველ შემთხვევაში, ბიოენერგიისა და მაგნიტიზმის მეშვეობით მან სხეულზე 20-კილოგრამიანი რკინა მიიკრა, რომელზეც 60-კილოგრამიანი ადამიანი იჯდა; ასევე, რკინაზე თოკით ჩაბმული იყო „ნისანის“ ფირმის ორი ავტომობილი (თითოეულის წონა – 1 100 კილოგრამი). ეტიბარმა შეძლო და ეს სიმძიმეები ათ მეტრზე გადაადგილა. ასევე ბიოენერგიისა და მაგნიტიზმის წყალობით მოხსნა მან მეორე რეკორდიც: ამჯერად სხეულზე 20-კილოგრამიანი რკინა მიიკრა, რომელზეც 17 ცალი კრამიტი იყო დაწყობილი. კრამიტები სათითაოდ ჩაქუჩით დაამტვრიეს, რეკორდსმენს კი რკინა სხეულიდან არ ჩამოვარდნია.



ასევე, შპს „ასპრა ჯგუფის“ ფიტნეს-კლუბში, მსოფლიოს ოთხგზის რეკორდსმენმა გოჩა კეკიშვილმა მეხუთე მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ის 30 წუთის განმავლობაში ორძელზე 656-ჯერ აიზიდა და ინგლისელი სპორტსმენის შედეგი (540) მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.




## ქართველი მოფარიკავე გოგონების კიდევ ერთი სერიოზული წარმატება

*ცოტა ხნის წინ თბილისში ჩატარდა ევროპის თასის ჩემპიონატი ფარიკაობაში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის კადეტი მოფარიკავეები მონაწილეობდნენ. გოგონებში გუნდური პირველობა ქართველებმა, ტიციან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლასთან არსებული, მსოფლიოს ჩემპიონის, ნიკოლოზ ანდრიაძის კლუბის შეგირდებმა მოიპოვეს. მათი მწვრთნელი, ქეთევან ერემეიშვილი, გოგონების შედეგით კმაყოფილია, თუმცა, სამომავლოდ კიდევ ბევრ წარმატებას ელოდება. რაც მთავარია, გუნდი უკვე შედგა და, თუ მომავალში მათ სპონსორები გამოუჩნდებათ, დარწმუნებული ვარ, გოგონები არაერთ წარმატებას მიაღწევენ და საქართველოს ჰიმნსა და დროშას ბევრ ჩემპიონატზე გააჟღერებენ და ააფრიალებენ.*

**ქეთევან ირემეიშვილი**: 7-8 თებერვალს თბილისში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი, რომელიც უკვე ყოველწლიურად იმართება. მასში იასპარეზეს 17 წლამდე ასაკის ხმლით მოფარიკავე კადეტმა ვაჟებმა და გოგონებმა. ამ შეჯიბრს საკმაოდ დიდი რეიტინგი აქვს და მიხარია, რომ გოგონებმა გუნდური შეჯიბრება მოიგეს – პირველი ადგილი ავიღეთ. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: მარიამ ფხაკაძე, ანა აფრასიძე, მარიამ აფციაური და ლიკა ჯიჯეიშვილი. პირად შეჯიბრებაში ანა აფრასიძემ და მარიამ აფციაურმა მოწინააღმდეგეები დაამარცხეს, საბოლოოდ კი ერთმანეთს შეხვდნენ, 14-14-მდე მივიდნენ და, ბოლოს, ერთი ჩხვლეტით, პირველი ადგილი ანა აფრასიძემ დაიკავა, ხოლო მეორე – მარიამ აფციაურმა. 23 თებერვალს მივემგზავრებით ევროპის ჩემპიონატზე სლოვენიაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეჯიბრება. იმედი გვაქვს, მედლებით დავბრუნდებით.

**გივი ანდრიაძე**: მიჩვეული ვარ გოგონების გამარჯვებას, მედლების გარეშე შეჯიბრებიდან მათი დაბრუნება ვერ წარმომიდგენია. ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ გუნდი შედგა, გოგონები ერთმანეთს ენდობიან, გულმოდგინედ ემზადებიან, დარბიან, დამატებით გაკვეთილებს იღებენ და ფიზიკურ მზადყოფნას დიდ ყურადღებას აქცევენ. ეს მონდომება აუცილებლად დაუფასდებათ.

## როდის გაიმართება ნანა მესხის „ქალაქური სიმღერების საღამო“ და ვინ წარდგება მაყურებლის წინაში კომპოზიტორთან ერთად

20 თებერვალს, ბათუმის მუსიკალურ ცენტრში (ოპერის თეატრში), „ქალაქური სიმღერების საღამო“ გაიმართება. „ზამთრის ფესტივალის“ ფარგლებში წარმოდგენილ კონცერტზე ძირითადად კომპოზიტორ ნანა მესხის სიმღერები შესრულდება. მაყურებლის წინაშე წარდგებიან: ტრიო „თბილისი“, ანსამბლი „თეატრონი“ და თავად ქალბატონი ნანა მესხი. ასევე, ლელა გოლიაძის ხელმძღვანელობითა და ნანა მესხის პროდიუსერობით განხორციელდა შესანიშნავი პროექტი – „მომღერალი მიმტანები“.



**ნანა მესხი**: 15 დეკემბერს ბათუმში დიდი საავტორო საღამო მქონდა სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში. თბილისიდან მყავდა წაყვანილი საუკეთესო შემსრულებლები. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 36 მომღერალი. სწორედ ამ საღამოს შემდეგ დაიგეგმა სხვა ღონისძიებების ჩატარება ბათუმში, მათ შორის არის „ქალაქური სიმღერების საღამო“, რომელიც „ზამთრის ფესტივალის“ ფარგლებში გაიმართება.

## ახალი წიგნი მეღვინეობაზე



ამა წლის 30 იანვარს, 14:00 საათზე, ეროვნული აკადემიის ტექნიკურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა დიპლომირებული მეღვინის, გამომგონებლის, სამრეწველო საკუთრების პატენტმფლობლის, კონსტანტინე ბალავაძის წიგნის – „ახალი ქართული ღვინოების წარმოება დურდოს გაცხელების მეთილის გამოყენებით“ – პრეზენტაცია.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ მეღვინეობის წარმოების წამყვანი სპეციალისტები, მეცნიერები, პროფესორები და აკადემიკოსები: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის მთავარი კონსულტანტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გურამ პაპუნიძე; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თამაზ კობაიძე; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი მურმან ქურიძე; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა ულარჯიშვილი; ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქრისტო კახნიაშვილი; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან მუჯირი.



## დავით ქირია ისევ მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებს

კიკ-ბოქსინგში მსოფლიო სერიის ციკლი დაიწყო. ქართველმა კიკ-ბოქსიორმა დავით ქირიამ ამ ტურნირზე 1 თებერვალს ჩინეთში იასპარეზა. მისი მოწინააღმდეგე, ჩინელი zhong zhoonyu იყო, რომელიც პირველივე რაუნდის მეორე წუთზე ნოკაუტით დაამარცხა. დავითი ამ გამარჯვებით შემდეგ ეტაპზე გადავიდა. მას კიდევ ერთხელ მოუწევს ბრძოლა „გლორის“ საფინალო ოთხკაციან ტურნირში, რომელიც მარტში ან მაისში გაიმართება. გამარჯვების შემთხვევაში, ის ქამრისთვის ბრძოლის ლიცენზიას მოიპოვებს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი დავით ქირია მეუღლესთან ერთად ჰოლანდიაში ცხოვრობს და კიკ-ბოქსინგის ყველაზე დიდი კლუბის – „გოლდენ გლორის“ წევრია.

**დავით ქირია**: ძალიან მიხარია ეს გამარჯვება და მაქსიმალურად მოვემზადები შემდეგი ბრძოლისთვის, რათა „გლორის“ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული კიდევ ერთხელ მოვიგო.

**მოამზადა ეთო ხურციძემ**

**კალენდარული წეს-ჩვეულებების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა კარდაკარ რიტუალური ჩამოვლა – რიტუალის შემსრულებლები სათითაოდ ჩამოუვლიდნენ ოჯახებს და წარმოთქვამდნენ სპეციალურ ტექსტებს, რომელთა ძირითადი მოტივები იყო დღესასწაულის მილოცვა-მიხარება, დალოცვა, სანოვაგის მოთხოვნა.**

# როდის იმართებოდა საქართველოში მცირეაზიური ქალ-ღვთაების ორგიასტული კულტის მსგავსი, წრეგადასული მხიარულება

**ქეთევან სიხარულიძე** *(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი):* როგორც წესი, კარდაკარ ჩამოვლა იყო არა დამოუკიდებელი რიტუალი, არამედ, რომელიმე დღესასწაულის შემადგენელი ნაწილი. ამ წეს-ჩვეულების ძირითადი ელემენტები – ყოველ მოსახლესთან მისვლა, რიტუალური დალოცვა (რომლის წარმმართველი შინაარსი იყო ბარაქიანობის სურვილი) და რიტუალური საკვებით (უპირატესად – კვერცხით) დასაჩუქრება – ნათლად მეტყველებს, რომ ის უკავშირდებოდა ნაყოფიერების ღვთაების სახელს, როგორებიცაა: პირველი ხნულის გატანა, წვიმის გამოწვევა, ახალი წლის დადგომა და სხვა. ჩამოვლის დროს მღეროდნენ ლექსებს, რომლის ტიპური ნიმუში ასეთია: „ალათასა, მალათასა, ჩამოვკიდებ კალათასა, გოგო, ერთი კვერცხი ჩადე, ღმერთი მოგცემს ბარაქასა“. ნაყოფიერების, სიცოცხლის ჩასახვისა და განახლების ერთ-ერთი ძველი სიმბოლოა კვერცხი (ამ ნიშნის გამო ის ადვილად დამკვიდრდა ქრისტეს აღდგომის დღესასწაულში), ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მოსახლეთაგან კარს მომდგარი მლოცველებისთვის ძირითადი შესაწირი კვერცხი იყო. კარდაკარ ჩამომვლელები არასდროს შედიოდნენ სახლში. ღვთაება, რომლის წარმომადგენლებიც ისინი იყვნენ, სათემო (ან უფრო მაღალი რანგის) სალოცავს წარმოადგენდა. ოჯახის (სახლის) შიდა სივრცე მთლიანად ფუძის ანგელოზს ეკუთვნოდა და უფროსი ღვთაება მის სამყოფში არ იჭრებოდა, მონაწილეები ეზოს კართან ჩერდებოდნენ და იქ ელოდნენ მასპინძლებს. ამგვარი ჩამოვლით ღვთაება ყოველ ოჯახს ხდიდა დღესასწაულის მონაწილედ; შეიძლება, ამოწმებდა კიდეც მათ მზადყოფნასა და გულუხვობას, რომ მერე დამსახურებისამებრ მიეზღო მათთვის. მსგავსი სიტუაცია უფრო გვიანდელ გადმოცემაშია მოთხრობილი: ღმერთი გლახაკი კაცის სახით მიდიოდა სტუმრად ოჯახებში და, ვინც როგორ მიიღო სტუმარი, ღმერთმაც ისე განსაზღვრა მათი ცხოვრება. კავკასიაში კი განსაკუთრებით კარგად ახსოვდათ, რომ „სტუმარი ღვთისაა“.

**– როდის იღებს კარდაკარ ჩამოვლის რიტუალი საფუძველს?**

– კარდაკარ ჩამოვლის რიტუალი ძალიან ძველია, იმდროინდელი, როდესაც ღვთაებებს ჯერ არ ჰქონდათ განსაზღვრული არც ადგილი სამლოცველოს სახით, არც საკულტო საგნები და კუთვნილი მამულები. ისინი მათ მიერ არჩეულ პიროვნებებს დაჰყვებოდნენ და მათი მეშვეობით ამცნობდნენ ხალხს თავიანთ ნებას. დღესასწაულებს შორის ყველაზე უფრო მასშტაბური საგაზაფხულო იყო ბერიკაობა-ყეენობა – ბუნების აღორძინებისა და აგრარული კულტმსახურებისთვის განკუთვნილი, მრავალდღიანი, სხვადასხვა ეპიზოდისაგან შემდგარი დღესასწაული. ბერიკაობაც ნაყოფიერების კულტთანაა დაკავშირებული, მაგრამ, ბევრად უფრო დიდი მასშტაბისა და დრამატული ეპიზოდებით არიან გამდიდრებული.



**ამგვარი ჩამოვლით ღვთაება ყოველ ოჯახს ხდიდა დღესასწაულის მონაწილედ; შეიძლება, ამოწმებდა კიდეც მათ მზადყოფნასა და გულუხვობას, რომ მერე დამსახურებისამებრ მიეზღო მათთვის**

საფიქრებელია, რომ ბერიკაობა-ყეენობა ძალიან ძველ სამეფო რიტუალს წარმოადგენდა, რომლის მსგავსი გაზაფხულზე იმართებოდა ხეთების სამეფოში. მოგვიანებით მან გროტესკული სახე მიიღო, თუმცა, სწორედ ამან გადაარჩინა ჩვენი კულტურისთვის მეტად მნიშვნელოვანი ეს მოვლენა. რასაკვირველია, ბერიკაობამ დროთა განმავლობაში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა, მაგრამ, რიტუალებში ჩანს განაყოფიერების, მოსავლისა და საქონლის გამრავლების დასაბევებელი ხერხები; მდიდარი სამიწათმოქმედო ტრადიციები. დღესასწაულის დამახასიათებელი ელემენტებია: ცხოველებისა და ადამიანების გამომსახველი ნიღბები და ტანსაცმელი; მეომარი და მოთარეშე ბერიკები; საწესჩვეულებო ქმედებები (ცეკვები, ეროტიკული სცენები, ქორწინება) და აღდგენად ღვთაებათა ძირითადი ნიშნები. მონაწილეები – ბერიკები – ნიღბებს იკეთებდნენ, მათ ჩაცმულობაში კი დომინირებდა ცხვრის ან თხის ტყავები. მასში გამოირჩეოდა თავბერიკა, რომელსაც გულზე რქა ჰქონდა ჩამოკიდებული. იგი მეფეს წარმოადგენდა და „დედოფალიც“ ჰყავდა, რომელსაც განასახიერებდა ჭრელ კაბაში გამოწყობილი სამკაულებით მორთული ბიჭი. თამაშდებოდა მათი ქორწილის სცენა, რის შემდეგაც „ნეფე“ კვდებოდა, „დედოფალი“ და სხვა მონაწილეები კი მას დასტიროდნენ. ამასობაში „დედოფალს“ იტაცებდნენ. ამ დროს ცოცხლდებოდა „ნეფე“, რომელიც ბრძოლით იბრუნებდა ცოლს. ამის მერე იწყებოდა წრეგადასული მხიარულება, რაც ძალიან ჰგავს მცირეაზიური ქალ-ღვთაების ორგიასტული კულტის ეპიზოდებს. ამ დღეობების აუცილებელი ელემენტი იყო მონაწილეთა მიწაზე დაგორება, რაც მოსავლის ზრდა-მატებას გამოიწვევდა. ცდილობდნენ, ყეენი წყალში ჩაეგდოთ და, თუ ამას ვერ ახერხებდნენ, იტყოდნენ: „წელს გლეხობას გვალვა შეაწუხებს“. ხალხის აზრით, კარგ ყეენს კარგი კვალი, კარგი ფეხიც უნდა ჰქონდეს, რომ კარგი მოსავალი მოვიდეს. ბერიკაობის შემადგენელი ნაწილი იყო კარდაკარ სიარული, სადაც მონაწილეებს უმასპინძლდებოდნენ. ამავე დროს, მასპინძელი ცდილობდა, ბერიკასთვის ბეწვი გამოეცალა. ხან თვითონ ბერიკა გამოიგლეჯდა ტყავის მოსასხამიდან ბეწვს და დიასახლისს აძლევდა, რომელიც ბეწვს საქონლის ბაგაში, საბუდარში ან დედაბოძზე დებდა, რადგან მას ბარაქა მოჰქონდა.

**– რატომ ფიგურირებდა ამ რიტუალებში ცხვრის ან თხის ტყავი და რა კავშირი აქვს ამას ოქროს საწმისთან?**

– ყველა იმ რიტუალში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ფიგურირებს ცხვრის ან თხის ტყავი (ასევე – ნიღაბი). პირველი ხნულის გამტან მეკვლეს ცხვრის ტყაპუჭი ეცვა, გარედან ბეწვით დაფარული. სიმბოლურ წარმოსახვაში ბეწვი მიწის მცენარეულ ზედაპირსაც განასახიერებდა და მეკვლეს სამოსი იმ შინაარსითაც ეცვა, რომ მიწისთვის მატყლის მსგავსი ხშირბალახიანობა, ანუ, მცენარეთა სიუხვე დაებედებინა. ბერიკას ტანსაცმელიც აუცილებლად თხის ან ცხვრისბეწვიანი ტყავი იყო, რომელსაც ნიღაბი ემატებოდა და მისი ბეწვი სიუხვის მომტანი იყო. ასევე, ბარაქიანობასთან იყო დაკავშირებული ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში თხის ნიღბით კარდაკარ სიარული. ის, ვინც ტყავით იმოსებოდა, ფაქტობრივად, იმ ღვთაებას განასახიერებდა, რომლის ატრიბუტიც იყო ცხვარი. ხანდახან კი თვითონ ქალღმერთი იღებდა ცხვრის სახეს. სა-

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# რატომ იყო 15 წლის ვახტანგ გორგასალი გამწარებული ოსებზე და როგორ იძია მან შური

(მე-60 გვერდიდან)

მა ვახტანგის ფარს, თუმცა ვერ გაჰკვეთა. ბოლოს ერთი ისარი ვახტანგის ცხენს ესროლა და დაჭრა. ვიდრე დაეცემოდა ცხენი, მეფე გადმოხტა და ხმალი დაასცხო ოსს მხარზე და გულამდე გაჰკვეთა. ამ დროს დაეცა კიდეც ვახტანგის ცხენი.

ქართლის ხელმწიფემ დაიჭირა ბაყათარის ცხენი. ღმერთს მადლობა შესწირა. შემდეგ მოახტა მოკლული ოსი გოლიათის ცხენს და შეტევისაკენ მოუწოდა თავის ჯარს.

მსწრაფლ დაიძრა ვახტანგ მეფის ჯარი, წინ ცხენოსანნი და უკან ქვეითნი, შეუტიეს ოსებს და ხაზარებს. ოსები გადმოდგნენ კლდის თავზე და ისრის წვიმა დააყარეს შეტევაზე გადასულებს.

ვახტანგ მეფე შეუძახებდა და ამხნევებდა თავის გულად მეომრებს. ქართველმა ცხენოსნებმა დაძლიეს აღმართი, გავიდნენ გავაკებაზე და გაიმართა ხელჩართული ბრძოლა.

ვახტანგ მეფე როცა მარჯვენა ფლანგიდან უტევდა, ძრწოდა მტრების მარცხენა მხარე, როცა მარცხენა მხარეს გადაინაცვლებდა, ძრწოდნენ მარჯვნივ განლაგებული ოსები. ლომის ბრდღვინვასავით ისმოდა მეფის ხმა. ხელმწიფის გვერდით მხნედ იბრძოდნენ მისი ძუძუმტე – საურმაგ სპასპეტის ძე არტავაზი და ბივრიტიანი სეფეწული.

დამარცხდნენ ოსები და გაიქცნენ. ქართველთა ჯარმა მტრის დიდი ნაწილი მოსრა, ბევრი კი დაატყვევა.

სამი დღე ისვენებდა ქართველთა არმია და ღმერთს მადლობას სწირავდა. შემდეგ რაზმებად დაიყვნენ და დაიწყეს ოსეთის რბევა. შემუსრეს მათი ქალაქები, დაატყვევეს კვლავ უამრავი და აიღეს დიდი ალაფი.

ვახტანგ მეფემ დაიმორჩილა ოსები და ყივჩაღები. დარიალში ააგო ციხე-სიმაგრეები. ქართველთა მეფის უკითხავად არავის შეეძლო ოსეთიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოსვლა. მეციხოვნედ დააყენა იქაური დვალები და სხვა მთიელები.

შემდეგ გაილაშქრეს ოსეთის მოსაზღვრე პაჭანიკეთში, ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე, თერგის სანაპიროებზე. შემდეგ დალაშქრეს ჯიქეთი.

იმ დროს ჯიქები და პაჭანიკები იქ ცხოვრობდნენ. შემდეგში ჯიქები გადმოსახლდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ახლა რომ სოჭის მხარს ვუწოდებთ (ბოლოს რუსებმა გაწყვიტეს ისინი).

მოარბია ვახტანგ გორგასალმა ჯიქეთი და პაჭანიკეთი და მობრუნდა ოსეთში. ოსები მიუვალ მთებსა და ციხე-სიმაგრეებში გამაგრებულიყვნენ. მათ 30 000 ტყვე მოითხოვეს მეფის დის სანაცვლოდ. მისცა მეფემ 30 000 ტყვე და გამოიხსნა თავისი მცირეწლოვანი და.

მეფემ გაათავისუფლებინა თითოეული ქართველი, რომლებიც ექვსი წელი ტყვედ ჰყავდათ ოსებს. მათი რიცხვი იყო 350 000. შემდეგ მძევლად აიყვანა ოსი დიდებულების შვილები და ამისთვისაც 30 000 ტყვე ოსი გაათავისუფლა. დანარჩენი 650 000 ტყვე ოსი თან წამოიყვანა, პაჭანიკთა და ჯიქთაგან აყვანილ სხვა ტყვეებთან ერთად.

გამოუშვა უკან სპარსთა დამხმარე 10 000 ჯარისკაცი ქართლის მეფემ და სხვა კავკასიელი მეფეები დიდი საჩუქრებით. გამოაგზავნა თავისი და – მირანდუხტი და სხვა ქართველი ტყვეყოფილები დარიალის გზით ქართლში. თვითონ კი ჩრდილო კავკასიის დასავლეთის მიმართულებით, იალბუზის გასწვრივ გაუყვა გზას აფხაზეთისკენ. გზად დაიმორჩილა მთელი კავკასია.

შეუტია აფხაზეთის ციხეებს, სადაც ბიზანტიელთა საოკუპაციო გარნიზონები იდგა. განდევნა ბიზანტიის იმპერატორი ლეონ პირველის ჯარები იბერიის მეფემ და დაიკავა ყოველი ციხე აფხაზეთისა ნიკოფსიიდან ციხე-გოჯამდე.

სამწლიანი (458–461) ლაშქრობის შემდგომ დაბრუნდა 19 წლის, დავაჟკაცებული ქართლის მეფე ქართლში. წინ შემოეგებნენ დედა, დები და მცხეთის მოსახლეობა. მოქალაქეები სახელოვანი ხელმწიფის ცხენს ფეხთ უფენდნენ ტანსაცმელს და ყვავილებს. არათუ იბერიის, არამედ მსოფლიოს არც ერთ მბრძანებელს ასეთ ასაკში, ასეთი დიდებული გამარჯვება არ მოუპოვებია.

ქართლში უკვე მღეროდნენ:
ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

**გიორგი მახობეშვილი**

---

ქართველოში აღმოჩნდა ძველ წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულით დათარიღებული ქალის თიხის ფიგურა, რომელსაც ცხვრის თავი აქვს. რიტუალში ცხოველთა მონაწილეობა და მათი საკრალური მნიშვნელობის ზრდა წარიმართა სამეურნეო ინტერესთა შესაბამისად, ამიტომ, ხარი, ცხვარი და თხა ძირითად შესაწირავ ცხოველებად იქცნენ და მითოლოგიურ წარმოდგენებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. ქალღმერთის რჩეულ ცხოველთა რიგში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ცხვარმა და მისმა ტყავმა – ის გახდა თავად ნაყოფიერების ქალღმერთის სიმბოლო და მისი ქურუმების შესამოსელი იმის ნიშნად, რომ ისინი ეზიარნენ ქალღმერთის ძალასა და საიდუმლოს. აქედან იქმნება წარმოდგენა საწმისზე – სიმდიდრისა და ძალაუფლების სიმბოლოზე. ნაყოფიერების ქალღვთაების განკარგულებაში ექცევა სიმდიდრე, ძალაუფლებასა და კეთილდღეობასთან ერთად, რაც გამოხატულებას პოვებს ოქროს საწმისის სიმბოლოში. კავკასიაში წესად ჰქონდათ ცხვრის (თხის) ტყავის ჯერ ხეზე, მერე კი ჯოხზე დაკიდება. ტყავიანი ჯოხით შემოუვლიდნენ გარკვეულ ტერიტორიას და, ამ აზრით, ტყავი დროშის წინამორბედია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რელიგიაში ჯვარ-ხატების (ღვთისშვილების) ერთ-ერთი იპოსტასია ხატის კარზე შენახული დროშა. დღეობების დროს ხევისბერი მას გამოიტანდა და იმ ტერიტორიას შემოუვლიდა, რომელიც ღვთისშვილს ეკუთვნოდა, ანუ, საკრალურ სივრცეს შემოხაზავდა დროშით. კავკასიაში დადასტურებული რიტუალები მიგვანიშნებს, რომ არგონავტების თქმულებაში ნახსენები ხეზე დაკიდებული საწმისი ბერძნების გამონაგონი კი არ არის, არამედ, ეფუძნება ამ რეგიონის სარწმუნოებრივ-საკულტო ღირებულებებს. იასონისა და მისი მეგობრების თავგადასავლის მთავარი ეპიზოდები აიეტის სამეფოში ვითარდება. არგონავტების თქმულების ანალოგიური სიუჟეტი კავკასიელთა ფოლკლორში არ მოიპოვება, რადგან ეს ძეგლი ძველი ბერძნული კულტურის ნაწილი და ბერძენთა ინტერესების გამომხატველია. სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ბერძნული თქმულების ცნობა, რომ აიეტის წმინდა ჭალაში ხეზე ეკიდა საწმისი, რომელსაც საგანგებოდ იცავდნენ მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო. თქმულებაში შევიდა საწმისის მოდარაჯე გველეშაპიც, რომელსაც, თავის მხრივ, სერიოზული ადგილი ეკავა კავკასიელთა უძველეს რელიგიურ სისტემაში. მთლიანად კავკასიაში და, ასევე, კოლხეთში, ცხვრის ტყავი – საწმისი – ქვეყნის დამცავი იყო და მიწათმოქმედების (ნაყოფიერების) ღვთაებას განასახიერებდა. მაშინ გასაგები გახდება აიეტის მიერ იასონისთვის მიცემული დავალების აზრი და მიზანი. მან ხომ ბერძენ უფლისწულს მიწის მოხვნა დაავალა, თანაც, ეს იყო არესის (ომის ღვთაების) ველი. ეს იმას ნიშნავს, რომ იასონს უნდა გამოევლინა გაწაფულობა მიწათმოქმედებაში, რამდენად იცოდა ნაყოფიერების ღვთაებასთან ურთიერთობის წესები, რომ ამით უზრუნველეყო თავისი ხალხის საარსებო გარემო. მეორე მხრივ, არესის ველის მოხვნა მიწის ათვისებას გულისხმობდა, რაც გამოავლენდა, შეეძლო თუ არა იასონს კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა და საკუთარი ხალხის დაცვა საფრთხისგან. როგორც ჩანს, ეს აუცილებელი პირობა იყო ხელმწიფობის მოსაპოვებლად. ამ თვალსაზრისით, საყურადღებო პარალელი ჩანს ხეთების საგაზაფხულო რიტუალში, რომელსაც ხასუმასი ერქვა და უფლისწულის ინიციაციას წარმოადგენდა. ინიციაციის შემადგენელი ნაწილი იყო ის, რომ უფლისწულს ხარები უნდა შეება უღელში და მიწის რიტუალური მოხვნა ჩაეტარებინა. ალბათ, კოლხეთშიც, უფლისწულის ინიციაცია მსგავს ელემენტებს შეიცავდა. ამიტომ, აიეტის გამოცდა ხელდასხმას უტოლდებოდა, ანუ, თუ იასონი გამოავლენდა მიწასთან ურთიერთობის ცოდნას, ნაყოფიერების ღვთაების წყალობასა და აიეტის კურთხევას მიიღებდა – მისი კოლხეთში მოსვლის საბოლოო მიზანი ხომ სამეფო ხელისუფლების მოპოვება იყო. კოლხეთში ცხვრის ტყავი – საწმისი – არა მარტო ქვეყნის, არამედ, მეფის ხელისუფლების დამცავი სიმბოლოც იყო და მას გველი ან გველეშაპი სდარაჯობდა, რომელიც ასევე წარმატებული მეფობის გარანტად ისახება.

**ნათია უტიაშვილი**

**„ჩემთვის ოცნება იყო მოგზაურობა, სწავლა, მოდის სფეროში მოხვედრა და, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკა აღმოჩნდა ოცნებების ასრულების ქვეყანა. აქ, შეიძლება, რაღაც პერიოდი სულ დაბლა-დაბლა მიდიოდე, მაგრამ, მერე ძალიან კარგი რამ მოხდეს. თუმცა, „ამერიკული ოცნება“, რომელსაც ფილმებში აჩვენებენ, ცოტა გაზვიადებულია. ყველაფერი, რაც გავაკეთე, ჩემით გავაკეთე; ყველაფერს ჩემით მივაღწიე, თუმცა, ალბათ, ამას საქართველოში ვერ შევძლებდი და ოცნებად დამრჩებოდა. თავისით არსად არაფერი ხდება – ამას მივხვდი, მაგრამ აქ მუშობა მეტად გიფასდება და მეტი შესაძლებლობები გეძლევა,“ – ეს სიტყვები ამერიკაში მოღვაწე ქართველ დიზაინერს, ტატა ლებანიძეს ეკუთვნის. ტატა უკვე ათი წელია, ამერიკაში ცხოვრობს, სწავლობდა და მოღვაწეობს. ამ წლების განმავლობაში ბევრ მნიშვნელოვან კომპანიასა თუ დიზაინერთან მოასწო მუშაობა. მათ შორისაა: Betsey Johnson, Laundry by Shelli Segal, NAUTICA, Aeropostale და Under Gear men‘s underwear company.**

# როგორ მიაღწია დიდ წარმატებებს ამერიკაში ქართველმა დიზაინერმა ტატა ლებანიძემ და ვინ გააკეთა ობამას ინაუგურაციაზე დიზაინი

**ტატა ლებანიძე**: 20 წლის ვხდებოდი, ამერიკაში რომ ჩამოვედი და, უკვე ათი წელია, აქ ვარ. თბილისში სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი. ექვსი თვის ჩამოსული ვიყავი, მუშაობა რომ დავიწყე Apollo Jean-ის მთავარ დიზაინერად. ეს იყო ყოველდღიური ტანსაცმლის, მაისურებისა და საცურაო კოსტიუმების კომპანია. მათ დიზაინს ვაკეთებდი. სხვათა შორის, მაისურებს ქართულ წარწერებს ვუკეთებდი და ეს მაისურები Macy's-ის მაღაზიებში იყიდებოდა. ამის შემდეგ კიდევ ბევრ კომპანიაში ვმუშაობდი და ვმუშაობ. გარდა ამისა, ვთანამშრომლობ საკმაოდ წარმატებულ დიზაინერებთან. პარალელურად, მაქვს იაპონური ტექნოლოგიის – შიბორის ვორქშოფები Sacred Art Foundation-ში და ამ ტექნოლოგიით გაკეთებულ შარფებს ვყიდი Volang-ის მაღაზიებში, რომლებიც მდებარეობს მანჰეტენზე და ვილიამსბურგში. ახლა ნახატებს ვაგროვებ და საკუთარი გამოფენის გაკეთებას ვაპირებ. ჩემი ნახატები და შარფები, ასევე, იყიდება საიტზე – Etsy.







**ყველაფერი კომპიუტერით კეთდებოდა და მახსოვს, ძალიან სასაცილო იყო, მე რომ ჩემი ფუნჯებით დატვირთული მივედი**

პროფესიით მხატვარ-დიზაინერი ვარ. რომ ჩამოვედი, ორი წელი ვსწავლობდი Parsons School-ში, ყველაზე მაგარი მოდის სკოლაა და არა მხოლოდ ამერიკის მასშტაბით. მარკ ჯეიკობსიც აქ სწავლობდა. ცოტა ძვირი ჯდება იქ სწავლა, მაგრამ, ძალიან დიდი სახელი აქვს. პირველი სამსახური რომ მარტო აკადემიის დიპლომით ვიპოვე, გამიმართლა. აქ არავინ არაფერი იცის საქართველოს შესახებ, რომ ეუბნები, ვერ ხვდებიან. არადა სახელს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, მერჩივნა, ცოტა მეტი გადამეხადა და კარგ სასწავლებელში წავსულიყავი. ახლა ჩემს რეზიუმეში რომ ხედავენ, Parsons School მაქვს დამთავრებული, მეტს აღარაფერს უყურებენ.

**– რთული არ იყო ასეთი დონის სასწავლებელში მოხვედრა და სწავლა?**

– არ გამჭირვებია. ისეთი საგნები ავირჩიე, რომლებიც ბიზნესის მხრივ მომცემდა განათლებას, რადგან, ხატვა სამხატვრო აკადემიაში კარგად მქონდა ნასწავლი. მე ვიჯექი მიქელანჯელოს კლასში *(იცინის)*. აქ როცა ხარ მხატვარ-დიზაინერი, მარტო სკეჩებს ხატავ, მხატვარი არ ხარ, ძალიან კონკრეტული განხრით არის ყველაფერი. ჩვენთან, პირიქით, ხატვას ექცევა ძალიან დიდი ყურადღება – ჯერ მხატვარი ხარ და მერე დიზაინერი. ამიტომ, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სტუდენტი ვიყავი და, ხატვის მხრივ, თვითონ ლექტორების დონემდე მივდიოდი. ძალიან სერიოზული ხალხი სწავლობდა და ლექტორებიც უმაღლესი დონის იყვნენ. ჩემმა ერთმა ლექტორმა გაუკეთა ობამას ინაუგურაციაზე დიზაინი. ბევრი ცნობილი ადამიანი ასწავლის აქ; თან, სამსახურის ძებნაშიც გეხმარებიან და პორტფოლიოს მომზადებაშიც.



**– შენც ხომ არ აპირებ საკუთარი ხაზის გაკეთებას?**

– საკუთარი ხაზის გაკეთებას ვაპირებ, უბრალოდ, ეს ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში უკვე ყველაფერი ვიცი და ყველას ვიცნობ, მაინც დიდი თანხებია საჭირო. მაგრამ, გეგმაში მაქვს და ჩემი ოცნებაც ეს არის, რომლისკენაც ნელ-ნელა მივდივარ და, იმედია, ოდესმე ამიხდება.

**– 20 წლის რომ ჩახვედი ამერიკაში, როგორი იყო შენი პირველი ემოციები და პირველი ნაბიჯები, არ გაგიჭირდა იმ სხვაობასთან შეგუება, რაც ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს?**

– გამიმართლა, რომ თავიდანვე ჩემი პროფესიით ვიპოვე სამსახური. ბევრი სირთულე გამოვიარე. აბსოლუტურად სხვა ადამიანი ჩამოვედი და აბსოლუტურად სხვა ვარ ახლა. მართალია, ჩემი ძმა აქ იყო, მაგრამ, მაინც ძალიან მიჭირდა. ბოლო რამდენიმე წელია, რაც აზრზე მოვედი და ალღო ავუღე აქაურ ცხოვრებას. ჩვენი მენტალიტეტი სულ სხვაა, თუმცა, წლების შემდეგ ეჩვევი. თავიდან ძმასთან დასასვენებლად ჩამოვედი, ძალიან მომეწონა და, გადავწყვიტე, რომ კიდევ ჩამოვსულიყავი და აქ მესწავლა. ამ პერიოდში გარდაიცვალა დედაჩემი. ძმასთან ჩამოვედი და დავრჩი. პირველი ექვსი თვე აგონიაში ვიყავი. ერთ დღეს, ამოვბეჭდე სამოცდაათი რეზიუმე და ყველა დავარიგე სხვადასხვა კომპანიაში. Apollo Jean-დან დამირეკეს და დავიწყე მუშაობა. იქ ყველაფერი კომპიუტერით კეთდებოდა და, მახსოვს, ძალიან სასაცილო იყო, მე რომ ჩემი ფუნჯებით დატვირთული მივედი. იფიქრეს, კედლის მოსახატად მოვიდაო *(იცინის)*. იქ ვისწავლე ფოტოშოპი, ილუსტრაცია და კიდევ ძალიან ბევრი რამ. ჩვენს სფეროში მრავალწლიანი სამსახური თითქმის არაა, სააგენტოები გზავნიან და დროებით მუშაობ კონკრეტულ კომპანიაში, სხვადასხვა ხანგძლივობით. ეს დიდ გამოცდილებას გძენს და ბევრსაც სწავლობ, მაგრამ, ბევრი მუშაობაც გიწევს და ეს ყველაფერი საკმაოდ სტრესულია. საქართველოსთან შედარებით, სხვა პლანეტაა, ყოველდღე გიწევს ცხოვრებასთან ბრძოლა, თუმცა, ეს უფრო გაძლიერებს.

**– მანდ იმდენად რეალიზებული ხარ, ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ, მაინც გკითხავ: სამომავლოდ თუ გეგმავ საქართველოში დაბრუნებას, ან, საკუთარი შემოქმედების დაკავშირებას ხომ არ აპირებ სამშობლოსთან?**

– ვერც „კის“ გეტყვი, ვერც „არას“. რაღაც პერიოდის მერე, ალბათ, დავბრუნდები. ახლა იმდენად დაკავებული ვარ, ხშირად ჩამოსვლასაც ვერ ვახერხებ. ამ დროის განმავლობაში სულ სამჯერ ვიყავი, თუმცა წელს აუცილებლად ვაპირებ ჩამოსვლას. ისე, როცა მხოლოდ ორი კვირა მაქვს, მირჩევნია, სხვაგან წავიდე, თან, მანდ ჩამოსვლა საკმაოდ ძვირი ჯდება, მაგ ფასად ჰავაიზეც წახვალ *(იცინის)*. რაც შეეხება შემოქმედების საქართველოსთვის დაკავშირებას, ამას ჯერჯერობით არ ვგეგმავ, რადგან, მანდ ნაკლები შესაძლებლობაა განვითარებისთვის, ერთადერთი, ხალხი თუ გაიგებს შენ შესახებ, მეტი არაფერი. ახლა ნიუ-იორკიდან ლოს-ანჯელესში ვაპირებ გადასვლას. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იქ უფრო მეტი კომპანია და შესაძლებლობაა





# რა მინიშნებებით გრძნობს ხოლმე კატო ყიფიანი მამის არსებობას

*ალბათ, ბევრი თქვენგანისთვის აღმოჩენა იქნება თუ გეტყვით, რომ დავით ყიფიანს 12 წლის გოგონა ჰყავს ქალთან, რომელიც ძალიან უყვარდა და დაქორწინებას აპირებდა. კატო დათო ყიფიანის მეოთხე შვილია: ფეხბურთელს პირველი ქორწინებიდან – ორი, მეორიდან კი ერთი ვაჟი ჰყავს. კატო მამას გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში დაიბადა. პატარა რომ იყო, მამის სურათთან მიდიოდა და ელაპარაკებოდა. როცა ცხოვრებაში მძიმე მომენტები აქვს, გულში მამას სთხოვს დახმარებას და ისიც აუცილებლად ეხმარება. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი მაინც დათო ყიფიანის მანქანის ციფრებია – 090-ნომრიანი ავტომანქანა სულ თან დაჰყვება, როცა ის დედასთან ერთად მამის საფლავზე ან სხვაგან მიდის.*

**– მამა არ გახსოვს, მაგრამ, როცა წამოიზარდე, ალბათ, სახლში სულ გელაპარაკებოდნენ მასზე.**

– მამა რომ გარდაიცვალა დედა ჩემზე 12 კვირის ფეხმძიმე იყო. როცა გავიზარდე, სულ მესმოდა სახლში მასზე, თუ როგორი ადამიანი და რამხელა ფეხბურთელი იყო, თუმცა, მაშინ იმდენად ვერ ვაცნობიერებდი, ახლა უფრო ვხვდები ნელ-ნელა. დედიკო მეუბნება, მის სურათთან მიდიოდი და, ხან ეჩხუბებოდი, ხან ვეფერებოდიო. ლაპარაკი რომ დავიწყე, პირველი სიტყვაც „მამა" ვთქვი.

**– თუ გიფიქრია, მამა ცოცხალი რომ ყოფილიყო, როგორ იცხოვრებდით?**

– რა თქმა უნდა, მიფიქრია. მგონია, რომ სულ სხვანაირი ცხოვრება გვექნებოდა მეც და დედასაც. დედა როგორც ამბობს, საქართველოში არ ვიცხოვრებდით – მას უფრო ასე წარმოედგინა, რომ, სადაც მამა წავიდოდა, ჩვენც იქ წაგვიყვანდა.

**– სულის არსებობის თუ გჯერა? არიან ადამიანები ვინც გარდაცვლილის თანადგომას გრძნობენ სხვადასხვა მინიშნებით.**

– დათოს გვერდში ყოფნას სულ ვგრძნობთ მეც და დედაც, დათო ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ვგრძნობთ თუნდაც იმით, რომ, როცა გარდაიცვალა, დედაჩემმა სთხოვა მის სულს, როცა ჩვენ გვერდით იქნები, შენი მანქანის ციფრები დაგვანახვე, რომ შენი არსებობა ვიგრძნოო და მართლაც ასე მოხდა. მისი მანქანის ნომერი იყო 090. ხშირად ხდება, როცა რაღაც გვიჭირს საქმესთან დაკავშირებით ან პრობლემა გვაქვს, დედა ხედავს ციფრს – 090-ს და მაშინვე ყველაფერი გვარდება. ახლა უკვე მეც ვხედავ. როცა გამოცდები ან სპექტაკლი მაქვს და ვნერვიულობ, გულში ჩემთვის ვამბობ: მამიკო, გთხოვ, ახლა დამეხმარე-მეთქი და, ვგრძნობ, რომ ზემოდან ვიღაც დამყურებს. არ ვიცი რატომ, მაგრამ, ვფიქრობ, იქიდან უფრო გვეხმარება, ვიდრე აქ რომ ყოფილიყო. ეს ძალიან დიდი ძალაა, ვერ წარმოიდგენთ, როგორი.

**– როდესაც ნანა შენზე მშობიარობდა, თურმე, მთელი სიცხადით იგრძნო დათოს იქ ყოფნაც – ვხედავდი, როგორ იდგა ჩემს თავთან და დამყურებდაო. მსგავსი შეგრძნებები სხვა დროსაც თუ გქონიათ რომელიმეს?**

– ჩემი სკოლელი კომაში იყო და მთელი ის პერიოდი ძალიან განვიცდიდი. დამესიზმრა, რომ მას და მამას ხელები ჰქონდათ ერთმანეთზე ჩაკიდული და დათომ მითხრა: ნუ გეშინია, კარგ ხელშია, მე ვუპატრონებო და წავიდნენ. ეს ბავშვი მალე გარდაიცვალა.



მამა რომ გარდაიცვალა, დედაჩემმა სთხოვა მის სულს, როცა ჩვენ გვერდით იქნები, შენი მანქანის ციფრები დაგვანახვე, რომ შენი არსებობა ვიგრძნოო და მართლა ასე ხდება

**– ბიჭი რომ ყოფილიყავი, ალბათ, ფეხბურთელი იქნებოდი, ხომ?**

– ბიჭი რომ ვყოფილიყავი?!. ბიჭი რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად მერქმეოდა დათო და ძალიან მაგრად ვითამაშებდი, სულ მამას დავემსგავსებოდი.

**– შენს ძმებთან – ლევანთან, ნიკუშასთან, გიორგისთან გაქვს ურთიერთობა?**

– ყველასთან მაქვს ურთიერთობა. ლევანი ძალიან დაკავებულია და იშვიათად ვნახულობ. მე და ნიკუშას შვილი ტოლები ვართ და უფრო ვუგებთ ერთმანეთს. ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. ნიკუშა ამბობს, მსოფლიოში საუკეთესო მამიდა ხარო.

**– ბევრი შენი თანატოლი გოგონასავით, შენც თუ გაქვს დღიური?**

– დიახ. ყოველდღე ვწერ რა მოხდა მნიშვნელოვანი და ყველაფერს მამას ვუყვები.

**– შეიძლება, მომავალში დათო ყიფიანზე მისმა ქალიშვილმა წიგნიც დაწეროს?**

– შეიძლება, ამაზე არ მიფიქრია. არა მხოლოდ მის ცხოვრებაზე დავწერდი, დედაზეც და ჩემზეც.

**– თუ გაინტერესებს და ათვალიერებ ინტერნეტში მამას ფოტოებს, რას წერდნენ მასზე?**

– სულ ვეძებ, სულ ვკითხულობ, ვათვალიერებ; ტელეფონში მაქვს გადმოწერილი მისი ფოტოები, „ფეისბიუქზეც" მიდევს უამრავი ფოტო. მის საფეხბურთო ისტორიაში დიდად არ ვარ გარკვეული, თუმცა, მისი რამდენიმე თამაშის ჩანაწერი ნანახი მაქვს.

**– შეყვარებული თუ გყავს? როცა გათხოვდები, ალბათ გინდა, რომ დათოსნაირ ბიჭს გაჰყვე ცოლად.**

– შეყვარებული არ მყავს. ადრე ერთი ბიჭი მომწონდა, მაგრამ, ამან ჩაიარა. მინდა, რომ ჩემი მომავალი მეორე ნახევარი ფეხბურთელი იყოს და, რა თქმა უნდა, ასე იქნება. მისნაირი მინდა იყოს, რადგან, მამა თავისი ცხოვრების წესითა და თვისებებით ყოველთვის მისაბაძი ადამიანი იყო და, მინდა, რომ ისიც ღირსეული და ისეთივე წარმატებული ადამიანი იყოს. შვილი რომ მეყოლება, თუ გოგო იქნება, ნანას დავარქმევ, თუ ბიჭი – დათოს.

**– როგორც ვიცი, მსახიობობა გაქვს გადაწყვეტილი. სცენაზე ვერ წარმომიდგენიხარ, იმდენად ჩუმი და მორიდებული ჩანხარ.**

– კი, მსახიობი გავხდები აუცილებლად, ეს გადაწყვეტილია. სხვათა შორის, ყველაზე კარგად თავს სცენაზე ვგრძნობ – როგორც სახლში, ისე. ბოლომდე იმ როლში ვარ, რა როლიც მაქვს, თუმცა, გასვლის წინ ძალიან ვნერვიულობ. ასე ერთი შეხედვით არ მეტყობა, მაგრამ, მართლა ძალიან ვნერვიულობ და, აი, მაშინ ვთხოვ ხოლმე მამას: ახლა ეს სპექტაკლი კარგად ჩამამთავრებინა, მეტი არაფერი მინდა-მეთქი და, წარმოვიდგენ, როგორ ზის დათო სადღაც იქვე და მიყურებს.

**– ცხადია, ძნელია მამის გარეშე ცხოვრება, მაგრამ, მაინც გკითხავ: რა დაგაკლდა იმის გამო, რომ დათო აღარ არის?**

– არაფერი არ დამკლებია, დედაჩემმა ყველაფერი გამიკეთა იმისთვის, რომ კარგად ვიცხოვრო. დედაჩემია ჩემთვის დედაც, მამაც და ყველაფერიც.

**– საფლავზე, ალბათ, ხშირად მიდიხართ?**

– ხშირად მივდივართ. ცოტა ხანს ვრჩებით, მიწას ვასუფთავებთ, ყვავილები მიგვაქვს, სანთლებს ვანთებთ, ვესაუბრებით. ზოგჯერ ქარიც ამოვარდნილა, მითხოვია, სანთელი არ ჩაქრეს-მეთქი და არ ჩამქარალა და, ყველაზე მთავარი: როცა გადაწყდება, რომ დათოს საფლავზე უნდა წავიდეთ, გზაში ვხედავთ, როგორ მოგვყვება თან 090-ნომრიანი მანქანა, ან, შეიძლება, ისე ჩაგვიაროს გვერდით. მხოლოდ სასაფლაოზე წასვლის დროს არა, სხვა ადგილებშიც ვხედავთ.

**ეკა პატარაია**

და, გარდა ამისა, ნიუ-იორკში სულ ცუდი ამინდებია და სულ ცივა, ზაფხულში კი აუტანელი სიცხეა და ამიტომაც მინდა გადასვლა ***(იცინის).*** ჩამოსვლის დღიდან მინდა ლოსანჯელესში ცხოვრება, მაგრამ, მარტოს მაინც მეშინოდა. ახლა მზად ვარ ამისთვის.

**– როგორც ვიცი, ცეკვავ კიდეც და, თანაც, პროფესიონალურ დონეზე.**

– 4 წლიდან მოყოლებული, 16 წელი ვცეკვავდი. აკადემიაში ჩასაბარებლად რომ ვემზადებოდი, ძალიან გადატვირთული გრაფიკი მქონდა და, ამიტომ, თავი დავანებე. 13 წლის, როგორც სოლისტი, პრეზიდენტის სტიპენდიანტი ვიყავი. დედაჩემიც მოცეკვავე იყო – ის 25 წელი ცეკვავდა, ამიტომ, ჩემი ცხოვრების ძალიან დიდი ნაწილი ცეკვას უკავშირდება. სხვათა შორის, აქ, ამ ყველაფერთან ერთად, იოგაზე დავდივარ და მას ცეკვას ვუთავსებ. ახლა მე და ჩემი მეგობარი ცეკვის მედიტაციის გაკეთებას ვაპირებთ. არსებობს ისეთი ცეკვის მედიტაცია, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში. წელიწად-ნახევარია, მანდ დავდივარ და ახლა მე და ჩემს მეგობარსაც გვინდა მსგავსი რამის გაკეთება. ეს არ არის კონკრეტული მიმდინარეობის ცეკვა, აქ არის ხუთი რიტმი და შენ, უბრალოდ, მას მიჰყვები. არავინ გასწავლის, რა მოძრაობა უნდა გააკეთო – უსმენ მუსიკას, შენს ტანს და ისე აკეთებ მოძრაობებს. როცა სიცოცხლეზე ხარ შეყვარებული, მაშინ ნამდვილად ბედნიერად და წარმატებულად ცხოვრობ.

**ქეთი კაპანაძე**

# ბრძნული აზრები

**პლატონი**: უსირცხვილობაა მოგების მიზნით ულირსობის მოთმენა სულის მიერ.

**გოეთე**: თუ ადამიანმა გონებით კარგად შეიგნო თავისი ნაკლი, ის ძალიან დაახლოებია უნაკლო ადამიანებს.

**გრაუ**: სადაც სულელად ყოფნა ბედნიერებაა, იქ ჭკვიანად ყოფნა უჭკუობაა.

**კატონი**: ვისაც გული წმინდა აქვს, იმას სახეც უბრწყინავს.

**ლამეკი**: ნაშრომ-ნალვაწი დიდი ნუგეშია. ამ ნუგეშში იპოვი გასამრჯელოს შენი ღვაწლ-შრომისას, თუ შენი საქმე კეთილსინდისიერად აღასრულე.

**მასლიონი**: ნუთუ გგონიათ, რომ, რაკი უბედურს მადლი რამ უყავით, ნებაცა გაქვთ, უკადრისად მოექცეთ?

**რაშელი**: დადგება ისეთი დრო, როდესაც ეროვნულ თავმოწონებას თავმოყვარეობად ჩათვლიან, ომს კი – კინკლაობად.

**სენეკა**: ჩვენ ერთი ლოცვით მეორეს უკუვაგდებთ, რადგან ერთი სურვილი სხვა სურვილებთან უთანხმოებაშია.

**ავგუსტინე**: ჩვენს ლოცვებში ჩვენ გარემოებების შეცვლას ვითხოვთ და არა თავად ჩვენსას.

**პერკეგორი**: ადამიანები არასდროს სარგებლობენ იმ თავისუფლებით, რომელიც მათ გააჩნიათ, არამედ ითხოვენ იმას, რაც არ გააჩნიათ: მათ აქვთ აზროვნების თავისუფლება და ითხოვენ გამოხატვის თავისუფლებას.

**კამიუ**: მე სილამაზის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია – ამით აიხსნება ჩემი სისუსტე ზოგიერთ ადამიანთან დამოკიდებულებაში.

**ჰაინე**: სიბრძნე მხოლობით რიცხვში არსებობს და აქვს ზუსტი საზღვრები, მაშინ, როცა უსაზღვროა ათასნაირი სიბრიყვე.

**გოლდონი**: ვერაგობა ბეცია – მხოლოდ იმას ხედავს კარგად, რაც ცხვირწინ აქვს. ამიტომაც ხშირად თვითონვე გაებმება ხოლმე იმ მახეში, რომელიც სხვისთვის აქვს დაგებული.

**დეკურსელი**: უფლება წამოსასხამია, რომელიც სხვის მხრებზე მეტად განიერი და ფართო გვგონია, საკუთარზე კი – მეტად ვიწრო.

**ვენტენონი**: ზნეობა და განათლება, განათლება და ზნეობა – ერთმანეთს შველის.

**ბრეჰტი**: პოლიტიკა ერთადერთი პროფესიაა, სადაც საარსებო საშუალებას ტრაბახით მოიპოვებენ.

**ტვენი**: ამერიკელი არის ადამიანი, რომელიც აკეთებს რამეს იმიტომ, რომ ადრე ამას ასე არავინ აკეთებდა.

**მამარდაშვილი**: მოდი, იმის მაგივრად რომ ვიფიქროთ, თითქოს ცნობიერება ჩვენშია, ვიფიქროთ, რომ ჩვენ ვართ ცნობიერებაში, ის კი არ ვიფიქროთ, რომ ჩვენს თავშია აზრი, არამედ ვიფიქროთ, რომ ჩვენ ჩვენი თავით ვართ აზრში: „მე მომივიდა აზრი" კი არა – „მე ჩავვარდი აზრში".

**ლაროშფუკო**: ქალების უმეტესობას ჭკუა უფრო მეტად არა კეთილგონიერების გაძლიერებაში ეხმარება, არამედ, განუსჯელობის გამართლებაში.

# თუ გამოიცნობთ

1. ანტიკურ ხომალდებში საკმაოდ დიდ ადგილს იკავებდა ქვიშა, რომელიც თხევადი ან მარცვლოვანი ტვირთის გადასაზიდად სჭირდებოდათ. **როგორ იყენებდნენ მას?**

2. შვედეთში სულ ცოტა ხნის წინათ დაიწყო გამოსვლა ჟურნალმა, რომელიც ჩვეულებრივისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ იქ ერთ ფოტოსაც ვერ ნახავთ, რადგან ჟურნალს ადამიანთა გარკვეული კატეგორია უშვებს. **ვინ?**

3. არაბულ ენაში ის 28-ა, ებრაულში – 5, ბერძნულში – 1, სხვა ევროპულ ენებში – არცერთი. **რა?**

4. ინგლისის მეფე ჰენრიხ მესამე ამაში ერთ ოქროს იძლეოდა, ედუარდ მეოთხე – 4-ს, სამეფო მასხარა ამისთვის ხშირად ვარდებოდა ცხენიდან და ედუარდ მეოთხე 5 ოქროსაც კი იმეტებდა. **რისთვის გაიცემოდა ეს ფული?**

5. როდესაც ფრანგი პირატი სიურკუფი დაიჭირეს და ჰკითხეს, სად ინახავდა ის განძს, უპასუხა, რომ ხომალდზე, თუმცა, გემის ჩხრეკისას ვერაფერი აღმოაჩინეს. **სად იყო განძი, თუკი პირატმა სიმართლე თქვა?**

6. გასული საუკუნის დასაწყისში ინდოეთში ხშირი იყო გაფიცვები. პრობლემას ბრიტანელი კოლონიზატორები შტრეიკბრეხერებით წყვეტდნენ – ამ საქმეს სხვებს ავალებდნენ. მაგრამ, ერთ-ერთი სფეროს მუშაკთა გაფიცვის დროს ამ ხერხმა არ გაჭრა, რადგან ამ საქმის გაკეთებაზე ვერავინ დაითანხმეს. **ვინ გაიფიცნენ?**

7. ადრე ამ ქვის საბადოს ოქროსას ადარებდნენ. აი ისინიც: თურქული, ბელგიური, ლიდიური, არკანზასული ვაშიტა; ტიურიუნგის ქვები და ასე შემდეგ. დღეს კი ასეთი ქვა, შესაძლებელია, თქვენც გქონდეთ სამზარეულოში. **რა?**

8. მეცხრამეტე საუკუნეში ავსტრალია ცხვრის ხორცის დიდი მწარმოებელი იყო. ქვეყანამ ხორცის რეგულარულ ექსპორტში შექმნილი პრობლემები ახალი გამოგონებით აიცილა თავიდან. **რა გამოიგონეს?**

9. ინგლის-ბურების ომმა მრავალი სიახლე მოიტანა, რომელთა შორის ერთ-ერთი, ძალიან მარტივი კონსტრუქციის, დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო საომარ ვითარებაში, არამედ, სოფლის მეურნეობასა და პენიტენციალურ სისტემაში. **რა?**

10. 1958 წელს საბოლოოდ იქნა უნიფიცირებული საერთაშორისო ენა, რომელიც გაცილებით უფრო მეტადაა გავრცელებული, ვიდრე ესპერანტო, თუმცა, ამ ენას ვერ ნახავთ წიგნებში და ვერც გაიგონებთ რადიოსა და ტელეფონში. **რა ენაა ეს?**

***პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე***

# საინტერესოა

* იშვიათად შეუძლია ადამიანს, წუთში გამოკვეთილად თქვას 300 სიტყვა. ამ სფეროში, როგორც წესი, რეკორდებს ამყარებენ სპორტული რადიოკომენტატორები. „უბრალო" ადამიანებს შორის რეკორდი დაამყარა ამერიკის პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ, რომელმაც 1961 წლის დეკემბერში თავის გამოსვლაში წუთში 327 სიტყვა წარმოთქვა.

* ყველაზე ნაყოფიერ მხატვრად ითვლება პაბლო პიკასო, რომელმაც 78 წლის განმავლობაში შექმნა 13 500 ტილო და ესკიზი, 100 000 ესტამპი და გრავიურა, 340 000 ილუსტრაცია წიგნისათვის და 300 სკულპტურა და კერამიკული ნაკეთობა. მისი ნამუშევრები მთლიანად 690 000 000 დოლარად შეფასდა.

* მსოფლიოში სურათების ყველაზე დიდი გალერეა არსებობს პეტერბურგის ზამთრის სასახლეში. მასში გამოფენილია 3 000 000 ხელოვნების ნაწარმოები და არქეოლოგიური მონაპოვარი.

* 1961 წელს ანრი მატისის (1869-1954) სურათი „ხომალდი" ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში უკუღმა ეკიდა 47 დღის განმავლობაში. სანამ ეს შენიშნეს, მუზეუმში 1 160 000 დამთვალიერებელი იყო შესული.

* ყველაზე მეტი რომანი – 904 – დაწერილი აქვს კატლინ ლინდსეის (მერი ფოლკნერს. 1904-1973) სამხრეთ აფრიკიდან. ის ნაწარმოებებს აქვეყნებდა 6 ფსევდონიმით (მათ შორის – 2 მამაკაცის).

* მწერალთა შორის ყველაზე სწრაფად მუშაობდა ერ სტენლი გარდნერა (1889-1970). ის დღეში ჰკარნახობდა 10 000 სიტყვას და შეეძლო ერთდროულად 7 რომანზე ემუშავა.

* ყველაზე ნორჩი მწერალი გახდა 4 წლის დოროთი სტეიტი. მისი რომანი – „როგორ იწყებოდა სამყარო" – გამოსცა გამომცემლობა „პანტეონ ბუკსმა" 1962 წელს, ნიუ-იორკში.

* მწერლის შრომის ყველაზე მაღალი ანაზღაურება – სიტყვაში 15 დოლარი – შესთავაზა ჰემინგუეის ჟურნალმა „სპორტს ილუსტრეიტედმა" სტატიისთვის ხარების ბრძოლის შესახებ.

* ყველაზე წარუმატებელ მწერლად ითვლება უილიამ გოდი. 18 წლის მუშაობის განმავლობაში ამ ხელობით მან სულ 50 ცენტი გამოიმუშავა.

* ყველაზე უძველესი ეროვნული ჰიმნია იაპონური „კამიგეიო". ისაა, აგრეთვე, ყველაზე მოკლე ჰიმნიც – მასში მხოლოდ 4 სტრიქონია. ბაჰრეინის ჰიმნში კი სიტყვები საერთოდ არ არის.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლg1-g6!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



## მამუკა ონაშვილის ანეკდოტები

კაცი მივა ექიმთან და შესჩივლებს:




– ექიმო, პირველს რომ ვრჩები, კარგად ვარ, კარგად ვარ მეორეზეც, მესამეზეც, მეოთხეზეც, მაგრამ აი, მეხუთეზე ფეხები მეკეცება, მეექვსეზე გული მიჩქარდება, მეშვიდეზე მაკანკალებს, მერვეზე არაფრის თავი აღარ მაქვს.

– მერე, მეოთხეზე გაჩერდი.

– მეოთხეზე როგორ გავჩერდე, მეათეზე ვცხოვრობ!

***

დაქალები ჭორაობენ. ერთი ეუბნება მეორეს:

– შენი ქმრები ზოდიაქოს ნიშნებით ვინ იყვნენ?

– თხის რქა, ვერძი და კურო.

– რა იყო, ფერმის გამგე ხარ?

***

უშგულში სვანებმა დადგეს „ოტელო“ და გამოაკრეს აფიშა:

„ოტელო-მალხაზ ხეცურიანი.

დეზდემონა - ჟუჟუნა ტვილდიანი (ორშაბათი), ნათელა ჯიშკარიანი (სამშაბათი), მზექალა გაზდელიანი (ოთხშაბათი).“

## ბექა ონიანის ანეკდოტები

გურულის ანკეტას ავსებენ:

– სახელი!

– ლევანი.

– გვარი!

– ღლონტი.

– ოჯახური მდგომარეობა!

– უფ, ნამეტანი ჩახლართული!

***

მეგრელი ჩამოვიდა თბილისში. იცის, რომ „კენტი“ სამარიაჟო სიგარეტია და შევიდა მაღაზიაში მის საყიდლათ. გამყიდველმა გაპრანჭული ხმით ჰკითხა:

– რა ნომერი გნებავთ?

– რა ვიცი კაცო, პირში ჩამეტიოს და რა ნომერიც გინდა ის იყოს!

***

ცოლი იყურება სარკეში, აკვირდება თავის გარეგნობას და ბოლოს ქმარს მიუბრუნდა:

– მეტის ღირსი არ ხარ შენ მაინც!

***

გურულ ქალთან გვიან ღამით საყვარელი მივიდა. ქალი ლოგინში ჩაწვა და ჰკითხა საყვარელს:

– შენ არ დაწვები?

– არა!

– რეიზა?

– არ შემიძლია, დღეს ავტობუსში, საფულე მომპარეს.

– რავა, საფულეში გედვა თუ?

# არველაძეების „მაზიანი“

ის პერიოდია, სამივე ძმა რომ ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში ვსწავლობდით.

რა თქმა უნდა, დიდ ფეხბურთთან მაგ დროს არანაირი შეხება არ გვქონდა, თუმცა, ჩვენს ტოლებში, ანუ „პატარა“ ფეხბურთში, პელეები თუ არა, მარადონები კი ვიყავით.

შუადღეა და სკოლიდან სახლში მოვდივართ სამივე. ერთი კორპუსის წინ, მინიმოედანზე, ბიჭებს ფეხბურთი გაუჩაღებიათ. დაგვაინტერესა, გავჩერდით და ვუყურებთ.




ცოტა შენიშვნა-შესწორება შევკადრეთ ტაქტიკური თვალსაზრისით.

იუკადრისეს.

– თქვენ თუ მაგრები ხართ, ათ-ათწუთიანი ვითამაშოთ სამი სამზე, – შემოგვთავაზა ერთ-ერთმა.

ვეკვეთეთ ერთმანეთს სამი სამზე. პირველი ათწუთიანი 1:0 მოგვიგეს, მეორე – 3:0.

– სლაბები ყოფილხართ, ძმაოო, – შეეეცოდეთ.

ჩვენ ვითომ გაგბრაზდით. „პროსტო,“ გაგიმართლათო, – ვუთხარით.

– ერთი ამათ უყურეთო, – ახლა ისინი გაბრაზდნენ, – ხმასაც იღებენო.

– ეე, – თქვა ერთმა, – თქვენთან „ხალასტოიზე“ თამაში ბეზინტერესნია, თუ გინდათ, 10-10 მანეთზე ვითამაშოთ „მაზიანიო“.

ჩვენი იდუმალი ჩანაფიქრი მიზანში მოხვდა.

პირველი 15 წუთი 0:0 დამთავრდა.

დაიწყო მეორე ტაიმი და, ე, მაშინ კი ავიწყვიტეთ სამივემ. გიტარასავით აწყობილი „კლასიკა“ დავატრიალეთ და მეორე წუთზე 1:0 ვიგებთ.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ის თამაში დამაჯერებლად, 6:1 მოვიგეთ, პო-თუმან-თუმან ჩავიჯიბეთ, ტანსაცმელი შევიფერთხ-შემოვისუფთავეთ და წასვლას ვაპირებთ.

„მელეხი“ ხალხის შვილები ალმოჩნდნენ:

– მოიცა, არ წახვიდეთ... მოდით, ახლა 20-20 მანეთზე ვითამაშოთ, ძმაო, გაქცევა რა საკადრისიაო.

– 20-იანს წავაგებთ! – „შეგვეშინდა“ ჩვენ.

როგორც იქნა, დაგვიყოლიეს.

დავდეთ 20-20 ლარი თითომ.

პირველი ტაიმი 0:1 წავაგეთ ძმებმა.

„მელეხის“ შვილებმა წაგებული თანხა ამოღებულად ჩათვალეს. მეტი მოინდომეს და მეორე ტაიმის წინ „სტავკა“ გაზარდეს.

– 30-30 მანეთი!

– კარგი, ვიცი, არ შეგვარჩენთ და ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო, – ვუთხარით და დავამატეთ 10-10 ლარი თითომ.

დაიწყო მეორე ტაიმი და ისევ ავიწყვიტეთ.

დაგვედევენ საცოდავად ენაგადმოგდებულები და ოფლში ცურავენ, მაგრამ ჩვენი გაჩერება უკვე აღარც „ბაიერნს“ შეეძლო და აღარც „ბარსელონას“.

ისევ 4:1 მოვიგეთ და 40-40 მანეთი ჯიბეში გვაქვს – სუფთა მოგება.

– თქვენ ვინ ყოფილხართო, – ცოტა „ვზროსლები“ ჩაერთნენ საქმეში, – მოდი, ჩვენ გვეთამაშეთ 30-30 ლარზეო.

„ვზროსლებთან“ თამაში გაცილებით იოლი აღმოჩნდა. პირველი ტაიმი 0:2 წავაგეთ (ინტერესი რომ გაგვეღვივებიდათ), მეორე ტაიმში კი ისევ ამოქმედდა ჩვენი „ხმაშეწყობილი“ ალიანსი. 5:2 მოვიგეთ და – 70-70 მანეთი სუფთა მოგება ჯიბეშია.

როგორ წამოვგაბნელდა, არ გაგვიგია. სანამ ბურთი ჩანდა სიბნელეში, თავი არ დაგვიზოგავს და...

ამ დროს კი ჩვენს სახლში თურმე განგაშია.

დედაჩვენს უთქვამს მამაჩვენისთვის – ვილუპებით, ბიჭები არ ჩანან, წადი, კაცო, მიდექ-მოდექი, მამა ხარ, მოძებნეო.

ჩამჯდარა კიჭა მანქანაში და გამოუყვა თურმე სკოლის გზას უმარტივესი მარშრუტით.

ფარების შუქზე დავეჩითეთ სამივე – დაღლილები, მაგრამ, შესანიშნავ ხასიათზე ვართ.

– აიტ, თქვე ყურუმსაღებო! – გვიყვირა, მაგრამ, სიხარულზე მეტი აღარ გაუტ...ბია და – ჩეეგდეთ მანქანაშიო...

ჩავსხედით.

– აბა, სად ბრძანდებოდით, ლოთობა დაიწყეთ? – განაგრძო მანქანაში ჩვენი დატუქსვა.

ჩვენ, როგორც პატიოსანმა ბიჭებმა, ყველაფერი შეუფერადებლად ვუამბეთ – 70-70 მანეთი მოვიგეთ შრომით და პატიოსნადო.

– ფულზე ითამაშეთ, ხომ? ფულზე? ყოჩაღ, ბიჭო!

ჩავქინდრეთ თავები.

– მეტს აღარ ვიზამთ... – ამოილუღლუღა რეზომ, – აღარ დავაგვიანებთ სახლში მოსვლას...

– რაო, რა ბრძანე? – ირონიად იქცა კიჭა.

– აღარ ვითამაშებთ მეტჯერ ფულზე.

– ეგ მეორედ აღარ გამაგონო! – გადაირია მამა, – რას ჰქვია, აღარ ითამაშებთ! აღარ ითამაშებთ კი არა, რა გეჩქარებათ ამ სახლში! სახლში რა გინდათ შუადღეზე! 70 მანეთს მე ხელფასს არ მაძლევენ თვეში. მიდი, კაცო, ითამაშეთ... ეგ კი არა, იმ მოედანზე კაი პროჟექტორს მოგიტანთ, მაგრად რო ანათებს – ისეთს... დროა, ცხოვრება ისწავლოთ, პატარები კი აღარ ხართ! თქვენი დახეული ფეხსაცმელების ყიდვას ველარ ავუდივარ, ბურთებს რომ თავი გავანებოთ!

**აჩი არველაძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**

## იაშას საცივი

ერთხელ ბიძინა კვერნაძე კომპოზიტორმა იაშა ბობოხიძემ დაპატიჟა საცივზე. იაშას ოთხი შვილი ჰყავდა და, როდესაც საცივით სავსე ჯამი სუფრაზე ჩადგეს, მოშიებული ბავშვები ერთმანეთს არ აცლიდნენ გადაღებას. შეკითხვას, თუ როგორ მოეწონა იაშას საცივი, ბიძინამ ასე უპასუხა:

– აბა, რა გითხრათ. ბავშვებმა რომ ჩაყვეს ჯამში ხელები, მეც ჩავყავი, მაგრამ, ხორცი რომ არ დამხვდა, იაშას უმცროს შვილს ჩამოვართვი ხელი...

**ჟურნალისტებს ხშირად ბრალს გვდებენ, რომ სიხარულით ვწერთ და ვაშუქებთ ადამიანების შესახებ ნეგატიურ ინფორმაციას და ჩასაფრებულები ვართ – ვის და როდის დაუცდება ფეხი, მაგრამ, საიდუმლო არ არის, რომ ასეთ ინფორმაციაზე ძალზე დიდია ინტერესი, რაც სოციალურ ქსელებში საზოგადოების აქტიურობით გამოიხატება. იშვიათად მინახავს სიყვარულით ასე გაბედნიერებული ადამიანები, ალბათ, გალაკტიონი უნდა იყო, რომ ვერკა ჯაჯანიძისა და იკა შალიკაშვილის ბედნიერება გადმოსცე, მაგრამ, მაინც შევეცდები, თქვენც გადმოგდოთ ის ემოცია, რაც მე ამ წყვილთან შეხვედრის შემდეგ დამრჩა.**

# რა მინუსი აღმოუჩინა ფეხბურთელმა იკა შალიკაშვილმა შეყვარებულს და რატომ არ ასწავლა ვერკა ჯაჯანიძემ მას ტანგო

**– იკა, მოკლედ გაგვაცანი თავი – ვინ ხარ და საით მიაფრენ ჩვენს უმშვენიერეს ვერკას?**

**იკა**: მე ვარ იკა შალიკაშვილი, ფეხბურთელი, ვთამაშობ რუსთავის გუნდში; მყავს ტყუპისცალი – თოკო, რომელიც აგრეთვე ფეხბურთელია და სამტრედიაში თამაშობს; კიდევ ერთი ძმა მყავს. ვარ ქუთაისელი და ჩემი ოჯახი ამჟამად იქ ცხოვრობს.

**– სად და როგორ დაიწყო თქვენი სიყვარული?**

**იკა**: პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პერიოდში. ხშირად დავდიოდი ხოლმე რეპეტიციებზე, რადგან ბევრი ჩემი მეგობარი ამ პროექტში იყო. ვერკასაც მაშინ დავადგი თვალი.

**ვერკა**: რაღაც მომენტში ძალიან მოუხშირა რეპეტიციებზე სიარულს და ღამის 3-4 საათამდე ჩვენთან ერთად იჯდა ხოლმე, რაც ძალიან მაკვირვებდა, მაგრამ, მერე ცხადი გახდა, რატომაც იტანჯებოდა.

**– მისმა ტანჯვამ შენი ყურადღება რამდენ ხანში მიიპყრო?**

– მხოლოდ ჩემი კი არა, ბევრი გოგოს ყურადღება მიიპყრო თავიდანვე, მაგრამ, როცა მივხვდი, რომ ჩემით დაინტერესდა და განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩემ მიმართ, მერე მეც უფრო სერიოზულად შევხედე.



**იკა: „ვერკას ასი პროცენტით ვენდობი; ისე, მთლად ბოლომდე არავის უნდა ენდო, მაგრამ, მაინც“**

**– მისი განსაკუთრებული ყურადღება რაში გამოიხატებოდა?**

– მეკითხებოდა, ხომ არ მშიოდა, ყავა ხომ არ მოეტანა, ძალიან დავიღალე თუ არა და ასე შემდეგ. მერე ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და რეპეტიციებიდან სახლამდე ყოველ ღამით მაცილებდა... შესაბამისად, უკვე გასაგები იყო, რაც ხდებოდა.

**– იკა, ადვილი „შესაბმელი“ აღმოჩნდა ვერკა თუ გაგიჭირდა მისი მოხიბვლა?**

**იკა**: მისი მოხიბვლა ნამდვილად არ გამჭირვებია და არც მისი მხრიდან ჰქონია კეკლუცობასა და თავის დაფასებას ადგილი. ყველაზე მეტად მასში ის მომეწონა, რომ არის თავდაჭერილი, გაწონასწორებული და დინჯი. არ მიყვარს ცანცარა გოგოები.

**– ვერკა, ირაკლიში რა ნახე ისეთი, რამაც გათქმევინა, რომ ეს „ის” არის?**

**ვერკა**: ძალიან ყურადღებიანია, მზრუნველი და მოსიყვარულე; ის სიმკაცრეც მომწონს, რომელიც დოზირებულად აქვს. დღემდე ნაკლი ვერ ვუპოვე და, ამიტომ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ის არის, ვინც მე მჭირდება. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, უამრავი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ, დღემდე არავის მიუქცევია ჩემი ყურადღება – მიმაჩნდა, რომ ეს ზედმეტი თავის ტკივილია და კარიერაში ხელის შემშლელი, მაგრამ იკას გაცნობის შემდეგ სულ სხვანაირად დავიწყე ფიქრი.

**– სხვათა შორის, ორივეს ისეთი პროფესია გაქვთ და ისე გამოიყურებით, რომ ერთმანეთზე საეჭვიანო ყოველთვის გექნებათ; მგონი, ამ საკითხში ვერცერთი ვერ მოდუნდებით.**

**იკა**: პირველ ყოვლისა, საკუთარ თავში ვარ დარწმუნებული და, თან, ვერკას ასი პროცენტით ვენდობი; ისე, მთლად ბოლომდე არავის უნდა ენდო, მაგრამ მაინც ***(იცინის)...***

**– პირველი ოფიციალური პაემანი როგორი გქონდათ?**

– ამას მე მოვყვები, გეხვეწები ***(იცინის).*** გრძნობები ახალი გახურებული გვაქვს, ერთ ამბავში ვართ და, გადავწყვიტე, მეყიდა საჩუქარი და შევხვედროდი. დავურეკე, მითხრა, რომ ეცალა, შეეძლო ჩემი ნახვა და დამიბარა მანეჟში. გავიზმანე, დავივარცხნე, სუნამოში ვიბანავე და წავედი შეხვედრაზე. მე არ ვიცოდი, სად იყო და რა იყო ეს მანეჟი. ამიხსნა, სად უნდა მივსულიყავი. მივედი, ვაღებ კარს, მხვდება სარეპეტიციო დარბაზი და საიდანღაც გავიგე ვერკას კივილი. მივიხედე და ხელს მიქნევს, ოღონდ, არ იცი, რა ფორმაში დამხვდა?! უკან შემოხვეული კურტკა, ელასტიკები, ცალი ყბა გამოტენილი ცხიმიანი ხაჭაპურით... ამ ჭუჭყიანი ხელებით გადამეხვია და ტუჩებზე ჩამოყრილი ფენოვანით მაკოცა. არადა, ჩემი პირველი სერიოზული პაემანი სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი ***(იცინის).***

**ვერკა**: მე რა ვიცოდი, რომ პაემანს მინიშნავდა? მეგონა, ჩვეულებრივი მორიგი ნახვა იყო და მეც სარეპეტიციო დარბაზში დავიბარე. მკითხა, ამ დროს თუ გცალია და სად შევხვდეთო, ჰოდა, მეც შევხვდი ***(იცინის).***

**– საჩუქრებისა და სურპრიზების გაკეთება უყვარს?**

– თითქმის ყოველდღე მიძღვნის საჩუქრებს ან სიურპრიზებს მიწყობს. მისთვის მეორე და ჩემთვის პირველ სერიოზულ პაემანზე უძვირფასესი ყელსაბამი მაჩუქა, ძალიან ნაზია და, ყოველდღიურად, რა თქმა უნდა, ვერ ვიხმარ, ამიტომ ველოდებოდი შესაფერის დროს და ადგილს, სადაც გავიკეთებდი, მაგრამ ეს დრო არასდროს აღარ მოვიდა, მას კი, თურმე, სწყინდა, რომ არ მეკეთა. ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან იყო სტუმრად, გავაცილე და ნახევარი საათის შემდეგ ისევ მირეკავს – კარი გაღეო. გავაღე და რას ვხედავ: მთელი სადარბაზო ყვავილებით და პატარა ფერადი ფურცლებით იყო სავსე, რომლებზეც რაღაც სიტყვები ეწერა. ბოლოს, რომ გავშიფრე, ასეთი წინადადება იკითხებოდა: „ჩემი ნაჩუქარი ყელსაბამი არასდროს გიკეთია, მაგრამ მე შენ ყველაზე მეტად მიყვარხარ“.

**– უფრო სერიოზული ნაბიჯის გადადგმას, რასაც შეუღლება ჰქვია, როდის აპირებთ?**

– ჯერ არ ვჩქარობთ, გვინდა, რომ შეყვარებულობის პერიოდი გავიხანგრძლივოთ; თანაც, შემოდგომაზე ბუნებაში მინდა გვქონდეს ქორწილი – პატარა, მაგრამ ყველა სტუმრისთვის დასამახსოვრებელი და საინტერესო. არც მე და არც ირაკლის არ მოგვწონს ტრადიციული ქორწილი – ყაწნებითა და განსხვავებულებით სმა-ჭამა-ყლაპვა. თან, აუცილებლად ღია ცის ქვეშ გვინდა საქორწინო რიტუალის და ღონისძიების გაკეთება.

**– ირაკლი, შენს ფანტაზიებშიც იყო შემოდგომა?**

**იკა**: წელიწადის დროზე არასდროს მიფიქრია; მთავარია, საყვარელი ადამიანი მყავდეს გვერდით და დანარჩენი, მეც ისეთი წარმომიდგენია ეს დღე, როგორიც ვერკას.

**– გამოდის, ჯვრისწერის ცერემონიალის დეტალებზეც გისაუბრიათ. ერთმანეთის ოჯახები თუ გაიცანით?**

**ვერკა**: კი, იკა გავაცანი ჩემს ოჯახს და ძალიან მოეწონათ. ასევე, იკამაც გამაცნო თავისი მშობლები – ჩამიყვანა ქუთაისში და მათ უფრო მეტად შემაყვარეს იკა. ზუსტად ისეთი სადედამთილო მყავს, როგორზეც ვოცნებობდი, თან, ულამაზესი საგვარეულო ბეჭედი მაჩუქა. ძალიან საყვარელი ქალია.

**იკა**: საერთო ენა ადვილად გამონახეს. ვერკა მაგარი კულინარია და დედაც ადვილად მოხიბლა ამით, ოღონდ, ერთი მინუსი აქვს – ქურქლის რეცხვა იცის საათნახევრიანი ***(იცინის).***

**– ისე, რა ამის პასუხია და, საინტერესო იქნებოდა ფეხბურთელი იკა შალიკაშვილისა და მოცეკვავე ვერკა ჯაჯანიძის შეყვარებული წყვილი „ცეკვავენ ვარსკვლავებში“.**

**ვერკა**: ამაზე არ დავფიქრებულვარ, მაგრამ კარგი იქნება, თუმცა, ეს პროდიუსერების გადასაწყვეტია. ისე, ცეკვა კი უყვარს და მთხოვს ხოლმე, რომ ვამეცადინო. მართალია, მისი საყვარელი „ტანგო” დღემდე ჯერ ვერ ვასწავლე, მაგრამ, იმედი მაქვს, ადვილად აითვისებს; თან, ჩვენი ქორწილისთვის გვინდა, რამდენიმე ცეკვა დავდგათ.

**ბესო მახარაშვილი**

# რისთვის იბრძვის გიგა კვენეტაძე მოსკოვში, ვინ არის მისი საყვარელი ქალი და როგორ უხდის სამაგიეროს მას ქეთა თოფურია

*როდესაც გიგა კვენეტაძემ მოსკოვში გადასახლება გადაწყვიტა, ნამდვილად ვერ იფიქრებდა, ამხელა წარმატებას თუ მიაღწევდა დიდ რუსეთში. დღეს ის ერთ-ერთ მოთხოვნად კომპოზიტორად ითვლება და მის სიმღერებს შოუ-ბიზნესის რუსი ვარსკვლავები დიდ სცენებზე ასრულებენ. გიგას პირად ცხოვრებაშიც სასიამოვნო სიახლეა. მართალია, მისი პირველი ქორწინება კრახით დასრულდა, მაგრამ ახლა ის შეყვარებულია და სულ მალე ქორწილსაც გეგმავს.*

**გიგა კვენეტაძე**: ექვსი წელია, მოსკოვში ვცხოვრობ და გამიმართლა აქ ჩამოსულს. მართალია, საქართველოში ცნობილი ვიყავი, მაგრამ, აქ სხვა საფეხურზე ავედი და მოსწონთ ჩემი დაწერილი სიმღერები. გამოდის, იღბლიანი ვარ ***(იცინის).*** ჩემს საავტორო სიმღერებს ჯგუფი „ა სტუდიო", ვალერია, დიანა ღურწკაია და ასე შემდეგ, ანუ, საკმაოდ ცნობილი მომღერლები რუსეთის დიდ სცენებზე ასრულებენ. ეს ჩემთვის, როგორც ქართველი კომპოზიტორისთვის, დიდი პატივია. საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, ალბათ დავიძირებოდი, არ ექნებოდა ჩემს შემოქმედებას განვითარება და ვიფიქრებდი იმაზე, როგორ გამეტანა თავი. თან, რასაც ვხედავ, თუ დოლს არ შემოჰკარი, გარმონი არ გაწელე და „დარი-დური" არ შეუბერე, ისე არავინ მოგისმენს – სხვა სიმღერა არ უნდათ. აქ კი სულ სხვა სტილის მუსიკაზეა მოთხოვნა.

**– გამოდის, რომ საქართველოში მტირალა მომღერალი, რუსეთში ენერგიულ კომპოზიტორად მიგიღეს?**

– ნამდვილად ასეა. აქ ჩამოსულმა სტილი შევიცვალე. თუ საქართველოში ტირილის უფლებას მაძლევდით სცენაზე, რუსეთს ამ ცრემლების არ სჯერა ***(იცინის).*** ვერ ვიტყვი, საქართველოში მოთხოვნადი მომღერალი არ ვიყავი-მეთქი, მაგრამ რუსეთში უფრო დიდი ასპარეზი მომეცა და ეს გამოვიყენე. მიხარია, რომ ჩემს ქვეყანაში დღესაც უსმენენ ჩემს სიმღერებს – „როგორ მინდა მოგეფერო", „ვერ შეგელევი." ახლა, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: ვმუშაობ ახალ სიმღერაზე, რომლითაც ჩემს ქვეყანას უფრო მაგრად მოვეფერები და ვეტყვი, რომ ვერ შეველევი. სამწუხაროა, რომ ქართული შოუ-ბიზნესისთვის დღეს სიმღერებს აღარ ვქმნი, მაგრამ, ამ სიმღერას თავად შევასრულებ.

**– სიმართლე გითხრა, მიკვირს დღეს სიმღერებს სხვებისთვის რომ წერ და თავად არ ცდილობ რუსეთის დიდ სცენაზე გამოსვლას.**

– ყველა მეუბნება, როგორი თავმდაბალი ხარო ***(იცინის).*** შემოქმედ ადამიანს თავში არ უნდა აუვარდეს წარმატება. ვისაც თავში აუვარდა, ის მალევე „ჩაქრა" და დაივიწყა ხალხმა. ვფიქრობ, უნდა აკეთო საქმე, რომელიც გიყვარს და ხალხს ამით სიამოვნება მიანიჭო. უშუალო უნდა იყო და ყველა უნდა გიყვარდეს. რაც შეეხება რუსეთის დიდ სცენაზე დადგომას, ეს ეტაპიც დადგება. საფუძველი უკვე ჩავყარე და სულ მალე დავდგები სცენაზეც როგორც მომღერალი და არა კომპოზიტორი. ამას არ ვჩქარობ, თუმცა, ამის დროც, მალე მოვა. სოლო კარიერას ბევრი მუშაობა სჭირდება; აქ მარტო ნიჭი ვერ გიშველის, ფინანსებიც საჭიროა, თუმცა, მე ეს არ გამიჭირდება, რადგან, აქ ბევრი კარგი მეგობარი მყავს, ვინც რეკომენდაციას გამიწევს და გვერდში დამიდგება. ხომ იცით, ძველი სიკეთე არ იკარგება ***(იცინის).*** თან ასაკიც ხელს მიწყობს – ჯერ არ დამიგვიანია. ახლა შემოქმედებითად აქტიურ ეტაპზე ვარ, ვმუშაობ ახალ, სოლო ალბომზე, იმ სიმღერას ვქმნი, რომელზეც კლიპს გადავიღებ და ამით რუსეთში ჩემი, როგორც მომღერლის კარიერა დაიწყება. საქართველოში გამიმართლა ჩემი პირველი სიმღერით – „ვერ შეგელევი" და, ვნახოთ, აქ როგორ მიიღებს რუსი მსმენელი ჩემს პირველ გამოჩენას.



**თუ საქართველოში ტირილის უფლებას მაძლევდით სცენაზე, რუსეთს ამ ცრემლების არ სჯერა**

**– მართალია, რომ დიმა ბილანმა შენი სიმღერები დაიწუნა და მათ შესრულებაზე უარი თქვა?**

– არ დაუწუნებია, უბრალოდ, უარი თქვა, რადგან, მისი ფორმატი არ იყო. მითხრა, ძალიან კარგი სიმღერაა, რასაც მთავაზობ, მაგრამ, ჩემი სტილი არ არის და, თუ ასეთს დაწერ, დიდი სიამოვნებით ვიმღერებო.

**– ამბობენ, ქეთა თოფურიამ დიდი როლი ითამაშა შენს წარმატებაში. დღეს თუ გეხმარება რუსეთში აღიარებული ქართველი ვარსკვლავი დამწყებ მომღერალს კარიერის მოწყობაში?**

– ქეთამ მართლაც დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში, დიდ პატივს ვცემ და ძალიან მიყვარს. ყველანაირად გვერდში მიდგას. ის ცნობილი სახეა შოუ-ბიზნესში და ერთგვარი შუამავალია ჩემსა და რუსულ ესტრადას შორის. ის მენდობა და იცის, რომ იმედებს აუცილებლად გავუმართლებ. შეიძლება, თამამად ვთქვა, რომ ქეთა თოფურია ჩემი მფარველი ანგელოზია ***(იცინის).*** ადრე იყო მომენტი, როცა ჩემმა ერთმა სიმღერამ გადაწყვიტა მისი „ა სტუდიოში" მოხვედრა, კერძოდ, სიმღერამ – „გული გეფერებოდა". ეს ახლაც ახსოვს და ყოველთვის მადლობას მიხდის. ახლა ახალ სიმღერას ვწერ მისთვის და იმედია, ისიც გაჰიტდება.

**– გიგა, პირად ცხოვრებაში რა ეტაპზე ხარ? მახსოვს, ბოლოს მითხარი, შეყვარებული ვარო. ხომ არ გადაწყვიტე ურთიერთობის დაკანონება შენს რჩეულ მარია კარამოვასთან?**

– ჩემს პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგადაა. მარია ძალიან ლამაზი და საყვარელი ადამიანია. გაზაფხულზე ვაპირებთ თბილისში ჩამოსვლას და ოფიციალურად ურთიერთობის დაკანონებას. დაგეგმილი გვაქვს, ჯვარიც საქართველოში დავიწეროთ, ხელიც მანდ მოვაწეროთ და ქორწილიც გადავიხადოთ. მე მანდ ბევრი მეგობარი და ახლობელი მყავს და, მინდა, მათაც გაიზიარონ ჩვენი ბედნიერი წამები.

**– რომანტიკული შეყვარებული ხარ? თუ ანებივრებ საჩუქრებით საყვარელ ქალს?**

– ჩემზე დიდი რომანტიკოსი დედამიწაზე არ დადის! რაც მე ცრემლი მიღვრია სიყვარულზე სიმღერით, მეტი რომანტიკა რაღა გინდათ?! ***(იცინის)*** რაც შეეხება საჩუქრებით განებივრებას, მარია ამბობს, რომ მისთვის ყველაზე დიდი და შეუფასებელი საჩუქრები ჩემგან ის სიმღერებია, რომლებიც მას მივუძღვენი.

**– როგორც მივხვდი, შენთვის ოცნებებში ფრენისა და ტირილის დრო მოსკოვში ნამდვილად აღარ არის.**

– ოცნებების დრო წავიდა, ახლა საქმეა საჭირო! რუსეთში ერთი წამიც კი ძალიან ძვირად ფასობს. რაღა დროს ოცნება და ტირილია? მოსკოვს არც ჩემი ოცნებების და არც ჩემი ცრემლების არ სჯერა. აქ რეალური ქმედებებია საჭირო და ამისთვის ვიბრძვი. ყველაზე დიდ ბედნიერებას ის მანიჭებს, რომ ღმერთმა მომცა ნიჭი, შევქმნა მუსიკა, მივიტანო ის მსმენელამდე და ამით ხალხს ვასიამოვნო და გავახარო დედა, რომ ჩემით იამაყოს. ამისთვის შრომაც და ბრძოლაც ღირს, სადაც არ უნდა ვიყო. პატარა ქუთაისელმა ბიჭმა ყოველთვის ვიცოდი, რომ ცნობილი გავხდებოდი და ოცნებებს ავიხდენდი; ეს მოვახერხე და ახლა, ბედნიერი ვარ.

**ნონა დათეშიძე**





როგორ მიაღწია დიდ წარმატებებს ამერიკაში ქართველმა დიზაინერმა ტატა ლებანიძემ და ვინ გააკეთა ობამას ინაუგურაციაზე დიზაინი

გვ. 66



გვ. 71

რისთვის იბრძვის გიგა კვენეტაძე მოსკოვში, ვინ არის მისი საყვარელი ქალი და როგორ უხდის სამაგიეროს მას ქეთა თოფურია



როგორ აარჩიეს ცხრა მოდელს შორის რომის „ფეშენ-ვიქის“ დახურვის ჩვენებისთვის თამთა შედანია და რა თემაა დღეს მის პირად ცხოვრებაში დახურული

გვ. 59

ISSN 1987-569X
9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბი ... სმუ ... ი

# თბილის ... ები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * 16-22 თებერვალი №7 (738) * ფასი 1,50 ლარი